

K 190 563
3 or



වින්දිගලු
වින්දිගලු
සේවකයාටෙන්




გამომცემლება „საპარტა საქართველო“
0802060 — 1983



თემატიკური

:

კანისა
და
ლუინის
საგადობელი



$$\begin{array}{r} \cancel{634} \quad 8 + 678 + 5 \quad \cancel{11} \\ \cancel{42} \quad \cancel{36} + \cancel{36} \quad \cancel{87771} \\ \cancel{663} \quad 2 + \cancel{634} \quad 8 (47) \\ \qquad \qquad \qquad \cancel{3} \ 135 \end{array}$$

3306m

კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და რწმენის ხალხთა მი-
თლოვაში, ხელოვნებასა და მხატვრულ შემოქმედებაში ვაზისა და ღვი-
ნის სიმბოლიკის ამსახველი მასალები, ნაჩვენებია ვაზისა და ღვინის რთლი-
კანობრითის მატერიალურობა და სულიერ ცხოვრებაში.

კრებულის ავტორს ეკუთვნის წინამედა და ნარკევე — „შენ ხარ ვენა“, აგრეთვე, კრებულში გაძნეული მასალა მეცნატებისა და მეცნეობის საინტერესო საკითხებში, რომლებიც ავტორის გვარის აღნიშვნის გარეშეა მოტანილი.

კრებული პირველი ცდაა ამგარი მასალების თავმოყრისა და გამოცემისა ქართულ ენაშე, ამიტომ, ბუნებრივია, მას არა აქვთ პრეტეზზა ამომწურავად და სრულყოფილად წარმოადგინოს ვაზისა და ღვინის სისტოლიკის ამსახული არქტოლოგიური თუ ემნოგრაფიული მასალა, სხვადასხვა ხალხისა და ეპოქის სახეითი ხელოვნების შედევრები თუ პოეტური ქმნილებან.

ରୂପାଳିଶ୍ଵରଙ୍କୁଳା ସାକ୍ଷାତ୍ତବୀଲୋକେ ସର ମେହାଲେଖାଦୀରେ, ଶ୍ରୀବ୍ରଜନାଥ-
ତଥା ମେହାଲେଖାଦୀରେ ସମ୍ମେଳନିର୍ମାଣ-କ୍ଷେତ୍ରରେ ଉଚ୍ଚତାରେ ଯାଏନ୍ତିରେ,


პიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

ପ୍ରକାଶ. ଡ. ମହିନେଶ୍ୱର

ଓিলটলগুইৰ মেলনিৰূপাৰা কান্দিৱাৰি
ডটচ. ৩. ১০৬৯৬৮

$$\Gamma = \frac{40405 - 119}{M_{601(08)} - 83} = 139 - 83$$

© გამოცემლობა „საპრი ათა სამარტინი“ 1988



ვინათა ა ა

ძვირფასო მკითხველო!

გაზაფხულზე, როცა ძალამოცემული მზის სხივი შენს სულ-შიაც შემოაღწევს და გული მინდვრად და ბალ-ვენახად გაგი-წევს, ნოტიო მიწის სურნელი შეგივრძვნია ალბათ, და გონება-ში ანაზღეულად გაგივლია: მიწამ გაიღვიძაო... მართლაცდა, უამი დამდგარა აღორძინებისა და მიწაც, შენი დედა მიწაც, ახალი სიცოცხლით იწყებს ცხოვრებას...

შენც, როგორც ამ მადლიანი მიწის შვილს, გული თითქოს ჯერ არგანცდილი სიხალისით გევსება, ნაბიჯი ლადი და მსუბუ-ქი, თვალი წყლიანი, მკლავი მარჯვე და მოუღლელი გიხდება, ენა კი საალერსოდ და სალექსოდ გერჩის...

მიწისა და ცის, გენისა და ჯიშის, მოყვასისა და მეგობრის სიყვარული გიღვივდება, ტრფობის ნაპერწყალი გისახლდება გულში და შენც ახალ გაზაფხულს, კიდევ ერთ ახალ იმედის წელს შენს მშობელ მიწასთან ერთად იწყება...

მიწამ გაიღვიძა!...

შრომისა და აღორძინების, ტრფობისა და სიმღერის, ლექ-სიხა და აღმაფრენის უამი დაგდომია..

მამ, გავიდეთ ზვარში და მევენახეს, ჩვენს გულურვ მახპინ-ძელს, ვესტუმროთ, ალიონიდან მიმწუხრამდის ვაზებს რომ დასტრიალებს თავს, სხლავს და აღამაზებს... დღეობით, საათო-ბითა და წუთობით რომ ელოდება კვირტის გაშლას... ვაზის კვირტი ხომ მისივე სიცოცხლის კვირტია, ვენახი კი მისივე არსობის სიმბოლო, მისი ხატი და სალოცავი, მისი ფარი და მახვილი, მისი მხარშიმდგომი მეგობარი, მისი დამლოცავი და გამპატიოსნებელი, მისი რწმენა და იმედი ხვალინდელი დღისა...

ვაზის ძირში მუხლისახრილს, ვინ იცის, რამდენჯერ უდუდუ-

ნია ვაზისა და მზის საგალობელი, შინმოუსევლელი შევიონის
დარღი და ვარამი ვაზის რქის ალერსში რამდენგზის კადუტერა
ნია...

ვაზის ყვავილობას ამ მადლიან მიწასთან ერთად ისიც შეპ-
ხარის, შესთხოვს ზენაარს, მზის ალერსი არ მოაკლოს აყვა-
ვებულ იმედს და სვებედნიერად გამონასკვოს ღვთიური მტევნის
ჩანასახი... შემდეგ კი ძილი და მოსვენება ეკარგება, ყოველ
ცისმარე ჩანასახის ზრდას დასციცინებს, ებრძვის გვალვასა თუ
ღრუბელს და მიწის უბრალო შეილი ღმერთკაცად იქცევა...
წარმოუდგენელს წარმოიდგენს, შეუძლებელს შეძლებს...

ბარაქიანი რთველი კი მისი გამარჯვებაა!...

მადლიერი მიწა სიუხვით აკეთებს, წლის სარჩოსა და საბა-
დებელს ძღვნად აძლევს, ქორწილებსა და ძეობებს უმრავლებს,
ვაზის კურთხეული წევნით ალოცვინებს ცასა და მიწას, შემოქ-
მედსა და მფარველ ანგელოზებს, ღეღაენასა და ოჯახს, დღევან-
დელი და ხეალინდელი დღის რწმენასა და იმედს; „წუთისოფ-
ლის სტუმრობის“ უამს ამჟევენიური სისხლსავსე და იმედიანი
ცხოვრების შინაარსით უკეთებს, ალხენს და ამღერებს...

ისიც ისევე ელოლიავება ვაზის რქასა და მის ღვთიურ
წვენს, როგორც მისივე ახლო თუ შორეული წინაპარი...

ჩემო მკითხველო! შენ თუ არა, შენი წინაპარიც, ახლო თუ
შორეული, მევენახე იქნებოდა... შენშიც, როგორც ამ მადლიანი
მიწის შვილისა და იმ შენი წინაპრის შთამომავალშიც ხომ მე-
ვენახისა და მეღვინის გენისეული პოტენცია ბუღობს... ვენახი
თუ არ გაგისხლავს და არ დაგიძარავს, ზეარში ხომ მაინც
გაგივლია ვაზის ყვავილობის უამს ანდა მსუყე შემოღვომის
პირს... სულ სხვაგვარად აგჩქროლებია გული და ვაზის რქა
შენი სხეულის ნაწილად გიგრძენია... ეგების ვერც კი ამჩნევ
და, შენში მევენახის ის უძველესი გენი იღვიძებს ხოლმე...

შენი გონების თვალსაწიერი იმ შორეულ დროსაც მის-
წვდება, როცა შენმა წინაპარმა ვაზი კაცთა მოდგმის სამსახურ-
ში ჩააყენა და ვაზისადმი მიმართებაში უწმინდესი და უზენაესი
გრძნობები ჩააქსოვა... ამიტომ არ გაგიჭირდება ძველი ეგვიპ-
ტელი თუ შუმერი, ხეთი თუ ბერძენი მევენახის ენის გაგება;
მათი ენა ხომ ვაზისა და მზის ენაა, აღორძინებისა და ნაყოფიე-
რების, მშვიდობისა და შექმნის ენაა, ღვთით კურთხეული ვაზის
წვენის – ღვინის ენაა, აგრერიგად რომ შლის და არღევეს
ენობრივსა და რასობრივ სამანებს...



როვლობის ქამია!

მაშ, ვესტუმროთ მსუეე ზეარს, მოვირთვლიანოთ!... გაეჩინდეთ
ოქროსფერი მტევნებით დატვირთულ ურემს, ჭრიალიზ შექამია
ღოთ მარნის კარი და საწნახელში მასპინძელთან ერთად შარ-
ვალდაკაპიწებული ჩავდგეთ... მასთან ერთად ავმღერდეთ, ვაზი-
სა და მზის საგალობლით შევხვდეთ ღვინის დაბადებას...

„მასპინძელო, ჩვენო ღბინო, მარნის კარი გვიჭრიალე,
მოგვიტანე კოკით ღვინო, ყელი ჩაგვიმაჭრიანე...“

ვერც კი გრძნობ, ისე ინთები ბაზუსის ცეცხლით და სა-
ღლეგრძელოსავით იმეორებ პოეტის მიერ წარმოთქმულ ქებათა
ქებას ვაზისას და ღვინისას...

შემდეგ ახალი ღვინით ივსებ ფიალას და როგორც თამაღა,
პირველ სადღეგრძელოს მშვიდობასა და მეგობრობაზე წარმო-
თქვამ... შენს წინაშეა ქართული სუფრა და პოეტის მიწვევით
შენც ამ სუფრის თანამეინახე ხარ...

ქართული სუფრის სტუმრები — ბერძენი, ებრაელი, არაბი,
ფრანგი, სპარსელი, გერმანელი, ჩინელი, რუსი, შოტლანდიელი,
სომეხი, კორეელი, ინგლისელი, მოლდაველი, იაპონელი, დანი-
ელი პოეტები ქართულად წარმოთქვამენ თავიანთ ლექსებს და
შენ ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ მზის ენერგიით სავსე სი-
თხე — ღვინო ყველა ერის შვილისთვის მმობის, სიყვარულისა
და სიკეთის კეთილშობილური გრძნობების სათავეა...

დროდადრო ფრანგთან ერთად ბურგუნდიის, შამპანისა და
კონიაკის ძველ სარდაფებს ეწევი, ხერესსა და ტოკაის ქსპა-
ნელთან და უნგრელთან ერთად უსინჯავ ჭაშნიეს და მერე რქა-
წითლით სვამ ყველა ქვეყნის მევენახისა და მეღვინის საღლეგ-
რძელოს...

ინტერესით ეცნობი ნაამბობს მევენახეობისა და მეღვინეო-
ბის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე, სიამაყით ისმენ სხვა-
დასხვა ქვეყნის შვილთა მიერ წარმოთქმულ ქებათა ქებას ვაზი-
სას და ღვინისას...

მაშ, ასე, ძვირფასო მკითხველო, ქართული ენა იყოს შენი
მეგზური ამ მეტად მრავალფეროვანსა და ღამაზ სამყაროში!...



„შენ ხარ ვენახი...“

კაცობრიობის მატერიალური კულტურის განვითარების ისტორიაში ვაზის განსაკუთრებული ადგილი უკავია. ადამიანის გონიერი ვერ სწორება იმ შორეულ წარსულს, როცა მან პირველად იგემა ყურძნის ნაყოფი და მისი ღვთიური წვენისაგან პირველად დაითრო. მისითვის ეს მოვლენა, ალბათ, ისეთივე სასწაული იყო, როგორც სამყაროს პირველხილვა.

შეუძლებელია ვაზის ასაკის ზუსტად დადგენა: ვაზი; ალბათ, სამყაროს შექმნისთანავე გაჩნდა, ყოველ შემთხვევაში, მეცნიერთა მიერ დადგენილად ითვლება, რომ ვაზი ჯერ კიდევ ქვის ხანამდე არსებობდა.

ვაზის წარმოშობა შორეულ გეოლოგიურ ეპოქას განეკუთვნება და ჩვენგან რამდენიმე მილიონი წლითაა დაშორებული. ზედაცარცულ პერიოდში არსებობდა მცენარე, რომლის ფოთოლი წააგავს თანამედროვე ვაზის ფოთოლს.

მესამეულ პერიოდში, როცა წაბლისფერი ნახშირი იქმნებოდა, ვაზი ევროპის ტერიტორიაზე ფართოდ იყო გავრცელებული. ამ პერიოდში ისლანდია და გრენლანდია, ჩრდილოეთი ამერიკა ალმასკამდე და იაპონია მწვანე საფრით იყო დაფარული. ამას ადასტურებს ქვებსა და ნახშირზე ვაზის ფოთოლის, თესლისა და მერქნის ნაწილების ანაბეჭდები. ჩრდილოეთში ეს საფარი გამყინვარების პერიოდის მსხვერპლი შეიქნა. ვაზის ნაყოფი საუკეთესო საკვებს წარმოადგენდა ადრეული ქვისა და ბრინჯაოს ხანის ადამიანისათვის დასავლეთ და



ცენტრალურ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, კავკასიონური ნის სამხრეთში და ახლო აღმოსავლეთში, რასაც პრეისტორიულ დასახლებულ ადგილებში ნაპოვნი წიპწები ადასტურებს!

მცირე აზიაში, საბერძნეთში, ჩრდილოეთ იტალიასა და იუგოსლავიაში კულტურულ ფენებში ნაპოვნია ყურძნის წიპწების ანაბეჭდები თიხის ნატეხებზე. ტროასა და ტირნისის ცნობილმა გათხრებმა ნათელპყო, რომ ოთხი ათასი წლის წინ ყურძნი ადამიანის საყვარელი საკვები პროდუქტი იყო.

კულტურული ვაზი (*Vitis vinifera*) არ არის ნაპოვნი ველურ მდგომარეობაში. მასთან ახლოს მდგომი სახე, ტყის ყურძნი (*Vitis silvestris*) იზრდება ტყეებსა და ხეობებში. მისი გავრცელების არეალი დაახლოებით იმავე საზღვრებით არის გარემოცული, რომლითაც შემოფარგლულია განვითარებული მევენახეობის რაიონები. ეს ზონა იწყება დასავლეთ საფრანგეთიდან და გრძელდება აღმოსავლეთით შეა აზიამდე (კოპეტ-დალი).

კავკასიური ვაზი (*Vitis caucasica* Vav.) გავრცელებულია მცირე აზიაში, ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში პინძუქუშამდე².

ვაზის ამერიკულ სახეებს, მიუხედავად მრავალფეროვნებისა და რიცხობრივი სიმრავლისა, მონაწილეობა არ მიუდია კულტურული ვაზის წარმოქმნაში. ჩრდილოეთ ამერიკაში მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია დაკავშირებული იყო საკუთარ, ამერიკულ სახეებთან. *Vitis vinifera* ძველ აღმოსავლეთში, ძველ სამყაროში შეიქმნა.

ადამიანი უხსოვარი დროიდან ველური ვაზის ნაყოფს საკვებად იყენებდა როგორც ყურძნის, ისე მისი დადუღებული წვენის – ღვინის სახით.

ადამიანი ველური მცენარეების ნაყოფისაგან დადუღებულ სასმელს, შესაძლებელია, მარცვლეულისა და ძირხვენების გაშენებამდე იცნობდა³.

როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი საქართველო მდიდარია ვაზის გარეული და გარდამავალი ფორმებით. ვე-

¹ R. Weinhold, *Vivat Bacchus!* Leipzig, 1975.

² იქვე.

³ იქვე.

ლური ვაზის სიუხვეშე კოლხეთში ჯერ კიდევ ანტიკური პლატონები მოუთითებდნენ.

ველური ვაზის ჯიშის *V. silvestris* ფოთლის ანაბეჭდი აღმოჩენილ იქნა მდ. არაქსის ხეობაში (ნახიჩევანის ასსრ), რომელიც ზედა პლიოცენს მიეკუთვნება. ეს ჯიში ახლაც იზრდება ველურად შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზებში, მრავლად არის აფხაზეთში, აჭარაში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, განსაკუთრებით — მუხნარში, წიფლნარსა და წაბლნარში, აღმოსავლეთ საქართველოში კი მდინარეების — ლიახვის, ქსნის, არაგვის, ალაზნის, იორის, თეძამის, ხრამისა და სწვათა ტყისპირა დაბლობზე, აგრეთვე, მთათა ფერდობებზე შეფენილ ტყეებში. *V. silvestri*-მ დასაბამი მისცა კულტურული ვაზის ევრაზიულ ჯიშებს¹.

აბორიგენული ვაზის ჯიშების შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია სამი ძირითადი ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფი:² I ჯგუფში (*Proles pontica* Negr. — პონტის ჯგუფი) შედის საქართველო, მცირე აზია, საბერძნეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, მთლდავეთი (ბესარაბია), II ჯგუფში (*Proles occidentalis* Negr. — დასავლეთის ჯგუფი) — საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია; III ჯგუფში (*Proles orientalis* Negr. — აღმოსავლეთის ჯგუფი) — შუა აზია, ავღანეთი, ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი.

შავი ზღვის აუზის ჯგუფი გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იყოფა ქართულ (subprol. georgica Negr.) და ბალკანურ (subprol. balcanica Negr.) ქვეჯგუფებად.

პონტის ჯგუფს ახასიათებს თერირი ჯიშების ყინვაგამბლეობა, საღვინე ჯიშების (ხარისხოვანი და რაოდენობრივი) სიმრავლე და სასუფრეთა ნაკლებობა; ყურძნის მაღალი სიმუავე (6–10 %), შაქრის ზომიერი შემცველობა (18–20 %).

ამ ჯგუფის ვაზის ჯიშები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული, მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით პლოს დგანან ველურ ვაზთან.

¹ А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии и селекции, М., 1956, გვ. 20.

² А. М. Негруль, Происхождение культурного винограда и его классификация, Ампелография СССР, т. I, М., 1946, გვ. 182—183.



შავი ზღვის ჯგუფის სალვინე ვაზის ჯიშების წარმოშობის
ძირითადი რაიონია დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს
ლო, კახეთი და ძველი კოლხეთი, მცირე აზია. აქედან მევენა-
ხეობა გავრცელდა სხვა რაიონებში.

საქართველო კულტურული მევენახეობის ერთ-ერთი
სამშობლოა, სადაც მევენახეობის წარმოშობის ორი ძირითა-
დი კერა არსებობდა — დასავლური (კოლხეთის) და აღმოსავ-
ლური (იბერიის). შესაძლებელია, აღნიშნულ კერებში მევე-
ნახეობა წარმოიშვა და განვითარდა ერთმანეთისგან დამოუ-
კიდებლად¹.

ქართველებს მეზობელი ხალხები ძველთაგანვე „მიწის მუ-
შებს“, „მიწისმოქმედებს“ უწოდებდნენ. სტრაბონი თავის
აღწერილობაში იბერიის მოსახლეობის უშუალო მწარმოე-
ბელთა ყველაზე მრავალრიცხვოვან ფენას — თავისუფალ გლე-
ხობას „მესამე გენოსის“ სახელით იხსენიებს — „მიწათმოქ-
მედნი და მეომრები“².

რა გასაკვირია, რომ მიწათმოქმედ ხალხს, რომელსაც მე-
ზობელ ხალხთა ენებზე სახელადაც „მიწისმოქმედი“ — „გეორ-
გოს“ ერქვა, შეექმნა კულტურული ვაზის ჯიშები და შემოქ-
მედებითი ხასიათი მიეცა მევენახეობა-მეღვინეობის განვითა-
რებისთვის.

როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, კულტურულ მევენა-
ხეობაზე გადასვლა მოხდა ისეთ ადგილებში, სადაც უხვად იყო
როგორც ველური, ისე ველურიდან კულტურულზე გარდამავა-
ლი ფორმები ვაზისა. ამ მხრივ საკითხის ძიებას მივყავართ
კავკასიამდე, რადგან ყველაზე მჭიდრო კავშირი ველურ და
აბორიგენულ ვაზის ჯიშებს შორის შეინიშნება დასავლეთ
საქართველოში (აფხაზეთი, გურია, აჭარა, იმერეთი), აზერ-
ბაიჯანში (ყუბის რაიონი, მთიანი ყარაბახი, ნანიჩევანის ასსრ),
სომხეთში და თურქმენეთის (დასავლეთი კოპეტ-დალი) ზოგი-
ერთ მოსაზღვრე რაიონში.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა ვაზი ტყიდან თავის კარ-მიდა-
მოზე გადმოიტანა, მისი ზრდა-განვითარებისთვის თვალყურის
დევნება ყოველდღიურ საზრუნვად ექცა. მერე უკეთესის

¹ П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Л., 1964, гл. 568.

² გ. მელიქიშვილი, საქართველოში ქლასობრივი საზოგადო-
ებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 160.

შერჩევაც სცადა, შესარჩევიც საკმაოდ გაამნდა ტყის მდიდარი ფლორიდან, დროთა განმავლობაში გამოცდილებაც შემძინა, მიწისმოქმედის ინტუიცია კი, ალბათ, არასოდეს ზალატოზდა ბუნების შვილსა და, ამგვარად, თანდათან ისახებოდა კულტურული მეცნახეობის საწყისები.

ცნობილი არ არის ადგილი, სადაც ვაზი მოიშინაურა ადამიანმა. ისტორიულ და მეცნიერულ მონაცემებს თუ დავყრდნობით, აღმოჩნდება, რომ კულტურული ვაზის უძველესი რეგიონი წინა აზიაა.

სახეთა წარმოქმნის წინააზიურ კერაში საკმაოდ დიდი როლი უნდა ეთამაშა კავკასიას, კერძოდ, საქართველოს, ვინაიდან წინა აზიის ეს რეგიონი უდიდეს მთათა სისტემაშია მოქცეული და შისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებიც მრავალფეროვანია. მდინარეების ნოკიერი სანაპირო ზოლები, უაღრესად განვითარებული მიწათმოქმედება, მჭიდროდ დასახლებული პუნქტები, რაც დამახასიათებელი იყო როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი საქართველოსთვის (განსაკურებით კი მთის წინა ზოლისათვის), ქმნიდა კულტურულ მეცნახეობაზე გადასვლის რეალურ პირობებს¹.

კასპიის, შავი და ხმელთაშუა ზღვის რაიონები წარმოადგენ კულტურული ვაზის უძველეს ცენტრებს. დაახლოებით 5-7 ათასი წლის წინ ვაზი კულტივირებული იყო ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, აგრეთვე, სირიასა, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში. დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ მეცნახეობა აყვავებული იყო საბერძნეთში, საიდანაც გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში, დასავლეთით, ჯერ რომში (იტალიაში), შედარებით მოგვიანებით კი საფრანგეთში².

საქართველოში (კოლხეთში) მეცნახეობისა და მეღვინეობის განვითარების მაღალ დონეს გვიდასტურებს მითი კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის შესახებ, რაც საქართველოსა (კოლხეთისა) და საბერძნეთის ძველი ურთიერთობის რეალურ ამბებს უნდა ასახავდეს³. კოლხეთში შემოსული არგო-

¹ ა. ბ. ბ. თ. ბ. ა. ბ. ე., მეცნახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963, გვ. 37.

² А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии и селекции, М., 1956, гл. 37.

³ ა 3 თ ღ ღ თ ნ ი თ ს რ თ დ თ ს ე ღ ი, არგონავტიკა, III, თარგმნა ა. გელოვანმა, თბ., 1975, გვ. 123.

ნავტები მოიხიბლნენ ვაზებში ჩაფლული აიეტ მეფის სასახლით, რომლის ძირში რძის, ღვინისა და სურნელოვანი ზეკაპის შადრევნები მოჩეხჩებებდა:

არგონავტების მფარველშა პერამ ნისლით დაფარა მთელი მიზამით. ჯანდით დაბურა ქალაქი ეაც, რომ სასახლემდე ევლოთ ფარულად, კოლხთა მრავალათასა ნაი ხალხის თვალისცის შეუმჩნეველთა. მაგრამ როგორც კი ევლი გალიეს, აიეტ მეფის ჭიშკრებს მიადგნენ, ანაზღაულად გაფარტა პერამ ჯანდი, ქალაქშე ჩამოწმლილი, და შესცეკეროდნენ გათცებული კოლხთა მბრძანებლის მზიურ სასახლეს, ციხეს, გალავანს, ფართო კარიბჭეს და მშენებირი სკეტების სარტყელს, კიდლებს გარშემო რომ ევლებოდა მონუქურთმებულ, მჭიდრო რკალადა. სასახლის ზემოთ, ლავგარდნის თავზე, მყარი სპილენძის მძიმე ფილებზე აღმართულიყო ქვის კოხტა კოშკი, დიდოსტატური ზრუნვით ნაგები. იაზონმა და მისთა მხსელებულთა ზღურბლზე უსიტყველ გადააბიჯეს. ვაზის ლერწები მწვანე გვირგვინად დახვეულიყვნენ, შეფილდილები. დრო იყო ვაზის კუვილობისა, აღმა ასული ამკობდა სკეტებს, დაბლა კი ოთხი, მარად უშრობი წყარო შადრევნად მოჩეხჩებდა — ჰეფესტის ღმერთის ხელით გათხრილი მიწის გულიდან მორაკრაკი. ერთი მათგანი რძის წყარო იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე სურნელოვანი ზეთისა გახლდათ, მეოთხე — წყაროს წყალი ანკარა...

ა პ თ ლ თ ნ ი თ ს რ თ დ თ ს ე ლ ი

ამიერკავკასია, კერძოდ, საქართველო, საიდანაც ვაზის კულტურა ევროპაში შევიდა და გავრცელდა, კულტურული ვაზის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად არის მიჩნეული. ამჟამად საქართველოში 500-ზე მეტი ჯიშია აღრიცხული, სახელდობრ, კახური — 80, ქართლური — 72, იმერული — 75, რაჭა-ლეჩხუმური — 50, მეგრული — 60, გურული — 53, აჭარული — 52, აფხაზური — 58 და სხვა¹. საქართველოში, გეოგრაფიულად მცირე ტერიტორიაზე, ამგვარი მდიდარი და მრავალფეროვანი ვაზის ასორტიმენტის არსებობა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი რეგიონია კულტურული ვაზის წარმომზბისა.

ოფიციალური, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი მკაფიოდ მეტყველებს ქართული ვაზის ჯიშების ხვედრით წილზე მსოფლიოს და საბჭოური ვაზის ჯიშთა ასორტიმენტში. მსოფ-

1 6. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960, გვ. 2.

ლიოში გავრცელებულია 20 000-ზე მეტი ვაშის ჯიში, საბჭოთა კავშირში კი დაახლოებით — 1 180. საქართველოში არსებობს 500-ზე მეტი ჯიშის ვაში, რაც შეადგენს მსრულებელი ასორტიმენტის 2,5%-ს. საქართველოში 2,5-ჯერ მეტი ვაშის ჯიშია, ვიდრე აზერბაიჯანში (200)*, 5,5-ჯერ მეტი, ვიდრე პომხეთში (90), 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში (200), 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე დაღესტანში (150)¹. საქართველოში გავრცელებული ვაშის ჯიშების ხვედრითი წილი საბჭოთა კავშირის ვაშის ჯიშთა ასორტიმენტში შეადგენს 42%-ზე მეტს.

როცა მევენახეობისა და მეღვინეობის შორეულ წარსულზე ჩამოვაგდებთ სიტყვას, უპირველესად ამიერკავკასიის, მცირე აზიის, შუამდინარეთის, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები უნდა ვახსენოთ.

ვაშის გამოყენების ასაკი 7—9 ათასი წლით განისაზღვრება. მცირე აზიაში მევენახეობისა და მეღვინეობის გავრცელების პიონერებად ხეთები ითვლებიან. მესოპოტამიაში (ასურეთში, ბაბილონეთში) ვაში ცნობილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 500 წლით ადრე².

სირია, პალესტინა და მესოპოტამია უძველესი მიწათმოქმედების, უძველეს ცივილიზაციათა ტერიტორიაა (შუმერი, აქადი, ფინიკია და სხვ.). არქეოლოგები არ ეჭვობენ, რომ შუმერები მთებიდან არიან ჩასული ორმდინარეთში. შესაძლებელია, მესოპოტამიის სამდინარო ცივილიზაცია მონაცვლემეგვიდრე იყოს ამიერკავკასიის მთიელთა უფრო ძველი სამთო მიწათმოქმედებისა³.

ძვ. წ. V ათასწლეულში შუმერთა ქვეყანაში (სამხ. მესოპოტამია) განვითარებული იყო მევენახეობა, ფინიკის, ხილეულისა და ბოსტნეულის, პურეულის მოყვანა; მაგრამ თითქმის ყველაფერი ნასესხები იყო სხვა ქვეყნები-

* აზერბაიჯანში, საინგილოს ტერიტორიაზე, ქართული ჯიშებია გავრცელებული. კახის რაიონის ტყეებსა და ძველ ნასახლარებზე ამზამადაც გარეული და გაგარეულებული ვაშის ჯიშები და ფორმები არსებობს.

¹ П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Л., 1964, гл. 572.

² იქვე, გვ. 570.

³ ა. ბოსტნაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963, გვ. 37.

დან — ამიერკავკასიიდან, ინდოეთიდან და სხვ.¹ ამ მოსაზრებას შეარს უჭერს მთთლოგიაც.

აღსანიშნავია, რომ შუამდინარეთში კვების პროცესში მოვალეობა დან მნიშვნელოვანი ადგილი ღვინოს ეკუთვნოდა. უგარიტის სამეფოს მიწათმოქმედთა დასახლებებში სამუშაოები სრულდებოდა სპეციალური „სამეფო კაცების“ მეშვეობით. პროფესიათა შორის აღსანიშნავია მევენახისა და ღვინის დამყენებლის პროფესია².

ღვინით ვაჭრობა შუამდინარეთში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. კიშის ლურსმული ტექსტები გვამცნობს, რომ წარლვნის შემდეგ აზაგ-ბაუს IV ლეგენდარული დინასტიის პერიოდში ღვინით ვაჭრობის საქმეს ქალი უძღვებოდა. აქ ლაპარაკია 5 000 წლის წინანდელ პერიოდზე. თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ შორეულ ეპოქაში ქალი წარმატებით უძღვებოდა საზოგადოებრივ საქმიანობას³.

ადრეული ურის სამეურნეო საქმიანობაში გამოიყოფლა მებალე-მევენახის პროფესია (lù-geštin — sangu). „ყურძენი ცნობილი იყო სამხრეთ შუამდინარეთში, შესაძლოა, ჯერ კიდევ არქაული ურუქის IV ფენის ეპოქაში. ადრეულ ურში, როგორც ჩანს, ღვინო ყველაზე მეტად გავრცელებული პროდუქტი იყო. ამაზე მეტყველებს მრავალი სახელი, კერძოდ, ღვინის აღმნიშვნელი ტერმინი — getin“⁴.

XXV—XXIV საუკუნეებში ჩვენს ერამდე ლაგაშში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან გამოირჩევა ყურძენი და ღვინო. ურის III დინასტიის საქალაქო არქივის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სამეფო მეურნეობაში შედიოდნენ მრავალი სპეციალობის მქონე ადამიანები, მათ შორის აღინიშნება მებალეობა-მევენახეობასთან დაკავშირებული პროფესიები. ლაგაშში ვაზი ხეხილის ბალებში ირგვებოდა (სხვა კულტურებთან ერთად), იყო აგრეთვე ცალკე სავენახე ფართობებიც. ლაგაშში 2500 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხელოვნურად სარწყავი ხეხილის ბალები და ვენახები ყოფილა გაშენებული.

¹ П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, М., 1950, гл. 371—373.

² М. А. Гельцер, Экономика сирийского города во II тыс. до н. э., М., 1970, стр. 2—7.

³ R. Weinholt, Vivat Bacchus, Leipzig, 1975.

⁴ А. И. Тюменев, Государственное хозяйство древнего Шумера, М.—Л., 1956, гл. 81—82.

ყურძნის ღვინის წარმოება, აღებ-მიცემობა მეფეების, ქართულებისა და ვაჭრების საყვარელი საქმიანობა იყო ძველ მესოპოტამიაშია და მის აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთში მდგრადი აზიამდე. ბაბილონეთში გავრცელებული იყო როგორც სასუფრე, ისე საღვინე ვაზის ჯიშები. კარგი ღვინით განთქმული იყო მთიანი ჩრდილო-დასავლეთი მხარე. ბაბილონეთსა და ასურეთში მევენახეობის ფართოდ განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ სახელმწიფოებში „ყველაზე უფრო დიდი თანამდებობის პირად სპასალარი ირიცხებოდა; მას მოსდევდა მეღვინეთ უცი სი ირ უცი სი, სასახლის ზედამხედველი და სატახტო ქალაქის უფროსი“¹.

ლაგაშში სამეფო ღვინოსთან ერთად აღმოსავლეთის მთებიდან ექსპორტის სახით დამატებით გაპქონდათ ღვინო, როგორც ფართო მოხმარების პროდუქტი. აქ დღევანდელი ირანის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი რაიონები უნდა იგულისხმებოდეს. ამ ტერიტორიის ერთი ნაწილი ძველ ელამს ეჭირა. აქ ლაპარაკია მევენახეობის უძველეს რაიონზე, რ. ვაინცოლდის აზრით, შესაძლოა, მის თავდაპირველ სამშიბლოზეც კი².

ძველ სპარსულ ლეგენდებში ღვინის სამშიბლოდ ირანი ითვლება. ერთ-ერთი ლეგენდა – „სპარსეთში ღვინის გაჩენის ამბავი“ – ხორასნის მეფეს – შემირანს მიაწერს ღვინის გავრცელებას სპარსეთში. ეს ის შემირანია, რომელმაც ურარტუს ქალაქი შემირანი დააარსა. ლეგენდის მიხედვით, არწივმა ყურძნის რამდენიმე წიპწა მოუტანა სამადლობლად სპარსეთის მეფისწულს და ამით ჩაეყარა საფუძველი სპარსეთში მევენახეობა-მეღვინეობას. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ლეგენდა არ ლაპარაკობს სპარსეთის, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის ჩასახვის უპირველესი ქვეყნის სასარგებლოდ. „ეს ლეგენდა შეიძლება თავდაპირველი სახით მევენახეობის სამშიბლოდ სწორედ ძველი ურარტუს მიწა-წყალს მიიჩნევდა“³.

რაც შეეხება სპარსეთს, ძველი წელთაღრიცხვით III–I ათასწლეულებში ეკავა ტერიტორია სპარსეთის ყურის ჩრდი-

¹ დ. უ ზ ნ ა ძ ე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, 1917, ნაწ. I, გვ. 68.

² R. Weinhold, *Vivat Bacchus*, Leipzig, 1975.

³ გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ურარტუ, თბ., 1951, გვ. 114.

1. මිදුවාන්ත්‍රීය සේවක ප්‍රජාව
තෙරෙහි, මූල්‍ය ව්‍යුහය
පේරිස් තුළුවා





II. ივრიზის კლდეშვე ნა-
კვეთი რელიეფი. ხეოვნის
მეცნე ვარბალავისი ნაყო-
ფიერების ღმერთის წინ.
ძვ. წ. 730 წ.

ლოეთით და მიღიითა და ელამით იზოლირებული იყო შეკ-
მდინარეთისაგან, ტერიტორიულად კი — მოცილებული ტავ-
რის მთებიდან, მევენახეობის განვითარებისთვის ხელშემუშავე-
ლი რეგიონიდან. არც სპარსეთის ნიადაგურ-კლიმატური ფაქ-
ტორები იძლეოდა მევენახეობის განვითარებისთვის შესაფე-
რის პირობებს.


ურარტუ თრმდინარეთის ცივილიზებულ სამყაროს ტავრის
ტყიანი და მაღალი მთებით ემიჯნებოდა. ტავრის მთებიდან
მეფე სარგონმა ურარტუზე თუ თაბალ-მუშქის მეფეთა წინააღ-
მდეგ ლაშქრობის დროს წამოიღო ლეღვისა და ვაზის საუკე-
თესო ჯიშები და აქადის სამეფოში გაავრცელა. სარგონი
ხომ ხალხის მეხსიერებაში „მებაღედ“ წოდებული დარჩა. ტავ-
რის მთები ამავე დროს წინა აზიას ორ კულტურულ სამყაროდ
(შეამდინარეთი, ხეთების სამეფო) ყოფდა.

ურარტუს სახელმწიფო ორი კულტურული სამყაროს მო-
მიჯნავე რეგიონში შეიქმნა, რომელიც, თავის მხრივ, კულტუ-
რული მევენახეობისა და მეღვინეობის წარმოშობისა და გან-
ვითარების ერთ-ერთ უძველეს და უპირველეს კერად უნდა
მივიწნიოთ. ტავრის მთებიდან მაღალხარისხოვანი ლეღვისა
და ვაზის ჯიშების წაღება ნიშნავს იმას, რომ ამ რეგიონში
მაღალგანვითარებული მეხილეობა და მევენახეობა არსებობ-
და. მწვანე საფრით მოსილ მთებსა და ტყიან მთისპირა მასი-
ვებს ხელი უნდა შეეწყო ამ რეგიონში კულტურულ სახეთა
წარმოქმნისა და განვითარებისთვის. გავიხსენოთ ისიც, რომ
ბიბლიურ პირველ მევენახე-მეღვინეს — ნოეს ურარტუს ტერი-
ტორიასთან, კერძოდ, არარატის მთასთან აკავშირებს მითო-
ლოგია.

ცნობილია, რომ ურარტუში (ურარტული და ასურული
წყაროების მიხედვით) ფართოდ იყო განვითარებული მევენა-
ხეობა. ხშირია ცნობები მეფეების მიერ უზარმაზარი ბეღლე-
ბისა და მარნების მშენებლობის შესახებ, რაზეც არქეოლოგი-
ური გათხრების დროს მოპოვებული მასალები მეტყველებს¹.

ურარტულთა ციხესიმაგრის—თეიშებაინის (დღევანდელი
კარმირ-ბლურის გორაკი, ერევნის მახლობლად) გათხრების
დროს სხვადასხვა საინტერესო მასალასთან ერთად აღმოჩნდა

1 ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1956 წ., გვ. 426-ას. საბ-
2. თ. ღლონტი.



ლვინის დიდი მარანი მიწაში ჩაფლული ქვევრებით გადასცემი.

შორეულ წარსულში სირიაში ვაზი ფართოდ ყოფილა გაურცელებული. თიხის ფილებზე დაწერილი ტექსტები წელი 1975 წელი წერილი სავაჭრო გზებით კვიპროსის, მცირე აზიის, ეგვიპტისა და კრეტის მიმართულებით გაპქონდათ. 500 წლის შემდეგ ფინიკიელები იწყებენ ამ გზებით ლვინის საექსპორტოდ გატანას და დიდ მოგებასაც ნახულობენ. ლვინის ექსპორტით ფართო სავაჭრო ურთიერთობა იქნა დამყარებული საპერძნეთთან და ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ქვეყნებთან².

სირიასა და ფინიკიაში ვაზის კულტის არსებობაზე მიგვანიშნებს მცენარეული სამეფოს ლვთაების — ადონისის ფართო პოპულარობა. ადონისი ხშირად გაიგივებული იყო მოკვდავ და პვლავ გაცოცხლებად ფრიგიულ ლვთაებასთან — ატისთან, რომლის კულტმაც ღრმა კვალი დატოვა დასავლეთ აზიის ხალხთა მითოლოგიურ წარმოდგენებსა და სარიტუალო ყოფაში³.

ადონისისა და ატისის სიკვდილსა და მიწისქვეშეთში წავლას გლოვობდა ხალხი, ხოლო გაზაფხულზე საზეიმო ცერემონიალით აღნიშნავდა მათს მკვდრეთით აღდგომას.

მევენახეობა-მეღვინეობა ასურელთა სათაყვანებელი საქმიანობა იყო. ძვ. წ. VII საუკუნის მამულების სარეგისტრაციით წიგნი გვაუწყებს, რომ დღევანდელი ალეპოს დასავლეთ ნაწილში მდებარე ხარანის რაიონში უდიდეს ფართობებზე ყოფილა გაშენებული ვაზი. აღნიშნულია ორი ათასიდან ოცდაცხრა ათასამდე ვაზის ნარგაობა. ამ პერიოდში ნინევიის დაბლობზე ვაზი ხეებზე პქონიათ გაშვებული. ასურელთა ყოფაში დვინო ფართოდ გამოიყენებოდა. ძვ. წ. IX საუკუნეში ასურნასირფალ II, ასურეთის გულუხვმა მბრძანებელმა, ქალხუში ბაღებით გარშემორტყმული სასახლის საზეიმო გახსნა ათი ათასი რუმბი ლვინით აღნიშნა. ნიმრუდის ბორცვის ქვეშ მოქცეული ბრწყინვალე ციხესიმაგრის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ლვინის შესანახი

¹ გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951.

² R. Weinholt, Vivat Bacchus, Leipzig, 1975.

³ И. Г. Фрэзер, Атлас, «Нов. Москва», 1924, გვ. 19.

ჭურჭელი, რაც მიგვანიშნებს ახლო აღმოსავლეთის წმ.
ორში მევენახეობა-მეღვინეობის ფართო მასშტაბით განვითავალი
რებაზე¹.

საქვეყნოდაა ცნობილი, თუ რა როლს ასრულებდა ვაზი
ბერძენი ხალხის ყოფასა და მითოლოგიაში. არა მარტო სა-
ბერძნეთში, არამედ იტალიასა და ეგვიპტეში სახელმოსვეჭი-
ლი იყო კეიპროსის, კრეტის, ქიოსის, ლესბოსისა და სამოსის
მაღალხარისხოვანი ღვინოები. ეს ფაქტორი თავისთავად მე-
ტყველებს ბერძენი მევენახისა და მეღვინის მაღალ ოსტატო-
ბაზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე, რასაც პლინიუსის, პესიო-
დეს, ქსენოფონტესა და სხვა ავტორთა წერილობითი წყარო-
ებიც ადასტურებს².

ვაზისა და ღვინისადმი პომეროსის კალამიც არ დარჩენი-
ლა გულგრილი; ღვინის როლია და საყოფაცხოვრებო დანიშ-
ნულებაზე საკმაო წარმოდგენა გვექმნება „იღიადასა“ და
„ოდისეას“ მიხედვითაც. თეტისის თხოვნით ჰეფესტო აქილევ-
სისთვის საგანგებოდ გამოჭედავს ფარს, რომელსაც სხვა სიუ-
შეტებთან ერთად ამშვენებს ყურძნის კრეფისა და სართვლო
ზეიმის ამსახველი მეტყველი სცენა:

ზემოთ მოხატა დატუნდლული ოქროს ვენახი,
მხოლოდ მტევნები კიაფობენ სურათზე შავად,
ვაზი უჭირავს ვერცხლის ჭიგოს.

ვენახთან ახლოს

მუქლურჯი თხრილი და ბრძენისაგან თეთრი კიდელი
გამოსახულა. ვაზებს შუა ვიწრო ბილიკზე
ჩანან მზიდავინ.

რთველი არის ბარაქიანი.

ქალწულთ და ყმაწერილ გული უცემთ ლენით და შვებით,
საფსე გაიდელით როცა მიაქვთ ტკბილი ნაყოფი.
იმათ შორის დგას მშევნიერი ერთი ჭაბუკი,
წკრიალა ფორმინგს რომ აედერებს და ტკბილად მღერის,
ჭაბუკის გვერდით მოხდენილად როკავენ ყრმანი.
დგას ურამული, უღერს სიმღერა, ქუხს საფერხისო.

საბერძნეთში ვაზისა და ღვინის კულტის უდიდესი პოპუ-
ლარობის აღსანიშავად მარტოოდენ დიონისეს — ვაზისა და
ღვინის ამ კოლორიტული ღვთაების ხსენებაც იქმარებდა
(იხ. გვ. 37).

¹ R. Weinhold, Vivat Bacchus, Leipzig, 1975.

² ქ. მთდებარე, მეღვინეობა, თბ., 1931, გვ. 5.

ძველ ეგვიპტეში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაშე ანტიკური ავტორები მიუთითებენ. მევენახეობა ჩილოსის ნაპირებზე ძვ. წ. 6 000 წლით ადრე ჩაისახანის ეგვიპტურ ტექსტებში ხშირად იხსენიება ყურძნის ღვინო. ცენა სწვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა: როგორც ღმერთებისადმი მსხვერპლად შესაწირი პროდუქტი, სადღესასწაულო, საღამო ზანისა თუ დაკრძალვის ცერემონიების აუცილებელი კომპონენტი, როგორც ძღვნად მისართმევი პატივსაცემი რამ.

ჰეროდოტე, დიონისი, სტრაბონი, პლინიუსი, აფინეუსი აღნიშნავენ, რომ ძველ ეგვიპტელებს უყვარდათ ღვინო და მას იყენებდნენ როგორც სატაძრო მსხვერპლშეწირვის დროს, ისე დღესასწაულებსა და წვეულებრივ ყოფითს სიტუაციებში.

როგორის, ყურძნის ფეხით დაშეულეტისა და გამოწურვის სცენებს ძველი ეგვიპტელები საფლავის კედლებზე გამოხატავდნენ. ამგვარი სიუჟეტები აღმოჩენილია V და VI დინასტიებისა (საკარა) და XII დინასტიის სამარხებში (ელ-ბერშში), ამავე პერიოდის ბენი-პასანის სამარხებში.

ტუტ-ანპ-ამონის სამარხსა და ასუანის მახლობლად მდებარე წმ. სიმეონის ტაძრიდან მოპოვებული ქვევრების ფსკერზე არსებული ნალექის ქიმიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ქვევრებში ღვინო ინახებოდა, მათში აღმოჩნდა ღვინის ქვის ნაშთი².

როგორც ვხედავთ, ძველ ეგვიპტეში ვაზაა და ღვინოს უაღრესად საპატიო ადგილი ეკავა და მრავალმხრივი დანიშნულება პქონდა. საფლავის კედლებზე ვაზისა და ღვინის გამოსახვას და ღვინით სავსე ქვევრების ქურუმთა სამარხებში ჩატანებას კი გარკვეული სიმბოლური დანიშნულება პქონდა.

ძველი ეგვიპტელები ვაზს შპალერსა და რკალზე უშვებდნენ. იშკამის სახელწოდებით ცნობილი, რკალზე ვაზის გაშების უზბეკური მეთოდი ეგვიპტელებისაგან არის ნასესხები³.

ძველ ეგვიპტელებს ღვინის დალევისადმი წამახალისებე-

¹ П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Л., 1964, гл. 570.

² А. Лукас, Материалы и ремесленные производства древнего Египта, гл. 56.

³ П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Л., 1964, гл. 570.

ლი ასეთი ჩვეულება პქონდათ: სტუმრების წინ გამოიტანდნენ მიცვალებულის ხის გამოსახულებას, რომელზეც წარწერილი იყო: „შეხედე, დალიე და ჯანმრთელი იყავი, თორემ როცა მოკვდები, შენც ასეთი იქნები“.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, აღსანიშნავია ის, რომ ეგვიპტეში ველური ვაზი არ არის და ამის გამო მევენახეობა უცნოთიდან გადმონერგილ სასოფლო-სამეურნეო დარგად უნდა იქნას მიზნეული¹.

ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მიწურულს ახალწარმოქმნილ ისრაელის სახელმწიფოში ფართოდ ვითარდება სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედება. ფართოდ გავრცელდა ისრაელსა და იუდეაში მებაღეობა-მევენახეობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედება, კერძოდ, მებაღეობა-მევენახეობა, ჯერ კიდევ ძველი პალესტინელების, ანუ ქანაანელთა მეურნეობის ძირითად დარგს შეადგენდა, მიწათმოქმედებას ებრაელები ხომ ქანაანელებისაგან დაუყოფლნენ. მათგანვე ისწავლეს ღვინის დაუყნებაც.

ღვინოს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ძველ ისრაელელთა სამეურნეო საქმიანობაში. იგი ხშირად იხსენიება ხორბალთან და ზეთან ერთად, როგორც პალესტინის პროდუქტები.

ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული ისრაელის მთელ ტერიტორიაზე. ვაზს უპირატესად აშენებდნენ ბორცვებსა და მთათა ფერდობებზე, აგრეთვე ისრაელის დაბლობზე. ამასთანავე, აგებდნენ ხელოვნურ ტერასებს ვაზის გასაშენებლად.

ძველ ისრაელში ყველაზე მეტად განთქმული იყო ქებრინის ვენახების ღვინო. თითოეულ მევენახეს თავისი ყურძნის საჰყლეტი პქონდა.

რთველი მხიარულ დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე ისრაელში. ყურძნის კრეფისას მთელს ქვეყანაში გაისმოდა საყვირების ხმა, მხიარული სიმღერები და ცეკვები. მას მხიარული შეძახილებისა და სიმღერების თანხლებით ჰყლეტდნენ. ღვინოს სარდაფებში ინახავდნენ ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში.

ისრაელელები ღვინოს წყლით არ აზავებდნენ, მაგრამ ჩვე-

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. II, 1935, გვ. 370.

ულებად პქონდათ ღვინოში სხვადასხვა მცენარის სურნელთ
ვან ფესვთა ნაყენების გარევა.

ღვინის ხარისხი განისაზღვრებოდა ფერისა და ადგილის მიხედვით. წითელ ღვინოს, თეთრთან შედარებით,
უფრო პატივს სცემდნენ. საუკეთესო ღვინო („ქერულიმი“) პა-
ლესტინაში მზადდებოდა, მას მოსდევდა ფრიგიული, სარონუ-
ლი, კარმელიტური და ეთიოპური ღვინოები.

ძველ არაბეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში ფინიკის პალ-
მასთან ერთად გავრცელებული იყო ვაზის კულტურაც. ვაზსა
და ღვინოს არაბები დიდ პატივს სცემდნენ, მათგან საუკეთე-
სოს კი არაბი პოეტები ქებით იხსენიებდნენ. „ყურძნით დი-
დად გაითქვა სახელი ხაზრამაუთის მთავარმა ქალაქმა —
შიბამშა, არაბი პოეტები განსაკუთრებულად აქებდნენ მისი
ყურძნის ღვინოს. ცნობილი იყო, აგრეთვე, მექასთან ახლოს
მდებარე ქალაქის — ტაიფის ყურძნი, ქალაქისა, რომლის
ვენახები გაანადგურა მამადმა“¹.

ძველ არაბულ პოეზიაში, კერძოდ, ალ-ახტალის, აბუ ნუვა-
სის, იბნ ალ-მუთაზის, ალ-კუტამისა და სხვათა პოეტურ შე-
მოქმედებაში ვაზისა და ღვინის სიმბოლიკას განსაკუთრებუ-
ლი ადგილი უკავია.

კერ კიდევ ისლამამდელ ეპოქაში წარმოიქმნა საგნის
მხატვრული აღწერის თავისებური მეთოდი, რომელიც საგანზე
მსჯელობისას გულისხმობდა არა თვით საგნის სახელწოდების
აღნიშვნას, არამედ მისი თვისებების გადმოცემას მეტად მრა-
ვალფეროვანი ტერმინოლოგიის გამოყენების საშუალებით².

სწორედ ეს მეთოდი დაედო საფუძვლად არაბულ პოეზიაში
ვაზისა და ღვინის სიმბოლურ-მხატვრულ გააზრებას, რამაც
ახალ თვისებრივ სიმაღლემდე აიყვანა ზემოხსენებულ არაბ
პოეტთა მთელი მხატვრული შემოქმედება და დაუპირისპირა
არაბული პოეზიის მოძველებულ პოეტურ ტრადიციებს.

მეორე მხრივ, ძველი არაბული პოეზია მდიდარ მასალას
იძლევა არაბულ ყოფით სამყაროში ვაზისა და ღვინის დანიშ-
ნულების შესწავლისთვის, კერძოდ, საშუალება გვეძლევა გა-

¹ М. Машанов, Очерк быта арабов в эпоху Мухаммеда, ч. I, 1885, გვ. 51.

² Н. Н. Пурцеладзе, К пониманию поэтического символа у Абу Нуваса, Семитские языки, Сб., М., 1965, გვ. 645.

ვეცნოთ დვინის მოხმარების სარიტუალო წეს-ჩვეულებებზე, გავიგოთ, თუ რაოდენ მრავალფეროვანი იყო არა მარტო დავის ნისა და საღვინე ჰურჭლის გასიმბოლობული ტერმინებისა გია, არამედ თვით საღვინე ჰურჭლისა და კასმისების ნუსხა¹.

ახ. წ. VII საუკუნიდან მოყოლებული, როცა ასპარეზშე ახალი რელიგიური მოძღვრების შემოქმედი მაპმადი გამოჩნდა, ისლამმა თავისი თავი რადიკალურად დაუპირისპირა ქრისტიანიზმს, იუდეიზმსა და ძველ არაბულ, კერპთაყვანის-მცემლურ იდეოლოგიას (რომელთაგანაც თავად წარმოიშვა), როცა „ვაზის ასულთან“ სიახლოვის აკრძალვით მკვეთრად გაემიჯნა თავისივე ხალხის პრეისლამურ მითოლოგიურ ყოფას.

როგორც ვხედავთ, ახლო აღმოსავლეთის უძველეს ქვეშებში ისლამის გავრცელებამდე ვაზი და ღვინო განმსაზღვრელ როლს თამაშობდა ხალხთა მატერიალურსა და სულიერ ცხოვრებაში. ღვინის სავაჭრო, საექსპორტო ობიექტად ქცევამ კი განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ ხალხთა თეოლოგიურ და მითოლოგიურ სამყაროთა ურთიერთდააზღვების საქმეში. ღვინის, როგორც პროდუქტის, გატანასა და გავრცელებას თან სდევდა ვაზისა და ღვინოსთან დაკავშირებულ მითოლოგიურ წარმოდგენათა ერთგვარი ექსპორტიც ამა თუ იმ ხალხის სულიერ ყოფაში.

საყოველთაოდაა ცნობილი ბიბლიური წარმოდგენები ვაზისა და ღვინოზე. ქანანელებმა პალესტინის ახალ მკვიდრთ წარმატებით უანდერძეს მიწათმოქმედის, კერძოდ, მევენახისა და მეღვინის ხელოვნება, შემდგომში ვაზისა და ღვინას კულტმა ხომ უმაღლეს გამოხატულებას მიაღწია ისრაელელთა ყოფასა და თეოლოგიაში.

ფრიად საინტერესოა, უძველეს ხალხებში რაოდენი ზრუნვით იყო გარემოცული ბუნების, კერძოდ, მეფუტკრეობის, მევენანეობის, ბაღ-ბოსტნების, საერთოდ, ნარგაობის დაცვის საკითხი. ბაბილონეთის მეფის — პამურაბის კანონთა კრებულისა და ხეთური კანონების (II ათასწლეული წევნს წელთაღრიცხვამდე) თანახმად, მკაცრად ისჯებოდა ხეხილისა და

¹ И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. II, М.—Л., 1956, гл. 424; т. VI, М.—Л., 1960, гл. 89.

ვაზის ქურდობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა წერვების მოპარვა და მსხმოიარე ხეხილის მოქრა.

ბასკურ სამყაროში ვხვდებით მიცვალებულთან დაკავშირებული სუფრის გამართვის უძველეს ტრადიციულ წესს — ქელებსა და ე. წ. ორმოცს, რომელსაც ჟერის გახსნა ემთხვევა. სუფრას გვარის უხუცესი ლოცავს და უძლვება. მესუფრენი შინ სხდებიან. სუფრაზე შემოაქვთ წვნიანი ხორცი, კომბოსტო, მუხუდო, ყველი (ზოგიერთი ცნობით, შაშხი და ტკბილეული) და, რასაკირველია, სუფრის უმთავრესი კომპონენტი — ყურძნის ღვინო (და არა სწვა სასმელი). მეტად საყურადღებოა ის, რომ სუფრის გასრულების წინ ქიშმიშს ჩამოარიგებენ ისე, რომ თითოეულს 14—20 მარცვალი შეხვდეს. ჩვეულების თანახმად, ქიშმიშს იქვე შეექციან, ნაწილი კი შინ მიაქვთ. გარეთ მყოფნი არ სხდებიან; მათ მარტოოდენ პურსა და ღვინოს მიართმევენ¹. ამ ჩვეულებაშიც გარკვეული სიმბოლიკა შეანიშნება: მითოლოგიურად და თეთლოგიურად პური და ღვინო ხომ უმთავრეს საკვებ პროდუქტებად მიიჩნევა.

ღვინისადმი მიმართების საინტერესო ფორმაა შემონახული ბასკურ ცეკვაში. მოცეკვავემ ისე უნდა იცეკვოს ღვინით სავსე ჭიქის გარშემო, რომ არ შეეხოს და ღვინო არ დაღვაროს². ამ ჩვეულებაში იგრძნობა არა მარტო მოცეკვავის მოხერხებულობა და ოსტატობა, არამედ გამჟღავნებულია ღვინისადმი, ამ ღვინიური სასმელისადმი, ბასკის განსაკუთრებულად თავდაჭერილი მიმართება.

ვაზი და ღვინო, ადამიანის მატერიალური ცხოვრების განმსაზღვრელი ეს ორი დიდი ფაქტორი, კაცობრითობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მისი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ძნელია მოიძებნოს ბუნებაში სხვა მცენარე, რომელსაც ისეთი განმსაზღვრელი როლი ეთამაშოს მიწათმოქმედი ადამიანის მატერიალურსა და სულიერ ცხოვრებაში, როგორსაც ასრულებდა და ასრულებს ვაზი, უძველესი მითოლოგიური გაებით „ხე სიცოცხლისა“.

1 ს. გაბუნია, ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა მიხედვით). 1981 წლას თემატიკური გეგმით გათვალისწინებული ნაშრომი. სელნაწერი ინახება ი. ჯვარიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ტავახანის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

2 Philippe Veyrin, Les Basques, 1955, გვ. 272, ილუსტრ. 51.



წვენს მიზანს არ შეადგენს მკითხველისთვის მევენახეობა—
მეღვინეობის განვითარების ისტორიის მეტ-ნაკლებადი სულუფლეა
სურათის მიწოდება.

ზემოთ წარმოდგენილი მცირე ისტორიული ექსკურსი გარ-
კვეულ წარმოდგენას იძლევა მევენახეობის უძველეს კერებზე,
მიახლოებით მაინც მიგვანიშნებს ვაზის სახეთა გავრცელების
ცენტრებს. მოწოდებული მასალების ფონზე, ვფიქრობთ, უფ-
რო მეტად საინტერესო იქნება ვაზისა და ღვინის სიმბოლიკის
საკითხებზე საუბარი.

მას შემდეგ, რაც ადამიანი ვაზს დაუკავშირდა, მისი ამ
კულტურისადმი მიმართება მრავალასპექტიანი თეოლოგიური
და მითოლოგიური სიმბოლიკის შინაარსით გამდიდრდა. გაი-
დეალებულმა და უწმინდესი, უმაღლესი კატეგორიის ცნებე-
ბად გასიმბოლოებულმა ვაზმა და ღვინომ ღრმა კვალი დატო-
ვა ცივილიზებული სამყაროს მატერიალურსა და სულიერ
ცხოვრებაში.

მევენახის მიმართებას ვაზისადმი დღესაც უძველესი მი-
თოლოგიური შსოფლმხედველობის ნელსურნელება დაპკრავს. მეურნე კაცი ვაზს, სხვა ხეხილთან შედარებით, დღესაც
განსაკუთრებული მზრუნველობით მოსავს, ელოლიავება, თავს
დაპკანკალებს. მასში ქვემეცნეულად, სიმბოლოებით მოაზ-
როვნე მევენახე-წინაპრის სული ტრიალებს და მის მიმართე-
ბას ვაზისადმი ამაღლებული, პოეტური ელფერი დაპკრავს.

ამდენად, ვფიქრობთ, წვენს მკითხველს აღეძვრება სურვი-
ლი და ინტერესი, გაეცნოს უძველესი ცივილიზებული ქვეყ-
ნების ხალხთა ვაზის კულტურასთან დაკავშირებული თეოლო-
გიური. და მითოლოგიური წარმოსახვის მრავალსახეობას.
წვენი კრებულის შინაარსი და მიზანდასახულობა ნაწილობ-
რივ ხომ ამასაც ითვალისწინებს.

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუვავებული,
 მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,
 აღვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
 ღმერთმან შეგამჟო, ვერავინ გჯობს ქებული,
 და თავით თვისით მშე ხარ გაძრწყინვებული.

„და იწყო ნოე კაცმან საქმედ ქუცყანისა, და დაასხა ვენაქი
 და ღვნო მისგან და დაითრო...“ მოგვითხრობს ბიბლია და
 ამით გვამცნობს, რომ სიცოცხლის კვლავ აღორძინება დედა-
 მიწაზე ვაზით დაიწყო.

და ეს მოხდა ღვთის ნებით...

უზენაესის მიერ ნოესადმი ნაპოძები ვაზი სიცოცხლის
 აღორძინებისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ იქცა.

აგრე სწამდათ უძველეს ხალხებს და ეს რწმენა გენისეული
 ინერციის მსგავსად გადაეცემოდა მოდგმიდან მოდგმას, თაო-
 ბიდან თაობას...

უძველეს ხალხთა თეოლოგიურმა და მითოლოგიურმა
 აზროვნებამ შემოგვინახა ვაზისადმი, როგორც უზენაესი კატე-
 გორიისადმი, ადამის ძეთა სულიერი მიმართების მთელი სამ-
 ყარო...

მიაბიჯებდა ადამიანი საუკუნეებში და ვაზის ძალითა და
 სახელით (ანუ უზენაესის ძალითა და სახელით) ეპრძოდა ბო-
 როტებასა და შუღლს, სძლევდა უამიანობასა და ძალმორე-
 ობას...

მიწათმთქმედ ხალხებში ვაზი თანდათან ჩამოყალიბდა
 მათი წილგვედრი მიწის, მშობელი მიწის (როგორც უზენაესი
 და უწმინდესი კატეგორიის) სიმბოლოდ, ვაზის მოვლა-პატ-
 რონობისთვის ზრუნვა და ბრძოლა სამშობლო მიწისთვის
 ბრძოლის ტოლფას კატეგორიად იქცა.

ვაზი იქცა ადამიანისთვის ოჯახისა და მამულის სიმბო-
 ლოდ, არსებობისა და რწმენის ქვაეუთხედად, ზნეობრივი სა-
 ხისა და სულიერი მიმართების განმსაზღვრელად, მშობელი
 მიწისა და ცის ქავშირად, ხვალინდელი იმედიანი დღის სტი-
 მულად, ჭირის გამქარვებლად და ლხინის მეგობრად, სათნო-
 ებისა და კაცომოყვარეობის წყაროსთვალად, აღფრთვანებისა

და შთაგონების მესტვირედ, ლექსისა და სიმღერის მეუფედ...
აცხოვრებდა და ამღერებდა ვაზი ადამიანს და შთაგონების მარადიულ ლამპრად ენთო მისთვის დღენიადაგ... გმილიონია
და იყო ასე მარადის: კაცი ვაზითა და ვაზი კაცითა...

ვაზი, ვაზი, ღმერთის სულო, ღმერთის სისხლო, სხეულო...
შოთა წიგნიანიძე

ვაზის დაკავშირება ღმერთთან უძველეს მითოლოგიურ სიმბოლიკად უნდა მივიჩნიოთ. ძველ ხალხებს ვაზი ღვთიური ძალის მცენარედ მიაჩნდათ და მისდამი ზრუნვასა და მოვლა-პატრონობას უზენაესისადმი სულიერი მიმართების მაგიურა ელფერი დაპკრავდა.

შუამდინარულმა სამყარომ, კერძოდ, ბაბილონეთმა მდიდარი მითოლოგიური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ბაბილონურმა თეოლოგიურმა და მითოლოგიურმა აზროვნებამ, რომელსაც ბევრი რამ უნდა შეეთვისებინა წინარე შუმერული ცივილიზაციისაგან, ღრმა კვალი გაავლო აქლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ხალხთა სულიერ ცხოვრებაში, სადაც წვენ ეპოქათა და საუკუნეთა კვალდაგვალ განუწყვეტლივ ვწვდებით ბაბილონურ მითოლოგიურ სახეთა პარალელებს. ერთიანი, წინარე საწყისიდან მომდინარე მითოლოგიური სახის მოარულობა ნიშანდობლივ მომენტად არის ქცეული. ვაზისა და ღვინის სიმბოლიკაც, შესაძლოა, შუამდინარული მითოლოგიური მსოფლმხედველობის პირმშო იყოს. ეს სიმბოლიკა უშუალოდ უკავშირდება ბაბილონური ღვთაების — თამუზის, როგორც მოკვდავი და კვლავ აღდგომადი ღვთაების ცნებას. უძველეს ხალხებში ვაზი სიკეთისა და ბარაქიანთბის სიმბოლოდ, „სიცოცხლის ხედ“ იყო მინეული.

საინტერესოა პიპოთეზა იმის შესახებ, რომ ბაბილონური ეპოსის ბრწყინვალე ძეგლში — „გილგამეშიანში“ აღწერილი „სიცოცხლის ხე“, რომელიც სირიის დასავლეთ ნაწილში ხარობს — ვაზია!

„სიცოცხლის ხის“ გამოსახულებას ვხედავთ ასურულ სიუშიტში, კერძოდ, ასურნასირფალ II-ის ქალური სასახლის

¹ R. Weinholt, Vivat Bacchus, Leipzig, 1975.



რელიეფზე (IX საუკუნე ძვ. წ.): არწივისთავიანი და ფრთხები/ანი ღვთაება ყურძნის მტევანს ან გირჩს წყვეტს „სიცოცხლის ხიდან“¹ (ილ. XI).

ვაჟი და ღვინო იყო არა მარტო უზენაესთან მიმართების სიმბოლური ნიშანი, არამედ მატერიალური სიძლიერის წყართ, ღვთის მიერ „სიცოცხლის სასმელად“ ბოძებული პროდუქტი.

მითოლოგიურად, პური და ღვინო სასიცოცხლო, ღვთიურა საკვებია; ღმერთმა შექმნა სამყარო, ღმერთმა შექმნა ადამიანი და ღმერთივე აძლევს მას ამ საარსებო საკვებს: „და მიუგო უფალმან და პრქშეა ერსა თვესსა: აპა, მე გამოვავლენ თქუცნდა იფქლსა და ღვნოსა და ზეთსა, და განსძლეთ მათგან, და არა მიგცნე თქუცნ არღარა მერმე საყუცდრელად წარმართთა შორის“ (იოველ, 2, 19).

აქადური მითოსის თანახმად, პური და ღვინო აღიქმებოდა როგორც „ჭამადი სიცოცხლისა“ და „სასმელი სიცოცხლისა“:

ენქიდუ, ოგემე ჭამადი,
საშრდო სიცოცხლისა,
და შესვი სასმელი,
ვით ქვეყნის წესია.

გ ი ლ გ ა შ ე შ ი ა ნ ი

(თარგმანი ზ. კიკნაძისა)

ადაპას, აქადური პოეზიის გმირს, როცა იგი წარსდგა უმაღლესი ღმერთის წინაშე:

სიცოცხლის საჭმელი მიუტანეს, არ შეჭამა.
სიცოცხლის სასმელი* მიუტანეს, არ შესვა.

ა ფ ა პ ა
(თარგმანი ზ. კიკნაძისა)

უზენაესი — ღმერთი ზრუნავს კაცთა მოდგმისთვის, უგზავნის მას „წმიდახელიან“ მოძღვარს, რათა მრევლს არ მოაკლდეს მაცოცხლებელი, ღვთიური საკვები. ღმერთი — ეს ერიდუელ მოძღვარ კაცს ადამის მოდგმის ბელადად აქცივს:

უბიწო, წმინდახელიანი, მცხებელი ქურუში,
ღვთაებრივ წესებშე მშრუნველი არს.

¹ История искусства зарубежных стран, М., 1979, гл. 82.

* მართალია, აქ ლაპარაკია ღუდშე, მაგრამ ღუდიც და ღვინოც ერთი დანიშნულებით მოიხმარებოდა და სიმბოლურობის თვალსაზრისით ერთი კატეგორიის ცნებად იგულისხმებოდა.



მცხობლებთან ერთად პურს აცხობს იგი,
ერიდუს მცხობლებთან პურს აცხობს იგი,
საზრდელს და სასმელს ერიდუსთვის მარადდე ამზადებს კრისტენი
და ტაბლას აწყობს წმინდა ხელებით.

ა დ ა პ ა

(თარგმანი შ. კიკნაძისა)

როგორც ვხედავთ, „ღვთიური წესია“ პურისა და ღვინის მომზადება კაცთათვის, აკი აგრე ბეჯითად ასრულებს „ღვთის ნებას“ „წმიდახელიანი“ ერიდუელი მოძღვარი.

სასოწარკვეთილებამდე მისული გილგამეში რჩევისთვის მიმართავს „ღვთაებრივ მეღვინე-ქალს“, რომელიც

ზის ზღვის საჯდომზედ,

ზის და შორს აქვს თვალი მიპყრობილი,

დოქი უდგა მას, სას მისი უდგა მას,

საბურავი პბურავეს...

გილგამეშიანი

(თარგმანი მ. წერეთელმა)

სიმბოლურია მეღვინე ქალის ზღვის საჯდომზედ ჯდომა, წყალი ხომ ბარაქიანობისა და ნაყოფიერების სახეა მითოლოგიურად. გავიხსენოთ სიყვარულის ბაბილონური ქალღმერთი იშთარი, ანუ შუმერული ინინა, „вышедшая из неба-воды“¹.

ბაბილონური მითოლოგიის თანახმად, ადამიანებს წერა-კითხვა ასწავლა, მეცნიერებასა და ხელოვნებას აზიარა თევზის მსგავსმა არსებამ ოანნმა, რომელიც ზღვიდან ამოვიდა², ხოლო იგივე ბაბილონური ღმერთი ეა (რომლის მიერ ბელა-დად მოვლენილი ერიდუელი მოძღვარი „საზრდელსა და სას-მელს ერიდუსთვის მარადდე ამზადებს“) ერთდროულად იყო მიწისქვეშა წყლებისა და სიპრძის უფალი. მითოლოგიის თანახმად, „ადამიანს ყოველი სულიერის ენა წყლის კაცმა ასწავლა“³.

მეტად საინტერესოა შუმერისა და აქადის ერთიანი სახელმწიფოს მეფის—სარგონის ცხოვრების ამბავი. ასურბანიფალის ბიბლიოთეკის თიხის ფირფიტაზე ვკითხულობთ: დედამ საი-

¹ Н. Марр, Яфетический сборник, т. V, гл. 178.

² Б. А. Тураев, Классический восток, т. I, 1924, гл. 218—219.

³ ა. გ. ბაქრაძე, ფიქრი და განსჯა, ვაჟა-ფშაველა და მითოსი, 1972, გვ. 91.

დუმლოდ შობილი ბავშვი ლერწმის კიდობანში ჩასვა და მდინარე ევფრატში გადააგდო:



წამილო მდინარემ, აქისთან, მერწყულთან მიმიტანა,
აქიზ, მერწყულმა, წყლიდან სარწყულით ამომიტანა,
აქიმ, მერწყულმა თავის მებაღედ დამადგინა.
თავეს მებაღე ვიყავ, იშთარმა შემიყვარა..

თ ა მ უ შ ი ს ს ი ზ მ ა რ ი
(თარგმნა შ. კიქნაძემ)

სარგონის დაკავშირება მდინარე ევფრატთან სიმბოლურია. ეს მდინარე სათავეს იღებს ტავრის მთებიდან, საიდანაც მთელი შუამდინარეთის მპყრობელ მეფეს აქადში ჩამოაქვს ტკბილი „სალვინე ნაყოფების“ მომცემი ვაზი და ლელვი, აგრეთვე სხვადასხვა მცენარის ნერგი, რომლებსაც აქადში მანამდე არ იცნობდნენ. ხალხი მეფე სარგონს „მებაღეს“ შეარქმევს!

წყალს — მდინარე ევფრატს — განახლებისა და ნაყოფიერების სიმბოლოს, შუამდინარეთში მოჰყავს ახალშობილი, რომელიც შემდგომში შექმნის არა მარტო შუმერისა და აქადის გაერთიანებულ სახელმწიფოს, არამედ ვაზის რქით ხელში „მებაღედ“, ანუ სიუხვისა და ნაყოფიერების მეუფედ მთევლინება ქვეყანას. სარგონს შეიყვარებს ღმერთქალი იშთარი, რომელიც წარმოშობილია „«из неба — воды»“ (იხ. ზემოთ).

როგორც ვხედავთ, ვაზის დაკავშირება აღთრმინებისა და ნაყოფიერების ცნებასთან და ამ გზით წყლის, როგორც სიცოცხლის საწყისის გულტან, უძველესი მითოლოგიური მოტივთაგანია. ამას ნათლად ადასტურებს ძველეგვიპტური პთეზიაც:

მდინარე — ღვინოა!
ღმერთი პტა კი — ლერწმი მისი,
ღმერთქალი სოხმეთ — ფოთლებია წყალმცენარეთა,
კოკრები მათი — ღმერთქალია ტურფა იარიტ,
ხოლო ყვავილი — ღმერთი ნეფერტუმ.

თ ა ლ ა ს ი ფ ვ ა რ უ ლ ი ს ა
(თარგმნა მ. ლებანაძემ)

¹ Н. Д. Флітнер, Культура и искусство Двуречья и соседних стран, «Искусство», Л.—М., 1958, გვ. 135.

წყალი — ნაყოფიერება — ვაზი — სიბრძნე ერთი მითოლოგური ქსოვილის ურთიერთგანმაპირობებელი მოტიფების ძველებრაულ თეოლოგიაში აშკარად გამოკრთის მთელი შეცვალება მდინარული მითოლოგიისთვის დამახასიათებელ ამ მოტივთა პარალელები: „მე, ვითარცა ვენაპმან, აღმოვა-ცენე მადლი, და ყვავილი ჩემი არს ნაყოფი დი-დებისა და სიმდიდრისა. მოვედით ჩემდა, რომელთა გსურისთ, და ნაყოფთაგან ჩემთა განძლეთ. რამეთუ ქსენება ჩემი არს უტებილეს თაფლისა, და სამკვდრე-ბელი* ჩემი უფროს გოლეულისა თაფლისა. მჭამელსა ჩემსა მერმეცა შიოდენ, და მსმელსა ჩემსა კვალადცა სწყუ-როდენ. მსმენელსა ჩემსა არა პრცხვენეს, და რომელი მუ-შაკოდეს ჩემთანა, არა სცოდოს. ესე ყოველი არს წიგნი აღთქმისა ღურთისა მაღლისა, სჯული, რომელიცა ამცნო მოსემ სამკვდრებლად კრებულსა იაკობისა. იგი განაძლებს სიბრძნითა, ვითარცა ბისონი და ვითარცა ტიგროსი მას დღესა შინა ახალთა (ნაყოფთა), აღავსებს მეცნიე-რებითა, ვითარცა ევფრატი და ვითარცა იორდანე მას დღესა შინა მკისასა. იგი განავრცობს სწავლას, ვითარცა ნათელი და ვითარცა გეონი მას დღესა შინა სთვლისასა“** (ისთ ზირაქი, 24, 20).

ალბათ, ძნელია მთიძებნოს ძველი აღმოსავლეთის მითოლოგიაში უფრო სრულყოფილად და ამაღლებულად ამ ურთიერთგანმაპირობებელ მოტივთა ამგვარი შერწყმა და ერთიან მითოლოგიურ ქსოვილად წარმოსახვა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს „გილგამეშიანში“ „ღვთაებრი-ვი მელვინე-ქალის“ სიმბოლური სახის წარმოჩენა. უძველესი მითოლოგიური გაგებით, ვაზი ხომ „სიცოცხლის ხეა“, ქალი, მდედრი კი — სიცოცხლის საწყისი. ამდენად, ქალის დაკავშირება ვაზთან ერთიანი, ნაყოფიერების არსის შემცველი სიმბოლიკის არსებობაზე მიგვანიშნებს.

* მეტკვიდრეობა.

** „დაბადების“ ზოგიერთი, დროთა განმავლობაში დამახინჯებული და გაუგებარი აღილი 1976 წლის „ბიბლიის“ რუსულ გამოცემასთან შეკვერების შედეგად გასწორებულია აზრობრივად და სტილისტურად ჩენენ მიერ (თ. ღ.).

ტანი შენი — ხე ფინიკისა, ძუძუნი შენი —

ვაზის მტევნები.

ვთქვი: ავალ ფინიკშე, მოვეჭიდები მის რტოებს, ირმინები
ძუძუნი შენი იქნებოდნენ ვით ვაზის მტევნები. პისლიმისია

ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა

(თარგმნა ჭ. გიგნაძე)

ბიბლიურად ღვინო მიჩნეულია აღორმინებული ცხოვრები-
სა და ქვეყნის ნაყოფიერების სიმბოლოდ. წინასწარმეტყველნი
ღვინოსთან სიმბოლურად აკავშირებდნენ ბედნიერ მომავალს,
მესიანურ დროს¹. ვენახი, ვაზი ებრაულ ლიტერატურულ ძეგ-
ლებში მრავალგვარ კონტექსტშია მოხსენიებული. უმეტესწილად,
იგი ებრაული ხალხის სიმბოლური გამოხატულებაა:
„რამეთუ ვენახი უფლისა საბაოთისი სახლი ისრაელისა არს...“
(ესაია, — 5,7)².

ვენახი უზენაესის — ღმერთის რჩეულია: „უგალობდით
მას — ტრუიალ ებულ სა ვენაქსა: მე, ღმერთი, მფარ-
ველი მისი, დღითი-დღედ ვასვამ მას; დღე და ღამი ვპსცავ
მას, რამთა ვინმე არა შეეპარებოდის“ (ესაია, 27,2).


ღმერთი, რომელმაც თავის გულისსწორად ისრაელი აირ-
ნია, ვაზს თავისივე რჩეულის სიმბოლოდ მიიჩნევს და ორივეს
თანაბარი მზრუნველობით მოსავს: „ხოლო აწ ისმინე იაკობ,
ყმაო ჩემო, და ისრაილ, რომელი გამოგირჩიე.
ესრეთ იტყვს უფალი ღმერთი, რომელმან შეგემნა შენ, და
გამოგზილა შენ მუცლითგან, მერმე შეგეწიო შენ, ნუ გეშინის,
ყმაო ჩემო იაკობ, და შეყუარ ებულ თ ისრაილ, რო-
მელი გამოგირჩიე. რამეთუ მე მივსცე წყალი წყურვილისა ში-
ნა, მავალთა შორის ურწყულსა დავდვა სული ჩემი თესლსა
ზედა შენსა, და კურთხევანი ჩემნი შედა შენსა“ (ესაია,
44, 1).

მართალია, სიმბოლურად ეს მესიანური მომავლის მი-
ნიშნებებია, მაგრამ ვაზსა და მის ნაყოფში ზებუნებრივი
ღვთიური მნიშვნელობის არსის ჩადება უპირველეს და უწი-
ნარეს სიმბოლიკად უნდა მივიჩნიოთ. „ესრეთ იტყვს უფალი,
ვითარ სახედ იპოების კუფხალი ტევანსა შინა, და იტყვან ნუ
განპრყუნი მას, რამეთუ კურთხევა უფლისა არ ს

¹ Еврейская энциклопедия, т. V, С. — Петербург.

² შუა საუკუნეების ებრაული პოეზია. ებრაულიდან თარგმნა ჭ. აჯი-
აშვილმა, თბ., 1979, გვ. 235.

III. მიქელანჯელო. დიონისი (ბაზილი). მარმარილო.
1496-97 წწ. ფლორენცია.
ეროვნული მუზეუმი.



36736740
6025030375



IV. პეტერ Ռուծեմսი. Ցանցար.

მის „შორის“ (ესაია, 65,8). ასევე: „ვენაქმან და ლუდურმან მოსცეს ძალი მისი“ (იოველი, 2,22).

მსგავსად შუამდინარული მითოლოგიური გაგების უძლიერებელი ლიურად პური და ღვინო სასიცოცხლო, ღვთიური საკვებია, რომელსაც უზენაესი აძლევს თავისივე შექმნილ ძეს კაცისას და დღენიადაგ ზრუნავს მისთვის. „აპა, მე გამოვავლენ თქუმნდა იფქლსა და ღვნოსა და ზეთსა, და განსძლეთ მათგან, და არა მიგცნე თქუმნ არღარა მერმე საყუმდრელად წარმართთა შორის“ (იოველი, 2,19).

ბიბლიურად ყოველი მშვენიერი და ამაღლებული — თორ, ისრაელი, იერუსალიმი, მესია, ჰემმარიტებანი მეტაფორული აზროვნებით გაიგივებულია ღვინოსთან, ხოლო ყოველივე მდაბიური და ცოდვიანი შედარებულია ძმართან¹.

ძველ ისრაელში ღვინო დიდ როლს ასრულებდა სამსხვერპლო კულტის რიტუალში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ღვინის დაღვრა“, როგორც დამატებითი ელემენტი ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის რიტუალისა.

„ღვინის დაღვრა“, როგორც კულტის ელემენტი, იგულისხმებოდა მოსეს კანონში „პურის მსხვერპლთან“ ერთად და სრულდებოდა საზოგადო მსხვერპლშეწირვის დროს.

„დაღვრისათვის“ საჭირო ღვინის რაოდენობა განისაზღვრებოდა შესაწირავი ცხოველის ჯიშის მიხედვით. „დაღვრისათვის“ განკუთვნილ ღვინოს „შექარი“ ეწოდებოდა, რაც მაგარ, ძველ ღვინოს ნიშნავდა.

„დაღვრისათვის“ არჩევდნენ საუკეთესო ღვინოს პალესტინის განსაკუთრებული ადგილიდან, თუ არ იკმარებდა, ნაკლები ხარისხის ღვინოს უმატებდნენ. განსაკუთრებულ მითიუბებსაც კი აძლევდნენ მეღვინეებს, თუ როგორ შეენახათ ღვინო, რომ მას შეენარჩუნებინა არომატი. ღვინოს პირდაპირ საკურთხევლის კედლის ძირში ღვრიდნენ.

ძველ ისრაელში ღვინოს მეტაფორულად „ყურძნის სისხლს“, „ყურძნის ნაყოფს“ უწოდებდნენ.

ძველ ეგვიპტელებს, როგორც მიწათმოქმედ ხალხს, ვაზის კულტისადმი თავიანთი სულიერი მიმართება მეტად პოპულარული ღვთაების — ოსირისის თაყვანისცემაში გაუმჯდავნდათ.

¹ Еврейская энциклопедия, т. V, С. — Петербург.
3. თ. ლლონტი.

მითი ოსირისზე შეიქმნა მას შემდეგ, რაც ეგვიპტელებმა
მიწათმოქმედებას მოპკიდეს ხელი. ოსირისს შავი თმები ძევს,
რაც შავმიწის ფერია, ხოლო მისი ძმა სეთი, რომელიც დაბრუ-
ოსირისს, უღალთმიანი და მწითური პირისახისაა, რაც უდაბ-
ნოს ფერს გულისხმობს.

ოსირისი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ღმერთია.
გაზაფტულზე, როცა წყალდიდობა იწყება, ბუნების აყვავებისა
და განახლების დროც მოდის. ამ დროს ცოცხლდება ოსირისი
და მისი ღვთიური ძალა მცენარეს სიცოცხლეს ანიჭებს. ასე
სწამდათ ძველ ეგვიპტელებს, რომლებიც გაზაფხულზე სიმღე-
რითა და ცეკვით, სახალხო სანახაობების მოწყობით ჰეიმობ-
დნენ ნილოსის ავსებისა და ვაზის დღესასწაულს¹.

ძველი ეგვიპტელები, ოსირისს, ნაყოფიერების ღმერთს,
მსხმოიარე ვაზის ძირში გამოსახავდნენ. მსხმოიარე ვენახი
აღიქმებოდა როგორც სისხლსავსე და ნაყოფიერი ცხოვრების
სიმბოლო.

მცირე აზიაში ხეთები ითვლებიან მევენახეთბისა და მე-
ლვინეობის გავრცელების პიონერებად. ხეთების მიერ კლდე-
ზე ნაკვეთ სიუჟეტში აშეარად იგრძნობა შუამდინარული მი-
თლოგიის ზეგავლენის კვალი: ნაყოფიერების ღმერთს ერთ
ხელში პურის თავთავები უჭირავს, მეორე ხელი კი ყურძნის
მტევნებით აქვს დამშვენებული (ილ. II).

ხეთებს ძლიერ სწამდათ ბუნების გაცოცხლებისა და განა-
ყოფიერების ჭაბუკი ღმერთის – ტელეფინუსისა. იგი ხეთების
მკვდრადი და კვლავ აღდგომადი ღვთაება იყო. ტელეფინუსი
დაიკარგებოდა ხოლმე და დედამიწაზე სიცოცხლეც ჩერდებო-
და. მოსაძენიდნენ თუ არა მას ღმერთები, ცხოვრება კვლავ
აღთრძინდებოდა.

მითოლოგიურად ტელეფინუსი ვაზს უკავშირდება. ხეთუ-
რი მითი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ჭაბუკი ღმერთი დაი-
კარგა. მამამისმა, ჭექა-ჭუხილის ღმერთმა, მის მოსაძენად
ჯერ არწივი, ხოლო შემდეგ ფუტკრების მთელი ოჯახი გააკ-
შავნა, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს. სკაში თაფლი ილეოდა
და ფუტკრებს დაღუპვა ელოდა, რომ ამ დროს ერთმა ფუტკარ-
მა ვენახში მიაგნო ტელეფინუსის კვალს. მან ვაზის ფოთლე-

¹ Р. И. Рубинштейн. Мифы древнего Египта, Л., 1959,
გვ. 78.

ბის სქელი ფენის ქვეშ იპოვა ჭაბუკი ღმერთი, უკბინა და გა-
მოაღვიძა. ტელეფინუსის გაღვიძებას თან მოჰყვა ბუნებრივი გა-
მოღვიძება და აღორძინება.

ანტიკური მითოლოგია მეტად მდიდარ მასალას გვაწვდის
ვაზისა და ღვინის კულტთან დაკავშირებით. მჭიდრო კონტაქ-
ტებმა მეზობელ სახელმწიფოთა ხალხებთან, აგრეთვე აღმო-
სავლეთ შავიზღვისპირეთის ტომებთან (რაზეც მითები მეტყ-
ვლებს), მნიშვნელოვანწილად განაპირობა ანტიკურ მითო-
ლოგიურ სახეთა სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

რასაკვირველია, მითი ვაზისა და ღვინის ღმერთის შესახებ
უნდა წარმოშობილიყო მევენახეობისა და მეღვინეობის ქვეყა-
ნაში, ასეთად კი მეცნიერები მცირე აზისა და კავკასიას მიიჩ-
ნევენ. დიონისეს სახე სინთეზურია, მისი ბუნება კი წინააღმ-
დევობრივი და გათრებადი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მან
ბერძნულ პანთეონში დამკვიდრებამდე ბევრი რამ ისესხა
სხვადასხვა ხალხის მითოსიდან და თავისივე თავდაპირველ
იერსახეს ნახესხებ თვისებათა წყალობით ბევრი რამ შესძინა.

ნოე, რომელსაც პირველი მევენახე-მეღვინის ფუნქცია
აკისრია მითოლოგიურად, თავისი კიდობნით დაშორებული
იყო ისრაელელთა საცხოვრისს; იგი იმყოფებოდა ვაზისა და
ღვინის კლასიკურ რეგიონში—კავკასიაში. ამასთანავე, თუ გავი-
თვალისწინებთ, რომ ეპრაელები თავდაპირველად მომთაბარე
ცხოვრებას ეწეოდნენ და მიწის დამუშავება და ღვინის დაყე-
ნება მათ ქანანელებისაგან ისწავლეს, უდავო ხდება ეპრაელთა
მითოსში ნოეს ამბის სესხების შესაძლებლობა; მით უმეტეს,
რომ უძველესი და უწინარესი მითი წარღვნის შესახებ ბაბი-
ლონური მითოლოგიის კუთვნილებაა. მითის თანახმად, ენლი-
ლი განაუკვდავებს წარღვნას გადარჩენილ ერთადერთ კაცს
ზიუსუდრას, „შემნახველს სულდგმულთა და კაცთა თესლისა“¹.

ბაბილონური მითი წარღვნის შესახებ არის ნაწილი დიდი
ეპოსისა ღმერთკაც გილგამეშის შესახებ, რომელიც ბაბილო-
ნური ლიტერატურის უშესანიშნავეს ძეგლად ითვლება².

მიუხედავად იმისა, რომ ორმდინარეთში ვაზი მეორეული
მოვლენა უნდა იყოს, შუამდინარულმა მითოლოგიამ შემთინა-

¹ ჸ. კიკნა ბ. ე., თამუშის სიზმარი, 1969, გვ. 6.

² გ. რელიეფი შეიცავის, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარ-
წერები, თბ., 1961, გვ. 50.

ხა ვაზისა და ღვინისადმი, როგორც ღვთაებრივი ძალის კატე-
გორიებისადმი, ადამიანის მიმართების მთელი სამყაროს საფუ-
თავისებურ განვითარებას პოლობდა საუკუნეთა ჭანშვლოვა-
ბაში შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზების ხალხთა მი-
თოლოგიურ აზროვნებაში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ორმდინარეთში ვაზის კულტუ-
რის შემოტანასა და გავრცელებასთან ერთად ჩრდილოეთიდან,
მევენახეობა-მელვინეობის ქვეყნიდან, უნდა შემოსულიყოთ ვა-
ზისადმი მითოლოგიური მიმართებისა თუ ვაზისადმი მიძღვ-
ნილი საკულტო რიტუალის დამახასიათებელი ორგოული
ელემენტებიც. ამგვარ მოვლენებს ხომ არაერთგზის პქონია
ადგილი ძველი აღმოსავლეთის ცივილიზებულ ხალხთა კულ-
ტურული ურთიერთობების განვითარების მთელი ისტორიის
მანძილზე. ზემოთქმულს უძველეს ხალხთა მითოლოგიური სა-
ხეების პარალელების არსებობაც კარგად ადასტურებს.

საკმარისია დავასახელოთ ბაბილონური თამუში, ძველ-
ეგვიპტური ოსირისი, წინაპერძნული წარმოშობის პერსეფო-
ნე, ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღვთაე-
ბა სერაპისი, ფრიგიული ატისი და ფინიკიურ-სირიული
ადონისი. ჯერ კიდევ ბერძენ მწერლებს (კერძოდ, პეროდო-
ტეს) შესაძლებლად მიანიდათ ერთმანეთისთვის შეედარები-
ნათ ეგვიპტელი ოსირისი და ბერძენი დიონისე, ისიდა და
დემეტრე. კიბელას, ისიდასა და ოსირისის, აგრეთვე, სპარსულ
ღვთაებათა კულტებშია ფართო ასპარეზი პოვეს რომის იმპერი-
აში და დიდი ზეგავლენა მოახდინეს ანტიკური მითოლოგიისა
და რელიგიური ფილოსოფიის განვითარებაზე.

ბერძნებმა, რომლებმაც საუკუნეთა განმავლობაში საკმაოდ
ნაყოფიერად შეითვისეს მეზობელი ხალხების კულტურული
ტრადიციები, შემდგომში თავად უდიდესი პოლიტიკური, ეკო-
ნომიკური და კულტურული ზეგავლენა მოახდინეს მეზობელ
ხალხთა ფსიქიკასა და ცნობიერებაზე.

ბერძნული თვისებებით შენელებული აღმოსავლური კულ-
ტები კვლავ უბრუნდებოდა მათივე წარმოშობის კერებს. ცნო-
ბილია, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობდნენ სერაპი-
სისა და ისიდას კულტები მთელს რომის იმპერიაში. სერაპისი
მოწიფულ, ძლიერ ვაჟკაცად გამოისახებოდა და გამოწყობილი
იყო ბერძნულ ტანსაცმელში.

ბერძნულმა მითოლოგიამ ერთგვარი სინთეზი მდგრადია
შეამდინარული, წინაპერმნული თუ აღმოსავლური მითოლო-
გიური სახეებისა, შექმნა ბერძენ კლასიკურ ღვთაებაზე-
ლი პანთეონი, რომელსაც ამშვენებს ვაზისა და ღვინის კთ-
ლორიტული ღვთაება — დიონისე. დიონისეს კულტს უდიდესი
დამსახურება მიუძღვის არა მარტო ანტიკური მითოლოგიური
აზროვნების განვითარებაში, არამედ საზოგადოდ, ცივილიზე-
ბული სამყაროს კულტურული განვითარების ისტორიაში.



ღვინო ზევსის და სემელეს ვაჟმა
უბობა კაცთა
დარღვთა მქურნალად.

ა ლ კ შ თ ს ი

როცა ანტიკურ მითოლოგიაში ვაზისა და ღვინის სიმბო-
ლიკის საკითხებს ვეხებით, რასაკვირველია, უპირველესად
დიონისეს კულტის გარშემო უნდა წარმართოთ საუბარი.
რამდენადაც დიდია ამ ღვთაების როლი და მნიშვნელობა ბერ-
ძნულ წარმართულ პანთეონში და, საზოგადოდ, ანტიკურ მი-
თოლოგიაში, იმდენად ბურუსითა მოცული ამბავი დიონისეს
დაბადებისა და მოღვაწეობის შესახებ, რადგან წინააღმდეგობ-
რივი და გაორებადი ბუნებისაა ვაზისა და ღვინის ეს მიმზიდ-
ველი, მაგიური ძალის ღვთაება.

იმდენად მჭიდრო და ურთიერთგანმაპირობებელი ხასია-
თისა იყო ადრე თუ გვიან ანტიკური პერიოდის უძველეს
ხალხთა კონტაქტები, რომ დიონისეზე საუბარი, ნებსით თუ
უნებლივით, მაინც მიგვაახლოებს ბერძნების მეზობელ ხალხთა
კულტებთან და მათს საერთო თვისებებს ხელშესახებად წარ-
მოგვაჩენინებს.

წარმოუდგენელია არ გავითვალისწინოთ ძველ ბერძენთა
ურთიერთმიმართების სფეროები, ერთი მხრივ, ძველი ელა-
დის ხალხთა, მეორე მხრივ კი, მეზობელ სახელმწიფოთა კულ-
ტურული ტრადიციებისადმი.

ბერძნებმა წარმატებით შეითვისეს, ერთი მხრივ, ძველი
ელადის ხალხთა კულტურული ტრადიციები, მეორე მხრივ კი,

განუწყვეტლივ განიცდიდნენ კუნძულ კრეტის მინთსური კულტურის შეგავლენას მთელი II ათასწლეულის მანძილზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ცნობილ ბერძენ ისტორიკოსს — დიოდორეს მიაჩნდა, რომ მთელი სამყარო ღმერთებისა და მასთან ერთად ყველა მისტერია საბერძნეთში კუნძულ კრეტადან შემოვიდა. მართლაცდა, მთავარი დამაკავშირებელი რგოლი საბერძნეთსა და დიდ აღმოსავლეურ სამყაროს შორის იყო კუნძული კრეტა.

წვენს წელთაღრიცხვამდე 1500 წლების ახლოს ბერძნები ხდებიან კუნძულ კრეტის მმართველები და ხშირდება მათი სხვადასხვა ხასიათის კონტაქტები ხეთებთან, სირიელებთან, ეგვიპტელებთან, მცირე აზიის ხალხებთან.

ხეთების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ბერძნები მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ იმავე ტერიტორიაზე არსებულ ფრიგიასა და ლიდიასთან, აგრეთვე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომებთან, რაზეც ნათლად მეტყველებს მითები სილენსა და ფრიგიის მეფე მიდასზე, ტანტალსა და ნიობზე, პელოპსზე, დიონისეზე და სხვ. როგორც ჩანს, ბერძნულ მითოლოგიაში შეტანილ იქნა მცირეაზიელ და კავკასიელ ტომთა ეპოსიდან ნასესხები სიუჟეტები¹.

მიკენური პერიოდი (დაახლოებით 1600-დან 1100 წლებამდე წვენს წელთაღრიცხვამდე) არის ბერძნული მითის ფორმირების პერიოდი. ბერძენთა წარმოდგენაში ხდება ერთგვარი სინთეზი წინაპერძნული თუ აღმოსავლეური მითოლოგიური ხასიათებისა, მეორე მხრივ კი ბერძნებს თავად უდევთ წილი ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მითებსა და ხელოვნებაში. პესიონდეს თეოგონიაში მოთხრობილი ამბები ბევრ საერთო შეიცავს აღმოსავლეთის მითებთან.

უძველეს ხალხთა წარმოდგენებმა ბუნების მოვლენათა შესახებ დასაბამი მისცა თეოლოგიური და მითოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებას. ბუნების მოვლენებში სასწაულებრივი ძალების ძიებამ და ღრმა რწმენამ ამ მოვლენათა მაგიური საწყისისა, წარმოშვა კიდეც ღვთაებათა მთელი გალერეა, რომელშიც ერთ-ერთი საპატიო ადგილი მუდამ ეკავა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ღვთაებას.

¹ А. В. Урушадзе, Страна волшебницы Меден, Кавказ и Средиземноморье, Тб., 1980, გვ. 22.

გაზაფხულშე ბუნების კვლავ ამწვანებამ და ხმელი თესლიდან
ცოცხალი მცენარის აღმოცენებამ ძველ ხალხებში წარმომავალი
რწმენა მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ამგვარმა ოწენაზ
დასაბამი მისცა ღვთაებათა არსში მოკვდავი და კვლავ გაცო-
ცხლებადი ფუნქციის გაცნობიერებას. ძველ ბაბილონელთა
სათაყვანებელი ღვთაება დუმუში, ანუ თამუში სწორედ ამგვა-
რი ნიშან-თვისებების მქონეა.

მოკვდავი და კვლავ აღდგომადი ფუნქციის მატარებელია
ბალკანეთის ნახევარკუნძულშე და მის ჩრდილოეთით მოსახ-
ლე უძველეს თრაკიელ ტომთა უზენაესი ღვთაება ზალმოქსი-
სი. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ თრაკიელთათვის იმავე ფუნ-
ქციის მატარებელია დიონისე.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის ბერძენი მწერლები,
პერძოდ, პერთღოტე, თრაკიელი კულტების ნიშან-თვისებებს
დიონისეს კულტთან აიგივებდნენ. დიონისეს დელფოსური
კულტი წარმოშობილია სწორედ ამ პირველსაწყისი თრაკიელი
დიონისესაგან¹.

მოკვდავი და კვლავ აღდგომადი ღვთაებაა წინაბერძნული
წარმოშობის პერსეფონე, ზევსისა და დემეტრეს ქალიშვილი,
მიწისქვეშეთის მეუფე. ბერძნებმა, ბალკანეთის ნახევარკუნ-
ძულშე მოსვლისა და ძველი ელადის ხალხთა კულტურასთან
ზიარების შემდეგ პერსეფონე კორასთან გააიგივეს.

პერსეფონე დემეტრეს ქალიშვილია. დემეტრესა და პერსე-
ფონესადმი იყო მიძღვნილი წინაბერძნული წარმოშობის
აგრარული დღესასწაულები ელევსინში. ელევსინიების დაწე-
სება დემეტრეს მიეწერება.

პერსეფონესგან ნასესხები ნიშან-თვისებები ჩანს დიონი-
სეს ხასიათში. ისიც, პერსეფონეს მსგავსად, სიკვდილსა და
სიცოცხლესთან დაკავშირებული ღმერთია.

გავიხსენთ დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაულები —
ანთესტერიები, რომლებიც ერთდროულად იყო ძველი ღვინის
ჭაშნიკისა და ახალი ყვავილობის სიმბოლური საზეიმო ცერე-
მონიალი. შარშანდელი ღვინის ჭაშნიკისა და გაზაფხულის
ყვავილობის ზეიმის ერთ დღესასწაულად შერწყმა სიკვ-
დილ-სიცოცხლის მარადიული სახეცვლილების თავისებური,

¹ А. Погодин, Боги и герои Эллады, С.—П., гл. 161.

მხოლოდ დიონისური სულითა და განწყობილებით წარმოშობის სიმბოლიკა.

გაზაფხულის ყვავილობა ხომ მიწის წიაღიძან ჰქონდებოდა ტარს, ბუნების მთელი სიმდიდრე და სილამაზე მიწისქვეშე-თიდან მოდის, იქიდან, სადაც დამარხულია მკვდარი ყვავილე-ბი და მცენარეები, გარდაცვლილი ადამიანები, წარსული წლე-ბის მთელი სილამაზე. ეს ყოველივე მარადიულ ციკლს ქმნის. ასევე ერთიან, მარადიულ ციკლად აღიქმება დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაულებიც, რომლებიც წლის სხვადასხვა დროს, ბუნების ცვალებად პერიოდებთან დაკავშირებით იმარ-თებოდა. ეს დღესასწაულები უშუალოდ უკავშირდებოდა ვაზის ყვავილობის, ყურძნის დამწიფების, რთვლობის, ტკბილის დუღილის, ღვინის დაყენების სხვადასხვა ფაზასა და პერიოდს.

დიონისეს წინააღმდეგობრივსა და გაორებად ბუნებას ჯერ კიდევ ძველი ბერძენი მწერლები აღნიშნავდნენ. იმთავითვე ძნელი იყო შინაგანი კავშირის დამყარება, ერთი მხრივ, ყურ-ძნის კრეფის მხიარულ დღესასწაულებსა და, მეორე მხრივ, კითერთნის ორგიებსა და დიონისეს ორფიულ მისტერიებს მორის. როგორც ჩანს, ერთ ღმერთში გაერთიანდა სხვადასხვა წარმოშობის ღვთაებათა თვისებები.

საინტერესოა მოსაზრება¹, რომ „თავდაპირველად დიონი-სე თავისი ცხოველური არსით ხარის კულტთან იყო გაიგივე-ბული და ამიტომაც უძველეს გამოსახულებებზე (სვეტებზე ჩამოკიდებულ ნიღბებზე) იგი ხარის რქებით იყო გამოსა-ხული“.

დიონისეს ხარის კულტთან გაიგივება უშუალოდ უკავშირ-დება მის ხთონიურობას და ამ კულტის უძველეს წარმოშო-ბაზე მიგვანიშნებს. უადგილო არ იქნება თუ გავიხსენებთ ქართულ ტომებში ხარის კულტის უდიდეს პოპულარობას და ვაზისა და ღვინის კულტის უძველეს წარმოშობას.

რაც შეეხება მითს დიონისეს შესახებ, მას აღმოსავლური წარმოშობის მითად მიიჩნევენ². ამ ვერსიას, უდავოდ, აქვს თავისი საფუძველი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავდა-

¹ Н. П. Кондаков, Греческие терракотовые статуэтки в их отношении к искусству и быту, 34004 Д, т. II, Одесса, 1879, გვ. 100—103.

² А. Т. Петикус, Олимп, или греческая и римская мифология, С.—П., М., 1873, გვ. 166.

პირველად, დიონისეს კულტი დად წინააღმდეგობას ძრულად ბოდა წარმართულ საპერძეოთა და ოომში. ოფიციალურო მაღალი წრე ერთგვარი შიშითა და უნდობლობით ეკიდებოდა ამ ღვთაების კულტის გავრცელებას. ამგვარი ოპოზიციის თავი და თავი თვით დიონისეს ხასიათი იყო. ხალხში მეტად პოპულარული ეს ღვთაება თავისუფალი ნებისა და სამართლიანობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ოფიციალური წრისათვის კი იგი უცხო და თითქოს მოუღებელი იყო — განმათავისუფლებელი და ველური ბუნებისა, ამდენად გონებისა და სოციალური წყობისთვის ერთობ საშიში, თუმცა სწორედ ამ თვისებების გამო ხდებოდა ეს ღვთაება მაგიური და მომნუსხველი ძალის მქონე.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ბასარა“, რაც დიონისეს სამოსს ნიშნავს, ბერძნულში არ არის¹; იგი უცხოური წარმოშობისაა.

ვერსიას, რომ დიონისეს მითი უცხოური წარმოშობისა, თითქოს მხარს უჭერს თქმულებანი მეფეების — პენთევსისა და ლიკურგოსის შესახებ.

მათში მოთხრობილი ამბები შეიძლება გავიგოთ, როგორც სხვა ქვეყნიდან დიონისეს კულტის შემოტანის საწინააღმდეგო ოპოზიცია².

დიონისეს სახელი ამოკითხული იყო პილოსის ფირფიტაზე, რომელიც ეკუთვნის XIII საუკუნეს წვენს წელთაღრიცხვამდე³. თიხის ფირფიტები, რომლებიც ნაპოვნია პომეროსამდე (VIII საუკუნე ძვ. წ.) ხუთი საუკუნით ადრე არსებული სასახლეების ირგვლივ, არ იძლევა არავითარ ლიტერატურულ ტექსტებს, განსხვავებით შუმერთა, აქადის, ხეთური სამეფოსა და ქანაანისაგან. მიკენურ ფირფიტებში მოხსენიებულია კერძო სახელები, რომლებიც შემდგომში მხოლოდ მითოლოგიაში შემორჩა. როგორც ჩანს, ეს სახელები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ფიქსირებული თქმულებებში, რომლებმაც შემდგომში ბერძენთა მითოლოგიაში დაიმკვიდრა ადგილი⁴. პილოსის ფირფიტაზე აღმოჩენილი წარწერის საფუძველზე დიონისეს

¹ მითოლოგიური ლექსიკონი, 1972, გვ. 83.

² Мифология древнего мира, М., 1977, გვ. 266.

³ იქვე, გვ. 266.

⁴ იქვე, გვ. 239.

კულტის საპერძეოთში გადასვლის პერიოდი შედარებით მო-
რულ წარსულში უნდა ვიგულისხმოთ¹.

არც ერთ ღვთაებას არ ჰქონდა იმდენი მეტსახელი, რომელიც მისი გავრცელებული მეტსახელებია: ბრომიოსი, ლიესი, ლი-
სიოსი, ლიბერი, ევანი, ევიოსი, ღითირამბი².

ღითირამბი „ორჯერ დაბადებულს“ ნიშნავს. ეს სახელი
დიონისეს დაერქვა იმის გამო, რომ თითქოს ზევსმა ორჯერ
დაუბრუნა მას სიცოცხლე: ერთხელ, როცა დაბადების დროს
სიკვდილისაგან იხსნა სემელეს ვაჟი, მეორედ კი მაშინ, როცა
ჰერასაგან ფარულად დაავალა ღმერთების წარმოგზავნილ
პერმესს, წაეყვანა ნორჩი ღითინისე ნიმფებთან, სადაც იგი
უნდა გაეზარდათ სილენის მეთვალყურეობით.

იტალიაში ღითინისეს კულტი შეერწყა ადგილობრივი
ღვთაების — ლიბერის კულტს და ასე გაჩნდა ღითინისეს ეს
მეტსახელი.

იტალიელთა ადგილობრივი ღვთაების — ლიბერის სახე-
ლიც კარგად ხსნის ვაზისა და ღვინის ღვთაების სიმბოლურ
ხასიათს, „ლიბერ“ — ხომ თავისუფალს ნიშნავს. მაშასადამე,
ვაზისა და ღვინის ღვთაება იტალიის მკვიდრთაც თავისუფალი
ნების სიმბოლოდ ჰყავდათ წარმოდგენილი.

რომაელები დიონისეს ბაზუსს უწოდებდნენ. ორფელები
ამტკიცებდნენ, რომ დიონისეს დედა იყო პერსეფონე, შემდეგ
დიონისე ტიტანებმა დაგლიჯეს და იგი კვლავ შობა სემე-
ლემ. ამ მითის ელევსინური ვარიანტის მიხედვით, პირვე-
ლად შობილ დიონისეს ერქვა იაკნოსი (ბაკნოსი), რომელიც
ბეგერათა მსგავსებისა და უდერადობის მიხედვით გააიგივეს
ბაზუსთან (ბაკნოსთან)³.

ევრიპიდე გვაუწყებს, რომ დიონისე ზევსისა და მეუე კად-
მოსის ქალიშვილის — სემელეს ვაჟია. ა. პოვოდინს მიაჩნია,
რომ სემელე შეიძლება ორაკიელი მიწის ღვთაება იყოს⁴.

როცა ჰერამ ზევსისა და სემელეს სიყვარულის ამბავი შეი-
ტყო, გაპრაშდა და სამავიეროს გადახდის მიზნით ბოროტი

¹ მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 83.

² А. Г. Петикус, Олимп, или греческая и римская мифо-
логия, С. — П., М., 1873, გვ. 165.

³ მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 83.

⁴ А. Л. Погодин, Боги и герои Эллады, გვ. 161.

ზრანვა გაივლო გულში: სემელეს, რომელიც ზევსისაგან
შვილს ელოდებოდა, უჩნია ზევსისთვის ეთხოვა, რომ უშემოდეთ
სი ღვთაება მშობიარობის წინ მთელი თავისი ბრწყინვალებით
ხლებოდა მას. ზევსი უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს მაინც აუს-
რულა სემელეს თხოვნა, თავისი ნამდვილი სახით — ჰექა-
ქუხილად მოევლინა. ზევსის ცეცხლის აღმა დასწვა სემელე,
რომელმაც მოასწრო შვილის შობა. მაგრამ ცხრა თვე ჯერ არ
შესრულებოდა ახალშობილს. მასაც დედამისივით დაღუპვა
ელოდა, მიწას რომ უცებ კედლად არ ამორზარდა სურთ, რომ-
ლის ჩრდილმაც ზევსის ცეცხლისაგან იხსნა ნორჩი დიონისე.
სურთს მიღმა ღვთიური ცეცხლი გიზგიზებდა, რამაც უკვდავად
აქცია დიონისე.

გადარჩენილი ახალშობილი ზევსმა თემოში ჩაიკერა და
როცა ცხრა თვე შესრულდა, დიონისე ქვეყანას მოევლინა.
მეტად საინტერესო მოსაზრებას აყენებს ა. პოგოდინი. იგი
ამ მითში ხედავს დიონისესთან დაკავშირებულ კოსმიური
ხასიათის რაღაც ლეგენდას, რომელშიც ზევსი სინათლის
ღმერთს გამოხატავს, სემელე მიწის ღვთაების სიმბოლოა,
მათი შვილი კი სინათლისა და მიწის ნაყოფი — ვაზი¹.

ზევსმა ახალშობილი პერმესს გადასცა, რომელმაც იგი
ნისის მთაზე წაიყვანა და აღსაზრდელად იქაურ ნიმფებს დაუ-
ტოვა.

დიონისემ ბავშვობა უზრუნველად და მხიარულად გაატარა
გარეულ ცნოველებთან, ნიმფებთან, სილენებთან, სატირებ-
თან, მწყემსებთან და მეღვინეებთან ერთად. წამოიზარდა თუ
არა, იწყო მოგზაურობა ქვეყნებში, ინდოეთამდეც კი მიაღწია.
სადაც კი მივიდა, ყველას ვაზის მოყვანა და ღვინის დაყენება
ასწავლა, ჩაუნერგა ადამიანებს, მედგრად მდგარიყვნენ სი-
მართლის მხარეზე, რისთვისაც ხალხი მასში თავის კეთილის-
მყოფელს ხედავდა.

საინტერესოა თქმულება დიონისეს მიერ ინდოეთის დაპყ-
რობის შესახებ. ეს ისტორია განსაკუთრებულ ხასიათს ანი-
ჭებს მითს დიონისეს შესახებ. მრავალ მკვლევარს მიაჩნია,
რომ ეს მითი წარმოიშვა ალექსანდრე მაკედონელის მიერ
ინდოეთის დაპყრობის დროს, ზოგი კი მას უფრო ადრინდელ
პერიოდს მიაკუთვნებს².

¹ А. Л. Погодин, Боги и герои Эллады, гл. 162.

² Рене Менуар, Мифы в искусстве, С. — П., 1899, гл. 170.

დიონისეს ინდოეთის ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ნიმუშები, სახედარზე ამხედრებული სილენი, სატირები და ბაკტერიული ქალები. როცა ინდოეთის მეფე დარიადესი მიეჭრდა და გადაისახა, მიწიდან მყისვე ვაზი ამოიზრდება, შემოხვევა მას და მოპრაობის საშუალებას არ აძლევს. როცა ინდოეთის არმია მდინარეს მიაწყდება, დიონისეს ძალით იგი მაგარ ღვინოდ გადაიქცევა, ხახადამშრალი მეომრები მიეძალებიან ღვინოს და საშინლად თვრებიან...

დიონისე ადამიანებს თხის, ხარის, ლომის, ჯიქისა და სხვა ცხოველთა სახით ეჩვენებოდა, მის ამალაში ხომ ტყის თითქმის ყველა ბინადარი შედიოდა. მისი ღვთიური, შემრიგებლური ბუნების წყალობით ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად არსებობდნენ ბუნებით ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ცხოველები. მოგზაურობის დროს დიონისე სასწაულებს ახდენდა, მიწიდან ღვინის, თაფლისა და რძის შადრევნებს ადენდა.

115

დიონისე უსიტყვო ერთგულებას თხოულობს. მისი კეთილშობილური ძღვენი ღვინოა, რომელსაც ადამიანებისთვის სისარული მოაქვს. მაგრამ იქ, სადაც არ სურთ მისი მიღება, დიონისე ძალას მიმართავს. ალბათ, ამ ტრადიციის ანარეკლია დღემდე შემორჩენილი ჩვეულება ღვინის დაძალებისა.

დიონისეს მხლებელი სატირები ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდათ ნახევართხებად, ნახევარადამიანებად (ზედა ტანა ადამიანისა აქვთ, ქვედა — თხისა). ბერძნების ეს წარმოდგენა დაკავშირებულია დიონისესთან, როგორც ღვინის ღმერთთან: ღვინოს ხომ თხის ტყავისაგან გაკეთებულ ტიკში ინახავდნენ. რამდენადაც დიონისე თავისი წარმოშობით ღვინის წარმოშობას უკავშირდებოდა, იმდენად მისი ნახევართხა მხლებლება ღვინის შესანას ჭურჭელს დაუკავშირდნენ. ამიტომ იყო, რომ დიონისეს ყოველთვის თხის ჩლიქით გამოსახავდნენ.

საბერძნეთში დიონისეს მისვლის შესახებ მრავალი მითი არსებობს. აღსანიშნავია, რომ კუნძულ იკაროსიდან ნაქსოსზე მიმავალი დიონისე ტირენიელ მექობრეთა გემზე მოხვდა. იგი ანძაზე მიაბეს და მონად გაყიდვა დაუპირეს, მაგრამ ღვთიური ძალის შემწეობით მან სასწაული მოახდინა (იღ. IX):

ხომალდზე უხვად აჩუხმუხდა ღვინო კრიალა,
სურნელოვანი, თაფლოვანი, ვით ამბროსია.

განცვიფრებული შესცეკეროდნენ მეზღვაურები.
 წამს აღიმართა, მაღალ ანბას შემოიტვია
 მაღალ ვაზი, დახუნძული მწიფე მტევნებით.
 ანბის გარშემო უსურვაზი იქლაგნებოდა,
 ი-ფალს აამებდა გარს ნაყოფთა, ყვავილთა ფერი,
 ხიფებზე ყვავილთ გვირვეინები წამოიფინა.
 მესაჭეს სთხოვეს ხმელეთისკენ ხომალდის მართვა...
 მოუღოდნებდა ტევე-ჭაბუკი ლომად გაღიქცა,
 ხმით საზარელით დაიგრვინა, გემზე გამოჩნდა
 ავის ნიშანი — ბანჯველანი დათვი მდვინვარე.
 წამოიმართა შეეცი ყალყზე. გემბანზე იღგა
 თვალებპრიალა ლომი მძლავრი. მეზღვაურები
 გარს შემოერტყენენ ბრძენ მესაჭეს შეძრწუნებული.
 ლომი წინამძღვლს დაეძერა, შეა გაგლიჯა,
 სხვები გაექცნენ საზარ წვედრს და ზღვას მისცეს თავი.
 იქ დელფინებად გადაიქცნენ. მხოლოდ მესაჭე
 დაინდო ღმიერთმა, ბედნიერპყო და ასე უთხრა:
 „ნუ კრთი მესაჭევ საყვარელო, დიონისე ვარ,
 ხმაურიანი ღმერთი! მშობა ქვეყნაზ სემელემ,
 კადმიოსის ქალმა, როცა ტრიფობით ზევსს შეუერთდა.

უცნობი ავტორი
 პიმნი დიონისესადმი

ელადაში მოსულ დიონისეს პირველად ეტოლიასა და
 ატიკაში უმოგზაურია, სადაც მეფე ოინეუსმა პირველმა მიიღო
 დიონისესაგან ვაზი. ატიკაში დიონისეს თავდაპირველად სოფ-
 ლები იკარია და ელევქტრა მოუნახულებია. დიონისემ საჩუქ-
 რით დააჯილდოვა იკარიის მცხოვრები იკაროსი კეთილგან-
 წყობილი შეხვედრისთვის. იკაროსმა გადაწყვიტა გაეყრცელე-
 ბინა ღვინო თავის თანამომმეებში და დაიწყო ღვინით სავსე
 კასრით მოგზაურობა მთელს ქვეყანაში. იგი ყველას ასინჯებდა
 ღვინოს, მაგრამ ყოვლად მოუღოდნელი და ტრაგიკული ის-
 ტრირია დატრიალდა. ღვინომ დაათრო ხალხი. ამან გაუგებრო-
 ბა გამოიწვია, რადგან ღვინოს ჯერ არ იცნობდნენ. იფიქრეს,
 იკაროსი ხალხს წამლავსო და მოკლეს მათთან კეთილი გან-
 წყობით მოსული თანამოძმე. იკაროსი დამარხეს ხის ძირში და
 გაზაფხულზე მისი ნეშტიდან ვაზი ამოიზარდა. ქალიშვილმა
 ერიგონამ, მამის საფლავი რომ იხილა, სასოწარკვეთისაგან
 მამის საფლავზე წამოიხრჩო თავი. დიონისემ შური იძია ატი-
 კის მცხოვრებლებზე, რომლებსაც წყლული დაერია და მუსრს
 ავლებდა. ქალიშვილები კი, ერიგონას მსგავსად, თავს

იხრჩობდნენ. შეშინებულმა ატიკელებმა ორაკულს მიმართეს რჩევისათვის. ორაკულმა დაავალა ატიკელებს, მოემცნათ მამა-შვილის გვამები და დანაშაული გამოხსყიდა ^{შემცნების} გვამები ვერ იძოვეს და დანაშაულის გამოხსყიდვის მიზნით მოაწყეს დღესასწაული დიონისეს პირველი თაყვანის მცემლების პატივსაცემად. შემდგომში ეს დღესასწაული გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ სახალხო გართობად რთვლობის პერიოდისა. ერთივთნას ხსოვნის ნიშნად ხის ტოტებზე პეილებ-დნენ პატარა სტატუეტებს, ნილებს და ფიგურებს, ხალხი კი მღეროდა სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემული იყო იკართ-სისა და მისი ქალიშვილის სევდიანი ისტორია. ამავე დროს ხალხი ცეკვავდა გაძერილ და გაზეთილ საღვინე ტყავებზე – ტიკებზე. გადმოცემის თანახმად, იკართსმა პირველმა დაამშა-და ამგვარი ტიკი იმ თხის ტყავისაგან, რომელიც მის ვენახში შეპარულიყო და ყურძენს მიირთმევდა.

ათენური დიონისიები, რომლებიც უბრალოებითა და უშუ-ალობით გამოირჩეოდა, იონელთა ერთვნულ დღესასწაულად იქცა არა მარტო ათენში, არამედ კუნძულებსა და მათს მცირე-აბიურ კოლონიებშიც.

ათენურ დიონისიებს მეტად საზეიმო ხასიათი ჰქონდა. დღე-სასწაული იწყებოდა იმით, რომ დიონისეს წინასწარ საზვარა-კოდ გასუქებულ ხარს უკლავდნენ, რომლის დროსაც სრულ-დებოდა დიონისეს სადიდებელი სიმღერა—დითირამბი. იმარ-თებოდა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიება — ეტლთა სრბოლა, რბენა, კრივი და სხვ.

შემდეგ შექეიფიანებული და გამხიარულებული პროცესია მიემართებოდა ქალაქებისათვის. აუცილებელი ატრიბუტი ამ სამ-ხიარულო პროცესისა იყო ფალოსი. პროცესიას წინ მიუძღვ-და ფალოფორი, რომელსაც ხელში ეჭირა ჯოხზე წამოცმული ფალოსი. მოშეიმეებს ტკბილეულობით სავსე კალათები მოჰ-ქონდათ, ერთმანეთს ქილიკური გადაძახილებით უმასპინ-ძლდებოდნენ და უწმაწურ სიმღერებს (ე. წ. ფალიკურ სიმღე-რებს) მღეროდნენ. შემდგომში ფალიკური სიმღერები გახდა ერთ-ერთი საწყისი კომედიისა.

თუ პირველ ხანებში დითირამბის დანიშნულება მხოლოდ დიონისესადმი ხოტბის შესხმა იყო, შემდეგში ის დიონისეს თავგადასავლის მომთხოვნელ სიმღერად გადაიქცა. კორიფევ-

სი — დითირამბის დამწყები — იყო განსახიერება ტანჯული დიონისესი, დანარჩენი გუნდი კი — დიონისეს მხლებელი ჰატირებისა. თხის ქურქში გამოწყობილი გუნდის მომდევნილებისა ეწოდებოდათ „ტრაგოდია“ — „ტრაგოს“ თხა, ხოლო „ოდე“ — სიმღერა, ე. ი. „თხათა სიმღერა“.

დღესასწაულის იმ ნაწილშია, როცა დიონისეს დითირამბს უმღეროდნენ, დასაბამი მისცა ტრაგედიას.

დიონისურ დღესასწაულში ფალთის ცერემონიული აქტი სიმბოლური მნიშვნელობისაა, კერძოდ, იგი სქესობრივი ძალისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ უნდა ყოფილიყო მიწნეული ბერძენთა მიერ. განაყოფიერების ძალის თაყვანისცემა უძველეს ხალხებში სიმბოლურად უკავშირდებოდა განახლებისა და აღორძინების ცნებას. დიონისეს კულტიც, როგორც ბუნების გაცოცხლებისა და აღორძინების ფუნქციის მატარებელი, თავის თავში მოიცავს განაყოფიერების ძალის სიმბოლურ გაგებას.

მცირე დიონისიობის მსგავსი დღესასწაული იყო ე. შ. ალაი, რთვლობის დღესასწაული. ალსანიშნავია, რომ ამ დროს დიონისე იყოფდა დღესასწაულს პურეულის მფარველ ქალ-ლმერთ დემეტრესთან (შესაძლოა, ქართულში დამკვიდრებული „ალთბა“ ბერძნული „ალაი“-დან მოდიოდეს).

ზამთრობით, წლის ყველაზე მოკლე დღეებში იმართებოდა დიონისესადმი მიძღვნილი სხვა დღესასწაული ლენეის მოედაზე ათენში, დიონისეს ერთ-ერთ ყველაზე ძველსა და მიღებულ სალოცავ ადგილას.

იანვრის დღესასწაულს ეწოდებოდა ლენეი (სიტყვა „lenos“ ნიშნავს ჩანს, რაშიც ყურძენი იჭყლიტებოდა). თვით სიტყვის შინაარსი მიგვანიშნებს დღესასწაულის ხასიათზე. ამ დროის-თვის ყველგან მთავრდებოდა ყურძნის დაჭყლეტა და დიონისეს პატივსაცემად ახალ ღვინოს სვამდნენ. ადამიანები სურთოთი ირთვებოდნენ, სუროთივე რთავდნენ წმინდა ადგილს, აწყობდნენ დიდ პროცესიას, ურმებზე ფარსებს მართავდნენ, თეატრში კი საზეიმო წარმოდგენები იდგმებოდა.

დიონისესადმი მიძღვნილ თებერვლის დღესასწაულებს ანთესტერიები ეწოდებოდა. ისსნებოდა ღვინით სავსე კასრები და ღვინოს ყველა სვამდა განურჩევლად წოდებისა და მდგო-

მარეობისა — წარჩინებული თუ მონები, რადგან დიონისი ყველას თანაბარუფლებიანს ხდიდა (თუნდ ამ ერთი შტრიხითაც გასაგები ხდება დიონისეს ერთობ დიდი ავტორტექსტი და პოპულარობა ხალხის ფართო ფენებში). მეორე დღეს იმართებოდა დიდი საზოგადო ქეიფი, რომელსაც ყველა ესწრებოდა. თითოეული მათგანი ღებულობდა თავის წილ საუკეთესო ღვინოს და საყვაირების თანხლებით იწყებოდა ნამდვილი შეჯიბრი ღვინის სმაში. მოქეიფენი თავს იმშვენებდნენ გაზაფხულის პირველი ყვავილებისაგან მოწნული გვირგვინებით, რომლებსაც ქეიფის ბოლოს სწირავდნენ დიონისეს წმინდა სალოცავს. ბავშვებიც ირთვებოდნენ გაზაფხულის პირველა ყვავილებით და ზეიმობდნენ ანთესტერიებს, მხოლოდ უფრო სებისაგან განცალკევებით.

ეს იყო საყოველთაო სიხარულის დღე, როცა ხალხური გადმოცემების თანახმად, დედამიწაზე ბრუნდებოდა დემეტრეს ქალიშვილი პერსეფონე და უერთდებოდა დიონისეს. ამ მოვლენის აღსანიშნავად იმართებოდა საზეიმო მსხვერპლ-შეწირვა ტაძარში, რომელიც წელიწადში ერთხელ, მხოლოდ ამ დღეს იღებოდა.


ზეიმის მესამე, ბოლო დღეს ქოთნებით მოპქონდათ შესაწირავი მიწისქვეშეთის — პერმესისა და გარდაცვალილთა სულებისთვის. ეს ცერემონია მიძღვნილი იყო ვითომდა წარღვნის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი, მაგრამ სინამდვილეში, იგი სიმბოლურად უკავშირდებოდა ზამთრის დამთავრებას, რაც უძველესი დროის რწმენათა გამოძახილი უნდა იყოს.

დიონისესადმი მიძღვნილი მარტის დღესასწაულები, ე. წ. დიდი დიონისიები, იმართებოდა განსაკუთრებული ზეიმითა და ფუფუნებით. საუკეთესო პოეტები თხზავდნენ დიონისესადმი მიძღვნილ დითირამბებს. პისისტრატემ დაწესა საგუნდო სიმღერებისა და ცეკვების შესრულება, მღეროდნენ დიონისეს ცხოვრებისა და გმირობის ამბებს. საზეიმო პროცესის შემდეგ სათაყვანებელ ღვთაებას მსხვერპლს სწირავდნენ, შემდეგ კი იწყებოდა მხიარული სანახაობანი. ხალხი ნიღბებს იკეთებდა, იცინოდა და მხიარულობდა.


დიდი დიონისიების ბოლო ოთხი დღე ეძღვნებოდა თეატრალურ სანახაობებს, ტრაგედიებს, კომედიებს, სატირულ ფარსებს.



V. Կարավագյան. Ծանոթություն.



VI. Շաքորըցերութիւնը մըսուրու տոնեածուա. Տոլլենու լուսնու կը լցոնած ուղիւցն անմասն է. Վ. VI եռ շաքորըց մըտուր նաեւզահու. ան մոնու յուլավելուա.



VII. ଲାଲାନ୍ଦୁର ଶାରୀରିଳା-
ନ. ମେହେନାଥେ ଶିଖିନା.

ათენის გარდა დიდ დიონისიობას ზეიმობდნენ კუნძულებს სა და ეგვესის შეღვის სანაპიროებზე, სადაც ჰყვაოდა მეღვინეობა. თბა. თითქმის ყოველ კუთხესა და მხარეში გაწნდა დოქტორებული ლეგენდარულ ისტორიასთან დაკავშირებული ადგილებზე მაჩვიდვა გალითად, კუნძულ ევპეაზე იყო ბორცვი ნისა, სადაც თითქოს გაიზარდა დიონისე; ნაქსოსის კუნძულზე თითქოს დაიბადა ეს ღვთაება, აქვე იყო ნისას მთა და დიონისეს გამოქვაბული; კუნძულებზე – ქიოსზე და ლესბოსზეც გაწნდა დიონისეს კულტთან დაკავშირებული უძველესი ადგილები.

ძველი ისტორიკოსების აზრით, ნისა, სადაც დიონისე ფირებთან იზრდებოდა, სხვადასხვა ადგილას – ეგვიპტეში, არაბეთში, ინდოეთში მდებარეობდა¹.

კუნძულ კრეტაზე გავრცელებული იყო ლეგენდა დიონისესა და არიადნეს დაქორწინების შესახებ. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ყოველ წელს იმართებოდა ქეიფი, რომელსაც მიიჩნევდნენ დიონისეს საქორწინო დღესასწაულად.

დიონისესა და არიადნეს შვილებიც დაკავშირებული არიან ვაზთან და ღვინოსთან, რაზეც მათი სახელებიც კარგად მიგვანიშნებს: ენოპიონი (ღვინოს მტევანი), ევანტი (მოყვავილე, აყვავებული).

ურაკას

რაოდენ წინააღმდეგობრივი და გათრებადი ბუნებისა არ უნდა იყოს დიონისეს სახე, ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა მისი, როგორც ვაზისა და ღვინის ღვთაების, სიმბოლიკა მითოლოგიასა თუ სახვით ხელოვნებაში.

ერთობ მიმზიდველი და მრავალსახოვანია დიონისეს კულტის მითოლოგიური სამოსელი. დიონისემ უბოძა ადამიანს მშვიდობიანი და კეთილშობილური მცენარე – ვაზი, რითაც გაამდიდრა და აამაღდლა მისი სული; დიონისემ ასწავლა ადამიანს კეთილშობილური სითხის – ღვინის დაყენება და მისი მოხმარება, რითაც ზნეკეთილი, დამთმობი და გულალელი განდა იგი, გაამხიარულა, შეარიგა დამდურებულ მოყვასს თვისას, სიმღერის ხასიათი მოუყვანა და პირველქმნილი ბუნების მშვინიერებისაგან მიაქცევინა გონების თვალი, ლექსის სათქმელად განაწყო, ჩანგი გამოათლევინა, ზედ სიმები და-

1 მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 83.

4. თ. ლოონტი.

აჭიმინა და თავდავიწყებით აგალობა, მიწისა და ცის, უზუაფსი შემოქმედის დაღადისი აღავლენინა, ძვალსა და რბილს გაუნელა მშობელი მიწის სიყვარული...

ირიველი

ხალხი თაყვანს სცემდა დიონისეს, როგორც განშემოსაჭიროებულებელს, თავისუფალი ნების აღმძვრელს, სიმართლის მოყვარულსა და თანასწორუფლებიანბის მომნიჭებელს, შფოთისა და უთანხმოებათა მომწესრიგებელს, ზეაწეული განწყობილებისა და აღფრთთვანების მეუფეს... ამ უკანასკნელ თვისებათა წყალობით დიონისე იმდენად იყო გაიგივებული აპოლონთან, რომ მიჩნეული იყო მუზების ბელადად, მუსიკისა და პოეზიის მფარველად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი სიმდერა და პოეზია ხან ვნებიანი და მშფოთვარე, ხან კი მწუხარე ანდა თავშეუკავებლად მხიარული იყო¹. შემთხვევითი როდია, რომ დიონისეს დღესასწაულებმა, ე. წ. დიონისიებმა, დასაბამი მისცა ბერძნული თეატრის წარმოშობას.

შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპის მკვიდრთაგან დიონისე თითქმის ერთადერთი ღვთაებაა, რომელიც ყოველთვის ხალხთან ერთადაა თავისი მხიარულებითა თუ სევდით. ეს არის სწორედ მისი განუზომელი პოპულარობის თავი და თავი.



დიონისე — ლაზინის ღმერთი (ვინც გვეხატა მარანშე), კოლხიდაში იზრდებოდა ღმერთების აგარაკშე.

აქ დარბოდა და ტყეებში ალებს აწიოკებდა,
და ცეკვავდა პორიზონტი ამ რიტმებით გაშრდილი,
ცეკვავდა და
კოლხეთის ტანს ეხვეოდა ვაზიეთ.

შოთა ნიშნიანი პე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს ხანაშივე ველური ვაზი ფართოდ იყო გავრცელებული და ხალხი მის ნაყოფს ყურძნისა თუ ღვინის სახით იმთავითვე იყენებდა. ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე

¹ А. Л. Погодин, Боги и герои Эллады, гл. 169.

არსებობდა ხელშემწყობი პირობები ვაზისა და ღვინის გულტის გასავრცელებლად. მიწათმოქმედ და ვაზის მთტორებულების ქართველ კაცს ეს მცენარე ზებუნებრივი ძალის წმინდას უქმდა, „სიცოცხლის ხედ“ პქონდა წარმოდგენილი. ამას დღევანდლამდე შემორჩენილი სარიტუალო წეს-ჩვეულებები თუ ეთნოგრაფიული მასალებიც კარგად ადასტურებს.

აგუნა, აგუნა, გადმოიარე,
ბახვი, ასკანა გადმოიარე!
წვენს მამულში ყურძენით,
სხვის მამულში ფურცელით,
წვენს მამულში გოდორ-გოდორით,
სხვის მამულში კიმპალ-კიმპალით...

აგუნა ნაყოფიერებისა და სიუხვის ქართულ ღვთაებად არის მიწნეული¹. მისი კულტი ქართულ ტომებში დიონისეს კულტის გავრცელებამდე კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული. აგუნას სახელის ფუძე „აგუნ“ ღვინის საყოველთაოდ გავრცელებული სახელის ფუძესთან იგივეობას ამჟღავნებს, რაც კიდევ უფრო მეტად ამაგრებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას აგუნას კულტის უპირველესი წარმოშობის შესახებ.

ი. მეგრელიძის მიხედვით, დიონისეს (ბიბლიური, კერძოდ, — ფინიკიური ადონას) ორეულები ჩანან რომაული ვაკხი, იგივე ბახუსი, ქართული (კოლხური) — ბახუა და აგუნა (გურული), ჯუჯელია (მეგრული) და სხვ. ბახუა — აგუნა — ჯუჯელიას არეალი ფართოვდება — აგუნა „ანგურას“ ფორმით გვხვდება რაჭა-ლეჩხუმში, ადიღეში (ნართული თქმულებების აგუნა — კასრი ნართთა სასწაულმოქმედი სასმელისთვის), სპარსეთში (ანგურა — ყურძენი) და სხვაგან, რაც დადასტურებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

უფრო და უფრო ვრცელდება მოსაზრება, რომ სიტყვა ღვინო (ღუინო, ღინი, ღუინო—ვინო, ვაინ, ვეინ,...) და ბახუ სის კულტი (შდრ. ბახუა, ბახვი და მათგან ნაწარმოები სახელები, გვარები და ტოპონიმები, ღუ-ინ—ღინ, გუნ-, ღიალექტ. ღუნო, გუნ—ა-გუნ-ა, ლე-ღუ—ღელვი და სხვ.) ქართული (კოლხური) წარმოშობის შეიძლება იყოს².

¹ Е. К. Накашидзе, Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии, 1896, გვ. 10.

² ი. მეგრელიძე დიონისე — ვაკხ — ბახუს — აგუნას კულტის შესახებ. სამეცნ. სესა, მიმღვინილი ქართული ხალხური მევენახობა-მელვინეობის ისტორიის საკითხებისადმი, მოხს. თემისები, 1971, გვ. 9.

საახალწლოდ, საქართველოში, ყურძნის უხვი მოსავალის სიმბოლოდ აცხობდნენ პურს, რომელსაც ქართლში, ძმერებაზე და რაჭაში ყურძნის მტევნის ფორმა პქონდა და „ვაზის“ უკავშირის რქასა“ და „მტევანს“ უწოდებდნენ. გურიაში კი პურის უკავშირის ცხვარი მრგვალი ფორმისა იყო და მას „აგუნას პური“ უწოდებოდა. ახალი წლის მიჯნაზე ოჯახის უფროსი ვენახს მიუღოცავდა დღესასწაულს და პურს ვაზთან ახლოს გატეხავდა ან ვაზის რქაზე ჩამოაცვამდა!

ძველი ქართული სიტყვა „თხიერი“ აღნიშნავდა თხის ტყავისაგან დამზადებულ ჭურჭელს (ტიქს), რაშიც ღვინოს ასხამდნენ. ძველქართულად „დათხევა“ სითხის დაქცევას, დაღვრას ნიშნავდა. „და არავინ შთაასხის ღვნომ ახალი თხიერთა ძუელთა, რამთა არა განხეთქნეს ღვნომან ახალმან თხიერნი იყი, და ღვნომ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ ...არამედ ღვნომ ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად...“ (ახალი აღთქუმამ, ლუკა, 5, 37, 38).

როგორც ვხედავთ, „თხ“ ძირით ნაწარმოებ საგნისა („თხიერი“) და მოქმედების („დათხევა“) აღმნიშვნელ სიტყვებს ერთი საერთო ფუძე აქვთ. ისინი წარმოდგებიან „თხა“ სიტყვისაგან. თანამედროვე ქართულში ეს „თხ“ ფუძე შემორჩა ყოველი თხევადის აღმნიშვნელ სიტყვა „სითხე“-ს.

ძნელია იმის თქმა, სიტყვა „თხიერი“ უძველეს ბერძნულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა შედეგად გაჩენილი და დამკვიდრებულია, თუ იგი ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა. ამ უკანასკნელ მოსაზრებას შესაძლოა მხარს უჭრდეს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი წვეულება.

საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, თხას, სხვა შინაურ ცხოველებთან და ფრინველებთან ერთად, დღესაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველი მეურნე კაცი. შესაძლოა, აღმოსავლეთ საქართველოში თხის მიმართ ამგვარ ყურადღებას დღესდღეობით ვერ ვხედავთ, მაგრამ დღემდე შემორჩენილია რთვლობის დროს თხის დაკვლის წვეულება, რაც უეჭველია ვაზისა და ღვინის

¹ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, гл. 73.

კულტისადმი მიძღვნილი უძველესი სარიტუალო ტრადიციას
გამოძახილია. ასევე შეიძლება ითქვას შემოდგომობით დღეს მარწევთ
დღესასწაულის აღნიშვნის ჩვეულებაზე.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნემდე მოაღწია სამეგრელოს
მრავალ სოფელში რთვლის დღესასწაულის აღნიშვნის ტრა-
დიციამ. ამ დღესასწაულს რთვლის დამთავრებასთან დაკავში-
რებით მართავდნენ და მას „სთველის გიორგობა“ ეწოდებო-
და. კლავდინენ თხას ან მამალს (შეძლებისდა მიხედვით) და
აღუღებდნენ ფელამუშს. ოჯახის უფროსი შემოისვამდა ზურგ-
ზე შვილს — გოგოს ან ბიჭს, ჩამოუვლიდა ვაზებს და ფელა-
მუშს წაუსვამდა, ამასთანავე წარმოთქვამდა სურვილს, რომ
ვაზებიც ისევე მოხრილიყვნენ დახუნძლული ნაყოფისგან,
როგორც თვითონ იყო მოხრილი საკუთარი შვილის სიმ-
ძიმით¹.

რთვორც ვხედავთ, აქაც ვაზისა და დვინის სიმბოლიკა
თხის კულტთან არის დაკავშირებული, თვით დღესასწაულის
შინაარსი კი მიგვანიშნებს იმას, რომ იგი მიძღვნილი იყო
ნაყოფიერებისა და სიუხვის ღვთაებისადმი. უდავთა ამ სარი-
ტუალო წეს-ჩვეულების უძველესი წარმოშობა.

შემთხვევითი არ არის აგუნას ლექსში გურიის სოფლების—
ბახვისა და ასკანის სსენება. ეს სოფლები ვაზისა და დვინის
ღვთაების კულტთან დაკავშირებული ადგილები ჩანს. ბახვის
სახელი ბერძნული ღმერთის — ბახუსის სახელიდან უნდა მო-
დიოდეს, ასკანა კი — ბახუსის შთამომავლის ენეასის ვაჟის —
ასკანის პატივსაცემად უნდა დაერქვათ ამ სოფლისთვის².

აღმოსავლეთ, ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოში
გავრცელებულმა სარიტუალო საფერსულო ცეკვებმა შემოგვი-
ნახა ვაზისადმი, რთვორც წმინდა მცენარისადმი, ქართველ
ტომთა მიმართების არაერთი ნიუანსი. ერთ-ერთი საფერსუ-
ლო ცეკვა, რომელიც სრულდებოდა წმინდა ადგილებში ან
ტაძრების წინ, ფართოდ იყო გავრცელებული ხევსურეთში,
ფშავში, თუშეთში, ხევში, კახეთში, ქართლსა და რაჭაში.
საფერსულო ცეკვის მისამდერ ტექსტში ლაპარაკია იმაზე,
რომ ღვთის კარიბჭესთან იზრდება აღვის ხე, რომელსაც კენ-

¹ Е. К. Накашидзе, Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии, 1896, гл. 11.

² ა. ლეკიაშვილი, შეხ ხარ ვენახი, თბ., 1972, გვ. 115.

წეროში მწიფე ყურძნის მტევნები ასხა. მის გარშემო ფერხულს უკლიან შავებში ჩაცმული გოგო-ბიჭები. ვინც არ გაინჯა მწიფე ყურძნის მარცვალი, უდროთდ გარდაიცვალებული არ იწვევს ის გარემოება, რომ აღვის ხეზე ასული ვაწი არის ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული მ ა ღ ა ღ ი ვ ა ჰ ი. ლამაზი, ტანადი, მაღალი აღვის ხე, რომელიც წმინდა ადგილას იზრდება, ძველ ქართველთა რწმენით, წმინდა მცენარეა.

უკეთუ ახალგაზრდები, რომლებმაც არ გასინჯეს მწიფე ყურძნის მარცვალი და უდროთდ გარდაიცვალნენ, უნდა ვაფიქროთ, რომ ყურძნებს პქონია ადამიანის სიკვდილისაგან ხსნისა და თავდაცვის, სიცოცხლის გახანგრძლივების უნარი. მაშასადამე, მწიფე ყურძნის გასინჯვა ადამიანს წმინდა ვაზას მაცოცხლებელ ძალასთან აშიარებს.

როგორც ვხედავთ, სარიტუალო-საფერხულო ცეკვაში მედავნდება უძველესი ხალხური რწმენა, რომლის მიხედვით, აღვის ხესთან შერწყმული წმინდა ვაზის მწიფე ნაყოფი ადამიანს უნარჩუნებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, მაცოცხლებელ ძალას, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველი ტომები წმინდა ადგილებში მზარდ მაღლარ ვაზს თაყვანს სცემდნენ როგორც „ხეს სიცოცხლისას“.

სახლო საღხინოდ დადგმულო, აშენებულო ხისაო, სახლად ღმერთმა აგაშენოს, არ ჩამოხვიდე ძირხაო ჩვენი მასპინძლის მარანში აღვის ხე ამოსრულიყო, თავში მოესხა ფურქენი, ბოლომდე გამოსრულიყო, მისი დამთვრალი ბიჭები ტალახში ამოსერილიყო.

როგორც ამ ხალხური ლექსიდან ვგებულობთ, სარიტუალო ფერხულს ქართველი კაცი სახლის აშენების დროსაც ასრულებდა, ხოლო მარანი, სადაც „აღვის ხე ამოსრულიყო“, წმინდა ადგილად ითვლებოდა.

მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მევენახობა, გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო ვერ განვითარდებოდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთიანეთის სალოცავებს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში

¹ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 55.

ჰქონდათ ფართო სავენახე ფართობები, რომლებსაც ამუშა-
ვებდნენ მთის თემთა რიგითი წევრები. ნაწილობრივ ეს ჭრები მოვა-
ძება, უმთავრესად კი მთის მოსახლეობის მჭიდრო პულტუ-
რულ-ისტორიული და რელიგიური კავშირები და ერთობა
ბარის მოსახლეობასთან განაპირობებდა მაღლარი ვაზის, რო-
გორც „სიცოცხლის ხის“ გაცნობიერებული წარმოდგენის,
ფართოდ გავრცელებას საქართველოს მთელს ტერიტო-
რიაშე.

უძველესი ქართული ყოფითი ტრადიციები, რომლებმაც
დღევანდლამდე მოაღწიეს, ქართველ ტომთა წარმოდგენებისა
და წეს-ჩვეულებების ანარეკლია. ადამიანის ცხოვრებაში ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი მომენტები — დაბადება, ნათლისღება,
ნიშნობა, ქორწილი, დასაფლავება, სათვარი თუ საზოგადოებ-
რივი დღესასწაულები ღვინის რიტუალური შესმის გარეშე არ
ტარდებოდა. აქ თვალინათლივ იგრძნობა ხალხური წარმოდგე-
ნა ყურძნის წვენზე, როგორც წმინდა, ღვთიურ სასმელზე.

როგორც ვხედავთ, ქართულ ყოფაში არა მარტო ადამიანე-
ბი, არამედ თვით ღმერთებიც უდვინოდ ვერ ძლებენ. ეს რწმუ-
ნა იყო მიზეზი საყოველთაოდ გავრცელებული წვეულებისა —
ღმერთებისთვის ღვინის (ან პურის) ძღვნად მირთმევისა.

ღმერთებისთვის ძღვნად მისართმევ ღვინოს ზედაშე ეწო-
დებოდა. იგი ეძღვნებოდა სასოფლო, საგვაროვნო და სანათე-
სავო დაჯგუფებათა პატრონებს, ე. წ. „საძმოთა“ პატრონებს,
თემისა და ხევის მფარველებს, სახლის მფარველ სულს,
„სახლთანგელოზს“. დასავლეთ საქართველოში ღმერთისადმი
მიძღვნილ ზედაშეს ეწოდებოდა საღმრთო, საბატონო, საწა-
რავი, საკალანდო, ანუ ახალწილის ჭური, სამაისო, ჭაბუქისად-
მი მიძღვნილი — „საჭაბუქო“; მეგრელები ზედაშეს სხვადასხვა
სახელს უწოდებდნენ — საოწოდინარო, შკვითული, საოთოაზ-
ნიო, სახეზუნველ, სათედორო და სხვ.

ყოველწლიურად, ამა თუ იმ წმინდანის სახელზე ოჯახის
უფროსი შეარჩევდა თვითნადენი, პირველი წვენის ღვინოს —
ზედაშეს, წარმოთქვამდა წმინდანის მისამართით სალოცავ
ტექსტს და მარნის მარჯვენა კუთხეში ქვევრში, ანუ ჭურში
ჩაასხამდა. როცა წმინდანის დღესასწაულის დღე დადგებოდა,
ოჯახის წევრები იკრიბებოდნენ მარანში, საზედაშე ქვევრის
თავზე შესაწირავ ცხოველს დაკლავდნენ, ოჯახის უფროსი

დაილოცებოდა, ქვევრს თავს ახდიდა, ამთაღებდა ღვანის და უმასპინძლდებოდა შეკრებილთ. ამ დღემდე საზედაშე ქვევრები თავის ახდა სასტიკად იკრძალებოდა.

ამასთანავე, იყო საზედაშე ღვინის მოხმარების სხვა ფორმაც, როცა ოჯახის უფროსს ზედაშე მიპქონდა ხატში და იქ სვამდნენ დღესასწაულის მონაწილენი.

როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში საზედაშე ქვევრები ჩაფლული იყო მიწაში პირდაპირ ვენახებში, მარნებსა და ეკლესიათა ეზოებში.

მცხეთის რაიონში ძალისის წმ. გიორგის ეკლესის ეზოში აღმოჩენილ იქნა 115 თიხის ქვევრი, რომლებიც გამოიყენებოდა სოფლის მცხოვრებთა მიერ საოჯახო და საგვარეულო ზედაშისთვის. სათემო საზედაშე ქვევრები, გადმოცემის თანახმად, 320-დან 640 ლიტრამდე ტევადობისა იყო, საოჯახო საზედაშე ქვევრები კი 32 ლიტრზე მეტი¹.

საქართველოში იმდენად პოპულარული იყო ვაზისა და ღვინის კულტი, რომ მარანი წმინდა ადგილად ითვლებოდა და მას ოჯახი იცავდა „პოროტი სულებისაგან“, ავი თვალისა და „უწმინდური“ ქალებისაგან (როგორც მიაჩნდათ, მშობიარობის პირველ კვირეებსა და მენსტრუაციის დღეებში).

მარანში ატარებდნენ ზოგჯერ საოჯახო რელიგიურ რიტუალს, კლავდნენ შესაწირავ ცხოველს, იწერდნენ ჯვარს ან ბავშვებს ნათლავდნენ.

ამგვარი სალოცავი მარანი — ნაებობები ნანახია ქართლსა და სამეგრელოში, მაგალითად, სოფ. ბაზალეთში ლაშარის ჯვრის ნიშ-მარანი და საზედაშე ქვევრები. ლაშარის მარანში, რომელიც ამასთანავე ლაშარის ნიშიც იყო, სამი საზედაშე ქვევრი მიწაში იყო ჩაფლული, თითოეული 70 ლ ტევადობისა. ღვინოს ჭილურტში ყიდულობდნენ და ამ ქვევრებში ასხამდნენ. ზედაშედ წითელი ღვინო ერჩიათ. ამ ღვინოს ხარჯავდნენ ან საღმრთოში, რომელიც ხვნის წინ იმართებოდა, ან ლაშარის ჯვრის, გმირი კოპალეს, წმ. გიორგისა და თამარ დედოფლის დღეობებზე, რაც მკათათვის პირველს უწევდა. საზედაშე ქვევრს საღმრთოში მოხმარების წინ მოხსნიდნენ ხოლმე პირს. ზედაშეს მოხმარების შემდეგ შეიძლებო-

¹ В. В. Бардавелиձ է, დასახელებული ნაშრომი, გვ. 65.

და კიდევ ეყიდათ ღვინო და კვლავ ჩაესხათ ქვევრებში მო-
დევნო დღეობისთვის¹.

სალოცავი მარან-ნაგებობები გავრცელებული იყო სამეგ-
რელოშიც. ამგვარ ნაგებობებს საჯვარეს ან ოხვამერი მარანს
უწიდებდნენ, რაც „სალოცავ მარანს“ ნიშავდა².

როგორც ვიცით, ძველი წელთაღრიცხვის IV—III საუკუნე-
ებში დასრულდა ერთიანი, აღმოსავლურ-ქართული სახელმწი-
ფოს ჩამოყალიბების პროცესი. გ. მელიქიშვილის ვარაუდით,
მცირეაზიური წარმოშობის ქართველურ ტომებს აქტიური
წვლილი მიუძღვით ამ რთული პროცესის დასრულებაში და
მცირეაზიული ტრადიციები სწორედ მათი მეშვეობით უნდა
დანერგილიყო როგორც საკულტო-რელიგიურ სფეროში, ისე
მატერიალურ კულტურაში. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს,
რომ იბერიის ოფიციალური პანთეონის სათავეში ხეთურ-
მცირეაზიული სახელის მატარებელი ღმერთები ჩნდებიან და
მცირეაზიული წარმოშობის ტოპონიმები უმკვიდრდებათ შიდა
ქართლის ტერიტორიაზე წარმოშობილ საქალაქო ცენტრებს³.

ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროსთან ურთიერთობათა ანა-
რეკლი კარგად იგრძნობა სამაღლო — ნასტარის — ციხია-გო-
რაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებში.

მ. წ. II ათასწლეულის ხეთური მითი ნაყოფიერებისა და
მცირეაზეულობის მფარველი ღვთაების — ტელეფინუსის შესახებ
ქართულ სამყაროში აისახა და მისი ანარეკლი დღევანდლამ-
დეა შემორჩენილი ქართულ სინამდვილეში. ეს არც არის გა-
საკვირი, ვინაიდან კოლხეთსა და იბერიაში ყოველთვის ნაყო-
ფიერი ნიადაგი იყო მომზადებული ვაზთან დაკავშირებული
განაყოფიერებისა და აღთრძინების ღვთაებათა კულტის და-
სამკვიდრებლად.

ხეთური პანთეონის პოპულარული ღვთაების — ტელეფინუ-
სის სახელი შემორჩია არა მარტო ქართულ გეოგრაფიულ სა-
ხელწოდებებს, არამედ იგი სვანური ფერწულის სახელწოდე-

¹ ვ. ბართაველი ბე, აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები, თბ., 1974, გვ. 96.

² Н. С. Топурия, Из истории материальной культуры грузинского народа (Обычаи, связанные с виноградарством и виноделием в запад. Грузии), Тб., 1954, Автограферат.

³ ვ. თოლთავა, დაქრძალვის წესები ელინისტური ხანის სა-ქართველოში, თბ., 1980, გვ. 65.

ბასა და თვით შინაარსშიც შემოინახა. მაგალითად, კოლხეთის ციხე-სიმაგრე „ტელეფისი“, სოფელი ტელეფა (ჩხაშული ტელეფის გარეთ არის), „ტოლების მთა“, სოფელი ტოლები (სამტრედის რაიონი); ძველი ქართული ცეკვის სახელწოდება „თუღო“, სქესობრივი დამთკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვა „ტულაობა“, განაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაების სადიდებელი სვანური ფერხულის სახელწოდება „მელიად ტელეფია“, ან „მელიად ტულეფია“¹.

ერთი შესედვით, ეგებ უცნაურად მოგვეჩვენოს სქესობრივი შინაარსის სიტყვის დაკავშირება ტელეფინუსის, როგორც ღვთაების, სახესთან. მაგრამ გავიხსენთ, რომ ტელეფინუსი ნაყოფიერებისა და მცენარეების ღვთაებაა. „სვანეთში დაცული ადრეკილამ დღესასწაულის „მელიად ტულეფია“, ანუ „ტელეფიად“ შესაძლებელია სქესობრივი დამთკიდებულების აღმნიშვნელ ტულაობასთან იყოს დაკავშირებული. ამდა, მას შემდგომ, რაც მე-14 ს. ქ. უწინარესი საუკუნის ხეთური ლურსმული ტექსტი აღმოჩნდა, რომელშიც ნაყოფიერების ღვთაების—ტელეფინუშის წასვლა და ამის გამო ქვეყანაში მოუსავლიანობისა და უნაყოფობისა, ხოლო შემდგომ ამ ღვთაების კვლავ უკან დაპრუნების წყალობით, ისევ მოსავლიანობა-ნაყოფიერების აღდგენის ამბავია მოთხრობილი, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრეკილამ ლაშტური ფერხულის სიმღერის სიტყვები „ადრეკილად წაგვივიდა და მოგვივიდა“ ამავე, უკვე ქ. წ. მე-14 ს. ტექსტში აღბეჭდილი სარწმუნოებრივი თქმულების ანარეკლს წარმოადგენს და მელიად ტელეფია-ც სწორედ ამ ღვთაება ტელეფინუშ-ის სახელია“².

უნდა აღნიშნოთ, რომ ადრეკილამ ლაშტური ფერხული და სვანური „მელიად ტულეფია“ სქესობრივი განაყოფიერების, შვილიერებისა და, საერთოდ, მოსავლიანობის მფარველი ქართული ღვთაების — „კვირიას“ საღლესასწაულო რიტუალის შემადგენელი კომპონენტებია. ამასთან, ბუნების გაღვიძებისა და აღორძინების ცნება თავის თავში გულისხმობს განაყოფიერების სიმბოლურ გაგებას. ნათქვამის დამადასტურებ-

¹ დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948, გვ. 12.

² ი. ჯავახიშვილი, ქართული და ქავკასიური ენების თავდაპირული ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 250.

დად შეგვიძლია დავასახელოთ დიონისეს კულტი, როგორც
ბუნების გაცოცხლებისა და აღორძინების ფუნქციის მატრიკული
ბელი, რაც მთიცავს განაყოფიერების ძალის სიმბოლურ ცენტ-
ბას. გავიხსენოთ ისიც, რომ უძველესი ხეთების მიერ კლდეზე
ნაკვეთი ნაყოფიერების ღმერთი პურის თავთავებითა და ვაზის
მტევნებით იყო შემქუდი.

თრიალეთის ყორძან კურუსტაშის ვერცხლის სასმისზე, რო-
მელიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანას განეკუთვნება (მცირე
აზიისა და მესოპოტამიის დიდი სახელმწიფოებრივი წარმო-
ნაქმნების ხანა¹), გამოსახულია მხეცისთავიანი, მელიისკუდი-
ანი და ტუნიკით მოსილი 23 არსების მსვლელობა. ისინა
დგანან სკამზე მჯდარი არსების წინაშე. ხელში თითოეულს
დიდი სასმისი უჭირავს. სკამზე მჯდარი არსების უკან ჩანს
„სიცოცხლის ხე“ (რომლის ძირში ორი მდინარე მოედინება),
ხოლო წინ — სამფეხა სამსხვერპლო, მაღალი ჭურჭელი და
ორი ცნოველია.

შ. ამირანაშვილმა² და პ. უშაკოვმა³ ზემოაღნიშნულ ვერ-
ცხლის სასმისზე გამოსახული პროცესია განახლებისა და
აღორძინების ღვთაების — ტელეფინუსის საკულტო მისტერი-
ის გამოსახულებად მიიჩნიეს.

პ. უშაკოვის აღიარებით აშკარაა, რომ XV—XIV საუკუნე-
ებში ძვ. წ. საქართველოში უკვე არსებულა მაღალი კულტუ-
რა, რაც საქართველოს უძველეს მოსახლეობას ხეთური წრის
მოწინავე ხალხებს უკავშირებს⁴.

ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ შემთხვევი-
თი არ უნდა იყოს თრიალეთის ვერცხლის სასმისზე წარმოდ-
გენილი საკულტო რიტუალის შემსრულებელთა ტანსაცმელზე
გამოსახული მელიის კუდი და სვანურ სარიტუალო ფერხულ-
ში „ტელეფინიასთან“ ერთად „მელიას“ ხსენება.

შესაძლოა, ლაშქურსა და სვანურ ფოლკლორსა და სარი-
ტუალო ყოფაში შემოინახა უფრო ძველი ურთიერთობების

¹ Б. Куптин, Археологические раскопки в Триалети, ст. 87, 145.

² პ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1943, ტ. I, გვ. 34.

³ П. Ушаков. Хеттская проблема, тხუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 111.

⁴ იქვე:

ამსახველი მასალები (რაც მოსალოდნელია), ქართველ ტოშთა ხეთებთან გენეტიკური კავშირების დროინდელი სტენოსის უძლებელი მენტების ანარეკლი.

კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ (ანუ ბერძნულ-რომაულ) სამყაროსთან მეტად ფართო და მრავალას-პექტიანია, ვინაიდან საქმე გვაქვს არა მარტო სხვადასხვა ტიპისა და სტრუქტურის საზოგადოებათა ურთიერთობთან, არამედ ფრიად სხვადასხვა ხასიათის (პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ) კონტაქტებთან, რომლებიც ვითარდებოდა განსხვავებულ პირობებში თითქმის მთელი ათასწლეულის მანძილზე—ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნის ნახევრიდან ჩვენი წელთაღრიცხვის III—IV საუკუნეებამდე¹.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV—III საუკუნეებში იბერიის ტერიტორიაზე ნათლად იგრძნობა ელინისტური კულტურის ნაკვალევი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთმა თავიდან აიცილა ელინიზაციის ძლიერი გავლენა, რაც ერთობ საგრძნობია ბერძნული კოლონიზაციის მთელ რიგ რაიონებში².

ადსანიშნავია, რომ კოლხეთს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ელინთა მატერიალურსა და სულიერ ცხოვრებაში. კოლხურ ტომებს ჯერ კიდევ უსიოვარი დროიდან გააჩნდათ ძალიან მჭიდრო, ზოგჯერ გენეტიკური კავშირებიც კი, ეგეოსის აუზისა და მცირე აზიის ხალხებთან³.

ზემოაღნიშნულმა მჭიდრო კონტაქტებმა, უდავოდ, დატოვათვისი კვალი ხალხთა მითოლოგიურ აზროვნებაში. თავდაპირველად მეზობელ ხალხთა მითოლოგიური სახეებით გამდიდრებული დიონისეს კულტი კლასიკური ფორმით კვლავ უბრუნდებოდა პირველსახეთა წარმოშობისა და გავრცელების ადგილებს.

ანტიკურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობაშ თავის მხრივ განაპირობა დიონისეს კულტის გავრცელება იბერიასა და კოლხეთში, თუმცა ამ ქვეყნებში ვაზისა და ღვინის კულტის გავრცელებისთვის იმთავითვე ნოუიერი ნიადაგი არსე-

¹ О. Д. Лордкипанидзе, Античный мир и восточное при-черноморье, Кавказ и средиземноморье, Тб., 1980, гл. 7.

² О. Д. Лордкипанидзе, დასახელებული ნაშრომი, гл. 16.

³ А. В. Урушадзе, Страна волшебницы Меден, Кавказ и Средиземноморье, Тб., 1980, гл. 22.

ბობდა. ვანისა (ხელმძღვანელი ო. ლორთქიფანიძე) და ნაჟტა
კისის (ხელმძღვანელი ა. ბონოჩაძე) არქეოლოგიურმა ექსპე-
დიციებმა შუქი მოპფინეს საუკუნეთა განმავლობაში ფერწერის
წაყრილ ისტორიას. დიონისის საკულტო ტაძართა ნანგრევები-
სა და სხვა უძვირფასესი მასალების აღმოჩენამ დაადასტურა
დიონისის კულტის ფართო გავრცელება და პოპულარობა
კოლხეთსა და იბერიაში.

ადგილობრივი კულტების არსებობას ხელი არ უნდა შე-
ეშალა მეტად პოპულარული დიონისის კულტის დანერგვის-
თვის საქართველოში, პირიქით, დიონისის კულტს საქართვე-
ლოში დიდი ხნის წინ შემზადებული ნიადაგი დახვდა.

მსგავს მოვლენებს ვხედავთ რომაულ მითოლოგიასა და
რელიგიაში, სადაც ახალი კულტების შეღწევას არ გამოუწევა-
ვია ადგილობრივი, ძველი კულტების დამხობა. რომაელები
თავიანთ ღმერთებთან ერთად თაყვანს სცემდნენ ბერძნულ და
ეგვიპტურ კულტებს. ეს დამახასიათებელია არა მარტო რომა-
ული მითოლოგიისა და რელიგიისთვის; ასე იყო ბაბილონურ
რელიგიაშიც, რომელმაც შეისისხლხორცა მრავალი ელემენტია
უფრო ძველი შუმერული რელიგიისა, ავრეთვე, ძველ ეგვიპ-
ტელთა რელიგიისა, რომელმაც, თავის მხრივ, კარგად შეით-
ვისა სირიული ღმერთების — ბაალის, ასტარტის, ქადეშისა და
რეშეფის კულტები¹.



კაცობრიობის დევრიტა ზედრთულია და უცვლელი,
წარმავალია მისი გამოვლენის ფორმები.

ზურაბ გიგნაძე

ჯერ კიდევ უძველეს ხანაში ვაზისა და ღვინის სიმბოლი-
კის ჩასახვასთან და განვითარებასთან ერთად მისი საინტერე-
სო ფორმები იქნა ნაპოვნი სახვით და გამოყენებით ხელოვ-
ნებასა და პოეზიაში.

ვაზი ყოველ დროსა და საუკუნეში არა ერთი მხატვრისა
და პოეტის, მოქანდაკისა და ხალხური ოსტატის შთაგონების

¹ Тренченеи — Вальдапфель Имре, Мифология, М., 1959.

წყაროდ ქცეულა. „ვაში ხელოვნებასა და ლიტერატურაზე“ დიდი და მრავლისმომცველი თემაა, რომელის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახით წარმოდგენა შეუძლებელია მრავლების მიმოხილვაში, ამიტომ ჩვენც ზოგიერთი მომენტის აღნიშვნით დაკვრაუფილდებით.

ჯერ კიდევ უძველეს ხეთებს კლდეზე ამოუკვეთავთ ნაყოფიერების ღმერთი, რომელსაც ერთ ხელში პურის თავთავები უჭირავს, მეორე ხელი კი ყურძნის მტევნებით აქვს დამშვენებული. მის წინ მღლოცველის პოზაში დგას ხეთების მეფე ვარპალავასი. წვრიშის კლდის რელიეფური სიუჟეტი ეკუთვნის 730 წელს წვენს წელთაღრიცხვამდე. აღსანიშნავია, რომ კომპოზიციის ავტორს შინაარსისთვის გარეგნული გამოხატვის ფორმაც შესაფერისი შეურჩევია. ნაყოფიერების ღმერთი მსხვილი ნაკვთებით გამოირჩევა, წვერი და თმა ყურძნის მტევნისმაგვარი აქვს, მკლავები და ხელის მტევნები დიდი და ძლიერი; იგრძნობა, რომ მსხვილი და ძლიერი ფეხებით მყარად დგას და მომღლიმარი იერით გასცემის ვარპალავას. მეფის გამოსახულება წვეულებრივი ადამიანისთვის დამახასიათებელი პროპორციების მქონეა, ღმერთის ფიგურასთან შედარებით მომცრო ზომისაა (ილ. II).

მაღალ განვითარებას მიაღწია აქალის სახვითმა ხელოვნებამ სარგონიდების ეპოქაში. თუ ურის I დინასტიისდროინდელ პერიოდში წვენ ვხვდებით ცხოველების რეალისტურ გამოხატვას, აქადური ხელოვნების ოსტატები მშვენივრად ახერხებენ ადამიანის რეალისტური სახის შექმნას. მეტად საინტერესოა სპილენძისაგან გამოყვანილი ორი მოჭიდავას ფიგურა, რომლებიც ჭიდაობის პროცესში ცდილობენ თავებზე შემოდგმული სასმისების წონასწორულ მდგომარეობაში შენარჩუნებას. ეს ფიგურა მეტად რეალისტურ პლანშია გადაწყვეტილი და ზოგადი კონფიგურაციითა და ხასიათით ქართველი ოსტატის მიერ შესრულებულ მცირე სასმისს მოგვაგონებს.

ასურული ხელოვნება განვითარების მაღალ საფეხურს ერთხელ კიდევ (და უკანასკნელად) აღწევს ასურბანიფალის (668—633 წწ. ძ. წ.) მმართველობის დროს. ასურელი ოსტატები შემერელი ანიმალისტების ბრწყინვალე გამგრძელებლად გვევლინებიან ასურბანიფალის რელიეფებში.

ერთ-ერთ რელიეფზე ასურპანიფალი გამოსახულია დავით მეუღლესთან ერთად. ისინი ვაზის ხეივანში ნადიმბორი (იღ. XI). ხეზე გაშვებული ვაზი (მაღლარი) „სიცოცხლის წიგნის“ სიმბოლურ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ.

ასურპანიფალის რელიეფებში ჩვენ ვწვდებით ცხოველთა რეალისტურ გამოსახულებებს, სადაც ასურელ თსტატთა საშემსრულებლო ხელოვნება სრულყოფილებამდე არის ასული. ერთ-ერთ რელიეფზე ნინევიიდან ასახულია ბაღი, ფინიკია ბაღმა და ხეზე გასული ვაზი (მაღლარი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სიცოცხლის წის“ სიმბოლო. ვაზის ძირში წევს ძუ ლომი, ხოლო მის გვერდით დგას ხვადი (იღ. XII).

ხეზე გაშვებული მსხმოიარე ვაზის ძირში ლომის გამოსახვა, ვფიქრობთ, გარკვეულ სიმბოლიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ვაზის ძირში მწითლიარე ლომის ან არწივის გამოსახულებები ქართულ ძეგლებში არაერთგზის გვხვდება. ეს სიუჟეტური პლანი, ერთი შეხედვით, შუამდინარეულ მითოლოგიურ ელემენტებს ენათესავება, თუმცა, შესაძლოა, ეს სიახლოვე, ფორმობრივ მსგავსებას არ სცილდებოდეს. საერთოდ, ამგვარი კომპოზიცია მარტო ქართულ ძეგლებში არ გვხვდება, იგი მთელი ძველი სამყაროსთვის დამახასიათებელი მოარული მითოლოგიური სიუჟეტია.

თუ გავითვალისწინებთ მოსაზრებას, რომ კოლხიდურზე ამოტვიფრული ლომი სიმბოლურად მზეს გამოსახავს¹, ხოლო ლომი მითოლოგიურად ცხოველთა სამყაროს მპრძებლად, მეფედ არის მიჩნეული, მაშინ, შესაძლოა, ღმერთის მიერ ვაზის წმინდა მცენარედ — „სიცოცხლის ხედ“ მიჩნევა და მასათან ლომის დაკავშირება უმაღლესი კატეგორიების (მზე — ლომი — ვაზი) ღვთაებრივი ურთიერთკავშირის სიმბოლურ გამოხატვად მივიჩნიოთ. ასევე შეიძლება ითქვას მარტვილის ტაძრის ფრაგმენტზე გამოსახულ სიუჟეტზეც, სადაც ვაზის გვერდით არწივია გამოსახული (არწივი ხომ ფრინველთა სამყაროს მპრძებელი), ანდა ბაგრატის ტაძრის სვეტისთავზე გამოხატულ ვაზისა და ლომის კომპოზიციაზე.

მითოლოგიურად მზე არის ვაზისთვის სასიცოცხლო ძა-

¹ О. Лордкипани дзе. Античный мир и восточное причерноморье, Кавказ и Средиземноморье, Тб., 1980, гл. 12.

ლის მიმნიჭებელი, მისი ცხოველმყოფელი სხივების ზემოქმედებით იქცევა ვაზის ღვთიური წვენი „სიცოცხლის სისმელად“, რომელიც უზენაესის მიერ ქვეყნის მბრძანებელთა და ხალხის პატრონად და ღვთის ნება-სურვილის აღსასრულებლად წარმოგზავნილ მეფეს მოაქვს ხალხისთვის. ქართველი ტომების წარმოდგენით, კოლხეთის მეფე აიტი მშისაგან წარმოიშვა, ხოლო მზე ყველაზე მეტად აღიარებული ღვთაებაა ქართველი ტომების წარმართულ პანთეონში.

უკეთე ამ თვალსაზრისით მივუდგებით საკითხის განხილვას, მაშინ ხეთების მიერ კლდეზე ნაკვეთი სიუჟეტი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ნაყოფიერების ღმერთი პურსა და ყურძენს (ანუ ღვინოს) — „ჭამადს სიცოცხლისას“ და „სასმელს სიცოცხლისას“ უძლენის მეფეს, რათა მან თავის ხალხს მიუტანოს საარსებო საკვები. ღმერთს კეთილი ღიმილი აღბეჭდვია სახეზე. აღნიშნული სიუჟეტის ამგვარი ინტერპრეტაცია შუამდინარული მითოლოგიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს.

„სიცოცხლის ხის“ სიმბოლურ გამოხატულებას ვხედავთ ასურულ რელიეფში, რომელიც ასურნასირფალ II-ის ქალწურ სასახლეს ამშვენებდა (ძვ. წ. 883—859 წწ.). რელიეფზე გამოსახულია არწივისთავიანი და ფრთებიანი ღვთაება, რომელიც „სიცოცხლის ხიდან“ მარჯვენა ხელით წყვეტს ყურძნის მტევანსა თუ გირჩს (ილუსტ. XIII). ქალწურ სასახლის რელიეფია მეორე დეტალზე გამოსახულია ასურნასირფალ II თასით ხელში.

ვაზ-ყურძნის სიმბოლური გამოსახვის შესანიშნავი ფორმები იქნა ნაპოვნი უძველესი ხანის გამოყენებით ხელოვნებაში. მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეს უპირატესად გამეღლავნდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭლისა და სამკაულების მხატვრულ გაფორმებაში.


ალაზნის ველზე, სოფ. არხილოსკალოსთან აღმოჩენილ სამარხეულში, რომელიც ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნის მახლობელ ხანას განეკუთვნება, მოპოვებულია ერთი წყება საგნებისა (ჭურჭლი, სამკაული და სხვ.), რომელია შესამჯობად გამოყენებულია ვაზ-ყურძნის მოტივები, რაც იმას მოწმობს, რომ მევენახეობა-მეღვინეობის ხანგრძლივი მოწიფელი კულტურა მკვიდრადაა შესული მოსახლეობის



VII. ପରିମାଣିତ ଚିତ୍ରଜୀବିତ
ଶଙ୍ଖ ଦ୍ୱାରା ଆବଲିନିତ
ଲାଭ — ଲାଗନାଳୀ ହାତିଆରୁ
ଲାଭ. ଏ. VI. ବାଲ୍ପରିବଳ
III. ଥେଟାକ୍ଷେତ୍ର



VIII. ପରିମାଣିତ ଶଙ୍ଖ କୋଟା
ବାଲ୍ପରିବଳ ଶଙ୍ଖରେ ଆବଲିନିତ
ଲାଭ. ଶିଖାରାଜିତ ଶଙ୍ଖରେ ଲାଭ
ଲାଭରେ ଶିଖାରାଜିତ ଶଙ୍ଖରେ ଲାଭ
ଲାଭ. କୋଟା. ଏ. V. IV ବା
ଲ୍ପରିବଳ ଅବାର୍କୁଳ.



X. პრაქსიტელი. ჰერმესი
და ყრძა დიონისე. ძვ. წ.
IV საუკუნე.

ყოფაშიც, აზროვნებაშიც და მხატვრულ შემოქმედებაშიც
მეტად საინტერესოა არმაზისხევის, სამთავროს, ბაგინეთი
სა და ბორის სამართებში აღმოჩენილი ვერცხლისა და მტევნების
ჯაოს საღვინე სურები; ერთ-ერთ მათგანს (არმაზისხევისას)
ყურშე ამოჭრილი აქვს მტევნებიანი ვაზის გამოსახულება;
არმაზისეული აზარფეშა და პინაკი ვაზის რტო-ფოთლებითა
და მტევნებით არის შემკული; არმაზისხევურსა და ეგებ არც-
თუ უცხოეთში გაკეთებულ ვერცხლის პინაკშე გამოხატულ
ქალს ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს, რომლიდანაც ყურძნის
მტევნები მოჩანს. სამთავროს, ბორისა და კლდეეთის ოქროს
საყურებები ყურძნის მტევნისებური სამკაულითაა დამშვენე-
ბული¹.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, აღმოსავლეთ სა-
ქართველოში ვაზის ელემენტების საყურედ გამოყენება მა-
სობრივი მოვლენაა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკე-
ნეებში.

სოფელ ბორთან ახლოს აღმოჩენილი ვერცხლის ორყურა
თასზე, რომელსაც ორმაგი ძირი აქვს, რელიეფურად არის
გამოსახული ვაზის ფოთლები და ყურძნის მტევნები. ეს თასი
ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნით არის დათარიღებული².

ძველ ეგვიპტეში სასაფლაოთა კედლებშე ხშირად გამოხა-
ტავდნენ ყურძნის კრეფის სცენებს. მაგალითად, ეს სიუჟეტი
ნანახია საკარაში, V და VI დინასტიების სამართებში, ელ-ბერ-
შის XII დინასტიის სამართში, ამავე პერიოდის ბენი-ჰასანის
სამართებში. XVIII და XIX დინასტიების (თებეს) ნეკროპოლი-
სა და საისის პერიოდის ერთ სამართში ნაპოვნია გამოსახულე-
ბანი ყურძნის კრეფის, ფეხებით ყურძნის ჰყულეტისა და გამო-
წურვისა. როგორც ამ გამოსახულებებიდან ჩანს, ყურძნეს ფე-
ხებით მანამ ჰყულეტდნენ, სანამ წვენი მთლიანად არ გამოი-
წურებოდა³.

ადსანიშნავია ვაზის ელემენტების გამოყენება საფლავის
ქვის ორნამენტებში საქართველოში, კერძოდ, იმერეთში, სა-
დაც საფლავის ძეგლებისთვის დამახასიათებელია მცენარეუ-

¹ საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 316.

² Е. Придик, Новые кавказские клады, П., 1914.

³ А. Лукас, Материалы и ремесленные производства Древнего Египта, М., 1958, გვ. 56.

ლის, ფრინველთა და ცხოველთა ე. წ. „ლაზური ტიპის“ თანა
მენტები¹.

ვაზის სტილიზებული გამოსახულებებით არის კულტურული
ბული ვანის ნაქალაქარის გათხრების შედეგად აღმოჩენილი
ცალკეული არქეოლოგიური ძეგლები².

სევასტოპოლის გათხრილი ერთ-ერთი სარკოფაგის კედე-
ლი დამშვენებულია დიონისეს სიუჟეტზე შექმნილი რელიე-
ფით, რომელზეც გამოსახულია ვაზი მწიფე ყურძნის მტევნე-
ბით, ბიჭუნებითა და ადამიანთა პროფილებით. რელიეფი
ჩვენი წელთაღრიცხვის II—III საუკუნეებით თარიღდება. მეო-
რე რელიეფი კი მეუღლების — ფემისტასა და ვასილკას სარ-
კოფაგს ამშვენებს. ისიც შემკულია ვაზისა და ყურძნის მტევ-
ნებით დახუნძლული ლერწის გამოსახულებებით. სარკოფაგი
ჩვენი წელთაღრიცხვის II—III საუკუნეებს ეკუთვნის³.

ანტიკურ შავიზღვისპირეთში დიონისეს კულტის ფართოდ
გავრცელების დამადასტურებელია ქერჩ-ხერსონესის გათხრე-
ბის შედეგად მოპოვებული მასალებიც. აღმოჩენილია რო-
გორც დიონისეს სტატუსტები და ცალკე თავის გამოსახულე-
ბა (ძვ. წ. IV—III საუკუნეები), ისე შავფიგურიანი ოინთორია
და კრატერი (ძვ. წ. VI—V საუკუნეები) დიონისეს გამოსახულე-
ბებით. კრატერის გაფორმება ფერმწერ ლიდოსის ყალამს
ეკუთვნის.

ტირიტაკში ნაპოვნი დიონისეს სტატუსტი (ძვ. წ. III საუ-
კუნის დასაწყისი) გამოიჩინევა სხეულის თავისუფალი, ლამაზი
მოძრაობით და არ ჩამოუვარდება ძვ. წ. IV—III ს-ების ბერძე-
ნი ოსტატების საუკეთესო ნამუშევრებს. ხერსონესში ნაპოვნი
დიონისეს თავის ფორმის სასმისი აზალი წელთაღრიცხვის
I—II საუკუნეებით თარიღდება⁴.

დიონისეს თემას ხელოვნების არა ერთი ნიმუში მიეძღვ-
ნა; მათ შორის აღსანიშნავია მისივე პორტრეტული და სიმ-
ბოლური გამოსახულებანი.

დიონისეს გამოსახულება მრავალფეროვანია. განსაკუთრე-

¹ ვ. ბარ დავითიძე, ივრის ფრავლებში, ენიმეის მოამბე, 1941,
თბ., ტ. XI, გვ. 75—76.

² ქ. რამიშვილი, ტერაკოტები ვანიდან, ვანი II, თბ., 1976, 33.
204.

³ Г. Соколов, Античное причерноморье, Л., 1973.

⁴ იქვე.

ბით უნდა აღინიშნოს დიონისეს სკულპტურული ფიგური, რომელსაც ასაკოვანი იერი აქვს და გრძელი, კოშებამდე მრავალი მოსახური მოსავს. აქ დიონისე აღმოცენებადი ძალის მამაკარაულია მოხატავს. დიონისეს ეს გამოსახულება ცნობილია „ინდო-ეთის ვაკზის“ სახელწოდებით¹, მაგრამ ეს მცდარი ვერსიაა, გამოსახულება წმინდა ბერძნულია.

ძველ საბერძნეთში დიონისეს საკულტო გამოსახულების უძველეს ფორმად მიჩნეულია ხის სვეტზე მისი სახის გამოსახვა, ანდა მასზე თიხის ნიღბის ჩამოკიდება².

V საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფართოდ მკვიდრდება დიონისეს საკულტო გამოსახულებანი, რომლებშიც ხაზგასმულია მისი მრავალმხრივი ძალა. ამას ადასტურებს დიონისეს ყველა თანამდევი ატრიბუტის წარმოდგენა მის საკულტო გამოსახულებებთან ერთად³.

ხელოვნებაში ყველაზე ხშირად გვნედება უწვერული დიონისე. იგი მშვენიერი ჭაბუკია, თითქმის ქალური სილამაზისა. ხუჭეჭა, ტალღოვანი თმა ვაზის ლერწებითა და სურთი აქვს დამშვენებული. ტანსაცმლის მაგივრად მოცმული აქვს თხის ტყავი, ოდნავ შესამჩნევად მოჩანს რქები. ამგვარი ჭაბუკური იერით დიონისე გამოსახავს ღვინის ღმერთს⁴.

ბერძენმა ფერმწერმა არისტიდემ დახატა დიონისეს მშვენიერი პორტრეტი. კორინთოს აღების შემდეგ ეს სურათი გადაიტანეს რომში. პლინიუსის გადმოცემით, კონსულმა მუმიუსმა პირველმა გააცნო რომაელებს საზღვარგარეთული ხელოვნების ნიმუშები და მათ შორის ეს პორტრეტიც.

პერგამოსის მეფემ — ატგალმა, სამხედრო ნადავლის გაყოფის დროს კონსულს ექვსასი ათასი დინარი შესთავაზა არისტიდეს ნახატისთვის. გაოცებული მუმიუსი მიხვდა, რომ დიონისეს სურათში რაღაც სასწაულმოქმედი ძალა იყო ჩაქსოვილი, რომელსაც იგი თავად ვერ გრძნობდა და სურათი აღარ

¹ Менуар Р., Мифы в искусстве старом и новом. С.—П., 1899.

² Н. П. Кондаков, Греческие терракотовые статуэтки в их отношении к искусству и быту, 3400 Д, Т. II, Одесса, 1879, гл. 101—103.

³ М. А. Наливкина, Терракоты Мирмекия и Тиритака, МИА, № 25, 1952, гл. 334.

⁴ А. Г. Петискус, Олимп или греческая и римская мифология в связи с египетской, германской и индийской, 1873, гл. 169.

გაყიდა, მიუხედავად მეფის დიდი თხოვნისა. კონსულმა სურა-
თი ცერერას ტაძარში მოათავსა. ეს იყო პირველი სურათი,
რომში საჯაროდ გამოფენილი¹.

ვაზისა და ღვინის ახალგაზრდა ღვთაებას სხვადასხვა
მდგომარეობასა და ვითარებაში გამოსახავდნენ. იგი ხან ავა-
ზაზე ამხედრებული ჩანს, ხან კი ვეფხვებით გამართულ
ეტლში ზის. ვეფხვი, ავაზა და ფოცხვერი დიონისეს ჩვეულებ-
რივი მეგზურებია მისდამი მიძღვნილ ხელოვნების ნიმუშებ-
ში, რითაც ხაზგასმულია დიონისეს მითის აღმოსავლური წარ-
მომავლობა. ვაზი, სურო, კვერთი, თასი და დიონისური ნიღ-
ბები მისი ჩვეულებრივი ატრიბუტებია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენს წელთაღრიცხვამდე
IV საუკუნის მნიშვნელოვანი ძეგლი, პელას სასახლის მოზა-
კური კომპოზიცია — „ავაზაზე ამხედრებული დიონისე“²
(იღ. XVII).

ადრეულ საუკუნეებში სწამდათ, რომ სურო დათრობისა-
გან იფარავდა ადამიანს; ამიტომ იყო, რომ მოქეიფენი თავებს
სუროთი ირთავდნენ. ზოგიერთ გამოსახულებაში კვერთშე
ვაზია შემოწვეული, ზოგზე კი — სურო. კვერთის თავში ნაძ-
ვის გირჩია. საბერძნეთში, ბევრგან გირჩებს ღვინის დაყენე-
ბის დროს ხმარობდნენ.

დიონისესადმი მიძღვნილ მონეტებსა და შედალითნებშე
გამოსახავდნენ მითურ კალათს, რომელშიც ეწყო საზოგადო
მომსახურების დროს გამოსაყენებელი ნივთები, აგრეთვე, გა-
მოსახავდნენ ესკულაპისადმი მიძღვნილ გველს, რითაც ხაზს
უსვამდნენ ღვინის სამკურნალო თვისებებს.

ცნობილმა სკულპტორმა სკოპასმა, რომელიც ცხოვრობდა
ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებში, შექმნა მთვრალი ბაქტელი ქა-
ლის ქანდაკება. თმებგამლილ ქალს ახალდაკლული გარეული
თხა მოაქვს. ეს ქანდაკება თანამედროვეთა შორის დიდი პო-
პულარობით სარგებლობდა.

დიონისეს ორჯერ დაბადების მოტივი ხელოვნების მრა-
ვალ ნაწარმოებს დაედო სიუჟეტად. იგი გამოსახულია უძვე-
ლეს თიხის ჭურჭელსა თუ კამეაზე³.

¹ Рене Менуар, Мифы в искусстве, С. — П., 1899, гл. 155.

² Ю. Д. Колпинский, Искусство этейского мира и Древней Греции, М., 1970, гл. 87.

³ Рене Менуар, Мифы в искусстве, С. — П., 1899, гл. 168.

ძ. წ. V საუკუნის ცნობილმა ბერძენმა ფერმწერმა გვიაზე
ქსისმა ვაზის კულტურას უძღვნა მხატვრული ტილოური ფრესკები
ლიც შემდეგ საფუძვლად დაედო ცნობილ ლეგენდაში მათუა
ისტორიულ ანეგდოტებს¹. ამ სურათზე მწიფე ყურძენი ისე
ცოცხლად იყო გამოსახული, რომ ჩიტებს ნამდვილი ეგონათ
და ტებილი ნაყოფის შესაჭმელად სურათთან მიფრინდებოდ-
ნენ ხოლმე.

ძ. წ. V საუკუნის ანტიკურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი
წვლილი მიუძღვის ატიკელ სკულპტორ ფიდიასს (500—
490 წ. — 431 წ. ძ. წ.), რომლის ხელმძღვანელობით იყო
შექმნილი პართენონის მდიდარი სკულპტურული ანსამბლი.
ოლიმპიური ტაძრის ფრიზი მთლიანად არ არის ჩვენამდე
მოღწეული, მაგრამ ჩანს, რომ თავდაპირველად აქ უნდა ყოფი-
ლიყო გამოსახული 350-ზე მეტი ადამიანისა და 250-მდე ცხო-
ველის ფიგურა. ტაძარზე 12 ოლიმპიური ღმერთის ქანდაკე-
ბაა. აღმოსავლეთ ფრონტზე სხვა ღმერთებთან ერთად გამო-
სახული არიან დემეტრე და პერსეფონე; აქვე მწოლიარე პო-
ზაში გამოსახულია ახალგაზრდა ღვთაება — დიონისე.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე V—IV საუკუნეების პერიოდი
ბერძნულ ხელოვნებაში კლასიკურად ითვლება. ამ პერიოდის
ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქმნილებად, ეპიფავრის თეატრთან
ერთად, მინწეულია დიონისეს დიდი თეატრი ათენში, რომ-
ლის მშენებლობა დაიწყო V საუკუნეში და დასრულდა IV საუ-
კუნეში. თეატრი განლაგებული იყო აკროპოლისის სამხრეთ
ფერდობზე და აგებული იყო მარმარილოთი. იგი გაანგარიშე-
ბული იყო 17 ათასი მაყურებლისთვის. თეატრის პირველ
რიგებში მოთავსებული იყო მარმარილოსაგან გამოკვეთილი
სავარძლები საპატიო სტუმრებისთვის.

დელფოსში დიონისეს საკურთხეველი აპოლონის ტაძრის
ტერიტორიაზე მდებარე თეატრის მარჯვენა წინამხარეს ემიჯ-
ნებოდა. აპოლონის თეატრისა და დიონისეს საკურთხევლია
არსებობა ძ. წ. VI—II საუკუნეებით იფარვლება.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ ირანის დაპყრობის შემ-
დეგ მაკედონელებმა ძველი სალოცავის ადგილას ააგეს ათი-
ნას ტაძარი (III საუკუნე ძ. წ.). ამ ადგილებში ჩატარებული-

¹ История искусства зарубежных стран, М., 1979, гл. 134.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ფლორული ელინიზმის ბრწყინვალე ძეგლები, მათ შორის ტერაკოტული და ბრინჯაოს სტატუსები.
სისლოროვანი

მიღიაში, პერსეპოლისის დაწვიდან (330 წ. ძ. წ.) ნახევარი საუკუნის შემდეგ, იმ ადგილას, რომელსაც ნისას უწოდებდნენ, დენავარის ახლოს აგებულ იქნა ბერძნული ტაძარი, რომელიც დიონისეს უნდა ეკუთვნოდეს¹. გათხრების შედეგად ამ ადგილებში ნაპოვნია სილენის ექვსი ნიღაბი და ბიუსტი.

ერაყის მუზეუმში, ბაღდადში, ინახება დიონისეს ბრინჯაოს თავი ხათრიდან, რომელიც ძ. წ. I საუკუნით თარიღდება².

ძ. წ. IV საუკუნის ანტიკური ხელოვნება გულისხმობს ამათუ იმ საკულტო თუ მითური პერსონაჟის ინდივიდუალიზაციის უდიდეს მომენტს. ამ დროს გამოჩენილი ოსტატები გამოხატავენ ღვთაების არა უბრალოდ გარკვეულ ტიპს, არამედ ღვთაებას გარკვეულ სიტუაციაში³.

ყრმა დიონისე ზოგჯერ გამოსახულია თავისივე აღმზრდელთან — სილენთან ერთად. დიონისე ზოგჯერ პერმესს უჭირავს ხელში, ზოგჯერ კი მხარშე ჰყავს შესმული, როცა ღმერთების წარმოგზავნილს ყრმა დიონისე ნიმფებთან მიჰყავს.

ძ. წ. IV საუკუნის უდიდესი ბერძენი მოქანდაკის — პრაქსიტელის შემოქმედება ახალი ეტაპია ხელოვნების ისტორიაში. გრაფითა და დახვეწილი პარმონიით გამოირჩეა მისი მარმარილოს ქანდაკება — „პერმესი და ყრმა დიონისე“ (ილ. X). პრაქსიტელი ისტრაფვის გადმოგვცეს პერმესის ძლიერი და ლამაზი სხეულის მოძრაობის სიფაქიზე და კეთილშობილება. ოსტატი აღწევს მიზანს. იგი ავლენს მარმარილოს ფარულ შესაძლებლობას — შუქ-ჩრდილების რბილი, მოციმე თამაშის ეფექტით წარმოაჩინს უნაზესი ფაქტურული ნიუანსები⁴.

დიონისური სიუჟეტებით ლარნაკებისა და კილიკების მოხატვა გავრცელებული იყო ანტიკურ საპერძნელში. აღსა-

¹ В. Г. Луконин, Искусство Древнего Ирана, М., 1977, ვ. 103.

² о ј з 3.

³ Александрийская поэзия, 1972, გვ. 7—8.

⁴ Ю. Д. Коллинский, Искусство эгейского мира и Древней Греции, М., 1970, გვ. 87.

ნიშნავია ცნობილი ოსტატის — ბრიგას მიერ მოხატული ლიკი „დიონისე მენადეპთან და სატირებთან ერთად“ ვულჩი-დან, რომელიც ეკუთვნის დაახლოებით 490 წელს წელთაღრიცხვამდე; ე. წ. ოსტატ კარნეიუსის იტალიკური წარმოების კრატერი „დიონისე მენადეპთან“ წელი დელ კამ-პოდან (დაახლოებით 410 წ. ძვ. წ.); ძვ. წ. IV საუკუნის დასა-წყისის კილიკი ნოლიდან, რომლის შიგა ზედაპირზე გამოსახული არიან დიონისე და არიადნე. ეს უკანასკნელი მხარში შესდგომია მთვრალ დიონისეს, ხელი წელზე შემოუქვევია და მეუღლე მოსასვენებლად მიჰყავს. კილიკის გვერდები წრეზე დამშვენებულია ვაზის ფოთლების ფაქიზი და მსუბუქი გამოსახულებებით (ილ. VIII).

ლარნაკის ფერმწერთა ანტიკურ თსტატებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ექსეკიუსის შემოქმედება. მის ყალამს ეკუთვნის მექობრეთა მიერ დიონისეს შეპყრობის შესახებ შექმნილი მითის თემაზე მოხატული კილიკი — „დიო-ნისე ხომალდზე“ ვულჩიდან, რომელიც დაახლოებით 535 წელს ეკუთვნის ძველი წელთაღრიცხვით (ილ. IX).

ოსტატი გადმოგვცემს ლეგენდაში აღწერილი მოვლენების შედეგს, ფინალს: დიონისე კვლავ დმერთკაცის იერით წამოწოლია ხომალდზე, რომელსაც გარს შემოხვევიან დელფინები. მთელს ამ კომპოზიციას გვირგვინად ადგას ყურძნის კუმსი მტევნებით დატვირთული, ანძაზე ამოზრდილი ვაზის გამოსახულება, რაც კომპოზიციის ცენტრში გამოსახული დიონისეს გამარჯვების სიმბოლოდ აღიქმება და ლამაზად უსვამს წერტილს ამ წარმტაცი ლეგენდის მხატვრულ-ეთმ-პოზიციურ ქარგას.

ექსეკიუსის ქმნილება არის ძველ ბერძენთა მეტაფორული და პოეტიური აზროვნების ბრწყინვალე მაგალითი, აზროვნებისა, რომელშიც მთელის დეკორატიული გამომსახველობა მშვენივრად ერწყმის სახობრივ-პოეტიური ასოციაციების მრავალფეროვნებას¹.

უკანასკნელი წლების ვანის, ნასტაკისის, სარკინეს, ალაიანისა და ძალისის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მრავალ-საუკუნოვანი ფერფლი გადააცალეს საქართველოში დიონი-

¹ Ю. Д. Колпинский, Искусство эгейского мира и Древней Греции, М., 1970, гл. 47.

სეს კულტის ფართოდ გავრცელების დამადასტურებელ მიზანებს.

ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე „მოზაიკურით მუშაობები“ ნაგებობის გასუფთავებისას სხვა მასალასთან ერთად აღმოჩნდა დიონისეს წრის სხვადასხვა ღვთაებათა (პანი, სატირი, არიადნე, მენადები) თავების ექვსი პორტლიფური გამოსახულება, აგრეთვე, ამფორები და ქვევრები. ეს ნაგებობა აგებული უნდა იყოს ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მოზაიკურიატაკიანი ნაგებობა, რომლის დასავლეთ ნაწილში საკურთხეველია აგებული, წარმოადგენს საკულტო ნაგებობას — ტაძარს¹.

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული მრავალფეროვანი მასალიდან გამოიჩინევა ტერაკოტული გამოსახულებები, რომლებიც ქალღმერთ დემეტრესა და დიონისეს საკულტო წრეს ეკუთვნის. ვანის ტერაკოტები (ქანდაკებები და ნიღბები) თარიღდება ელინისტური პერიოდით — ძვ. წ. II—I საუკუნეებით. კარიბჭის ჩრდილოეთით, კრამიტის ნატეხებისა და დანახშორებული ხის ნამთებში აღმოჩნდა გვირგვინით თავშემკული დიონისეს ნიღაბი. დიონისეს ტერაკოტასთან ახლოსვე ნაპოვნია ორმოცამდე მცირე ზომის კოჭობი (ქოთნის მოყვანილობის ჭურჭელი). გავიხსენოთ დიონისური ანთესტერიების (საგაზაფხულო დიონისიობის) მესამე დღე, ანუ ქოთნების დღე (khitros), როცა ყვავილებთან და ღვინოსთან ერთად დიონისეს სწირვადნენ ქოთნებს. როგორც ჩანს, ტერაკოტა და ქოთნები გადმოქცეული კედლისა და კრამიტის დაწილისაგან ჩალეწილა².

ვანის დიონისეს ნიღაბი საკულტო დანიშნულებისა უნდა იყოს. ამგვარ ნიღბებს ჰკიდებდნენ ღვთაებისადმი განკუთვნილ სამლოცველოში ან უბრალოდ წმინდა ადგილზე³.

ანტიკური იბერიის ქალაქის — სარკინეს გათხრების დროს (ხელმძღვანელი ა. ბოხოჩაძე) აღმოჩენილია ტერაკოტული

¹ 6. ხოშტარია, თ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს, ვანი I, თბ., 1972, გვ. 178.

² 6. ხოშტარია, თ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ლეზავა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს, ვანი I, თბ., 1972, გვ. 158—159; ქ. რამიშვილი, ტერაკოტები ვანიდან, ვანი II, თბ., 1976, გვ. 202.

³ ქ. რამიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 201.



ნიღბები და სტატუეტები — ელინისტური პლასტიკის პრეცენტი — გალენის ნიმუშები. ერთ-ერთ ტერაკოტულ სტატუეტზე გამოიჩინა ხულია ახალგაზრდა დიონისე თავზე ორი პატარა რქით, მეორეზე კი დიონისეს მეუღლე — არიადნე (ილ. XVIII).

ტერაკოტული ნიღბების გამოსახულებანი (ილ. XIX) დიონისეს წრის მითოლოგიურ პერსონაჟებს განეკუთვნება, რაზეც მეტყველებს ის, რომ ერთ-ერთ მათგანს ყურების მაგივრად გამოსახული აქვს ვაზის ფოთლები, რომლებზეც ყურძნის მტევნები ჰქიდია.

როგორც ჩანს, ტერაკოტული ნიღბები გამოფენილი იყო საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ინტერიერში ერთ რიგში, რაზეც მეტყველებს მცირე ზომის ხერეტილები ნიღბების გვერდებზე თასმის გასაყრელად კედელზე დამაგრების მიზნით.

სარკინეში აღმოჩენილი სტატუეტები და ნიღბები თარიღდება წვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნის დასასრულისა და I საუკუნის დასაწყისის პერიოდით.

აღსანიშნავია, რომ ღმერთების ფიგურები შესრულებულია მკაცრად კანონიშებულ სტილში (რაც მოსალოდნელი იყო კიდეც), ხოლო ნიღბები ადგილობრივ ტიპაჟებს გამოხატავენ. ნიღბების ცალკეული ელემენტებისა და საერთო აღნაგობის მიხედვით, მათ არაფერი აქვთ საერთო ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებულ ნიღბებთან¹.

დიონისეს კულტის არსებობაზე მიუთითებს აღაიანის გათხრების დროს აღმოჩენილი გემები თიკნის, ყურძნის მტევნისა და დიონისეს გამოსახულებებით. შიშველ და შეზარხოშებულ დიონისეს ხელში უჭირავს სასმისი — კილიკი. თუ გავითვალისწინებთ მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გემების ნაწილი დამზადებულია ადგილობრივ (მათ შორის აღნიშნული გემებიც), მაშინ შეგვიძლია ვიგულისხმოთ აღაიანში დიონისეს კულტის არსებობა გვიანელინისტურ ეპთქაში.

აღაიანშივეა ნაპოვნი იტალიკური წარმოების ბრინჯაოს სურა (ილ. XX). მისი ყურის ძირში, მედალიონზე, გამოსახუ-

¹ А. Бочохадзе, Настакиси, Саркинэ, Дзалиси — города Иберии античной эпохи, КСИА, Вып. 151, М., 1977, გვ. 93—108.

ლია შიშველი და შეზარხოშებული დიონისე, ოთმელიც ტანტზეა წამოწოლილი. არ არის გამორიცხული, რომ ჭავჭავაძემ ნული გემა წარმოადგენს ამ გამოსახულების მისაშენებლობა

ძალისში აღმოჩენილ დიდ ტაძარ-სასახლის კომპლექსში აღსანიშნავია 48 მ² ფართობის დარბაზი, რომლის იატაკი მოზაიკურია (გამოყენებულია 12 ფერის კენჭები). იატაკი მდიდრულად არის ილუსტრირებული გამოსახულებითა და წარწერებით, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით. გამოსახულები იატაკზე მთლიანად დიონისეს კულტს განეკუთვნება. ვაზის თალარში, ტახტზე, სხედან დიონისე და არიადნე, რომლებსაც თავები შემცული აქვთ ვაზის ყლორტებისაგან დაწნული გვირგვინებით. არიადნეს გაწვდილ მარჯვენა ხელში სიუხვის რქა — ყანწი უჭირავს. თავებს ზემთთ ბერძულად მათივე სახელებია წარწერილი.

დიონისეს მარცხნივ, სურთს ლერწებით თავდამშვენებული, დგას მესაქონლეობის მფარველი ღმერთი — პანი, რომელსაც ხელში სალამურების შეკვრა უკავია.

დიონისესა და არიადნეს ქვემოთ გამოსახულია საღვინე ჰურქელი — კრატერი. ჯვრის ფორმის გამოსახულების ერთერთ კვადრატში მოჩანს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს გირჩიანი ლანგარი — მარადიულობისა და ნაყოფიერების სიმბოლო¹.

ანტიკურ პერიოდში შიდა ქართლში დიონისეს კულტის ფართოდ გავრცელებას გვიდასტურებს, აგრეთვე, სოფელ კოდისწყართს მიდამოებში უკანასკნელ ხანს ნაპოვნი დიონისეს ბრინჯაოს ინკრუსტირებული ქანდაკება, რომელიც ტრადიციულ, კლასიკურ სტილშია შესრულებული.

როგორც ზემთაღნიშნულმა არქეოლოგიურმა გათხრებია დაადასტურა, დიონისესადმი მიძღვნილი ტაძრები ძლიერი ხანძრის შედეგად განადგურებულა. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ქრისტიანობა, საქართველოში ახლად-დამკვიდრებული სახელმწიფო რელიგიური აპარატი, სპობდა წარმართული კულტურის ძეგლებსა და ამ კულტურის ყოველ-გვარ გამოვლინებას ცეცხლითა და მარვილით ებრძოდა. რელიგიურ-იდეოლოგიური ფანატიზმის ტალღამ არა ერთი

¹ ა. ბოსთა ბე, არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, თბ., 1981, გვ. 64—77.

უბრწყინვალესი წარმართული ძეგლი აღგავა პირისაგან მა-
წისა. ამგვარი ფანატიზმით დაბანეულმა პატრიარქმა ფერფიცები
ლემ IV საუკუნის ორმოციან წლებში ფერფლად აქცია მდგრად
სანდრიის ბრწყინვალე სერაპეუმი — ტაძარი სერაპისისა. დიო-
ნისესადმი მიძღვნილი სატაძრო კომპლექსები კოლხეთსა და
იბერიაში და, აღბათ, ქართული დამწერლობისა და ლიტერა-
ტურის მრავალი წარმართული ძეგლიც, ქრისტიანულმა ინ-
სტიტუტმა ფერფლს გაატანა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქრისტიანულმა რელიგიამ
მრავალი რამ ძველი სამყაროდან შეითვისა და გაითავისა.
ვერც მონუმენტური ფერწერა თუ სახვითი ხელოვნება ვერ
გაექცეოდა უმდიდრესი ტრადიციების მქონე ანტიკური სამ-
ყაროს ზეგავლენას. ამიტომაც იყო, რომ ჩვ. წ. IV-V საუკუ-
ნებში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის დროს გრძელ-
დებოდა მონუმენტური ფერწერის ტრადიციების განვითარება.
ბაზილიკის კედლებს ფრესკებით ამშვენებენ, მოზაიკით ფარა-
ვენ ობსიდებსა და თაღებს. მართალია, ეს ნამუშევრები გამო-
სატავს ახალ, ქრისტიანულ იდეებს, მაგრამ ფორმალურად
მიჰყება ანტიკური ტრადიციების ნაკვალევს. ამ პერიოდის
კედლის ფერწერული და მოზაიკური ნამუშევრებიდან ყველა-
ზე ადრინდელია რომის სანტა-კონსტანტიანის მავზოლეუმის
პლაფონის მოზაიკური კომპოზიცია, რომლის ცენტრალური
ნაწილი უკავია ვაზით დაწნულ გამოსახულებებსა და ყურძნის
დაწურვის სცენას (ილ. XXI). არსითა და მიზანდასახულობით
ეს კომპოზიციები ქრისტიანული სიმბოლიკის მთხოვნებს
აქმაყოფილებს, მაგრამ ფერწერული გამომსახველობითი ნიუ-
ანსებით ამედავნებს რეალისტურ ანტიკურ ხელოვნებასთან
სიახლოებეს.

ერთი მხრივ, ანტიკური ტრადიციების ზეგავლენით, ხო-
ლო, მეორე მხრივ, დიონისეს მეტად მიმზიდველი კულტის
პომულარობით უნდა აიხსნას დიონისური თემატიკის განვი-
თარება აღორძინებამდელსა თუ აღორძინებისშემდგომ პერი-
ოდებში.

შუა საუკუნეების წიგნის ილუსტრაციებში დიონისე განასა-
ხიერებდა შემოდგომას — მოსავლის აღების დროს (ზოგჯერ
მხოლოდ თქმობრის თვეს)¹.

¹ Мифы народов мира, М., 1980, гл. 382.

აღორძინების ხანის სახვით ხელოვნებაში ფართო პოვნილი ეთმობა დიონისეს თემას. XV—XVIII საუკუნეებში დირნისე სკულპტურულად თუ ფერწერულად არა ერთ შემსჭმელშია გამოუსახავს, ამასთანავე, მეტად პოპულარულია ბაკქანალიის სცენების აღწერა (ა. მანტენა, ა. დაურერი, ა. ალტდორფერი, ტიციანი, მიქელანჯელო, პ. რუბენსი, ი. იორდანისი, ბ. შპრანგერი, ნ. პუსენი, დონატელო, ი. დანეკერი, ბ. ტორვალდსენი და სხვ.). თითქოს მოულოდნელი, მაგრამ თავისთავად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რომის წმინდა პეტრეს ტაძრის ბრინჯაოს კარი დამშვენებულია ა. ფილარეტეს პლასტიკური რელიეფით — „ბაზუსი დელფინებად აქცევს ტირენიელებს“.

XIX-XX საუკუნეებში დიონისესთან დაკავშირებული მთების თემებშე არა ერთი მუსიკალური ნაწარმოები შეიქმნა (კ. დებაუსის დივერტისმენტი — „ბაზუსის ტრიუმფი“ და მისივე თერა — „დიონისე“; ა. დარგომიშვილის თერა — ბალეტი — „ბაზუსის ზეიმი“; ჟ. მასნეს თერა — „ბაზუსი“ და სხვ.).

მართალია, ქრისტიანობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ვაზისა და ღვინის წარმართულ ღვთაებათა კულტებს და მათი ტაძრები ფერფლად აქცია, გვერდი მაინც ვერ აუარა ხალხას ყოფასა და შემეცნებაში წმინდა მცენარედ, „სიცოცხლის ხედ“ გაცნობიერებულ ვაზის სიმბოლურ კულტს, ვაზი და ღვინო ქრისტეს გარკვეულ სიმბოლოდ აქცია (წითელი ღვინო — ქრისტეს სისხლი... იხ. ილუსტრ. XXIV). სიმბოლურია ის გარემოებაც, რომ წმინდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში შემოვიდა ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში, ვაზის უძველეს სამშობლოში.

ზოგადქრისტიანული სიმბოლიკა ქართულ სინამდვილეშიც აისახა: ტაძართა შემკულობაში ვაზის გამოსახულებამ გარკვეული ადგილი დაიკავა. ვაზის სტილიზებული გამოსახულებებით არის შემკული ბოლნისის ტაძარში ჩაშენებული სტელები. ვაზის ორნამენტებითაა დამშვენებული აკაურთა (VI ს.), ზღუდერი (X—XI ს.), ბაგრატის ტაძრის სვეტისთავი (XI ს.), ჯვრის მონასტერი (VI ს.), ატენის (VII ს.), მარტვილის (X ს.), ანანურის (XVII ს.) (იღ. XXIII), სამთავისის (XI ს.), სვეტიცხოვლის (XI ს.) (იღ. XXIII) და სხვა ტაძრები.

ახ. წ. X საუკუნიდან ძველ ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებაში სხვადასხვა ჯიშის ვაზის ფოთლისა და ყურძნის

მტევნის გამოსახულება ხშირია. მაგალითად, ბაგრატის ტაძრის სკეტისთავშე გამოქანდაკებულია გრძელმტევანასა ანდა დიდმტევანას ჯიშისმაგვარი კუმსი მტევანი.

თემაზე და განლეროვანი

განლეროვანი

ანამურის მიძინების ტაძრის აღმოსავლეთის კედლის სიუჟეტი მსხვილი და წვრილმარცვლიანი მტევნებით არის შემკული. სკეტიცხოვლის ხის ძველი კანკელი კი დამშვენებულია მოკლემტევანას მსგავსი მსხვილი და მრგვალმარცვლოვანი ჯიშის ყურძნის მტევნებით, ხოლო იმავე სკეტიცხოვლის ქვის ძველ კანკელზე გამოსახულია მოკლემტევანას ჯიშისმაგვარი წვრილმარცვლიანი და წოწოლა მტევნები. ბანის (IX—X სს.) ტაძრის კედელი შემკულია აკიდოს ჯიშისმაგვარი მტევნებით¹.

აღსანიშნავია, რომ ჯრუჭის ოთხთავის მხატვრობაში ვაზის ბარეა გამოსახული. ფერებით შესრულებულ კომპოზიციაზე ამკარად ჩანს თეთრი და წითელი ყურძნის მტევნები. ერთ ძირზე ორფერი ყურძნის არსებობა მყნობის შედეგი უნდა იყოს. ზემოაღნიშნულ ძეგლთა სკულპტურული გამოსახულებები გვიჩვენებს, რომ ერთსა და იმავე ძირს სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის მტევნები და მარცვლები ასხია, რაც აგრეთვე მხოლოდ სხვადასხვა ჯიშის მყნობის წყალობითაა შესაძლებელი. ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ ძველად საქართველოში ვაზის მყნობას მისდევდნენ².

მტევნებდასხმული ვაზის გამოსახულებას ვხვდებით ქვის-გან გამოკვეთილ და სხვადასხვა სიუჟეტით დამშვენებულ ბას-კურ სკეტზე, რომელსაც თავშე ქვისავე ჯვარი ადგას. ერთ-ერთ გვერდზე მტევნებს შორის ხარის თავია ამოკვეთილი. სკეტი აღმართულია ნავარის პროვინციის დასახლებული პუნქტის — ეჩალარის პატარა მოედანზე, სამრევლო ეკლესიის მახლობლად და მას „ეჩალარს“ უწოდებენ³. სკეტის ეს კომპოზიცია მეტად საინტერესო სიმბოლიკის ამოკითხვის უფლებას იძლევა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თავდაპირველად დიონისე

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. II. 1935, გვ. 523.

² ი. ვ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. II. 1935, გვ. 523.

³ Arte popular vasco, San Sebastian, 1977, გვ. 170, 184.

تاვისი ცხოველური არსით ხარის კულტთან იყო გაიგივებული (იხ. გვ. 40), ცხადი ხდება ეჩალარის სვეტშე ვაზის, და ხარის ერთად გამოსახვის გარევეული სიმბოლური შენაბრენსა, საფიქრებელია, რომ ვაზისა და ხარის კულტი ბაჟერის სიმბოლურობი უძველესი წარმოშობისა უნდა იყოს. ქრისტიანულ სვეტშე უძველესი წარმართული სიუქეტის არსებობა დამადასტურებელია იმისა, რომ ქრისტიანობამ ბევრი რამ წარმართული მითოლოგიური და თეოლოგიური სიმბოლიკიდან გათავისა და საკუთარ ფორმობრივ ჩარჩოებში მოაქცია.

აღსანიშნავია, რომ ბასკების მიერ შექმნილ მცენარეთა უძველეს სიმბოლურ-გრაფიკულ გამოსახულებებს შორის კხვდებით ფურმნის მტევნისმაგვარ გრაფიკულ სიმბოლოს¹.

ვაზის მერქანს ძველად სამშენებლო მასალადაც იყენებდნენ. განსაკუთრებით მიღებული იყო ვაზის მერქანი საეკლესიო მშენებლობაში. ამის თაობაზე პლინიუს მცირე რამდენიმე საგულისხმო ცნობას გვაწვდის. მეტაპონში იუნონის ტაძრი ვაზის ხის სვეტებშე ყოფილა დაყრდნობილი. ახლაცო, ამბობს პლინიუსი, ეფესოს დიანის ტაძრის სახურავზე კვიპროსის ვაზის მთლიანი ხისაგან გამოყვანილი კიბით ადიან ხოლმეო. იგი ამასთანავე გვაუწყებს, რომ ქ. პოპულონიუმში ვაზის ერთი ხისაგან გამოკვეთილი იუპიტერის ქანდაკების ნახვა შეიძლება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დაუზიანებელიათ. რომაელი ბუნებისმეტყველის აზრით, ვაზის დიდ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ საერთოდ, არც ერთ სხვა ხეს ვაზივით გამძლეობა არა აქვს².

ძველად, საქართველოში, ვაზს ფიცრებად თლიდნენ და სამშენებლო მასალად იყენებდნენ. დათლილი ვაზის ფიცრებისაგან დაუმშადებიათ XII საუკუნეში გელათის მონასტრის კარები. ასევე ვაზისაგან იყო დამზადებული მღვიმევისა (ჭიათურის ახლოს) და ქორუბნის (საჯავახოს ქვემოთ) მონასტრითა კარები³.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ი. სტოვბუნი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოზარდი ვაზის შესახებ: „ჯვრის მონასტრის კარები საინტერესო ცნობას გვაწვდის ისტორიას ეკონომიკური ისტორია, ტუ., 1935, ტ. II, გვ. 385.

¹ Arte popular vasco, San Sebastian, 1977, გვ. 200.

² ვ. ვაკაბიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტუ., 1935, ტ. II, გვ. 385.

³ ქ. მოდებაძე, მელვინონბა, 1931, გვ. 7.

მსხვილი ვაზი და მისი ლერწებით შეკრული საგრილამძლო
ასეთს იერუსალიმის სწვა ტაძრებში არ შევხვედრივან. ესეც, ერთ-ერთი
ალბათ, მისი ერთ-ერთი ქართული ნიშანია¹. გრიგორი
ალბათ, გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქო-
ნოდა მიცვალებულის დაწვენას ვაზის წალმის ნაფენზე. ნასტა-
კისის ველზე ქვის ფილებით ნაშენები ადრეფეოდალური
ხანის სამარხში, რომელიც აზალი წელთაღრიცხვით VI საუკუ-
ნეს ეკუთვნის, მიცვალებული დასვენებული იყო წალმის
ნაფენზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულის საქმიანობა
მევენახეობა-მელვინობასთან იყო დაკავშირებული.

თვალი რომ გავადევნოთ უძველეს ცივილიზებულ ხალხთა
პოეზიაში ვაზისა და ღვინის სიმბოლური გააზრებისა და გა-
მოხატვის ფორმებს, საოცარ სიახლოესა და მსგავსებას
აღმოვაჩენთ მითოლოგიური აზროვნების ცალკეულ ფორმებ-
თან. ეს არც არის მოულოდნელი. პოეტური აზროვნება მი-
თთლოვანი სამყაროთი იკვებებოდა და ფაქტიურად წარმო-
ადგენდა მითოლოგიური მსოფლმხედველობის სუბიექტურ,
რელიგიურ-ინტუიციურ გამოვლენასა და წარმოჩენას.

საზოგადოდ, ვაზისა და ღვინის ღვთაება მორწმუნე ხალხში
გაცნობიერებული იყო, როგორც თავისუფალი ნების, ყოველ-
გვარ წარჩოებთან შეუგუებლობის, მებრძოლი და დაუმორჩი-
ლებელი სულის ცნება. ამგვარი გაგება გარკვეულწილად აისა-
ხა პოეტურ აზროვნებაშიც. პოეტური, უყალიბო და უჯებირო
სული ღვინოში ღვთიურ, სიმბოლურ გააზრებას ეძიებდა და
ღაღადისის აღსავლენად სახოტბო ფორმასაც შესაფერის
ელფერს ანიჭებდა.

ნათქვამის ნათელი დადასტურებაა სუფისტური დოგმებით
დამძიმებულ ისლამურ სამყაროში ნათლის სვეტივით აღმომ-
რწყინებული რედაქტის, ჰაფეზის, აბუ ნუვასის, ომარ ხაიამის
პროტესტანტული პოეტური ხმები, როგორც ადამიანის რელი-
გიურ წარჩოებთან (და, საზოგადოდ, ყოველგვარ წარჩოებთან) შეუგუებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის მარადი-
ული სიმბოლო.

ისლამის რელიგია თუმც ეს ღვინო მეაცრად აკრძალა,
სვი და ნუ დარდობ, თვით ისლამის რელიგიი საჭ არის?

ან კიდევ:

¹ ი. სტოპპუნი, შოთა რუსთაველის ფრესკა, თბ., 1981, გვ. 33.

ჯერე მინდა გავეყარო ჩემს რჯულსა და რწმენას,
მერე ვაზის ასულთან მსურს დავიწერო ჯვარი.

ომარ ხაიამის ეს დაღადისი, შესაძლოა, ქვემეცნეულად
გენისეული გამოძახილი იყოს იმ ეპოქათა, როცა მისი კულტურული უმაღლესი მატება სამონატივას ხედავდნენ და ღვინოს ღვთიურ სითხედ მიიჩნევდნენ. თითქოს იღვიძებს ის უძველესი გენი, რომელიც ესოდენ მრისხანედ და საუკუნოდ ჩაპელა სუფისტურმა ისლამურმა მახვილმა. „ვაზის ასულის“ საკუთარ ღვთაებად გამოცხადება იმ სისხლსავსე და ნაყოფიერი ცხოვრების აღიარებაა (სუფისტურ ისლამთან დაპირისპირებით), რომლის სიმბოლოდაც მიიჩნევდნენ უძველესი ხალხები ვაზსა და ღვინოს.

განა მევენახე-მეღვინის ფსიქოლოგიური სამყარო არ შეი-
გრძნობა აბუ წუვასის პოეტურ აზროვნებაში, მიუხედავად
იმისა, რომ მისი საცხოვრისი ვაზებაზეხილ მიწაზე მდება-
რეობს და ცას კი გამაყრუებელი ისლამური ბაიათი სწვდება?

როცა მოვკვდები ვაზის ძირში დამასაცლავე,

რომ ჩემმა ძვლებმა შეისრუტოს ამ ღვთაებრიც ფესვების წვენი.

როცა უძველეს ხალხთა პოეტურ აზროვნებაში ვაზისა და
ღვინის სიმბოლიკის შესახებ ვმსჯელობთ, გონების თვალი
მაინც შუამდინარული მითოლოგიისაკენ მიისწრაფვის, ვინა-
იდან სწორედ აქედან იღებს სათავეს შემდგომში ბიბლიური,
ანტიკური, მთელს ეგეოსურ სამყაროსა და ძველ აღმოსავ-
ლეთში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი
მითოლოგიური თუ პოეტური სახეები.

დრონი მეფობდნენ, ისტორიის ასპარეზზე ხალხები და
კულტურები ერთმანეთს ენაცვლებოდა, მაგრამ ვაზისა და
ღვინის სიმბოლიკა მითოლოგიასა და პოეზიაში მაინც უცვლე-
ლი რჩებოდა თავისი არსითა და თემატიკით, სხვადასხვა იყო
მხოლოდ შისი გამოვლენის ფორმები.

მარადიული გაზაფხულის, მარადიული აღორძინების თემა
ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზებული მსოფლიოს მამოძრავე-
ბელსა და სულიერ საზრდოს წარმოადგენდა.

საოცარი, მარადიული ფერებით სავსე სამყარო იშლება
მკითხველის თვალწინ ძველი ჩინური, სპარსული, ბერძნული,
იაპონური, ვიეტნამური, კორეული პოეზიის გაცნობისას...



၁၁. အမှန်ဖြစ်သော ဒုဇိုင် မြို့
မြို့တော်မြို့တော် မြို့တော် မြို့တော်
၂၃၇၄ ခုနှစ် ၆၆၀ ပြု ဘဏ်တော်မြို့
ဒုဇိုင် ၁၈၉၁ ခုနှစ် လောက်။

၁၁. အမှန်ဖြစ်သော ဒုဇိုင် မြို့
မြို့တော်မြို့တော် မြို့တော် မြို့တော်
မြို့တော်မြို့တော် မြို့တော် မြို့တော်
၂၃၇၄ ခုနှစ် ၆၆၀ ပြု ဘဏ်တော်မြို့
ဒုဇိုင် ၁၈၉၁ ခုနှစ် လောက်။



XII. ဟန္တခေါ် အာရုံချို့
မြန်မာပြည်တော်ကြောင်း
မြန်မာပြည်တော်ကြောင်း၊
နိုင်ငံခြား၊ မြန်မာပြည်တော်ကြောင်း

၁၃၆၅
၁၃၆၅
၁၃၆၅
၁၃၆၅
၁၃၆၅
၁၃၆၅

გაზაფხული – ბუნების გაღვიძების ხანა, ყვავილები, მწვანე მოლი, მეგობარი, სატრფო, ლექსთა კრებული, მთვარის ღამე და... ღვინო – ამ უფაქიზესი და ულამაზესი სამყაროს ერთ თაიგულად შემკვრელი, შთაგონებისა და პოეტური უსტიურებულების ტაზის წყაროსთვალი, ადამიანთა შორის ძმობისა და მეგობრობის მარადიული ცეცხლის გამდვივებელი...

ღვინოს როგორ დალევდა უმეგობროდ, ულექსოდ, უსატრფოდ ჩინელი ან ქართველი, ებრაელი ან ბერძენი, სპარსელი ან ეგვიპტელი, როგორ დაილოცებოდა ისე, რომ ლექსთა კრებული არ გადაეშალა და არ ჩაერითა უზენაესისა და მზის, მიწისა და ცის, მეგობრისა და სატრფოს, ხვალინდელი დღისა და ბარაქის სადიდებელი...

ერთი მზე უნათებდა და ათბობდა ბაბილონელსა და ჩინელს, ეგვიპტელსა და კორეელს, ბერძენსა და არაბს, ქართველსა და ინდოელს, მთვარეც ერთი ჰყავდათ დამეული ზმანებებისა და იდუმალი ტრფიალის თანამეზრახველად, ოცნებების სასპარეზოდ, ლხინის თანამეინაზედა და ლექსის მეგობრად...

სივრცისა და დროის სამანები აშორებდათ ურთიერთს, მაგრამ პოეტური გულისთქმა მაინც ტყუპისცალივით მსგავსი პქონდათ ერთი მზის ქვეშ დაბადებულებს...

მარადიული, კეთილშობილური და უწმინდესია ადამიანის განწყობა ვაზისადმი. არათუ წარსულ საუკუნეებში, დღესაც ვაზი პოეტური შთაგონების დაუშრეტელი წყაროა.

„ვაზო, შვილივით ნაზარდოთ“, აგრე უბრალოდ უთქვამს ქართველ პოეტს მევენახის გულისნადები და ამ უბრალო თქმაში მთელი თავისი მდიდარი სული და გული ჩაუქსოვია...

ვაზის კულტურამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მევენახის, როგორც მიწათმოქმედი კაცის, მსოფლმხედველობასა და სულიერ სამყაროზე, მისი რელიგიურ-მითოლოგიური და პოეტური აზროვნების ჩამოყალიბებაზე...

მევენახის, ფრანგი იქნება თუ უნგრელი, ქართველი თუ ბულგარელი, ბერძენი თუ რუმინელი, გაუთვითცნობიერებელი პოეტური სული თავის თავს ვაზისადმი, ამ უწმინდესი მცენარისადმი ფანატიკურ სიყვარულსა და ერთგულებამი ამედავნებს... დააკვირდით მევენახის შრომას, მის სულშიც ჩაიხე-

დეთ და თქვენ თავად იგრძნობთ ამ დაფარული, გამოუიქცევა
პოეტური ენერგიის სითბოს...

ქართველ კაცს დასაბამიდან დაპყოლია უნარი შეანიშნავთ
რებულად, სხვათაგან გამორჩევით გამოეთქვა ყოველივე —
ლხინი თუ დატირება, სიყვარული თუ სიმულვილი, თავისი
წილზედრი მიწისა და ცის ტრფიალი, განსაკუთრებით კი
ვაზის სიყვარული, ფანატიზმით აღსავსე ტრფიალი ვაზისა...
ქართველი მევენახის მიმართება ვაზისადმი მიწიერი, სისხლ-
სავსე პოეზიით არის აღსავსე და აგრე მოდის დასაბამი-
დან...

ვაზი ქართველი კაცის სულიერ სფეროში ისე ძლიერად
არის ჩაზრდილი და გახარებული, რომ შეუძლებელიც კია
წარმოვიდგინოთ იგი ვაზის გარეშე; ვაზი ხომ ქართველი კა-
ცის ხორცისა და სულის ნაწილია.

ვაზი ქართველი კაცისთვის ეროვნული დამოუკიდებლო-
ბისა და თავისთავადობის, მისი სულიერი მრწამისის განმსა-
ზღვრელი უდიდესი ფაქტორთაგანი იყო და არის. ვაზის და-
კარგვით ქართველი კაცი ეროვნულ სახესაც დაკარგვდა და
წაიშლებოდა. ეს კარგად ესმოდა თავადაც და ამიტომაცაა
ქართველი ხალხის არსებობის მთელი ისტორია ვაზისა და
სამშობლოსთვის თავგანწირული ბრძოლის ისტორია.

ვაზი ქართველი კაცისთვის ერის სიმბოლოა, გულბე სატა-
რებელი თვალისხინია:

ქართლ-გახეთი ლეგენდაა,
იმერეთი — ზღაპარი,
სამეგრელო ოცნებაა — გაფრენილი ფაფარი,
გურია კი სიმღერაა, ხოლო რაჭა — სიზმარი,
ყველა ერთად — ვენისა ჩვენი დასაფიცარი.

(შ თ თ ა ნ ი შ ნ ი ა ნ თ მ ე)

ქართველი პოეტი ძლიერი, ეროვნული ფესვებით არის
დაკავშირებული წარსულთან, მისი პოეტური შთაგონება წინა-
პართა შითოლიგიური აზროვნების სილრმეებიდან საზრდო-
ობს, მაგრამ ამავე დროს სათცრად თანადროული და ეროვნუ-
ლია მისი ღაღადისი... ვაზის სამშობლოს ცნებად გასიმბოლო-
ება ერთდროულად უძველესიც არის და თანამედროვეც. იგი
ვაზიგით და სამშობლოსავით მარადიულ კატეგორიადაა ქვე-
ული...

შენ ხარ ვენახი, მშის ფსალმიუნიდან
 და თქმულებიდან ლერწებნაყარი,
 ბიძლიას ჭავლი თუ გაუციდა,
 შენ, ახალ რწმენას, თავშე დაგხარით.
 შენ ხარ ვენახი, შენ ხარ ნუგეში,
 ვაშის ვენახი და ქვის ვენახი,
 მაღლი შენს ძირებს, სათოფურებში
 და სიმღერებში რომ შეგვენახე.
 შენ ხარ ვენახი მტრის დარბული,
 წიგნის ვენახი და ხმლის ვენახი,
 მაღლობა შენდა, შე კართხეული,
 ასე ჯანმრთელად რომ შეგვინახე.
 შენ ხარ ვენახი ამოხეთქილი
 ჩვენი სულიდან,
 ძვლიდან,
 ხორციდან,
 დაგბედებია ჭამი კეთილი,
 ქართული ჯიში რომ აღორძინდა.
 ბედი შექმნილი ჩალისფერ დროშით
 და ნინოს თმებით შეკრულ ვაშიდან,
 ხალხის მარჯვენამ ახლანდელ დროში
 უფრო და უურო მაღლა აზიდა.
 მხარში უუდგივართ შენს ძლიერებას
 საქმით,
 ოცნებით
 და სტრიქონებით.
 რად გვინდა მეტი ბედნიერება —
 შენ ხარ ვენახი, ჩვენ — ჭიგოები...

(შოთა ნიშნიანი ძე)

ეს ღადადისი ფესვებლონიერი და საუკუნეთა ბედუაულ-
 მართობაში ჭაბუკად გამოვლილი მევენახე ქართველი ხალხის
 გულისთქმაა.





„ვაზო, შვილი ნაზარდო...“

□

ხილთა ქება ბევრი თქმულა
 და ჩვენამდე დაწერილა,
 მაგრამ საქართველოს მიწა
 რადგან საშვრედ გაჩენილა,
 პირველ ყოვლის ყურძენს ვაქებ,
 იმას ვენაცვალე ძირში,
 უნდა ვაქო ქართულ ვაზის
 ყველა, ხუთასივე ჯიში...
 მაშ, დიდება ძველო ვაზო,
 სიხარულო აწინდელო:
 საჩინოვ და საფერავო,
 ბელშავო და რქაწითელო!
 კრახუნავ და ოჯალეშო,
 ჩხავერო და იზაბელავ,
 შაბიამნიოთ გალუმპულო
 საქართველოს ცისა ფერად...
 მიყვარს ჩხაზე მარცვლის შეცლა,
 მწიფე ზვრებში ხეტიალი:
 აქეთ — ყიფიანის შავი,
 იქით —
 თეთრა ცხვედიანის.

და ვიგონებ ხალხურ ლექსებს
 და ყურს ვუგდებ თქროს ფუტკარს,
 რაც ყურძენზე ლექსი თქმულა
 და რაც ყურძენს ლექსი უთქვამს:
 „ყურძენმა თქვა: მეც ხილი ვარ,
 სექტემბერში მეც მწიფე ვარ,
 თუმცა ფეხმოგრეხილი ვარ,
 ყველა ხილის ხელმწიფე ვარ!
 ვამშვენებდი ლხინს და ქორწილს,
 ტურფა საქართველოს მთა-ბარს:
 იქეთ — სამეუფო ტრაპეზს
 დასტოვებდა ზვარს და კერას,
 მიდიოდა გლეხი ლაშქრად,
 მეომარს და მევენახეს
 რა მიჰქონდა მსუბუქ საგზლად?
 ბრძოლასა და ბრძოლას შუა,
 ჭამისათვის თუ გცხელაო,
 მოიჩხრიკე ტკბილი კვერი,
 ჩამიჩი და ჩურჩხელათ!“...
 პირველ ყოვლის ყურძენს ვაქებ —
 იმას ვენაცვალე ძირში —
 ერთად ვაქოთ ქართულ ვაზის
 ყველა ხუთასივე ჯიში.
 მაშ, დიდება, ძველო ვაზო,
 სიხარულო აწინდელო —
 ხარისთვალავ, ბუდეშურო,
 ძელშავო და რქაწითელო,
 კრახუნავ და ოჯალეშო,
 ჩხავერო და იზაბელავ,
 შაბიამნით გალუმპულო
 საქართველოს ცისა ფერად,
 იღორძინე, იდიადე,
 იძლიერე აწ და მარად
 საქართველოს სასახელოდ!
 საქართველოს გასახარად!

მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ე



ვაზის ჭირიმე, ვაზისა,
 უფლისგან კურთხეულისა,
 წითელი ღვინის დედაა,
 გამხარებელი გულისა..
 ვაზო, შვილივით ნაზარდო,
 ულვაშებ გადგიგრებია,
 ჩაპეონებიხარ ჭიგოსა,
 შუაზე გადგიტებია...
 თუ დავიზურგავს ყურძნითა,
 ვერ გაუძლია ბეჩავსა...
 რად არ ამკიდე, ვზიდავდი,
 არ დავზოგავდი მე თავსა!...
 ჭირიმე შენი ფესვისა,
 მოვკვდები მე შენს ძირშია,
 შენით ვარ მხნე და გულადი,
 იმედით გასაჭირშია!
 შენი ზედაშის მაღლს ვფიცავ,
 შენ არ მოგაკლო ბარია,
 გაგსხლა, შაგყელო, გაგთოხნო,
 არც კი წნდეს მონათხარია;
 გაგფურჩქნო, გაგალამაზო,
 როგორც რომ პატარძალია,
 აღარ დავზოგო მე შენთვის
 ჩემი ღონე და მალია...
 ვაზის ჭირიმე, ვაზისა,
 უფლისგან კურთხეულისა,
 წითელი ღვინის დედაა,
 გამხარებელი გულისა ...

რაფიელ ერისთავი



საინტერესოა, რომ:

1980 წლის მონაცემებით, საქართველოში იყო 147 ათასი ჰა
 სავენახე ფართობი, აქედან მსხმოიარე — 112 ათასი ჰა; 1980

წლის 1 აპრილისთვის გამომუშავებული იყო 39,943 ათასი დალ დვინომასალა, წლის ბოლოსათვის კი დვინო — 21,556 ათასი დალ, შამპანური — 13,445 ათასი ბოთლი, 1784 გრამის განძირული დალ კონიაქი.

1980 წლისათვის ვენახს მსოფლიოში 10 მლნ ჰექტარამდე ფართობი ეჭირა. ევროპის წილად მოდიოდა მთელი ფართობის 72,6% (საბჭოთა კავშირში — 13,5%), აზიანა — 14,62%, ამერიკისა — 7,72%, აფრიკისა — 4,31%, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების წილად — 0,75%.

ევროპაში ყველაზე მეტი სავენახე ფართობი პქონდა ესპანეთს — 1 678 ათასი ჰა, შემდეგ იტალიას — 1 377 ათასი ჰა, საფრანგეთს — 1 194 ათასი ჰა, საბჭოთა კავშირს — 1 323 ათასი ჰა.

ესპანეთში მოიკრიფა 65 377 ათასი ცენტნერი ყურძენი, იტალიაში — 130 805 ათასი ცენტნერი, საფრანგეთში — 89 110 ათასი ცენტნერი, საბჭოთა კავშირში — 66 270 ათასი ცენტნერი.

მსოფლიოში პირველი ადგილი ყურძნის დვინის წარმოების მხრივ, 1980 წლის მონაცემებით, იტალიას უკავია. აქ გამოშევებული იყო 84 750 ათასი ჰექტოლიტრი დვინო, საფრანგეთში — 69 203 ათასი ჰექტოლიტრი, ესპანეთში — 43 519 ათასი ჰექტოლიტრი, საბჭოთა კავშირში — 32 248 ათასი ჰექტოლიტრი, არგენტინაში — 24 052 ათასი ჰექტოლიტრი.

იტალიაში მთელი წლის განმავლობაში მოხმარებული დვინის რაოდენობა შეადგენდა 53 მლნ ჰექტოლიტრს, საფრანგეთში — 51 მლნ ჰექტოლიტრს, ესპანეთში — 23 952 ათას ჰექტოლიტრს, საბჭოთა კავშირში — 38 მლნ ჰექტოლიტრს, არგენტინაში — 21 072 ათას ჰექტოლიტრს.



ვაზო,
ლამაზო,
ფესვო
ნაკურთხო,

ვაზო,
ქართველი კაცის დიდებავ,

ფერით ზურმუხტო,
ბარაქით უხვო,
შენით სამშობლო ხარობს, ირთვება.
ნაზო

ქალწულო,
დალალდაწნულო,
ვაზო
შენს გამო არ ვართ მოცლილი...
შემოდგომაზე,

გვითხარ, ასულო,
რთველი არის თუ შენი ქორწილი?!
ოჯახს დოვლათად დაებედები,
ყველა დაგხარის,
თავშე გევლება.

ნერგო კეთილო
ქართულ ედემის,

გუნდი ვარსკვლავთა
გვენის მტევნებად.

ვაზო, მცხეთაში ჯვარად შეკრულო,
ლერწო,

ქალწულის თმებით გამთბარო,
შენით წუქურთმა არის შემკული
წრომს

თუ

გუდარეხს,
გარეჯს,
სამთავროს...

ვაზო,

ვართ შენით წელგამართული,
ლხინში ამაყად თასი გვიპყრია.

ვით არ დალთცონ

ვაზი ქართული
იქ, სადაც დვინის ქებას იტყვიან.

მინდორზე,

სერზე
თუ მთის კალთაზე,
ყველგან სიცოცხლის შუქად შრიალებ,

წყაროვ დოვლათის,
ლხინის სათავევ,
მზით ავსებ გულებს,
როგორც ფიალებს.
ნაშო

ქალწულო,
დალალდაწნულო,
ვაზო,
შენს გამო არ ვართ მოცლილი,
შემოდგომაზე,
გვითხარ ასულო,
რთველი არის თუ შენი ქორწილი?...

ი თ ს ე ბ ნ თ ნ ე შ ვ ი ლ ი



პაერიდან, წყლიდან,
შექის ციმტიმიდან,
რა განგებამ შეგქმნა
ჩვენდა სიხარულად?
დღეთა მთელი სუნთქვა,
მიწის მთელი მადლი,
ამ ქარვისფერ მარცვლის
გულში მიმალულა.
მასში ზღვა მდელვარებს,
მასში შუქი ბრწყინავს,
მასში ოცნებათა ლაქვარდები ჩანან,
დაელოცოს ხელი მევენახეს, ვინაც
ეს მზე მიწის მკერდზე
ჩვენთვის მოიყვანა!

თ ე მ უ რ ჭ უ ლ უ მ ე ტ ა ლ ი ე ვ ი



საქართველოში სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მევენახე-
ობის მაღალ და დიდ კულტურაზე ისიც ლაპარაკობს, რომ
ჩვენს ძველ მეურნეს გამოყენების შესაძლებლობის მიხედვით

მიწის ფართობი მკვეთრად პქონდა დახარისხებული შამო-
დედულში გამოყოფილი და გამორჩეული იყო სახნავი, სავე-
ნახე, საბოსტნე, საწალკოტე, საიონჯე, საბამბე, სამიმბე და
წკავი და ურწყავი და სხვ. სახნავთა გვერდით ძველ სიგელ-
გუჯრებში „სავენახე“, „საზვრე“, „ნაზვრევი“ ან „ნავენახარი“
უკველად ცალკეა მოხსენიებული.

სავენახე ადგილი უნდა ყოფილიყო მზით კარგად განათე-
ბული, პოხიერი, ქარისაგან დაცული, მარჯვე მისადგომი,
საურმე გზის მქონე. ზვარი სიტყვა მზვარესაგანაა წარმოშო-
ბილი, მზვარე ხომ განათებული სამხრეთისაკენ მიქცეული
ფერდობია. სულხან-საბა თრბელიანი „მზვარეს“ ასე განმარ-
ტავს — „ადგილი მზის მდეგი“.

ვინ არ იცის, რომ ყურძენს მზე უყვარს; ყურძენი დამკრა-
ხული უნდა იყოს და მაშინ მისგან დაწურული ღვინო მაგარი,
გემოიანი და სურნელოვანი დგება. მზვარე ადგილას დამწიფე-
ბულ ფურძნის წვენში შაქარი ყოველთვის 15—20%-ზე მეტია.

სწორედ ამიტომ იყო, ჩვენში ვენახები, ჩვეულებრივად,
მზით განათებულ მთის ფერდობებზე შენდებოდა.

კაზური განთქმული ღვინოები: კარდანაზული, გურჯაანუ-
ლი, მუკუზნური, ანაგური, წინანდლური და სხვ. მთის ფერ-
დობებზე გაშენებული ვენახის ღვინოებია; ქართლის: მუხრა-
ნული, ატენური, მეჯვრისხეული და სხვა მთის ფერდობთა
ვენახის ღვინოებია, ასევე სვირული, ობჩური, ტვიშური,
ხვანჭებარული და სხვ.

იმავე კახეთში ვაკე ადგილას ღვინო ბლანტე და ძელგია;
ქართლის ვაკის ღვინოები თხელია, წყალწყალა, სურნელობას
მოკლებული, მაშინ როდესაც მთის ფერდობზე გაშენებული
ვენახის ღვინო ცერიალაა, წმინდა, სურნელოვანი, ბუკეტიანი
და გემრიელი.

კაზური, ტიპური ღვინოები დგება 400—450—750 მ სიმაღ-
ლეთა შეა მოქცეულ მიწებზე, რომლებიც მზვარე, განათებულ
მთის ფერდობებზეა მოქცეული; სადაც ნიადაგი ძირითადად
შექმნილია მდინარის მიერ გამონატანი პროდუქტების კონუ-
სებზე და ნიადაგში ზედმეტი წყალი არ დგება, ადვილად
იწრიტება, ნიადაგის შემადგენლობაში კირი შეზავებულია.

ასევე, გარე კახეთში კარგი ღვინო დგება გომბორის ქედის
სამხრეთ კალთებზე, 500—700 მეტრის სიმაღლეზე მოქცეულ

უერდობებზე (კაკაბეთი — მანავი — საგარეჯო — ნინოწმინდა — საშმი). მდინარე ივრის პირას მოსული ღვინო თავისი სებით ბევრად ჩამორჩება მანავ-საგარეჯოს ღვინოებს. ასევე, ქართლში საუკეთესო ღვინის რაიონებია ე.წ. გვერდისძირი — წილკანი — ვაშისუბანი (დამპალო), ქსოვრისი — თეზი — ოკამი, ხურვალეთი — კირბალი, მეჯვრისხევი — ფლავისმანი და სხვ.

შემო იმერეთის სვირული ტიპის ღვინო ღვება 125-დან 450 მ სიმაღლემდე მდებარე მთისწინა კალთებზე (ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ხარაგაულის რაიონები), რიონისა და ყვირილის ჭალის ვენახები კი ნაკლები ღირსების ღვინოს იძლევა.

ნიკო გიგენი ვალი,
მაქსიმე რამიშვილი,
დიმიტრი ტაბიძე



ბაბილონ, სულხან-საბა თრბელიანის განმარტებით, მაღლარი ვენახია. ძველად მაღლარი ვაზი გავრცელებული იყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლ-კახეთში XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი, იმერეთშა და გურია-სამეგრელოში კი კარ-მიდამოს დღესაც ამშვენებს ხეზე გაშვებული ვაზი.

მოიხსენ ეგ მწვანე მანდილი,
ბაბილონ, მაღლარო ვენახო,
ხანდახან მომიცლის წადილი...
იქნებ, ვერასოდეს ვერ გნახო.
რა ეშნით იყავი მორთული,
რა გესხა ბაბილო ყელამდე,
ადესა თუ მუჯურეთული —
მკერდზე მარჯნებად რომ ელავდნენ.
იმ სიოს მაგივრად ვინ დაქრის,
ვინ დაქრის ბარდებში წყევლითა,
სად გაქრი წამწამო მინანქრის,
სად გაქრი საკოცნელ ცრემლითა.

წყვდიადშიც ბრილიანტს აფრქვევდი —
 მინდა ხელისგული შეგახო,
 მეც ერთხელ შენსავით გავქრები,
 ბაბილო, მაღლარო ვენახო.

ჯანსულ ჩარკვიანი



ვაზი ერთ-ერთი ყველაზე მეტად შრომატევადი კულტურაა. მევენახისაგან დიდ ყურადღებასა და სიფაქიშეს თხოულობს. თთვლის საფარი ჯერ კიდევ არ შემრთბია მიწის გულს და ვაზი კი მევენახეს უხმობს, მისი მაღლიანი მარჯვენის სითბოს შენვეული... ხოლო ვიდრე კვირტი გაიღვიძებდეს, გასხვლის მოლოდინშია ვაზი, სხვლის დრო გაზაფხულია, ვიდრე წვენი ამომრავდებდეს. დროულად გასხლულმა ვაზმა ტირილი არ იცის და ყინვაც ვერაფერს აკლებს.

ახალგადვიძებულ ვაზს კი დღენიადაგ ზრუნვა და ფუსფუსი სჭირია. ბარვა და აკვრა, თხენა და გაფურჩვნა-ახვევა, წამლობა და ცის გახსნა, რწყვა და გამოხშირვა.

ძველად, თუ ოჯახს მუშახელი აკლდა ან დიდი ზვარი ჰქონდა, „მეშველს“ მოიწვევდა. მეშველის რაოდენობა ვენახის სიდიდის მიხედვით ისაზღვრებოდა. წვეულებრივ, ახლო მეზობლებს იხმარდნენ. მთხელის ხელმძღვანელობდა „მესრიელე“ (ზესვეური) — კარგი მთხელნავი, მომლერალი და ენამახვილი ვაჟეკაცი... იგი მუდამ ნაპირას იდგა და ცდილობდა სრიელი სწორად „რაღდარტყმულივით“ აეყვანა, დროულად არჩევდა „საყენებლებს“, იცავდა მუშაობისა და დასვენების სანგრძლივობას, თან მოსწრებული ხუმრობით მთხენავებს ართობდა, დროდადრო თმახიან თრპირულ „მუშურს“ წამოიწყებდა და მძიმე შრომას აიოლებდა...

მზე როცა „სამზიანოზე“ შედგებოდა, უკვე სადილობა იყო. სადილი ქალებს ვენახში მოპქონდათ. სუფრას მესრიელე განაებდა, მუშებს იმდენ ღვინოს შეასმევდა, რომ სალისზე მოეყვანა. მზის გადახრისას ისამხრებდნენ, ხოლო საღამოთი

დიდი ლხინი იმართებოდა. რაგინდ ღარიბი ოჯახი არ უნდა ყოფილიყო, მეშველისთვის მაინც კარგ „სამაინძლოს“ გამართავდა.

ერმან გურია
ლევან ჭილიძე



დაიცა, მივალს გრილოში, ჯამი დარიგდეს თიხისა, ვენახის სათხხნელადა გული დამიწყებს ღილინსა, დავკრათ და მიწა ვაპრუნოთ, როგორც ნანგრევი ციხისა, დასხდნენ და ღვინო დაასხეს, მოსდევს სხვაც სხვილი ჯამითა, ერთმანეთს ეუბნებიან: ასე აივსე ჯანითა.

ხალხური



საქართველოში ვაზის ჯიშთა მრავალსახეობიდან შერჩეულია 16 ძვირფასი სამრეწველო ვაზის ჯიში, რომლებსაც უკავია საქართველოს ვენახების 76 %. ეს ჯიშებია: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკოური, ციცქა, კაბერნე, ჩინური, გორული მწვანე, ალიგოტე, ალექსანდროული, ოჯალეში, უსახელოური, ჩხავერი, პინო, კრახუნა, ხიხვი.

კანეთში ვენახების უდიდესი ნაწილი უკავია რქაწითელს, საფერავს, მწვანეს, კაბერნესა და ხიხვს. მათ შორის კი რქაწითელი ყველაზე მეტი ფართობზეა გაშენებული.

ქართლსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ თლქში ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია: ჩინური, გორული მწვანე, ჯვარი, ჰყაპა, ქიშური, ალრეული, ბუხა და სხვები. სხვა რაიონის ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია რქაწითელი, ალიგოტე, პინო შავი.

იმერეთში ფართოდაა გავრცელებული ცოლიკოური, ციცქა, ღონიდღლაბი, რკო, ძელშავი, მაჩანოური საფერე, ქვიშეური (გორული მწვანე), მგალობლიშვილი, ალიგოტე, თცხანური საფერე, პინო შავი, კრახუნა, თეთრი კაპისტონი, ვანის ჩხავერი, კუნძა, რქაწითელი, საფერავი, შარდონე და სხვ.

იმერეთის ჯიშებიდან გამოირჩევა ცოლიკოური. იგი უნივერსალური ჯიში განდა და ფართოდ გავრცელდა მთელ დასავლეთ საქართველოში.

რაჭა-ლეჩხუმში პირველი ადგილი ფართობის სიმაღლის
მიხედვით უკავია ცოლიკოურსა და ალექსანდროულს. მათ
მოსდევს წულუკიძის თეთრა, გორული მწვანე, რაჭული მწვანე
ნე, ძელშავი, ორბელური, საფერავი, რქაწითელი, უბაზელოუ-
რი, შავი კაპისტანი, მუჯურეთული, ცხვედიანის თეთრა, რკო,
ციცქა, დონდღლაბი, მაჩანოური საფერე, მგალობლიშვილი,
ალიგოტე.

სამეგრელოში ვენახების მთელი ფართობის 93% ცოლი-
კოურს უკავია, მას მოსდევს ოჯალეში, ციცქა, კრახუნა, საფე-
რავი, ალექსანდროული, ძელშავი, იზაბელა და სხვა ჯიშება.

საჭიროა აღინიშნოს სამეგრელოს შემდეგი ჯიშები: ჰეი-
ტილური, ჩეჭიფეში, ჩერგვალი, კოლოში, პანეში, ტორო-
პუჩი, მარვატელი, დუდლუში, საკუმა, გრეხი, დედოფლის კი-
თო, ვერნახი, პუმპულა, ზერდავი, ჩეში და სხვ.

აფხაზეთში ვენახების მთელი ფართობის 84% ცოლიკო-
ურს უკავია, დანარჩენი — ჩხავერს, ოჯალეშს, საფერავს,
რქაწითელს, ალექსანდროულს, ციცქას, წულუკიძის თეთრას.
აფხაზეთის ჯიშებიდან აღსანიშნავია ძველთაგანვე ცნობილი
მაღალხარისხოვანი ადგილობრივი ჯიშები: ამლახუ, ავასირ-
ხვა, აშუღაუი, აუხვატა, აღბიში და სხვ.

აჭარა და გურია მდიდარია ვაშის ჯიშებით. მათ ფორმათა
წარმოშობის საერთო კერა აქვთ. ვენახების მთელი ფართობის
93% ცოლიკოურს უკავია, შემდეგ — ჩხავერს, ციცქას, მგა-
ლობლიშვილს, ოჯალეშს, საფერავს, ოცხანურ საფერეს, ალი-
გოტეს, იშაბელას, რქაწითელს და სხვა ჯიშებს. მცირედ გავ-
რცელებული ჯიშებიდან აღვნიშნავთ ჯანს, ჟუმუტას, ანანუ-
რას, სხილათუბანს, კიკაჩას, მტევანდიდს, მტრედისუხას, სამ-
ჩხავერას, ზენათურსა და სხვებს.

აჭარაში მთელი ფართობის 74% ცოლიკოურს უჭირავს,
მას მოსდევს ალიგოტე, ჩხავერი, ციცქა, ჩინური, იზაბელა და
სხვ. მცირედ გავრცელებულ ჯიშებს შორის აღსანიშნავია: ჯა-
ვაჭეთურა, თეთრა, მეკრენჩხი, მელიკულა, მწვანურა, კლარჯუ-
ლი, საწური, შავშერა, ხალთური, ხარისთვალა, ცხენისძუძუ
და სხვ.

ნიკო გეგხოველი,
მაქსიმე რამიშვილი,
დიმიტრი ტაბიძე

□

დიდი შეიქნა პაი და პუი,
 აპყვა ბუნება ჭორსა და ტყუილს,
 გამოიტყუა სითბომ ფერები,
 გავარდისფერდა ირგვლივ სერები,
 გამოიტანა ტყემალმა კვირტი,
 გასკდა გალობით სულელი ჩიტი,
 გამოიცვალა კაცმა სამოსი,—
 გაზაფხულია გარეშემოში;
 მხოლოდ ვენახი არ აპყვა ტყუილს,
 არ დაიჯერა პაი და პუი,
 და როგორც ჭიჭადამჯდარი ბრძენი,
 დგას და ჭეშმარიტ გაზაფხულს ელის!

მურმან ჯგუბურია

□

ავღეთ სისხამშე ვენახთა ხილვად,
 ვნახთ, თუ აყვავდა ვაზი, თუ იშლება კვირტები ვაზისა,
 თუ ყვავის ბროწეული, იქ მოგცემ ალერსთა ჩემთა.

ქებათა-ქება

□

ამწვანდა მთები,
 ტყე და მინდვრები,
 ათასფრად ჰყვავის
 ბალი და ზვრები.

ტყემ მოისხა ფოთოლი,
 აგერ, მერცხალი ჰყვივის,
 ბალში ვაზი თბოლი,
 მეტის ლხენითა ტირის.

ი ლ ი ა

□

ვაზმა, ვიდრე ნაყოფს მოგვცემდეს, უნდა იყვავილოს. ვაზი
 ივნისში ჰყვავის და როცა კი ამ დროს თავისუფლად ყოფნის
 ბედნიერი წუთები მომეცემა, მივდივარ ვენახში. და ვაზის
 ძირში მუხლჩახრილი ხარბად ყვნოსავ ვაზის ყვავილს, შევიგ-
 რძნობ მის უნაზეს სურნელს: აი, საიდან იქმნება ლვინის
 არომატი!

ნორბერტ გოტი

95



ლელვმა გამოიღო ყვავილი თვისი, ირმინული
ყვავილი ვაზისა სურნელებით ფშვენს.
აღდექ, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო
და წამოდი!


შებათ ა-კ ე ბ ა



მოეხვია ვაზი ჭიგთს,
წამოსწია თავი,
ვითომ ცელქი გოგო იყოს,
ისე ტურფად ყვავის.
მზე აცხუნებს ოქროსფერი
მოჩურჩულე ვაზებს,
ესიზმრებათ ოქტომბერი —
პიპლუცებს და ნაზებს.
მზეს აგროვებს ვრცელი ზვარი
და სისხლისფერ მზის წვენს,
შემოდგომით დაგვიძახებს
და სუფრასთან გვიწვევს.

ს თ ფ რ თ ნ ბ უ რ ლ ა კ ი



 მაღლი მიაგეთ, შვილთსან, შემოქმედს, ჯანიანი ხელ-ფეხი
რომ გასხიათ, თვალის სინათლე რომ არ გაკლიათ, გულის სი-
მრთელე, მუხლი და მკლავი რომ გიშერით და გარჯის უნარი
რომა გაქვთ, ვაზის ყვავილობას საკუთარი თვალით რო ხე-
დამთ.

მე არა მგონია, თუ რომელიმე ყვავილის ან ხის აყვავება
იქნება ენგრე ლამაზი, მე არა მგონია, რომელიმე ვარდს უფ-
რო საამური სუნი უდიოდეს, ვიდრე ვაზის ყვავილს, ვერცხ-
ლის ბუზმენტებსავით რომ შემოესევა ისრიმს.



XIII. არწივისთავინი ლვ-
თაება „სიცოცხლის ხის“
წინ. ასურნასირფალ II-ის
ქალხუს სასახლის რელიე-
ფის დეტალი. 883-859 წწ.
ძვ. წ.



XIV. ნეიპოლური სტამნოსი. დიონისიური დლესასწაულის სცენა დიონისე-დენდრიტის გამოსახულებით (ცენტრში). ანტიკური მხატვრული კერამიკა.

XV. ვერცხლის სასმისები, თრიალეთი. II ათასწლეულის შუახანები.



მერმე მოდგება შემოდგომა, ოქროს მტევნები დადგუადნ
ვაზის რქებს. ბოლოს თუთის ქვეშ გამართულ მარანში დალო
ბეჭედივით აკრიალდება ქვევრის თავი.

მე არ ვიცი, თუ რამე სკობია ამ ამბების დანახვას. დაბა-
რებული მაქვს შვილიშვილებისათვის: როცა მოვკვდები, ჩე-
მივე ხელით დარგულ ვენახში დამმარხონ, ყოველ გაზაფხულს,
ვაზის ტირილის თვეში, ჩემმა ვაზებმა დამიტირონ.

კონსტანტინე გამსახურ და



უცნაურად ყვავის ვაზი,
სილამაზე არ ჩანს ფერთა —
თუმც მტევნებში უხილავი
და ცოცხალი ძალა ფეთქავს.

ნიკოლა გრიბაწმოვა



გული მისთვის გეხსნება, ვინც ყვავილობის ჟამს კეთილი გუ-
ლით ღვინოს მოგიძლვნის.

საუი შუ - პი



საწყენია, როცა ყვავილობის ჟამს არ იხშავენ ლექსებს და
კამებს ღვინით არ ავსებენ.

339 გუან-ფუ



საქართველოში, ამ პატარა ქვეყანაში, უამრავი ვაზ-ყურ-
ნის ჯიშია გამოყვანილი....

მრავალ სახელს ყურძნის ფერი აღუბეჭდავს: ბროლა,
თეთრაწმინდა, ფითრა, ღრუბელა, სანთელა, ოქროყურძენი,

7. თ. ღლონტი.

97

ზერდაგი, მუღლია, ვარდისფერა, თავცეცხლა, წითლიანი, ჭრი-წითელა, თავწითელა, მწვანურა, მწვანე, ჭრელყურძენა, იიბ-ფერი, ჭროლა, ჭვარტლა, შავყურძენა... ირმანები

ზოგ სახელს — მტევან მარცვლის სიმსხო და მუჟკანის მარცვლის
ჭუნძა, თავკვერი, კვირისტავა, მელისკუდა, სხვილთავა,
მტევანდიდი, გრძელმტევანა, მოქლემტევანა, მხარგრძელი,
ბუტკო, ბურძლალა, კუმსი, ფაჩნატა, აკიდო...

მსხვილეუმფხალა, ხარისთვალა, დევისთვალა, წიტისთვა-
ლა, ყორნისთვალა, ღორისთვალა, წვრილმარცვალა, რგვალ-
ფურძენა, რკო, ცხენისძუძუ, თითა, შავთხილა...

ზოგი ვაზის ლერწის ფერით გამორჩეულია: ოქროულა,
რქაწითელი, მტრედისსფერა, ძელშავი; ხემხე...

სახელებში ყურძნის უჩვეულო ნიშან-თვისებებსაც ამოი-
კითხავთ:

მუაველა, მწკლარტა, კვაწახურა, შაბია...

კაქნატელა, კრახუნა, მახვატელი...

უწყვეტი, ყუნწმაგარი, მცვივანი, მაჰკვატური...

საკმელა, სულიანი ყურძნი...

ყურძნის შემოსვლის დროს გვამცნობს: მაისა, თიბათვის
ყურძნი, საადრიო, ადრეულა, სადადეგო...

სამეურნეო დანიშნულებას — სამაჭრია, საღვინე, საწური,
სათვალიო, საფერავი, საჩურჩხლე, სამარხი, ბადაგი...

ვაზის სადაურობის მაუწყებელია: გორულა, კლარჯული,
დიღმური, თბილური, სვანური, ქართულა, აფხაზური, კახური,
მეგრელაური, საირმულა, არაგვისპირული, ცოლიგაური...

ა ნ დ რ ო ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი



იწურება უხსოვარი ხნიდან
აქ ყურძნი, ათასობით წელია;
აქ, აზიის და ევროპის ხიდად,
საქართველო ოქროს საწნახელია!

რქაწითელი,
საფერავი,

თითა,
ბუდეშერი ყვირის ხიდან: — ჭიტა! —

თჯალეში,
კაჭიჭი და
ჩხავერი,
იზაბელას მოუვლია მთა-ველი.

რკო,
დონდოლაბი,
ციცქა,
ცოლიკაური —
იმერული ზვრიდან მომდის ხმაური.
ხარისხთვალა,
კაბისტონი,
კრახუნა,
ხინვი,
თეთრა,
ჩინური და ფრანგულა...
ამ ლექსისთვის რაც დავწერეთ, კმარა
სხვა ასობით საკუთარი ჯიში
საქართველოს — მშვიდობაში მარად!
საქართველოს — მშვიდობაში მარად!
საქართველოს —
ქორწილსა და ლხინში

მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ე



მე კარგად ვგრძნობ თავს ამ მადლიან მიწაზე... იქ, სადაც 3 000 წლის წინათ უპვე ვაზის გაშენება-მოვლას მისდევდნენ... დიდება ვაზისა და ღვინოს, რომელიც ყველა დროის განმავლობაში ქმნიდა ადამიანისაგან მსახიობსა და ძმას თავისი მოძმისთვის.

პ რ თ ტ ე ნ ი



რქაწითელი ძირითადი სტანდარტული ვაზის ჯიშია, რომლისაგანაც მზადდება კახეთის სუფრის თეთრი ღვინოება. მის სამშობლოდ კახეთი ითვლება. საქართველოში რქაწითელს უკავია მთელი სავენახე ფართობის 55%-მდე. იგი გავრცელებულია საბჭოთა კავშირის მეღვინეობის თითქმის ყველა რაიონში და საბჭოთა კავშირში ვენახების ფართობის 18% უკავია.

რქაწითელი სულ უფრო მეტად იყიდებს ფეხს საზღვარგარეთის ქვეყნებში. ბულგარეთში ღიდ ფართობებზე გაშენებული ეს უნიკალური ჯიში, ხოლო ღვინო – „რქაწითელი“ საექსპორტოდ გააქვთ უცხოეთში. ამერიკის შეერთებულ შტატებში – კალიფორნიაში, რქაწითელი ათას ჰექტარზე გაშენებული და მაღალი ხარისხის მშრალ სუფრის ღვინოს – „საბჭოთა რქაწითელი“ იძლევა.

საქართველოში რქაწითლისაგან აყენებენ თითქმის ყველა ტიპის მაღალხარისხოვან ღვინოს. საქვეყნოდაა ცნობილი რქაწითლისაგან დაყენებული სუფრის ორდინარული თუ სამარკო ღვინოები. რქაწითლისა და მწვანის კუპაჟით მზადდება „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ტიბაანი“, ორდინარული ღვინოები – „კახეთი“, „გარეჯი“. სუფრის ღვინოების გარდა, რქაწითლისაგან მზადდება პორტვეინი, მაღერა, ლიქიორული ტიპის ღვინო – „სამო“. იგი აგრეთვე ნედლეულია საქართველოს საუკეთესო კონიაკების – „ენისელის“, „გრემის“, „საიუბილეოს“ და სხვათა მისაღებად. მისგან დამზადებულია მაღალხარისხოვანი „ხერესი“, აგრეთვე, კარგი ხარისხის საშამპანურე ღვინომასალა.

მწვანე კახეთის ადგილობრივი, ხარისხოვანი და ერთეულთი საუკეთესო თეთრი ვაზის ჯიშია. უკანასკნელ წლებში იგი ყირიმშიც გააშენეს.

მწვანესაგან დაყენებული სუფრის ღვინოები (განსაკუთრებით კი ახალგაზრდა) გამოიჩინევა ძლიერი და სასიამოვნო ჯიშური ყვავილოვანი არომატით. ამ თვისების გამო მას იყე-

ნებენ ყურძნის სხვა ჯიშებიდან დაყენებული ღვინოების გა-
საკეთილშობილებლად. დღეისთვის მწვანე ძირითადად მოიყენება ევროპული ტიპის სამარკო ღვინოების „გურიანისა“ და „გურჯაანის“ გასაკეთილშობილებლად და სამარკო ღვინოების — „მანავისა“ და „ბახტრიონის“ დასაყენებლად.

საფერავი მაღალხარისხოვანი წითელი საღვინე ჯიშია, რომელიც ყურძნის წითელ ჯიშთა მსთფლიო ასორტიმენტის საუკეთესო წარმომადგენელია. საქართველოს გარდა იგი კელტიკი ინებულია მოლდავეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, დაღესტანში, ყირიმის ოლქში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში.

საფერავისაგან საუკეთესო სუფრის წითელი ღვინო დგება მის სამშობლო კახეთში, ხოლო შემაგრებული და სადესერტო ღვინოები — ყირიმისა და უზბეკეთში.

საფერავისაგან დაყენებული ღვინო გამოირჩევა ინტენსიური მუქი ბროწეულის ფერით, ძლიერი და მწყობრი ბუკეტით, თავისებური ჯიშური არომატით, სისრულითა და ხალისიანობით.

საქართველოში საფერავისაგან მზადდება კახური და ეპროპული ტიპის ღვინოები: სამარკო — „მუკუშანი“, „ნაფარეული“, „ალაზნის ველი“, ორღინარული — „საფერავი“ და შემაგრებული ღვინო — „მარნეული“.

უკანასკნელ წლებში საფერავი შეიტანეს ბულგარეთში და მისგან კარგი ხარისხის სუფრისა და სადესერტო ღვინოებს აყენებენ.

საფერავისაგან მიღებული ღვინოები დაძველებისას დიდ-ხანს ინარჩუნებს სიხალისესა და ჩვეულ არომატს.



ვაზო, მზე ჩაგისახლდა
ამღერებულ კვირტებში,
ამთჭრილხარ ზუქურთმად
გლეხი კაცის ფიქრებში.
გაბნეულხარ კოლხეთის
სიმღერებში, მითებში
და ნებივრობ ქიტესას
დაკოურებულ თითებში.

მრავალ-მრავალ-ჟამიერ
ყვავილიძ და იღიმი,
საჭმეველად გებნევა
გლეხის ტკბილი ღიღინი...
ძეობებში, ქორწილში
დაგეწუროს მტევანი,
სიყვარულის მორევში
ეფლობოდე ყელამდე.
შპვდავ ფესვებს გიკოცნი,
შენს სიმწვანეს შევხარი,
შენ ხარ მზე და ღიმილი,
საქართველოც ეგ არი.

ლ ი ნ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ხ

□

ვაზის, მიწის და
მზის შეზავების
მტევნებდასხმული
შენ ხარ მოძღვრება!

• • • •
მე მიყვარს შენი
გამწევი ქედი,
და მზისკენ შენი
ვაზური ლტოლვა,
მიკვირს უშენოდ
ან როგორ ვძლებდი,
ან როგორ განვვლე
დუღილის სკოლა.

რითმებს ვჩხვერავ და
ვღილინებ შენზე,
შენ გჰვრეტ და ვაზზე
სიმღერებს ვლამბავ
და ზღაპარივით
ზღაპრებში ვეძებ
შენი და ვაზის ერთობის ამბავს.

ო, მხიბლავს შენი
 ფუსფუსი ზვარში,
 მინდა სათქმელი
 გულდაგულ გამცნო,
 მე ვენაცვალე
 აფრებად გაშლილ
 შენს ჯიშს და ჯილაგს,
 კახელთ კაცო!

მ თ რ ი ს ფ თ ც ხ ი შ ვ ი ლ ი



ალაზნის ველი ბრწყინვალე,
 თქროს მზის ამოსახედი...
 ვაზდაბურული სამშობლო,
 ჩემი უკვდავი კახეთი!

ლარზე გასული მაჭარი,
 ქვევრებს რომ მოეტარება,
 თვითეულ შეფეში რომ ისმის
 სიცოცხლის მონექტარება.

შენ დამიმწიფე სიტყვები
 ვით ხეს გასული მტევნები,
 შენი, შენდამი, შენს შექთა,
 შენს ციმციმთ მისადევნები!

გ ი თ რ გ ი ლ ე თ ნ ი ძ ე



კახეთში მზე ისევე ულევია, როგორც ჩემს მადლიან შამ-
 პანსა და ბორდოში. მზე და ღვინო კი ძმები არიან.

რ თ ს ე ნ ი

კახეთი ჩემი მეორე სამშობლოა. აქ ავიდგი ჭერი, რთულობის მეცნიერმა, აქ შევიცან კახური ვაზის მაღლი, მისი მძლეული მძლე ლეიტონის ლირსება.

მიხეილ გერასიმოვი



ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის ამოსვლას უნდა უცქიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელ ველს და ალაზანი ბრწყინავს, როგორც ვერცხლისფერი ზონარი...

კაპლუცო კახეთო! ოქროსფერ ლეიტონის, სიხარულის და სიამის ქვეყანავ!... სეტყვა აზიანებს შენს ვენახებს, გვალვისაგან შრება შენი მდინარენი, მაგრამ არასოდეს არ დაშრება შენი სილამაზის უკვდავი წყარო.

არტურ ლაისტი



— ოჩოპინტრეე! ოჩოპინტრეე! პაიტ, შე ეშმაკის ნაჭლიკარო, ბახუსი რო ჩამოივლის, მარნებში რას დაჯირგალობ.

ლეიტონ გწყუროდეს — წყლად გექცეოდეს,

პური გმიოდეს — ქვად გექცეოდეს.

ისე ამ ჩემთა სიტყვამ იხაროს, შენ ქართველურად არ

იქცეოდე.

ბიჭო, რად არცხვენ იმათ დიდებას,

ვინც საქართველოს მაღლა მიაფრენს,

რა პასუხს აძლევ ვაზის მინდიებს —

პატიოსან და მამაც წინაპრებს.

— კახეთო, პაი, კახეთო, კახეთო — დევის მარანო,

შენი ალალი შვილები, ვინა თქვას, არ მიყვარანო.

მაგ ლეიტონითა ხარ ძლიერი, მაგ ლეიტონითა ხარ მაგარი,

ყველაზე კარგი მომლხენი, ყველაზე კარგი მაყარი.

კახი — ფეხქალამნიანი, გალომებული, უტენი,
 მტრისა არ შეგშინებია, ათასებს ერთი უდექი.
 ავრემც ხარობდეს, ჰყვაოდეს, ეგ ვაზის ძირი ბებერი,
 კაცი არ დაბადებულა ჯერ შენი შემშინებელი.
 შენთან ქეიფობს ბახუსი, ქართულად მღერის ბახუსი,
 ღმერთს სული მისდის კახურში? — დაუსხი, ბიჭო, დაუსხი!
 კახეთო, ჰაი, კახეთო, კახეთო — ოქროს მარანო,
 ფარსაგად იყავ, შვილოსან, ე მანდ თავს რამე არ ავნო.
 კახეთს — დევის მხარბეჭიანს,
 კახეთს — ვაზის გვირგვინთსანს,
 მრუდე სიტყვას უბატონოდ ვინ შებედავს, ვინ, შვილთსან,
 მაგრამ...
 ოჩოპინტრე!
 — ოჩოპინტრე! ჰაიტ, შე სამგლე ოჩოპინტრე,
 შენი ღვინითა ვარ მოწამლული, დამაცა, ერთი მოვკობინდე!

შოთა წილი აბანიძი



მაგრამ რა ვუყო ჩემს ტკბილ იმერეთს:
 გეგუთს, ვარციხეს, ალისუბანსა;
 ოქროს ბავშვობას, სიზმრებს, სიმღერებს,
 ყრმობას, ოცნებებს თავისუფალსა.

იმ მთებს რა ვუთხრა, ცას შეჭიდულებს,
 გაუთავებელ ზვრებს და მაღლარებს...
 კახეთს რა ვუყო, კახეთს დიდებულს,
 დიდი ალაზნის ცვრიან ბაღნარებს.

ირაკლი აბაშიძე



1

დიონისე — ლხინის ღმერთი (ვინც გვერატა მარანზე),
 კოლხიდაში იზრდებოდა — ღმერთების აგარაკზე.
 ბავშვობაში აქ დარბოდა ცხენისწყალთან, რიონთან,
 მაშინ როცა ჩვენს ქუთაისს ქუთაია ჰქვიოდა.



აქ ისწავლა ისრის სროლა, ნადირობა, ჯირითი, ეროვნული
წყალზე ბადის გადავდება, ამოხაპვა ქვირითის. გილორითია
— ფრრ... ფრრ... — ბუჩქნარ-ბუჩქნარ ფრთხიალებდა
ცისკარი, —

მიფრინავდა ხოხობი თუ ამორძალის სიშმარი.
აქ დარბოდა

და ტყეებში ალებს აწიოკებდა,
აქ მღეროდა ჭურისთავზე ყელმაღალა დოქებთან.
და ცეკვავდა ჰორიზონტი ამ რიტმებით გაზრდილი,
ცეკვავდა და
კოლხეთის ტანს ეხვეოდა ვაზივით.

ვაზო, ვაზო — ღმერთის სულო, ღმერთის სისხლო, სხეულო,
ქართულ ლექსში და აზბანში გემღეროს და გეხუვლოს.

— ბააზუ,

ბააზუ,

ბააზულიააა! — გასძახოდა გამდელი
და ღვთაებრივ ნაფეხურებს ახდიოდა ნათელი.
მზეს ბიმბლავდა მტევანივით,
მთვარეს წოვდა ცურივით
და თიხაში გადალასტა ყველა თავის სურვილი:
დანაწილდა ღმერთის ტანი დოქებად და ქვევრებად,
ქოთნებად და კეციებად — კერის ბედნიერებად.

II

ჰაუ, როცა შემოდევგზე ვესტუმრები იმერეთს,
ვიღას ახსოვს სნეულება, სიკვდილი თუ სიბერე.
ყალყზე დგება იმერეთი მოჟიზვინე ულაყად,
მართლა გაგხდის დროსტარების და ქეიფის უნახავს.

— ბააზუ,

ბააზუ,

ბააზულიააა! — ისევ ისმის ძაზილი...

მიტლაშუნებს ბილიკებად იმ ულაყის აღვირი.

აპა, ვაზით დაწერილი დაბლობი თუ ზეგანი —

უძველესი იბერია — ეს ბიბლიის დედანი.

ვაზებს,

ხეებს,

ციხე-ტაძრებს,
აკვნებსა თუ აივნებს
სიმღერები მოუსხიათ

და მე გულშე დავიბნევ.

ეს სიმღერაც,
ეს ხორხოციც, დაე, მარად ისმოდეს,
წუთისოფლის სტუმრებო და მკვიდრნო მარადისობის...

შთა ნიშნიანი ა



ცოლიკორი დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ვაზის ჯიშია. ფართობით, რქაწილის შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავს. ცოლიკოური გამოიყენება სუფრის ხარისხოვანი მორალი და მოტკბო ღვინოების დასაყენებლად. ცოლიკოურისგან დაყენებული ღვინოები გამოირჩევა საკმაო ექსტრაქტულობით, მდიდარი ბუკეტითა და სასიამოვნო სიხალისით.

ცოლიკოური გამოიყენება საკუპაჟე მასალად სამარკო ღვინის – „ცოლიკოურის“, ორდინარული „იმერულისა“ და მაღლალხარისხოვანი მოტკბო ღვინის – „ტვიშის“ დასაყენებლად. გარდა ამისა, მისგან დიდი რაოდენობით ამზადებენ პორტვაინს – „არგვეთას“. აფხაზეთში. ცოლიკოურისაგან მზადდება მოტკბო ღვინო – „ფსოუ“.

ციცქა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის სტანდარტული ჯიშია. მისი დადებითი თვისებებია: უხვი მოსავლიანობა, პროდუქციის მაღალი ხარისხი და ფილოქსერის მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა. იგი კარგად უძლებს ზამთრის ყინვებს. ვენახის დასეტყვის ან გაზაფხულის წაყინვისას უნარი აქვს საკმაო რაოდენობით გამოიღოს სანაყოფი ყლორტები.

ციცქადან მზადდება საშამპანურე ღვინომასალები, ევროპული ტიპის ხარისხოვანი და ადგილობრივი სუფრის ღვინოები.



აბრიალებულ მისი შუქისგან
თვალები მეწვის –
მოქნილი წელით

მიისწრაფვის მშისაკენ ლერწი.
 მას რომ შეეძლოს
 სხივისათვის ბწყალის ჩავლება —
 მჯერა, თვით მშემდე აიწევდა,
 აიმაღლებდა!

გრიგორი პეტრი ვა



ძველ ტაძარში სარკმლიდან
 ჩაპარულა ვაზის რტო,
 ტრაპეზს შემოხვევია
 ქარვისფერი აკიდო.
 ამოსვლა რომ მოუნდეს,
 უკან ვიღამ აზიდოს?
 ეი, ჰეი, მთვრალია,
 უგუნური ვაზის რტო!

გიორგი ლეონიძე



ვარ თვინიერი, მოსაფერები,
 მაცოცხლებელ მიწის დობილი,
 როს მიმძიმდება ტანი მტევნებით
 დედამიწას ვარ დაყრდნობილი;
 არ შრიალებენ მტევნები მაშინ,
 ქარს ახლოსაც არ ვეკარები —
 რომ შევიფარო მე მწვანე ჩრდილში
 დამკრაბული, მწიფე ქარვები.
 მტევნები მაშინ პატრონს ელიან,
 ავსებულნი მშისფერი წვენით.
 ისე მშვიდი და უდრტვინველი ვარ,
 ეს სიმშვიდე არ ითქმის ენით.
 ჩემი ბადაგი სულ ცოტა ხანში,
 (არ გეგონოთ ტყუილი, ჭორი),

მოწყენილს, ყარიბს აიყვანს ცაში
 მოციმიმე ვარსკვლავებს შორის.
 კაცს რომ ზღვა პქონდეს გადასავლელი,
 ჩემი ძალით ზღვაში გაურევს;
 გადაეყრება მძიმე ნაღველი,
 გულს სიმღერა აუხმაურებს.
 სან, თუ ვისურვე, სვებედნიერი
 გული სევდას დაეწინდება,
 მოკვდავში ლირწი და ბიწიერი
 ჩემი მადლით განიწმინდება.
 თვინიერი ვარ, მოსაფერები —
 მიწის მადლი და უკვდავება...
 მზით ავსებული მწიფე მტევნებით
 მე ნამდვილად ვგავარ ღვთაებას!

ვაჟა გ ნ ღ ა ვ თ ი ა ნ ი



ოდეს ისურვო, რომ გაუტოლდე
 პოეტს —
 დაკოურილ ხელით ნაჯაფით
 ასწიე მაღლა,
 როგორც ალამი,
 ყურძნით ავსილი შენი კალათი.
 წვენ, ვიცი, ერთურთს
 კარგად გავუგებთ
 ზიარი ტვირთის
 წვენ ვართ მზიდველი.
 მე შენ ლექსების
 კრებულს გაწუქებ,
 შენ — ყურძნით სავსე მიძღვენ გიდელი.

ს ე რ გ ე ს ს ე რ გ ე ვ ვ - გ ა ნ ს კ ი

ვაზას რომ ვამბობ, მაშინვე
 სამშობლო მაგონდება.
 როგორც ამ ზვრებს, იმასაც
 თვალი არ მოშორდება.
 მის ფესვებსაც დღემუდამ
 თუ არვინ ჩაუბარა —
 მყისვე მოეძალება
 ათასი დარღუბალა.
 ათასი სარეველა,
 ფილოქსერა, ნაცარი,
 ყველა უბედურება
 ქვეყანაზე რაც არი —
 ერთად წამოიშლება
 ბუკითა და ნალარით,
 ზვრების ნაცვლად დაგვრჩება
 მხოლოდ ნავენახარი...

II

ფუძ ეშმაკს!
 ეს რას ვამბობ,
 რა წამომცდა, გახმეს ენა...
 ამ მიწაზე წარსულს დვიძავს,
 ჩანს, წარსული მომეჩვენა.
 მომეჩვენა,
 მაგრამ ფესვი
 ჩვენი ვაზის, ჩვენი ჯიშის,
 გამოვლილი ათას ცეცხლში,
 ათას მწარე გასაჭირში,
 სამუდამოდ განბანილა
 უკვდავების წყაროსთვალით,
 რაც წარსულმა ვერ შეიძლო
 მას ვერ შეძლებს მომავალიც...

მაშ, ამ ზერებში ვიდგეთ მყარად,
ვიდგეთ წვენი მძიმე ტვირთით,
საქართველოს გასახარად,
საქართველოს მომავლისთვის!



თ ე დ ო ბ ე ჭ ი შ ვ ი ლ ი





საქართველო
კულტურის
მუზეუმი

„მასპინძელო, ჩვენო ღხველო, მარნის კარი
გვიშრიალე....“



... მიინავლება მალე ჰაფხული, მზე მიაშურებს მწუხრის
სენაკებს,
და შემოდგომის ფერისცვალება
ველებს მორთავს და
მოავენახებს.

მოშე იბნ ეზრა



ენკენისთვე რო დადგება,
ვაზებს გადაუსმენ ხელსო!
მოწყვეტენ და შეინახვენ,
ზოგით გაიტკბობენ ყელსო.

ხალ ხურა




შემოდგომა პარაქიან კალთას დააპერტყავს საქართველოს
ვენახებს. მწიფე მტევნებით დაიხუნდლება ვაზები. დამკრახუ-
ლი ყურძენი სართვლოდ იწვევს გლეხებს. კახეთში რთველი

XVI. ამფორა. ქომის ტები.
ალტენშტერგილი ღისტატი.
სამოსი. 550-540 წწ. ძვ. წ.



XVII. აკაზაზე ამხედრებული ღიონისე. ჰელას სასახლის მოზაიკა. ძვ. წ. IV საუკ.
პელა, მცხეული.





XVIII. დიონისესა და ორიალეს სკულპტურული გამოსახულებები. ნაქართვი
სარკინე. ძვ. წ. I საუკუნე.



XIX. ტერაკოტული ნიღბე-
ბი დიონისეს ჭრის მითო-
ლოგიური პერსონაჟების
გამოსახულებებით. ძვ. წ.
II საუკუნესას გამოსახული — I
საუკუნის დასაწყისი. ნაქა-
რთვის სარკინე.

სექტემბრიდან იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გასტან. იმერეთში ოქტომბრიდან, „მწიფობის თვიდან“ ნოემბრის მოდის რთვლის ალო. ძველად გურია-სამეგრელოში კიდევ უფრთ გვიან იქრიფებოდა მაღლარი ვენახი, დეკემბრამდე დაუკრეფავ ვაზებს ხშირად დაათოვდა კიდეც...

რთველს წინ ხანგრძლივი სამზადისი უძღვის.

შეთვალდება თუ არა ყურძენი, საკრეფლების და ყურძნის გადასაზიდი გოდორ-ძარების წვნა გაჩაღდება სოფლად.

რთვლამდე ერთი-ორი კვირით აღრე ქვევრების რეცხვას შეუღებიან...

სართვლოდ საწნახლებიც გამოირეცხება, სხვა ჰურჭელ-ხელსაწყოც გასუფთავდება, გამზადდება...

ლიხთიმერეთში ჰურისთავის დასაგოზად აყალო მიწასაც მოიმარავებენ...

ამასობაში რთვლობაც მოაწევს. თვალდათვალ შეეტყობა ყურძენს სიმწიფე. მწიფე ყურძენი ღუილს დაიწყებს, კანი გუთხელდება, გამჭვირვალე გაუხდება. ყურძენი „ჩაშავდება“, თეთრი — „ჩაქათქათდება“...

ა ნ დ რ თ ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი



რთველი მაშინ უნდა დავიწყოთ, როდესაც ნაყოფი ტექნიკურ სიმწიფეს მიაღწევს... დასავლეთ ევროპაში, გერმანიასა და საფრანგეთში, გამოცდილი მევენახე-მელვინებისა და სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია მოსავლის ღირსებას სიმწიფის მხრივ წინასწარ ეცნობოდა, დანიშნავდა დღეს, როდესაც მთელი სოფელი რთველს უნდა შესდგომოდა. ამ წესს, უდავოდ, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა: ამა თუ იმ რაიონის ლვინოების მიერ დამსახურებული რეპუტაციის შენარჩუნება.

ბურგუნდიაში, მაგალითად, სპეციალისტებისა და დაინტერესებული კომერსანტებისაგან შემდგარი კომისია რთვლის მთახლოების დროს განსაზღვრავს მოსავლის ხარისხისა და რაოდენობის წინასწარი შეფასებით და თანაც აღნიშნავს, თუ

როდის უფრო მიზანშეწონილი იქნება რთვლის დაწყება... მე-
ვენახენი კომისიის აზრს ანგარიშს უწევენ და მათ რჩევას
შეძლებისდაგვარად იყენებენ.

კონსტანტინე მოდებაძე



ამჟამად, საფრანგეთში, ბორბოს უნივერსიტეტის ენოლთ-
გიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს რიპერო-გაიონი,
კონტროლს უწევს საფრანგეთის უმთავრესი რაიონების მე-
ღვინეობა-მევენახეობას. რთვლის დაწყების ნებართვას იძლე-
ვა ინსტიტუტი. ყოველგვარი სიახლის გამოცდასა და შემოწ-
მებაზე, აგრეთვე, წარმოებაში მის დაწერგვაზე პასუხისმგე-
ბელია ინსტიტუტი.

ვასტანგ მოდებაძე



მშემ დახედა მტევნებით დახუნძლულ ვაშებს, დილის ნამი
შეაშრო მწიფე ყურძენს და მკრეფავთა ურიამული მოედო
ვენახებს. მკრეფავი უმეტესად ქალია. მათთან ერთად ყმაწვი-
ლები, მოხუცი მამაკაცებიც ინაწილებენ ყურძნის კრეფის
არცთუ მძიმე ტვირთს... ყურძნიან საკრეფლებს ვენაზის შარე-
ბის თავსა და ბოლოში ვება გოდრები ელოდება ძირში წა-
ფენილი ვაზის ფოთლებით. მათ ახლომახლო ჯან-ღანით
სავსე მამაკაცები, ბიჭები — „მეგოდრებები“ ტრიალებენ. თუ
მარანი ახლოა, ზურგით მიზიდავენ ყურძნიან გოდრებს, თუ
არადა, ურმებზე დაუდებენ.

საკოლმეურნეო ზვრებში დაკრეფილ ყურძენს კი სატვირ-
თო მანქანებით გადაშიდავენ...

ანდრო ლეკიაშვილი

□

ყურძენი დამწიფებულა,
 დახე, როგორ წითლად დუის,
 ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ
 კოლო, ბუზი თავს დაპბრუის.

შეიკრიბნენ მკრეფავები,
 ამოუდგნენ თითო ვაზსა,
 ყურძენს სვლეპენ, იცინიან
 და მოაპეს მხარი მხარსა.

მტევნებს პკრეფენ, პგლევენ, სჭრიან,
 გაპკრეს, გაპკრეს ვენახს ხელი,
 კალათები იზვირთება
 და შეიქმნა ხშირი რთველი!..

საურმეზე გოდრები დგას,
 კალათს სცლიან ზედიშედა,
 აბა ბიჭუ მარნისაკენ,
 თორემ ძლიერ გაიჭედა.

იკიდებენ მძიმე გოდრებს
 სიცილით და ღილინითა,
 ურმით მიაქვთ საწნახლისკენ,
 ნება-ნება, ჭრიჭინითა...

აბა გიგო, კრჩხა თუ გინდა:
 ან ჯაგანი, ან აკიდო,
 შენი წილი ზამთრისათვის
 მოდი ზურგზე წამოგკიდო...

ჩვეულება ასეთი გვაქვს,
 ხილს ვინახავთ საზამთროსა,
 ყურძენი სკობს შესანახად
 ნესვებსა და საზამთროსა...

მზე ჩავიდა. საწნახლიდან,
 მოწანწყარებს ტკბილი წყარო,
 აპა ბიჭო შეადექით,
 ახლა წურვას მოვუჩქაროთ...

ბიჭებმა ფეხთ დაიბანეს,
 შემთადგნენ საწნახელსა,
 გადიან და გამოდიან,
 უმადლიან ყურძნის რთველსა.

აგერ ტკბილმაც მოიმატა,
 ძლივსლა იტევს მოკლე ღარი,
 ჩქაფაჩქუფით მოჩქრიალებს,
 ქვევრი დახვდა უმაძლარი!..

დაილოცა ღვთის ნაკურთხი,
 ჩვენის ოფლით მონაგარი,
 მაშ, პირველა ღვთისთვის იყოს,
 — ზედაშე და კელაპტარი!..

რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი



დაღამდა, თითქოს ცაშე დასცალეს
 ლალის მტევნებით სავსე კალათა,
 ადგა სილნალი თამადასავით
 და სივრცეს თვალი გადაანათა.

თითქოს მიფრინავს გუნდი მერცხლების,
 შრიალებს დინჯი ალაზნის ველი.
 შუქით გომბორის მთაც ივერცხლება,
 როგორც მოხუცი დარბაისელი.

ბიჭები უკვე ყურძენს წურავენ,
 მარნებში ოქროს შუქი იღვრება,
 მოსჩქეფს მაჭარი და ყელს სწყურია
 ტკბილი სიმღერის შეღიღინება.

სავსე ურმები ზანტად მიდიან,
დგას სურნელება უწვი მოსავლის,
კავკასიონის მწვერვალს პკიდია
ცა — ვარსკვლავების კრიალთსანი.



ი თ ს ე ბ ნ თ ნ ე შ ვ ი ლ ი



ჩუ, ეს რა ხმაურობაა,
რა მოხდა, რა ყიქინია?!
გახურებული რთვლობაა,
კოლმეურნეთა ლხინია!
ყურძენსა კრეფენ ქალები,
გოდრებსა ცლიან კაცები,
ვშველი გულაღტაცებით და
ვერხვივით ვეშრიალები!
დგას ჩინებული დარი და
ხალხს ყელი მოუღერია,
მღერის საწნახლის დარი და
მარნის ქვევრებიც მღერიან.

გ ი თ რ გ ი ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი



აი, გლეხი ვაზს ესტუმრა
პაწაწინა დანით ხელში,
ჭრის ყურძენს და სავსე კალათს
ცლის ლიმილით საწნახელში.

ი თ ს ე ბ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი

□

უნვი ნაყოფის და ჭირნახულის
 ხვავად ქცეულა სოფლის ამაგი,
 ვეღარ ეტევა ქვევრში, ბეღლებში,
 ხორბლეულის და ღვინის მარაგი.

ა ლ ი თ მ ი რ ც ხ ლ ა კ ა



რომაელები რთვლის დროს ქალაქებიდან სოფლად გადი-
 ოდნენ, რათა რთველში მონაწილეობა მიეღოთ. მეფე ნადი-
 რობას თავს ანებებდა და თავისი ამაღით სოფლად მიდიოდა
 ამ საერთო დღესასწაულზე დასასწრებლად. იმართებოდა ცეპ-
 ვა, გალობა, ჭიდაობა და სხვადასხვაგვარი შეჯიბრი. მონებს
 ვითომდა „სიტყვის თავისუფლებაც“ ეძლეოდათ: მათ შეეძ-
 ლოთ შეეთხბათ და „დაუსჯელად“ გამოეთქვათ თავიანთ ტირა-
 ნებზე არაკები და შაირები, ნება ეძლეოდათ აგრეთვე, ესვათ
 ღვინო, რამდენსაც კი შესძლებდნენ და მოისურვებდნენ.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ თ ღ ე ბ ა ძ ე



ო, მბრძანებელო, მოავლე თვალი
 შენს ვენახებს და იხარე გულით!
 ვაზებს ჰკიდია მსხვილი მტევნები,
 შეხე, ყურძენს ფეხით წურავენ.
 შენს გასახარად წვენით სავსეა
 წლეულს მარცვლები ათასჯერ მეტად.
 მაშ, სვი, ნუნუას ნუ ეტყვი უარს,
 მიეც თავი შვებას და ლხენას.
 მოსალამოვდა, ბინდდება უკვე.
 მწიფე მტევნებზე ციგლიგებს ცვარი.
 ყურძენს წურავენ, ჩქარობენ კაცნი,
 ფიცხი ამბოხით ავსებენ ჯამებს,

მბრძანებელთან ჟაშნიკად მიაქვთ.
 სვი, მბრძანებელთ, ადიდე ღმერთი,
 ყოვლის სიკეთე ღვთით არის ჩვენთვის.
 ბაღ-ვენახების მეოხს და მფარველს
 შენ აღუვლინე ზეცაში ლოცვა,
 შენ, შენ შესწირე ყურძნის ნაური,
 შენ შეახვეწე ჩვენი ზვრები და
 საგაისოდაც სიუხვე ღვინის.

ტველუგიპტური ლირიკა



ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეჭეჭურები,
 წამოიარა ეზო-ეზო სავსე ხელადით,
 ამირანივით მოიქნია ეს ბრგე ჭურები,
 მოიქნია და დევებივით დაფლა ყელამდე.

შ თ თ ა ნ ი შ ნ ი ა ნ ი ბ ე



მარნის ბაქანშე სულრა აკურთხეთ,
 მე დაგილოცავთ ფუძის ანგელოზს!

გ ი თ რ გ ი ლ ე თ ნ ი ბ ე

მასპინძელო, ჩვენო ლხინო, მარნის კარი გვიშრიალე,
 მოგვიტანე კოკით დვინო, ყელი ჩაგვიმაჭრიანე!

ხ ა ლ ხ უ რ ი

საქართველოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ღია
 და დახურული ტიპის მარნებია გავრცელებული. აქედან დახუ-
 რული მარანი აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა დამახასია-
 თებელი, ღია კი დასავლეთ საქართველოსთვის, სადაც მის
 გვერდით დახურული მარანიც გვხვდება.

დასავლეთ საქართველოში იმ ადგილის აღსანიშნავად,
 სადაც ქვევრებია თავმოყრილი და სამეურნეო ნაგებობა, მა-
 რანი დგას, სამი სხვადასხვა შინაარსის ცნება იხმარება:
 ჭურისთავი, ჭურ-მარანი და მარანი. ჭურის-

თავი ის ადგილია, სადაც ლია ცის ქვეშ, ერთ ადგილზე, მიწა-
ში, თავმოყრილია სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ქვევ-
რები. ჭურ-მარანი შედგება ჭურისთავისა და მარწისაზარ-
ჭურის თავზე დგას ნაგებობა მარანი, ჭურები შენობის წინ
არის თავმოყრილი ცის ქვეშ, ზოგჯერ კი ფარდულში. მარან-
ში თავმოყრილია როგორც ქვევრები, ისე სხვა სახის ყველა
იარაღ-ჭურჭელი, მეღვინეობისათვის რომაა განკუთვნილი.

არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ
ქვევრი ღვინის შესანახ ჭურჭლად საქართველოში ძვ. წ. VI
საუკუნეში ფართოდ ყოფილა გავრცელებული და გამოყენე-
ბული.

ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ტერიტორია-
ზე აღმოჩენილი ქვევრები განსხვავდებიან ფორმით, სიდიდით
და შემქულობით ეგეოსის ზღვის აუზის, სამხრეთი მესოპოტა-
მიისა და სხვა ძველი ქვეყნების მსგავსი ჭურჭლებისაგან, რაც
მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წარმოშობით შეიძ-
ლება აიხსნას.

კოლხური ქვევრი ადრეანტიკურ ხანაში შორეულ ქვეყანა-
ში გაუტანიათ. ბოსფორის ნიმფეაში, ძვ. წ. IV საუკუნის ფე-
ნაში, აღმოჩენილ იქნა კოლხური ქვევრი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ თ ხ თ ბ ა ძ ე



კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არ ნახულისა,
დაპოს ურმისა მორგვი
ზაფხულის შენახულისა.
დაპწვას ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს,
დასვას და ანადიმოსა.
ატლასის კაბა ჩააცვას
და ცხენსაც შესვას პილოსა,
ყველა ტფუილად წაუვლის,
თუკი არ ასმევს ღვინოსა.

ს ა ლ ხ უ რ ი



ქართველების სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა ანტიკურობის გურ დონეზე დგას, რაც დასავლეთ ევროპას ამ ბოლო საჭურია გუნების მანძილზე აღარ ახასიათებს.

ჯონ ბ. პრისტლი



მემარნე სანთლებს აუნთებს ქვევრებს,
ჯამით ახსენებს წმინდა თარიღებს,
გულს რომ სიცოცხლეს გაუნახევრებს,
სმურებს იმნაირს ჩამოარიგებს.

— ლილე, ვარადა!

„გრძელი კაზური“
სულ დარჩეს გრძლადა,
არ გამწყდარიყვეს!...

გიორგი ლეონიძე



სავსე ქვევრებში, ვით თონეში, ცეცხლი ენთება —
ამობრიალდა უკვე მაჭარი,
ვით მეწამული ლომის ფაფარი —
იღვიძებს, ბრწყინავს, საკუთარი ცეცხლი ედება.
იმის დუღილში მიწის სუნიც საცნაურია.
ჰგავს შორეული ვარსკევლავის ციმციმს.
ცისა და მიწის ზეიმობს ფიცი —
გულს სივრცეებში დაუღლელი ფრენა სწყურია.
ქვევრებში ბორგავს ლვინის სული — ლტოლვა მარადი,
აქ ღუის სევდაც მაისის წვიმის
და მოწერიალე ზაფხულის სიმის
მხურვალე ვნებაც — ჩვენი მიწის და არარატის...
ამ მზის შვილია, ამოზარდა ამ მიწის უბემ,
ზემთაგონების დაი კეთილი...
მან იცის გზები გადაკეტილი
ქვეყნის, სად ტრფობის და სიკეთის ზეიმი სუფევს!

ვაჰაგნ დავთიანი



აკაციის ტევრი...
 წნელის სუსტი ღობე...
 ქუდმოხდილი ქვევრი...
 ღვინიანი კოპე...
 აქ — მზით დამწვარ ხელში
 ღვინიანი ჭიქა...
 იქ — ცარიელ ქვევრში
 დამწყვდეული ჭინკა...
 პაპის მონაცემი,
 მარად საოცნებო,
 კარ-მიდამთ ჩემი
 დამილოცეთ, ძმებო!

ა ნ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე



სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მარანი „საღვანე სახლია“. „მარ-ანიდან“ გამოიყოფა „მარ“ ფუძე. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „მარ“ უკავშირდება სამარხს, „სა-მარ“-ის ადგილია, სადაც იმარხება მარები, ანუ ხის ჭურჭელი (იხმარებოდა „საწნახელის“ პარალელურად).

ნ. ბერძენიშვილს დადასტურებული აქვს, რომ „მარ“ თიხის დიდ ჭურჭელს ეწოდება, რომელშიც ზოგჯერ იმარხებოდნენ კიდეც. „სა-მა-რე“ „მა-რის“ მოსათავსებელი ადგილი გამოდის... იმ ადგილს კი, სადაც სამარხებია, „სამაროვანი“ ეწოდება, რომელიც სამარისაგან არის ნაწარმოები. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, „მარი“ თიხის ჭურჭელია, ხოლო „მარანი“ — აღნიშნული ჭურჭლის კრებითი სახელი და მრავლობით რიცხვს გამოხატავს.

ა ლ ე კ ა ნ დ რ ე ბ თ ხ თ ა ძ ე



საინგილოში შიოს მარანთან
 მუზის სუფრა დგას კახში კახური.
 მაღლა თაროზე — ძველი ხელადა,
 ძირს — საწნახელი მამაპაპური!
 კედლის სურათზე ყვარლის ბალები,
 რთვლიბა, პურობა ქართულ ვენახში...
 და ცეცხლის პირას შიოს ბალლები
 „კახეთის“ სწავლობენ „დედაენაში“.
 და სახლის მამა, გლეხი მართალი,
 დაღლილ ჯალაბის ყოველ ძილის წინ
 ჩართავს რადიოს და ტკბილ-ქართულით
 მშვიდად საუბრობს კახში თბილისი.

ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე

საინგილოში, უხსოვარი დროიდან, წითელ ღვინოებს ხოხ-
 ბისყელა ღვინოებს უწიდებდნენ...

როცა ინგილოს ძვირფასი მეგობარი ან მეომარი ესტუმ-
 რებოდა, მასპინძელი სტუმარს თავის მამულში გაანადირებ-
 და, მოკლავდა ხოხობს და დიასახლისი ხოხბით ჩახოხბილს
 დაამზადებდა (არის მოსაზრება, რომ სიტყვა „ჩახოხბილი“
 აქედან უნდა წარმომდგარიყო). სტუმრის პატივსაცემად ახდიდ-
 ნენ ხოხბისყელა ღვინით სავსე ქვევრს და სათანადო ლხინითა
 და ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ ღირსეული მეგობრის სტუმ-
 რობას.

ი ა ს თ ნ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი



შემოგვალამდა. ალი-აბადთან
 უღრან ტყის პირად გავკვესეთ ტალი,
 წიფლის ტოტები წითლად განათდა,
 ცაში ბუბუნით ავარდა ალი.

 და დაემგვანა ის ღამე ქორწილს,

ბრუნავდა ცეცხლზე მწვადების ჯარა.

შამფურებს სტეხდა ნადირის ხორცი

და ჩინჩხლებს ჰყრიდა მაშხალის გვარად. 

გვქონდა, სულ გვქონდა, რაც გულით გვსურდა
და მაღაც გვქონდა დაღლილებს მგლური,
გავხსენით ცეცხლთან თხის ტყავის გუდა,
ნამჯაზე დავდეთ ყანწი და პური.

ჩამოვდეთ დინჯად, გავსილი გზისთვის,
ხელადა, როგორც ძვირფასი განძი
და საქართველოს მიწის და მზისთვის
ინგილომ შესვა პირველი ყანწი.

ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე



ღვინის წარმოება საქართველოში დღეს ძლიერ დაწინაურებულია, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არაფრით არ ჩამოუვარდება დასავლეთის მეღვინეობის მოწინავე ქვეყნებს... ღვინის დაყენების ქართულმა წესმა, რომელიც დიდად განსხვავდება ევროპულისაგან, ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს ქვეყანა წარსულში მაღალი ხარისხის ღვინოებით იყო განთქმული და იგი მომავალშიც დარჩება ამ პროგრესული საქმის დამბოლოებელი.

ჭ თ ვ ა ნ ი დ ა ლ შ ა ს თ



მე ვიცი,
არის ხელობა ძნელი,
მათი, ვინც მიწას ოფლი აპკურა,
რომ მერე, რთველში,
დაღლილი ხელი
პვლავ განემზადოს ყურძნის საწურად.

საწნახელებში
 ღვინო კი არა —
 მიჩქაფუნობენ თითქოსდა წლები...
 მერე მაჭარი
 მღერის კრიალა,
 მაღლა ამოდის მზის ნაპერწელები.
 ყბედი სირაფე გალესავს ენას,
 თავბრუს დაგაცვევს ქარბუქი სიტყვის,
 მაგრამ მე ბევრის ძალმიძს მოთმენა —
 მისი ხმა ახლაც მუსიკად ისმის.
 მე შევაჩვიე ყური ამ ჰანგებს,
 ამ მათრობელა საუბრით ვთვრები,
 გავირინდები, ვწუმდები განგებ,
 რომ კვლავ ვისმინო ეს ტკბილი ხმები.

ნ ი კ ა ლ ა დ უ შ ა კ თ ვ ი



ჩვენი ვენახი სულ მწიფობდეს
 სართვლო დართბით,
 რტონი დიოდნენ — დაზნექილნი მსხმოიარობით
 და საწნახელი სიყვარულით გადმოსულიყოს...
 დიდი დღე იყოს,
 დღე საჩინო,
 ძლევით ურიცხვო...
 ატეზილიყოს, ნავარდობდეს ლექსის გრიგალი!

გ ი თ რ გ ი ლ ე თ ნ ი ძ ე



ზურმუხტის ქარვა შეპპარვია,
 შემოდგომის ფერი არის,
 დამდეგ იყო თქმითმბრისა,
 ვნახე თქმითმბერიანი.

წითელ-ყვითელ მორთულები
 იდგნენ მთები
 და რა მთები!

რთველი იყო, ყურძენს პკრეფდნენ,
 ივსებოდა კალათები.
 სადღაც სატრფოს უმდეროდა
 საზანდარი საზიანი:
 „იქნებ გბაძავს შემოდგომა,
 რა შენსავით ნაზი არის!“
 წინ ვერ წაველ, თითქოს ვიყავ
 ამ სურათზე მიჯაჭვული,
 უღებ...

მჭრელი, გამკივარი
 შემომესმა კრიმანჭული.
 „აგერ ნახე შენი ძმები“,
 გურულები დამანახვეს.
 ვაზებს შორის თვალი მოვკარ
 მოფრიალე ყაბალახებს.
 ყურძენს პკრეფდნენ და სიმღერით
 ღრუბლებამდე ადიოდნენ.
 ერთი მჭახედ გაპკიოდა,
 ბანს აძლევდა ათიოდე.
 გაპკიოდა, თითქოს ტრფობის
 ორლესული მოხვედრია.
 გამიკვირდა, აქ რა უნდათ,
 აქ ხომ შუა სომხეთია.
 შორს გავხედე ყაბალახებს,
 ვერ დავფარე გაოცება,
 ცხრამეტამდე დავითვალე,
 ვერ მოვასწარ გაოცება,
 რომ ქართველმა მეგობარმა
 მხარშე ხელი გადამხვია,
 მითხრა: „ნახე რა რთველია,
 მოსავალიც ამას ჰქვია!..
 ჩვენ სომხეთის ამ სოფელთან
 შეჯიბრში ვართ ჩაბმულები,
 ჩამოვედით, ღვინო გვასვეს

წითელ-ყვითელ მორთულები

იდგნენ მთები

და რა მთები!

რთველი იყო, ყურძენს პკრეფდნენ,
 ივსებოდა კალათები.

სადღაც სატრფოს უმდეროდა
 საზანდარი საზიანი:

„იქნებ გბაძავს შემოლგომა,
 რა შენსავით ნაზი არის!“

წინ ვერ წაველ, თითქოს ვიყავ
 ამ სურათზე მიჯაჭვული,
 უღებ...

მჭრელი, გამკივარი
 შემომესმა კრიმანჭული.

„აგერ ნახე შენი ძმები“,
 გურულები დამანახვეს.

ვაზებს შორის თვალი მოვკარ
 მოფრიალე ყაბალახებს.

ყურძენს პკრეფდნენ და სიმღერით
 ღრუბლებამდე ადიოდნენ.

ერთი მჭახედ გაპკიოდა,
 ბანს აძლევდა ათიოდე.

გაპკიოდა, თითქოს ტრფობის
 ორლესული მოხვედრია.

გამიკვირდა, აქ რა უნდათ,
 აქ ხომ შუა სომხეთია.

შორს გავხედე ყაბალახებს,
 ვერ დავფარე გაოცება,

ცხრამეტამდე დავითვალე,
 ვერ მოვასწარ გაოცება,

რომ ქართველმა მეგობარმა
 მხარზე ხელი გადამხვია,

მითხრა: „ნახე რა რთველია,
 მოსავალიც ამას ჰქვია!..

ჩვენ სომხეთის ამ სოფელთან
 შეჯიბრში ვართ ჩაბმულები,
 ჩამოვედით, ღვინო გვასვეს

ყანწებით და ჩაფურებით.
 და როდესაც მოვლენ ჩვენთან,
 რომ იხილონ ნატანები,
 გვეყოლება თვითეული
 ხელის გულზე სატარები".
 — ვინც ჯან-ღონე დაიშუროს,
 გავარდესო ბარემ ჯანი!..
 საუბრობდნენ მეგობრები
 კარინე და დარეჯანი.
 სომხებს მხარში მიჰყვებოდა
 და გურული ძალას ცდიდა
 მიხვეული, მოხვეული
 სიმღერით და შარაგზითა.
 და რჩეული,
 დარჩეული
 ჭაბუკები, ჭარმაგები,
 დღეს შრომაში დალოცვილი
 გუშინ ომში ხმალნაქები;
 ტანკენარა გოგონები
 იდგნენ ალვად რჩეულები,
 მეგობრობის დიად ფიცით
 ერთურთს გადახვეულები.
 ეხვეოდნენ, თითქოს ძმა ძმას
 არ უნახავს ათი წელი
 და სომხურ ვაზს ჩახვეოდა
 ჩვენებური რქაწითელი.

ო თ ს ე ბ ნ თ ნ ე შ ვ ი ლ ი



სულ თვალწინ მიდგას მე ჯუგაანი,
 ტკბილ შემოდგომის დინჯი დარები.
 ზის აივანზე ბევრი მტევანი,
 ყვითლები, როგორც სკოლის ზარები.

სულ ოვალწინ მიღებას მე ჯეგაანი,
რთველი ქართული, ტეპილ-სასურველი,
ვაშლით ავსილი სახლის თავანი,
ღია მარანში მაჭრის სურნელი.



ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე

□

დღეები, როცა ვაზის მტევნები
ჩაშაქრდებიან სიმწიფით სრულით,
აჩუხჩუხდება როცა ქვევრებში
ქარვისფერ ღვინის მბირგავი სული.


□

ი ვ ა ნ ბ უ ნ ი ნ ი

საქართველოში ოქრო იშრდება,
შიგ მზე და სისხლი ერთად მწიფდება,
ვიდრე ვწურავდე მწიფე რქაწითელს,
გულში სევდა ვერ გახელმწიფდება.
რომ საქართველო საწნახელია
და შიგ მირონი ამომჩქეფარებს,
რომ ვაზის ძირში ნაცარცხელია
და ვაზს მკერდებით ვადავეფარეთ.
გაგიგონიათ? გრძელი მანძილი
ვაზთან მხარდამხარ, ერთად ვიარეთ,
შეგვინახია უკვდავ განძივით,
ერთმანეთს გული შევუზიარეთ.

უსტუმროდ მზეც კი თბილი არ არი,
ამაზე გეტყვით ღვინო ქართული.
გავხსენით თქვენთვის ყველა მარანი,
სიყვარულია ჭიქას ჩართული!
დღესაც, ვით სახელს მუდამ იმკიდა,
ბრძოლით და შრომით იმკის ქართველი.

XX. იტალიკური ჭარბოვების სურა. დიონისის გმირსახულია ყურის მედალიონზე. აღაინი. ა. ჭ. I სა-
ცავზე.



XXI. ამურეპა უურძენს
პელეტენ. წმინდა კონსტან-
ციას მავზოლეუმის კერის
მოზაიკითი სიუქეტი. რო-
მი. IV საუკუნის I ნახევა-
რი.





XXIII. անանուրիս մոժոնեցնես
ըստ ըստ կրթութեան գրագիւն
զանուս սրբութեան գո-
թական աշուլքնետ. XVII սաւյ.

ასწიეთ სმური შოთას ჭიქიდან
 და ადღეგრძელეთ მშვიდობის რთველი!
 მიიღეთ ჩვენი გულის სიმართლე,
 ამაზე მეტი რა გვაქვს ფეშაში?
 გვინდა ვხედავდეთ ძმობის სინათლეს
 ყანწის ფსკერსა თუ აზარფეშაში!
 დე, იჩხრიალონ საწნახელებმა
 ბედნიერების, სიცოცხლის მღერით.
 კრიფონ მტევნები უხვად ხელებმა,
 დატკბეს ცხოვრება,
 ვით მაჭრის ჩქერი!

გ ი თ რ გ ი ღ ე თ ნ ი ძ ე

□

დადუღებულან უკვე ქვევრები,
 შინ შემოსულა რთველი.
 გალადებულებს მხრებზე მშე გვიზის
 ჭიატა — განა მწველი,
 მარნიდან მარანს თავს დასტრიალებს
 ჩაფი, ყელამდე სველი!

კ ა რ ღ ო კ ა ღ ა ძ ე

დადუმდა ღვინო კასრებში მუხის,
 მიწყნარებული მარნები სდუმან,
 ნელ-ნელა მიწყდა მაჭრის დუღილი,
 ღროებით ჩაქრა და გაიტრუნა.

მაგრამ იელვებს კასრიდან მალე
 სპეტაკ ცრემლივით ჭვირვალ წვეთებად
 და ღვინის მზისფრად მბრწყინავი ჭავლი
 გულზე მგზნებარედ შემოგვენთება.

რ უ ღ თ ღ უ ღ ლ შ ე ვ ს კ ი



წვალებით იშვა —
 მუხის კასრში ღვინო ისვენებს,
 ნუ გააღვიძებთ, ძალას იქრებს,
 ნუ გაიზსენებთ.
 ღრმა ძილით სძინავს,
 მოუსვენარ დუღილით დაღლილს,
 გრილი მარანი
 არის მისი საამო სახლი.

მოვა დრო, რთვა
 ბროლის ჭიქის წერიალა ხმაში
 გამოიღვიძებს, როგორც დილით
 მძინარე ბავშვი.

პ ე ტ რ უ შ ა ფ ნ ი პ რ უ



სარდაფში ბრწყინავს კასრები სველი,
 თავის დროს ელის, ისვენებს ღვინო,
 რომ დაეწმინდოს გემო და ფერი,
 რომ ბროლის თასი გამოაბრწყინოს.

ფრთხილად იარეთ ამ კასრებს შორის.
 აქ დრო ჯადოსნურ ძალით მუშაობს,
 ნუ შევეჩებით, არ შეანჯღორით,
 ღვინოს რაიმე არ დაუშავოთ.

სანამდის შორი გზით გავაგზავნით,
 სარდაფში მშვიდად ყოფნა ვაცალოთ,
 რომ მერე ღვინით ავსილი ჯამით
 გულს დარდის ჯანღი გადავაცალოთ!...

ა ლ ი მ კ ე შ თ კ ო ვ ი



„სადღეგრძელო იყოს მისი...“

„სუზრისა თავსა მჯდომარებ...“



ჩვენს თამადას გაუმარჯოს,
ტკბილი ლხინი გავატაროთ,
ყველა სიკვდილს ველოდებით,
სანამ დრო გვაქვს გავიხაროთ,
ჩვენი სიცოცხლის დღეები
სიხარულში გავაპაროთ;
ვინც ღვინოში ჭირვას წააგებს,
ის სუფრას არ მივაკაროთ.
ჩვენი ტკბილი პურის ჭამა
ბოლოს აღარ გავიმწაროთ,
სხვაზე თვალი ჩვენ არ დაგვრჩეს,
რაც გვაქვს ჩვენი, ის ვიქმაროთ,
ჩვენი შრომის პური ვჭამოთ,
სხვისი არა მოვიპაროთ,
ძმობა-სიყვარული გვქონდეს,
გულში შური არ ვიტაროთ.
მოძმე ვნახოთ გასაჭირში,
მივეშველოთ, დავიფაროთ;
ჩვენი მშობლები ვადიდოთ,
ამხანაგს არ გავეყაროთ;

ჩვენსა შვილებს სწავლა მივცეთ,
 ნადირივით არ ვატაროთ;
 ლხინის სუფრა როცა გვქონდეს,
 იეთიმ-გურჯიც დავიბაროთ.

ი ე თ ი მ გ უ რ ჯ ი



ღვინომ შეპმატა ყველას ხალისი,
 ზანგი ფრანგს, ფრანგი ეგვიპტელს პკოცნის.
 ქართველ ყმაწვილკაცს, ქართველ ქალიშვილს
 მთელი მსოფლიო უმართავს ქორწილს.

თურქი არასდროს მსმელი არ იყო,
 ვაგლაბ, რამდენი ღვინო დალია...
 ამბობს: თუ წავწყმდი, ყველამ გაიგოს
 გურჯი ქალების თვალთა ბრალია.
 ღვინომ გაუხსნა ბასკებს გუნება,
 ცეკვით ასტეხეს აურზაური.
 ჩვენი სიმღერა ეცნაურებათ,
 ახლობელია, ნათესაური.
 თამადამ დიდი ყანწი ინდომა
 (ამ სადღეგრძელოს ყველა ელოდა),
 გაუმარჯოსო ქვეყნად მშვიდობის
 და მეგობრობის უძლეველობას.

ი თ ს ე ბ ნ თ ნ ე შ ვ ი ლ ი

თამადის გასაგონად თქმული:

ნადიმსა შინა წინამძღვარ თუ დაგადგინეს შენ, ნუ ამაღლ-
 დები, არამედ იქმენ თანამეინახეთა შორის, ვითარცა ერთი
 მათგანი. იზრუნე მათთვეს, ყოველი საკმარი შენით ქმნულთა
 გარდასდევ, ხოლო შემდგომად მათთანვე ეგრეთ სჯედ, რამთა


იხმარებდე მათთვეს, და საქმისა შენისა შემკობისათვის მიიღო
გკრგვნი. უფრომსა სიტყუასა სასმენელსა ეტყოდი შეხწერილება
ნამძღვარო, რამეთუ გშვენის შენ გამოძიებითა კელოვნები-
სამთა, ცოდნითა სიბრძნისამთა, და ნუ აყენებ მუსიკას. ოდეს
სასმენელ იყოს, ნუ მიპფენ თქმასა და უჟამოდ ნუ ბრძნობ.
ვითარცა ბეჭედი ლალისა და სმარაგდისა არს შემჯობითა
შინა თქროსამთა, ეგევე არს ტკბილ გალობანი მუსიკასა
სმასა შინა ტკბილისა ღვნისა. შემოკლებულად სიტყვთა მცი-
რითა მრავალთა ეტყოდი. იქმენ ვითარცა მეცნიერ და ოდეს
არა სათქუმელ იყოს ღუმენ. შორის დიდ შემძლეთა ნუ შეეს-
წორები მათთა, და სხვსა მეტყუბლებასა უამსა, სადაცა არიან
უხუცესნი, ნუ მრავალ მეტყუბლებ.

პირველ ქახილისა წინა უძღვს ელვა, და პირველ სირცხ-
ვილისა უძღვს მადლი. უამსა შინა აღსდევ და უკანასკნელად
ნუ შეუდგები; განვედ სახლით და ნუ მცონარე იქმნები, ის-
წრაფე სახლად შენდა. მუნ იმდერდი და ქმენ გულის სიტყუა
შენი, ვითარცა გსურის, და ნუ სცოდავ სიტყვთა ამპარტავნი-
თა, და ამით მიერ აკურთხე ღმერთი, რომელმან შეგქმნა შენ
და დაგათრო შენ კეთილთაგან შისთა.

იხო ზირაქი, 32.



მთილეთ ღვინო,
მოდგით ჭამადი,
მზით ამიმღერეთ საოსტიგანო!..



ილხინე, მაყრიონო მექორწილეთაო,
განიხარე ხარებათა ზედა!..

— ნუ შეიჭირვებთ, მოდარბაზენო, ნუ შეიჭირვებთ! ილხენდეთ,
იშვებდეთ და განიხარებდეთ! —

ილხინე, მაწვიერო მექორწილეთაო,
იგალობე მგალობელთა შინა!

ღვინით აკურთხე ძალთა მძლეველი, შვების ჟამია  სიტყვბო
ეროვნული
სამსახურის

სარკინოში ზარ,

სადუკეველი,

მემიზგითე თუ მეეკლესიე!..

იმღერდე, მესიტყველ მექორწილეთაო,
იგალობე, მგალობელთა შინა!

— აღავსეთ კახთა! — ბრძანებს ბატონი, — ხემ სიკეთისამ ისევ
იქეთა,

კვლავ აამზევეთ სადარბაზონი,

დასნი ამღერეთ მემუსიკეთა!

დასნი ალხინეთ მემუსიკეთა!..

— მემუსიკეთა...

— მემუსიკეთა...

შემოდექით, მუტრიბებო,

დასნო, კვლავაც იამეთ!

აამღერეთ სანთურები, —

ცამდე აახმიანეთ,

— ცამდე აახმიანეთ!

— ცამდე აახმიანეთ!...

ო ე პ უ დ ა პ ა ლ ე ვ ი მ ი



საქვეყნოდაა აღიარებული ქართული ტრადიციული სუფ-
რის წესები და კანონები, ღვინის სტილი და მოლხენის, უფ-
როს-უმცროსობისა თუ მაგიდის წევრთა თანასწორუფლებია-
ნობის დახვეწილი ნიუანსები. თამადის ამპლუა ხომ უნივერ-
სალიზმამდე აყვანილი ცნებაა თავისი არსითა და მიზანდასა-
სულობით.

განსაკუთრებული შესწავლის საგანია ქართული სუფრის
არა მარტო ორგანიზაციული, არამედ ესთეტიკური მხარე.
ტყუილად როდი ხიბლავს უცხო თვალს, და არა მარტო უცხო-
სას, ქართული სუფრა თავისი შინაარსითა თუ გარეგნული
მშვენიერებით. ქართული მჭევრმეტყველება ხომ თავისებურა

გვირგვინია ჩვენი სუფრისა, უიშვიათესი თავისი შინაგანი
რიტმითა და შინაარსით, დახვეწილი და სრულქმნილი, მარტო გარეგნული ბრწყინვალებით შემჯული, არამედ ნატიფ
ლოგიკურ აზროვნებას დაქვემდებარებული, მიშანსწრაფული
და ლაპონიური. ღვინო კი ქართული სუფრის უმთავრესი ელე-
მენტაგანია, რომელიც მის მომხმარებელთა კეთილგანწყო-
ბასა და გამხიარულებას ემსახურება, აღძრავს ადამიანებში
ჰუმანურ, კეთილმობილურ გრძნობებსა და აზრებს, ხელს
უწყობს მათ ურთიერთდაახლოებაში.



შეხეთ ღვინით სავსე ჯამებს!
ვიყოთ მხნე და ჯანმრთელი!
დავიხსომოთ, ძმებო, ღამე
და წრე ამაღამდელი!

· · · · ·
გაუმარჯოს! ასწით ჯამი!
ამ ცხოვრებას წამიერს!
— გაგიმარჯოს!
— ვაშა! ამინ!
— ვიყოთ!
— მრავალეამიერ!

რ თ ბ ე რ ტ ბ ე რ ნ ს ი



ძმაო, სუფრისა ლხინი ხარ,
მღერა გიყვარს და ღიღინი,
კაცი რო გეშარებოდეს,
შენ პირზე მოგდის სიცილი,
იქსო ქრისტემ მაჩვენოს
შეხი ყვითელი გვირგვინი!

ხ ა ლ ხ უ რ ი

□

ქართული სუფრა ცივილიზაციულ ადამიანთა სუფრაა,
სადაც ყოველთვის მღერიან. ღვინო – მევენახეობის ქვეყნის –
აყვავებული და ამღერებული საქართველოს დიდებაა.

საფრანგეთის დელეგაციის წევრი,
აშონაწერი თბილისი I ღვინის ქარხნის
შოაბეჭდილებათა წიგნიდან

□

დალიე, ჩემო ბატონო,
დალიე და დადგი თასი!
ღმერთმან თაფლივით შეგარგოს
ეგ და სხვა ბევრი ათასი.

დალიე, ჩემო ბატონო,
დალიე, დამალევინე,
წვეთი არ დარჩეს თასშია,
დასცალე, დამაცლევინე!

დალიე, ჩემო ბატონო,
უარს ნუ მეტყვი ამაში,
წვენს სახლში, წვენსა მარანში
სულ ლხინი იყოს, თამაში.

ხალხური

□

ღვინო შევსვი და მალალა
კველა ვაჟკაცზე ჩაუქმა.
როგორ იქნება, ამალამ
თვალი არავის ჩავუკრა.
ვჰექოთ,
სახლს ჰერი ავხადოთ —
დღეს ლხინისთვის ვარ მოგლილი.
პატივი დავდოთ ამხანაგს

და დავუფასოთ ქორწილი.
 პატარძალს,
 ადათ-ვალია,
 პირის სანახავს მივართმევ.
 რამდენი პატარძალია...
 თვალს მჭრის ლამაზთა სინათლე,
 ელდა მთელს ტანში დამხანძრავს
 და ჭირის ოფლი გადამდის:
 — დაგვიწყებია აფხაზ კაცს
 ძველაფხაზური ადათი!..
 — ნუ დამიწუნებთ შეხვედრას,
 თვალმა თუ წყალი დალია,
 ასმა მზემ ერთად შემხედა,
 განა და ჩემი ბრალია?..

პ რ ი ს გ უ რ გ უ ლ ი ა

□

ვიქეიფოთ, ვიღხინოთ, მეტი რა დაგვერჩენია,
 დედაკაცი ერთია — ჩემია თუ შენია,
 დროსტარება, ქეიფი აბა ვის მოსწყენია,
 ვიქეიფოთ, ვიღხინოთ,
 სულ ვიღხინოთ, ვიღხინოთ.

უ ი ლ ი ა მ შ ე ქ ს პ ი რ ი

საქართველო სამი რამითაა განსაკუთრებულად სახელგან-
 თქმული: ღვინოებით, კონიაკებითა და მცხოვრებთა გულითა-
 დობით. ფრანგმა მეღვინეებმა, რომლებმაც მოვიზილეთ სა-
 ქართველო, მეტად მაღალი შეფასება მივეცით ამ თავისებუ-
 რებებს.

მონპელიესა და ერთს ფრანგ მეღვინეთა
 ჯგუფის წევრები (ამონაწერი თბილისის კო-
 ნიაკის ქარხნის შთაბეჭდილებათა წიგნიდან)

□

ფუჭ წვრილმანებზე არ ღირს ფიქრი,
 სჯობია მაგას,
 თუნდ წყალწყალა სახარჯო ღვინით
 შეივსო თასი,
 დასცალო და მაჩვენო ფსკერი!

თ ტ თ მ თ ტ ა ბ ი ტ თ

□

შენ, მებადურო, დალიე
 და წვენც დაგვისხი ღვინო!
 თუ ცეკვაც იცი — ვიცეკვოთ!
 დაბლა ჩამოდი, ლხინო!
 მე ხალხთან სიამტკბილობა
 მიყვარს და კაციც მით ვარ.

ა ლ ე ჭ ს ი კ თ ლ ც თ ვ ი

□

ვაჟაცნო, მოდით დავლითო,
 სჯობს, რომე ღვინო დავძლითო,
 ომამდინ სისხლად იქცევა,
 მერმე ბრძოლაში დავსთხითო.
 რა ომის ცეცხლი ასტყდება,
 ბრძენი სიფრთხილით წანდება,
 მაგრამ ძლეული მაშინვე
 ან მოპკლავს, ან შეაკვდება!

შაშ, მოდით, ისევ ღვინითა
 დრო გავატაროთ ლხინითა;
 ქედი მაინც მოგვივა,
 გოგრითა ვსვათ, თუ ჩინითა.

რომ დავესწრათ გაზაფხულსა,
 ვეღსა ვსხდეთ მწვანით შემკულსა,
 ჩვენ წითელ ღვინოს ვეწაფნეთ,
 ვარდი ვანებოთ ბულბულსა.
 ოპ, საყვარლისა ვერ მნახო,
 როდემდის იგლოვო! „ახ-ო?“
 აბა შენც ჩვენთან ჩაღლივე
 თუ რომ შენც არ შემოსძახო!
 ზაფხულს ღამე თუ დილითა,
 ვერვინ ვერ იშვებს გრილითა;
 ჩვენც სიცხე ვერას დაგვაკლებს,
 ვსთვრეთ, გავატაროთ ძილითა!

ა ღ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე

□

დამისხი ღვინო, გადმოაჩქეფე
 ეგ იაგუნდის ჩანჩქერი მალი,
 ისე ელვარე, ვითარცა მზეზე
 ამოწვართული ლაპლაპა ხმალი;
 ისე კამკამა და ისე სუფთა,
 ვით ბროლის თასში გულაბის წყალი;
 ისეთი ტკბილი, თითქოს უძინარს
 მიელულათ დაღლილი თვალი;
 ღრუბლის ბადალი იყოს ფიალა,
 თვით ღვინო — წვიმის წვეთების ცალი;
 ისე ღვთიური სიტკბო გაგემოს,
 თითქოს დატკბილ განგების ძალით.
 ღვინოსა თუ არ სვამ, გინდ იყავ რვალი,
 დაგელექტება რბილი და ძვალი,
 თუ კაცს პირიდან სული ამოხდა,
 რა მოხდა, ღვინით იცოცხლებს მთვრალი.
 ნეტავი ღვინოს ზეცის ტატნობზე
 აიტაცებდეს არწივი ბრჭყალით,
 რომ მას ვერასდროს წაეპოტინოს
 ყველა ფლიდი და ჭკუაზე მწყრალი.

რ უ დ ა ქ ი



ისევ ცრემლით ვხმობ,
ნოქტე ვეცემი,
ჯამზე ჯამსა ვკლი, ღვინოს – ღვინოზე,
გა, გარდმოიღე აჩარფეშები,
მზის სასმურები გადმომილოცვა.

მოშე იპნ ეზრა

როცა ღვინის მოხმარების ესთეტიკურ მხარეზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ტრადიციული ქართული სასმისები. ქართველი კაცი დაუცხრომლად ეძიებდა ნატიფსა და დახვეწილ ფორმებს საღვინე ჭურჭლისას, ამით იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ღვინის მოხმარების გარეგნულ მხარეს, რაც, უთუთდ, სილამაზესა და მომხიბლაობას ანიჭებდა სუფრას.

სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ბევრი ქართული ტრადიციული სასმისი მხოლოდ სამუშეუმო ექაპონატად ქცეულა და მათთვის ქართულ სუფრაზე ადგილი ვეღარ მოგვინახავს. ესენია თიხის, რქის, ხის, სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს საწდე-სასმისები: ჭინჭილა, თასი, ფიალა, კათხა, კოჩხო, ფეშეუმი, სირჩა, ჩხუტი, სარიოში, ჩარქა, ტარკოში, მოწამე, ქელა, მოდკოში, ხოწილი, ყარყარა, ხაკანა, მარანი და სხვა. ნაირფერი და დახვეწილი სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი, უთუთდ, ხიბლავდა თანამენახეთა თვალს და მათში ესთეტიკურ შეკრძნებებს აღმრავდა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ნატიფი გემოვნებით შესრულებული სასმისი და მასში მოთავსებული კამპამა ღვინო ფორმისა და შინაარსის ერთგვარი პარმონიული შერწყმა იყო.

ამავსებ ღვინით,
აგავსებ ლხინით,
შესვი?
გაამოს!

ვის არ სმენია აზარფეშაზე წარწერილი ნიკოლოზ ბარათა-შვილისეული სიტყვები. ამ ლაკონიურ, ლამაზ და შინაარსიან

გამოთქმაში სრულად არის ჩაქსოვილი ღვინის დანიშნულება
ბისა და მისი მოხმარების ესთეტიკის მთელი არსი.



ყანწი მიყვარს მე, სპეტაკად თლიოლი,
ტურფად მოხრილი, ბოლოში წვრილი;
ყანწით მიყვარს სმა ძველებურადა:
ლხინით, ღიღინით, ტკბილად, ძმურადა!
რად მინდა ჭიქა, რად მინდა ბროლი,
მე ყანწი მიყვარს, ყანწი ნასროლი
ტოლუმბაშისგან... აგერ მეც დავცლი
და მეორესა აღარ დავაცლი
შეიქაქანსა... ქუდსა ვკრავ შერსა!...
კიდევ ყანწისა ვცლი, შევსტყორცნი მომმეს,
იგიც მარჯვეა, ფიცხლავ იჰერსა!
რად მინდა თასი, ანუ ბადია?
ღვინის ჭურჭელი, რაც მაბადია,
სულ ენაცვალს მოჭედილს ყანწისა,
უნგაა, ბოლომდინ ჩვენსა გამტანსა!
ჩვენნი ძველნი რომ ყანწითა სმიდენ,
ჩვენ უზღალატოთ ყანწა გვმართებს კიდევ?!

ყანწით სმა უფრო უხდება ლხინსა...
მანამ არ დასცლი, ვერ დასდგამ ძირსა!
დასცლი, — თამადა დაგლოცს, გაკურთხებს!...
არ დასცლი — ყანწი შემოგაფურთხებს!...
მაშ მოდით ისევ ყანწს ვტაცოთ ხელი,
ის არის სუფრის შემამკობელი!
ყანწით ვსვათ ისევ ძველებურადა:
ლხინით, ღიღინით, ტკბილად, ძმურადა!..
გთხოვთ, ყველგან ლხინი ყანწით დაიწყოთ,
ყანწი აღარსად არ დაივიწყოთ!
რადგან სხვა სოფელს ვართ წასასვლელნი...
ამისიცა ვარ კვალად მთხოვნელი:
როდესაც მოგვდე, მოიხმეთ მღვდელი
და ყანწითა სვით შესანდობელი!...



□

ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი სხვადასხვა ზოგიერთი ფორმის სასმისები (ჭიქისებური, კონუსურტანიანი, ცილინდრულტანიანი, ფეხიანი, დიდი ზომის კათხები), ჯამები, ფურიანი და ყურმილიანი დოქები (ილ. XI), ქვევრები (ძვ. წ. VI-IV საუკუნეები) კოლხური კერამიკული ჭურჭლის წამყვან სახეობებად გვევლინება. ყურმილიანი დოქები აღმოჩენილია აგრეთვე სამხრეთ ოსეთში (ძვ. წ. V-IV სს.), აღმოსავლეთ საქართველოში (გოსტიბე, უფლისციხე), რომელთაც ზოგადად ადრეანტიკური ხანით ათარიღებენ.

თ. ლორთქიფანიძე, ე. გიგოლაშვილი,
დ. კაჭარავა, ვ. ლიჩელი,
მ. ფირცხალავა, ა. ჭყონია

□

რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,
კვლა შესვეს და კვლა აუგსნეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი.

შ თ თ ა რ უ ს თ ა ვ ე დ ი

□

გოზაურით ღვინო,
გულთა საღიღინო,
დაუდგა წინა.

დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

□

ღვინო მინდა!... როცა ჩემს წინ ჯამით ღვინო არის,
მე მგონია ჩემი თავი დიდებულთა გვარის.
ჯერე მინდა გავეყარო ჩემს რჯულსა და რწმენას,
მერე ვაზის ასულთან მსურს დავიწერო ჯვარი.



დამისხი ღვინო — გულის ღონე და სულის ძალი, თერთელი
გინდაც რომ თავი დამიმძიმოს — მსუბუქი არის, პილიოზე
თასით ამივჲე ხელისგული! საწუთო — ხედავ? —
ულმობელია, ვით უდაბნოს სასტიკი ქარი.

ერთ დროს ეს ჩემი ხელადა ალბათ ჩემსავით დელავდა,
მზეთუნაზავის ნაწნავი ბორკავდა ქცეულს ხელადა,
ხელი რომ უდევა დოინჯად, ასე არ პქონდა ძველადა,
მიჯნურის ყელზე ეხვია, ლალად და უდარდელადა.

ო მ ა რ ხ ა ი ა მ ი



... თასში, რომელზეც მხედართა ხატი გამოუსახავთ,
ხედავ, როგორ იპრძვიან ისინი მერიქიფის ხელში!
თითქოს მათი ხმლებისაგან დაიღვარა სისხლი
და ყელამდე შიგ ჩაძირულნი ამ სისხლით მოთხვრილან.
თითქოს წითელი სამოსელი ჩაუცვამს ამ თასს
და მისი ღილები — საყელოთა მარგალიტებია.

აივთ სახმელით მეინახეთათვის თქრო და ვერცხლი
და როცა ღვინო დაემსგავსა ოქროსა და ვერცხლს,
მე ვთქვი: მითხარით,
ოქრო მათ შორის რომელია, რომ შევადაროთ?
მსგავსად ელვარებს მათი ფერი,
განსხვავება მხოლოდ ისაა,
რომ ოქრო-ვერცხლი მყარი არის, ეს კი თხიერი!
ოქროზე ჯვრები და ბერები გამოუსახავთ:
ბერები ჩუმად კითხულობენ თავის ლოცვანებს,
ხოლო მათ თავზე ღვინის ცაა,
რომელზედაც ბუშტულები ვარსკვლავებია,
ვით მარგალიტი, გაანცებულ ქალწულთაგან
მიმოფანტულა.

ა ბ უ ნ უ ვ ა ს ი

□

ძმაო, მოიღე

კოკობა თასი, რომ გამოვცალო
 შეუსვენებლად ათ ტარკოშ წყალთან
 შენაზავი ხუთჯერი ღვინო, რომ უბოროტოდ,
 კვლავ გავწიო ბაქხოსის ღზინი.
 მოიღე კვლავაც... ჩვენ არასოდეს
 სკვითურ ღრეობით და ფაფანით
 არ აგვამდვრევს ანკარა ღვინო!
 ჩვენ დავლევთ მხოლოდ და ვიღიღინებთ
 ხელისგულებზე ჩამომსხდარი
 ჭრელი თასებით.

ა ნ ა კ რ ე ო ნ ტ ა

□

როს განაზავეს ამბროსია
 ლამაზ კრატერში,
 აღიღო ხელთა პერმესმა თასი
 ღმერთთა საწესოდ...
 და ლამაზ ჭინჭილებიდან ყველა
 ღვრიდა ზედაშეს და ლოცავდნენ
 პასაკ-სრულ სიძეს.

ს ა ფ თ

□

საუკუნეთა გარდასულთა ეყარა მიწა,
 უცხო თვალთაგან საიმედოდ იყო დაცული,
 საღვინე სურა უძველესი, მიწაში იწვა,
 თითქოს მაღავდა შიმველ სხეულს, როგორც ქალწული.
 და ჩვენ შევჩერდით სასწაულის ძველის მსურველნი,
 ჩვენს თვალწინ იწვა თიხის ტანი ვით სალოცავი
 და მოწვეთავდა თითქოს სულში მისი სურნელი —
 დამათრობელი, უებარი და საოცარი.



XXIII. სერიუმის სა-
მხრეთის კედლის ორნამენ-
ტი ვაზის სტილიზებული
გამოსახულებით.



XXIV. იარებიდან სისხლდადენილი ქრისტე ქვდების უკრძენს საწნახელში. გასიმ-ბოლოებული კომპოზიცია. დაახლ. 1500 წ. ბავარიის ნაციონალური მუზეუმი. მიუნიხი.



ნიკო ფიროსმანი. რთველი.

რად ამოცურდა?! ქორწილის და ლხინის მღოცველი,
ვით გარდასული საუკუნის თიხის ნაფლეთი,
ვის მოვუკითხოთ, კაცს მხიარულს – თუ კაცს მოწყვეტილობა
ვის გავუნათოთ ნაღვლიანი აღმთსავლეთი.



პაველ შატიავი



დავლით.

ავანთოთ ჩირალი

თითივით მოკლეა დღე.

ამთარჩიე

ჯამები ზორბები,

ჭრელ-ჭრელად ჭედულნი.

ღვინო ზევსის და სემელეს ვაჟმა

უბოძა კაცთა

დარდთა მკურნალად.

დაასხი.

ორგზის შეუვსე თითოს.

რიგს მიპყვეს

რიგი,

ჯამს მიპყვეს ჯამი!

ა ლ კ ე ო ს ი

„კვლავ ვადღებრივლოთ ტურშა მაღლებრი...“

ჭამეთ, მოყვასნო, სვით და დაითრვენით სიყვარულით!
ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა



ვითა ბაღი უყვავილოდ, უვარდოდ,
არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრფოდ!
მოდი, მნათო, სავსე თასი სალხინოდ
ჩაგვირიგე, თუ ვინდ ისე, უპროშტოდ
შენი თასი არს სადგური სიამეთ!

დიპლიპიტო დაპკარ-დაარაკუნეთ!



მაშ აბა, მმანო, ერთიც სატრფოსთვის გმილიონთვეა
ფიალა სავსე შევსვათ წყურვილით;
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო ამა ფიალით!

გრიგოლ თრბელიანი



პურსა ჭამენ და ღვინოს სმენ,
სიმღერას არ იტყვიანო.
არ ვიცი, რასა გლოვობენ,
არ ვიცი, არ იციანო.

ხალხური



რად მისწყდა ლზინის ხმა მხიარული?
სჭექეთ სიმღერა მხნე და გულადი!
კვლავ ვადღეგრძელოთ ტურფა ქალწულნი, —
ვინც ჩვენ გვიყვარდა, ვისაც ვეყვარდით!

ღვინო დავისხათ ანაშეფები,
სავსე ფიალის
ფსკერზე წერიალით
ეცელამ წავყაროთ აღთქმის ბეჭდები!

თასები მაღლა! თასებს ვუმარჯვოთ!
მუზებს დიდება! აზრს გაუმარჯოს!

ალექსანდრ პუშკინი

□

ჭიქა ღვინოს რა სჯობია, ყელში ჩადის სრიალით,
 დალიე და ადლეგრძელე წემი გულის ტრფიალი,
 გულსაც გაეხარდება, სულსაც გაეხარდება.

უ ი ლ ი ა მ შ ე ქ ს პ ი რ ი

□

თვით ბუნებამ დააწესა,
 ძმებო, თურმე ტკბობის ჟამი:
 ყვავილები — გაზაფხულზე,
 ზამთრობით კი -- ღვინის ჯამი.

ზამთრის სუსხი ძარღვებს ყინავს,
 მარტში სისხლიც იწყებს დნობას.
 ოქტომბრიდან მხოლოდ ღვინო,
 მაისიდან — მხოლოდ ტრფობა.

ღვინისა და სიყვარულის
 ერთად მსურდა დაწყვილება,
 მაგრამ, თურმე, კაცის გული
 ვერ გაუძლებს ამგვარ ელდას.

მეც ძველისძველ სიბრძნეს მივდევ,
 სანამ გულში ფეთქავს ჟინი:
 სიყვარულით — გაზაფხულზე,
 ზამთარში კი ვთვრები ღვინით.

პ ი ე რ ჟ ა ნ ბ ე რ ა ნ ჟ ე

□

მერიქიფევ, ეგ ღვინოა წემი რწმენა სრული,
 მომაწოდე სავსე ჯამით, როგორც ტკბილი სული.
 შენი წესი თუ არ არის ლოთობა და ვნება,
 ქალი წემი რწმენაა და ღვინო წემი რჯელი.

ო მ ა რ ს ა ი ა მ ი

□

ჩემზე ეტი სიმდიდრე
 სულთანს რა აბადია!
 ცალი ხელით ქალი და
 ცალით — ღვინის ბადია!
 — პა, ჩაქრეთ სანთელი!
 მე ის აღარ მჭირდება,
 როცა გვერდით მოვისვამ
 ტურფის, სახებადრიანს.
 მე სულ ღვინო მწყურია,
 მე სულ ღვინო მწადია,
 მაგრამ მისი დალევა
 უშენოდ რა მადლია!
 ჩემი ყური ყოველთვის
 დაფა-ზურნის პანგს ეძებს,
 ჩემს თვალს მუდამ ქალის და
 ღვინის მზერა სწადია.

• • • • •

პერ, პაფეზ, ღვინო და
 სატრფო არ მოიშორო,
 თორემ, ხედავ დღეები
 როგორ სწრაფად გარბიან!

—

ვნებააშლილი, თმადაშლილი და ღვინით მთვრალი,
 დამით მძინარეს თავს დამადგა ლამაზი ქალი.
 ხელში ეჭირა ღვინის სურა და მიცინოდა,
 მის გადაღელილ მკერდზე დამრჩა ორივე თვალი.
 დამიჯდა თავთან, მომეფერა და ასე მითხრა:
 — რატომ არ გინდა მოიხადო მიჯნურის ვალი?
 განცხრომის დროა, პაემანზე მოვსულვარ შენთან,
 შენ გეძინება, მე კი გულზე მედება ალი.
 მიჯნური თუ ხარ, მაშინ ღვინოც უნდა დალიო!
 თუ ღვინოს არ სვამ, სიყვარულით არა ხარ მთვრალი!

პე ღვთისმოსავო, ნუ დამიშლი განცხრომას ქვეყნად.
 წადი ჯანდაბას, აგიღია ეშმაკის ქვალი!
 ღვინო და ქალი! პეი, პაფეზ, გიყვარდეს მუდამ,
 თუ გინდა ქვეყნად მოიხადო აღთქმა და ვალი!

პაფეზი



უპე შენი — მრგვალი თასი, ღვინისაგან მოუკლებელი,
 მუცელი შენი — ხვავი იფქლისა, შროშანისაგან გარემოცული.

—

ტანი შენი — ხე ფინიკისა, ძუძუნი შენნი — ვაზის მტევნები.

—

ვთქვი: ავალ ფინიკი, მოვეჭიდები მის რტოებს,
 ძუძუნი შენნი იქნებოდნენ, ვით ვაზის მტევნები,
 და სურნელება შენთა ნესტოთა — ვით ვაშლის სურნელი.

—

სასა შენი — ღვინო კეთილი, მომდინარე ჩემი მეტრფისაკენ,
 ამშეტყველებელი მინართა ბაგეთა.

ქებათა ქება



ჩემო მამაცო მეგობარო, ხელში მაქვს თასი,
 მისხია ღვინო, გაზაფხულის ყაყაჩოს მსგავსი.
 პგაჭს ჩამავალ მზის ალმოდებულ, მეწამულ გვირვვინს,
 როგორც ქალწულის ბაგეები, ტკბილია იგი!

სამიდ ალიმჯანი



წყლის პირად ვნახე ჩემი ძამია,
 იჯდა, ჩაეშვა ფეხები წყალში,
 წინ ედო ხონჩა პურ-ღვინით სავსე, —
 სისავსით ჩემი გულ-მკერდის მსგავსი.

მცენარეების ტური ლირიკა



პარასკევ ღამით მე მთვრალი ვარ
 და გალეშილი.
 სატრფო თავში ზის, ხელთ ჯამი მაქვს,
 ღვინით ავსილი.
 სადაც ლხინს ვნახავ, სადაც არის
 ღვინო მჩქეფარე,
 ქაფის სახურავს იმათ კარავს
 გადავაფარებ.
 ჩემთვის ერთია ეს შაბათი
 და პარასკევი,
 არე მინახავს ყველგან ტრფობის
 ნაკარნახევი.
 წინ სანთელი მაქვს. ტრფობისგან ვარ
 მეც ვით სანთელი:
 მას ცეცხლი სტანჯავს, მე კი მტანჯავს
 ღვინო წითელი.
 ჩემი მიზანი ტრფობა არის
 და საუბარი.
 ჩემი სიამეც მხოლოდ ჯაში
 და ღვინო არი.
 ვაშიყობ, ვლოთობ და ვარ მუდამ
 მთვრალი — სწეული.
 სკოშს რომ აშიყი იყოს მუდამ
 გონდაბნეული.
 ღვინოს ვსვამ ისეთს — მამლის თვალზე
 რთა წითელი,
 ისეთ ღამეში, — ყორნის ფრთაზე
 რომ არის ბნელი,



ଏକାର୍ଣ୍ଣଦେବା ମିତ ନୀରୁ ତପ୍ତାଲ୍ଲେଖ
 ଅଟ ଶ୍ରୀଦୀଲ୍ଲି ଦିଲ୍ଲି,
 ପ୍ରଫୁଲ୍ଲବୀତ ତପ୍ତାଲ୍ଲେଖ ସାଦିଲ୍ଲିରୁ ଆଜିକ
 ମାର ମନୋନିଷିଲ୍ଲି,
 ରା କ୍ଷମା, ତୁ କି ମେ ଏକ ମନୋଵିଲ୍ଲିରେ,
 ଏକ ଗାଗିକାର୍ଣ୍ଣଦ,
 ଅଥା ରା ଶେଷସା, ତୁ କି ଧ୍ୱନିଲ୍ଲେ
 ଏକ ମିର୍ବିକାର୍ଣ୍ଣଦ?
 ଏକ ଡାଇଲ୍ଲେଖା କ୍ଷେତ୍ରନିଲ୍ଲେ ଧାରିଦି
 ଧା ମହିକାର୍ଣ୍ଣଦା,
 ଇଗି ଲର୍ଦ୍ଦୁଦିଲ୍ଲେ ନିରଦିଲ୍ଲେ ଧା ବ୍ୟୁଲ୍ଲେ ମ
 ଶେଷେଦାର୍ଣ୍ଣଦା।

ଓ গোৰি সাদৰো

Digitized by srujanika@gmail.com

კარ ჭირ ვეულის ნუგეში,
დამშეუწებელი წყლულისო
და მყედრების შესანდობაზი,
მოსახსენებლად სულისო.

5 5 5 5 0

ქმანო, ალვაკსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დაპსდვეს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად,
რომელთა სახე დოდების სხივს მოგვიფენს გასამხნევებლად,
რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!

□

მორჩა, წავაგეთ ხმალი ქარქაშში,
დიდ გამარჯვების დღეა სალხინო.
მტერი დამარცხდა; მშრომელთ მთა-ბარში
უხად გამოაქვთ პური და ლვინო.

შველა შენობა, ქუჩა, ჭალაკი
 გადაქცეულა ტაშის გრიალად;
 აგერ, სახლის წინ დგას მოქალაქე,
 ხელში უპყრია სავსე ფიალა.

— ძმებო, მიირთვით, ძმებო, ასწიეთ,
 წემი ვაჟაცის თქვით სადლეგრძელო,
 გმირი შვილი მყავს, მტერი დავძლიეთ,
 კვლავ აფთარივით ვერ დაგვეძგერონ!

სვამენ, ილხენენ... ერთმანეთისთვის
 ყველა ძმა არის და მეგობარი...
 აგერ მოხუცი ამბობს მკრთალი ხმით:
 — თქვით წემი შვილის შესანდობარიც!

წუმად ეტყვიან ვაჟაცის მადლობას,
 მჯიდს დაიცემენ ერთად გულზედა,
 სვამენ მეომრის მმურ შესანდობარს
 და აწვეთებენ ღვინოს პურზედა...

ა ვ ე ტ ი ქ ი ს ა ა კ ი ა ნ ი



ნურვინ დაკარგავს ძველ მეგობარს,
 ნუ დათმობს მასა,
 ნურვინ დაკარგავს ძველ მეგობარს
 და ძველსა გზასა.

დავცალთთ თასი, ხალისი გვაქვს
 დღეს ღვინის სმისა,
 ძველი მეგობრის სსოფნის იყოს
 და ძველი გზისა.

მთაში დავქროდით, მოვიკვლევდით
 ყვავილთა ზღვასა,
 მაგრამ ბარდნარი გაეხლართა
 უკლო გზასა.

დავცალოთ თასი, ხალისი გვაქვს
 დღეს ღვინის სმისა,
 ძველი მეგობრის ხსოვნის იყოს
 და ძველი გზისა.

ერთად გავტოპეთ ბევრი წყალი
 ჩვენ ორმა ბალმა,
 მაგრამ ზღვამ გაჰყო ჩვენი გზები,
 გაგვრიყა გალმა.

დავცალოთ თასი, ხალისი გვაქვს
 დღეს ღვინის სმისა,
 ძველი მეგობრის ხსოვნის იყოს
 და ძველი გზისა.

დღეს ისევ შევხვდით, მეგობარო,
 მომეცი ხელი,
 კვლავ შეიყარა ჩვენი ბედი
 და გზები ძველი.

გადავქრავთ ღვინოს, ძველებურად
 შევაწყობთ ხმასა,
 ძველ მეგობრობას ვადლეგრძელებთ
 და ძველსა გზასა.

დავცალოთ თასი, ხალისი გვაქვს
 დღეს ღვინის სმისა,
 ძველი მეგობრის ხსოვნის იყოს
 და ძველი გზისა.

რთბერტ ბერნსი

□

ამ ძველი თიხით, ძველი სასმისით,
 რითი მოლხენაც მარად ვიცოდით,
 ვთქვათ სადღეგრძელო წვენი ხალხისთვის
 და საქართველოს მარადისობის.

ავდგეთ, ვახსენოთ წვენი ძველები,
 იგივ ბრძენი და იგივ ლომები;
 წვენი იმერნი, ეგრისელები,
 წვენი მესხნი და ინგილოები;

ვინც წმინდად მისცა მამულს ხარაჯა
 და წევს საუნიან გლეხურ ტილოში,
 ვინაც სამცხეში გვედგა დარაჯად
 და მეციხოვნედ — საინგილოში;

ვინც გზებს იცავდა დედულ-მამულში
 ერთი უღრუბლო დღის მონატრული,
 ვინც შეგვინახა ქართლში ნამუსი
 და საინგილოს — ენა ქართული;

ვისი ხმაც ისევ გვესმის ხელახლა;
 იგივ ბრძნული და იგივ ლომური;
 შევსვათ, ვემთხვიოთ ფსკერზე ხელადას —
 ეს ხომ მიწაა ინგილური.

ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე

□

შენ მეგობარო, მწუხრში წახველ,
 სად შენი ლანდი

კვლავ ღვინოს წურავს,
 საიქიოს ჩრდილთა მჭვრეტავი.

ლი ბო არ არის მანდ, მეღვინევ,
 კურთხეულ ნადიმს

ვინ გადაიხდის, ვის მიპყიდი
 ღვინოს ნეტავი?

ლ ი ბ ი

□

საქართველოში
 ლექსს ღვინოდ სვამენ,
 ღვინო კახურიც
 ისევ კახურობს...
 შენ კი ჩვენს შორის
 ვერ გხედავთ,
 სამედ,
 რომ ჯამი ჯამზე
 მოგიჯახუნოთ.
 საქართველოში
 ლექსს
 ღვინოდ სვამენ,
 გაღელილი აქვთ
 ვაჟპაცებს მკერდი.
 გადადის შენი ლექსები,
 სამედ,
 გულიდან გულზე
 ვით აღავერდი.

ო ო ს ე ბ ნ ო ნ ე შ ვ ი ლ ი

□

ბედის ხვეული — დაცემა და ზესვლა ზშანებად...
 აპა: შამბი ხრავს უძველესი ტებანის კედლებს.

მხოლოდა მწყემსის საღამური ეხმიანება —
 რაიც აქ იყო და წასულა ყველაფრის შემდეგ...

აქა ვსვამთ ღვინოს ცეცხლის პირას, საღაც ტკბილია
 ტვამლიც კი,

საღაც ყოვლიარი მდუმარებს დღემდე!

ჩ ო ნ ჩ ხ ო ლ ი

□

ვაშო ლამაზო, მათრობელა ღვინის დედაო,
 ხვიარა ყლორტებს რომ დაიბამ უმშვენიერესს,
 ბაბილოვანო,
 მოპხვიე შენი ნორჩი მკლავი ანაკრეონტ ტეოსელის
 აზიდულ სტელას

და მის საფლავზე დაპკიდე თავი...
 ვინც სვამდა ღვინოს, იყო მთვრალი, იყო მთრობელი,
 ვინც მთელ ღამეებს სატრფო-ქალას ალხენდა ჩანგით
 და ვინაც ახლა მიწაშია, მის თავსა ზედა
 შენ გადმოპკიდე ქორფა ვარჯით მწიფე მტევანი...
 და დაუსველე ბაგე, ჰანგებს რომ
 გადმოადენდა შენი წვენის უტკბესს ოდესლაც.

ს ი მ თ ნ ი დ ე გ ე თ ს ე ლ ა

□

წვენს ბერიკაცებს ვადლეგრძელებ
 მე ამ სასმისით,
 წვენი სიცოცხლის საფუძველს და
 ძლიერ საძირკველს,
 ვაზის შრიალში უძველესი მათი ხმა ისმის,
 ეს ხმა გვიამბობს წარსულს საკვირველს.

აწ მოვიგონთ, ვინც არ არის ცოცხალთა შორის,
 და ვადლეგრძელოთ ვინც ქვეყანას მოევლინება,
 ვინც ვაზს მიხედავს, დაიღლება ალალი შრომით,
 რომ არ შეგვიწყდეს ამ ღვთაებრივ სითხის დინება.

რომ მოეკიდოს ქარვისფერი სხივები მტევნებს,
 ეფერებოდეს ვაზის ლერწებს გლეხის ხელები,
 რომ მოგვიგონონ ასი წლის შემდეგ
 აზსოვდეთ წვენი საქმეები და სახელები.

ა ნ დ რ ე ი ლ უ პ ა ნ ი

ესგამთ სასმისებს ქაცთა მმობისკურიტეტის
ქაცთა ბეჭნიერებისას!

მ ი რ ზ ა შ ა ფ ი



აგერ, შეპხარის მიწის სიუხვეს,
ნაჭირნახულევს რაღა ეძნელოს,
ხვალ შავყურძნის წვენს ქვევრზე მიუშვებს,
და ჯამით ასწევს ამ სადღეგრძელოს:

— ძმებო, ნეტავი ძმათა მრავალთა,
მზე მათთვის დღეში ცხრაჯერ ამოდის!
უხმოდ, უმოყვროდ მე ვარ ავადა,
და არც ცხოვრება მინდა სამოთხის!

დღეს ხალხის აზრის აფრა მოცურავს,
ტალღა წარღვნისა ვეღარ ეძგეროს;
ამ ვენახიდან რაც დამიწურავს,
სიყვარულისთვის მსურს სადღეგრძელოდ!

მტკიცობდეს გულის სიანდამატე,
წვენმა ვაზისამ ტკბილად იმაჭროს!
სანამ მზის თვალი მიწას ანათებს,
ჩემო მამულო, შენ გაგომარჯოს!

დე, ყველამ გულზე გული დავადოთ,
დე, გულზე გვენთოს ძმობის სანთელი
და ერთი დიდი ცეცხლი ავანთოთ,
წინაპართაგან დასანატრელი!

და არცა გნახოთ, ძმაო, ცალადა,
დაე, ჩემი ხმაც ყოველთვის მოგწვდეს,
გალომებული ცეცხლის ძალა და
აღელვებული ზღვის ჯანი მოგცეს!

განა რამეს გთხოვ? მობრძანდი ჰურზე,
 დატკბი, იხარე, ძმად შემოყვარე,
 გულზე მომები... და ლუკმა-პურზე
 ცოტა მარილი შემომიყარე.

ძმებო, ნეტავი ძმათა მრავალთა,
 მზე მათთვის დღეში ცხრაჯერ ამოდის!
 უძმოდ, უმოყვროდ ვხდები ავადა,
 გახმეს, რათ მინდა, ბალი სამოთხის,

მაშინ გადმექცეს სახლი მიწურად,
 სიკვდილის ბჟყალიც მაშინ მეძგეროს...
 ამ ვენახიდან რაც დამიწურავს,
 სიყვარულს ერგოს, მის სადლეგრძელოს!

გ ი თ რ გ ი ლ ე თ ნ ი ძ ე

□

ქაცთა ცხოვრება სიზმრის მსგავსია.
 ნალად არა ღირს ქვეყნის დიდება.

სიბრძნე, სიმდიდრე, გვარიშვილობა...
 სიკვდილთან ყველა გაბედითდება.

იმქვეუნად ერთი არის ხარება —
 მეგობრებთან სმა და დროსტარება.

კ ი რ ე უ ლ ი ხ ი კ ი

□

თრი ძმაბიჭი, ლექსთა კრებული,
 და ძველი ღვინო თრი ხელადა,
 თუ მექნა კუთხე მოფარებული
 სამუსაიფოდ, მწვანე ველადა,

არ გავცელი ამას მთელ სამყაროში,
 თვით სამოთხეც კი რომ მომცენ თანა,
 თუნდაც ამისთვის — ამ ნეტარ დროში,
 წინააღმიდგეს მთელი ქვეყანა.

პ ა ჭ ე ზ ი



თასით ღვინო და ალალი მეგობარი!
 რას ინატრებს კაცი ამის უკეთესს,
 ვინ რა იცის, სით დაბერავს ბედის ქარი,
 ან ცხოვრება ვის რა ოინს უკეთებს.

მაშ, ძმობილო, არ დაკარგო წამიც, თუნდა,
 ნე უყურებ სით რა ქარი ამოვა,
 დამიჯერე, ბედს და იღბალს ძებნა უნდა,
 მორცხვია და თავისთავად არ მოვა.

რ თ ბ ე რ ტ ბ ე რ ნ ს ი



კვლავ შენთან ერთად უნდა შევსვა ქაფქაფა ღვინო,
 სანამ ეს ღვინო სულის ღმერთია.
 კვლავ შენთან ერთად უნდა ვჭამო მწარე ბალახი,
 სანამ სიმწარე მატკბობს ერთიან...
 უნდა ვიარო ქუჩა-ქუჩა, ველიდე ქარდაქარ
 მანამდე,
 სანამ ქალამანი არ გამცვეთა.

ნ თ ნ ნ ხ თ ლ ი



დღეს მისდევს დღემ. სიბერის ჟამი
 კარს მოგვდგომია გულის მყინველი.

წელი წელს მისდევს, წამს კიდევ — წამი,
 კვლავ გაზაფხულის ჰყივის ფრინველი.

დავსხდებით ორნი და ავწევთ თასებს,
თასით ქაფქაფა ღვინო გვიცინის.




ნუ ნაღვლობ ჩამხმარ ყვავილთა დასებს,
აყვავლებიან კვლავაც ისინი.

ვან ვი

□

მე გთხოვ დალიო,
ღვინის არსმა იქაც გვეყოფა.
მოფრინდა ქარი
და შენ, ფხიზელს დაგცინის მწარედ.
შეხედე ხეებს —
ჩვენს ძველისძველ ნაცნობ-მეგობართ,
აყვავებულნი ვით შვენიან
ამ არემარეს.
პა, ბუჩქნარებში
მოლალური სიმღერას ბედავს,
ოქროს ფიალებს
ოქროსივე მთვარე დასცექრის.
გუშინ რომ დედის ძუძუს წოვდნენ
იმ ბალღებს — ხედავ,
დრომ როგორ უცებ გაუთეთრა
შავი თმა-წვერი!
მიწამ შეჭამა
სასახლეთა რამდენი მდგმური,
გუსუს სალხინო პალატებში
ირმები სძოვენ.
წარხდა დიდება მეფობისა,
დრომ აგო შური,
მათ სამყოფელში აწ სამკვიდრო
ბინდებმა ჰპოვეს.
წვენც, მეგობარო,
მმ სოფელში ვინ დაგვარჩინოს?
წინაპართა ზე მოიგონე
და შესვი ღვინო!

ლადო გრეგორევილი. საღ-
ლეგრძელო ოქტოს ყან-
წით.



ნიკოლას პესეზი.
ბაქეანალია.



ნოელ ნიკოლა ერმაველი.
უკრებასა და ბახტის გვ-
შირი. ლებას მყიდვი წმინდა-
ლებული ქაფეზური ემილ-
ვის მუზეუმი.



ლიეგო ველასკესი.
მოქეიფენი.



ღვინთა ვსვამთ მე და შენ.
 გარშემო ტიალი
 ყვავილთა ფურცლები
 ღალანთბს.
 მეორე ფიალა
 და მერვე ფიალა —
 ასე ვსვამთ
 და მოდის სალამო.
 დავთვერი
 და ძილმა იძალა. დავდუმდი.
 შენ წადი.
 შენი გზით იარე.
 მე ვიცი: მეწვევი
 დილაზე ფანდურით,
 ფანდურის ღუღუნში
 გამოვცლით ფიალებს.

ლ ი ბ რ

□

ვინც საჭე შეატრიალა,
 როცა სხვა ქარმა დაპბერა, —
 მასთან ვერ დავცლი ფიალას,
 მასთან ვერ დავლივ საფერავს.
 ვინც არის სიტყვის პატრონი,
 ხიტყვა ხმალივით დაფერა
 და რწმენა გააბატონა, —
 მე მასთან დავლევ საფერავს.
 სული ცას ებუბუნება
 სხვა გზების გადასარბენად,
 მზეა თუ სისხლს მისცემს ბენება,
 ალბათ, უბოძებს საფერავს.

მიწამ დოვლათი ბაღისა
კვლავ ამრავლა და პევრა,
და რაკი მოძმე მაღირსა,
როგორ არ მომცემს საფერავს.



ო ლ ე ბ ლ თ ი ჭ რ



ესეც ჩვენი საჭაშნიკე,
ესეც ჩვენი „ნიკალა“,
აბაშიძემ თამაში ქნა,
ჭიქა წააკინკლავა.
— ჩვენ გვიყურებს მთელი ქუჩა.
ბიჭო, კარი მიზურე,
ტინკალს თვალი მოუხუჭავს
და გვერდულად მიყურებს.
ლვინომ, ლვთისგან მოცემულმა,
ყველას გზები მოუჭრა,
მგერდმოლელილ ბროწეულებს
ძოწის მძივი მოუჩანთ.
კვლავაც მიყმეთ, თუ მიყმევით,
თუა თავდავიწყება,
ალვანური გუდის ყველი
შოთის პურზე იწევა.
სიმინდა კაბა ისე მოსთრევს
სუფრაზე თავს მოიჭრის,
მედლებიან ლვინის ბოთლებს
სურა გასცემს დოინჯით.
თიხა მღერის,
რთველი რთველობს
და კედლიდან
დაგვყურებს,
საყვარელი
საქართველო,
ხარის ტყავზე
გაკრული.
მოთმინება დამეკარგა,

გადავკარ და ვიშარე,
 გაზაფხულის ღამესა ჰეგავს
 მუკუჩანის სიშავე.
 ერთი, ორი, სამი, ოთხი,
 მეხუთე და მეექვსე,
 სიყვარულის ბოლო გათხით
 კვდება ყველა მელექსე.
 ვინ თითო და ვინ ორ-ორი,
 გადავკარით ქურდივით,
 დუდუკებზე — სიმონოვი,
 დუდუკებზე — დუდინი...
 სიყვარული არ იქნება,
 არ იქნება ძალადა
 და მოტეხილ ანდრონიქოვს
 ეფერება თამაღა.
 საათნავას ჰამაკია —
 მიდი-მოდის ჰანგები,
 ვაი, ვისაც არ აკლია
 ძველი ამხანავები.
 თუმც ცხოვრება ფიცხი არი,
 წაღმა ბრუნავს ბორბალი,
 პაოლოს და ტიციანის
 იყოს შესანდობარი.
 დღეისთვის არ მემეტებით
 გჰევრეტი ხვალინდელ წიგნებად,
 გაუმარჯვოს, პოეტებო,
 იმას, რაც ხვალ იქნება.
 დღეისთვის არ მემეტებით,
 შორითა ვჰევრეტ გასაპედს,
 ვინც მიწაზე ვერ ეტევით,
 ცაში გადაგასახლებთ.
 სუფრაც ისე შეღობილა
 სიყვარულის ჭიქებით,
 ვითომ მარტი ჩვენ ყოფილვართ,
 ვითომ სულ ჩვენ ვიქნებით.

ვანსულ შარ კვიანი

ქაფდებოდეს ფიალებში ბადაგივით ტკბილი ღვინო,
 ღლე და ღმე გავასწოროთ — ერთად ვიყოთ, მოვილხინოთ!
 ქვეყნად ბევრი სიმწარეა, მაგრამ დარდი ჩვენ რად გვინდა!
 ოქროს ხანა განა მისთვის გვეძლევა, რომ მოვიწყინოთ?

ა დ ი ბ ს ა ბ რ ი



ნამოასხით, ჰავლი ღვინის
 გესმით, ძმებო, როგორ მდერის?
 შევსვათ, ქვეყნად ღვინოსავით
 გულს არ ალხენს არაფერი!

ვადლეგრძელოთ თვითონ ღვინო,
 ყინვაშიც რომ გულებს ათბობს;
 როს მოვკვდებით, ის ქვეყანაც
 დაე, ღვინომ გაგვინათხა!

ჯ თ რ ჯ ბ ა ი რ თ ნ ი



ოქროსფერი ნათელით
 ფოთლები დაიფერა,
 დუქნებს ჩამოვუარეთ,
 ვმდერით ძმობის სიმღერას.

ახლა ცოდვა ის არის,
 კახი დოქიც მშრალია...
 მოდი, ძმებო იმათა
 სადლეგრძელო დავლით!

მ გ ა ნ პ ი ტ ა ვ



ცად ისწრაფვის ჩემი სული,
 უგზოვეც ლდებას;
 იქეთ, სადაც შორეული
 ვარსკვლავების საუფლოა.
 მაგრამ არა! სავნებს შორის
 სად სიცხადით გული ხარობს —
 სჯობს ვსვა ღვინო, ვინაღიმო,
 სჯობს ჭიქები ვაწერიალო!

სუფრა აიშლება ვინები,
 ვსვათ ნუნუა ტკბილი, გრილი.
 დე, მღეროდეს თასში ღვინო,
 ვით სტრიქონი ჩამოქნილი.
 მოვეფერთთ ერთეულთა ძმებო,
 სანამ გული გვიძგერს გზნებით,
 სანამ ზარი განშორების
 წაგვიყვანდეს უცნო გზებით.

არ ჩავტოვოთ თასში წვეთიც,
 რომ არ გაშრეს უდვოთოდ ყელი,
 ყველამ თავის ერთადერთი
 მოვიგონოთ საყვარელი.
 ვადლეგრძელოთ, ვინაც გულის
 წაიყოლა ლტოლვა, ფიქრი.
 ვისთვისაც ვართ დადაგული —
 ვადლეგრძელოთ ორი ჭიქით.
 მესამე კი მათი იყოს,
 ცხოვრებაში ვინაც მუდამ
 ჩვენს ლხენას თუ ტკივილს იყოფს,
 ვინც ძმობა არ გაგვიმრუდა.
 მევობრები ვის არ უყვარს?
 ვინ არ დალევს სადლეგრძელოს?
 გაუმარჯოს, ვინც შორს იყოს,
 ვინც აქაა — ჩვენთან ევლოს!

სიხარულის შმაგმა ტალღაშ
 გადარა გულზე ჩქერად.
 სიყვარულში არ ვგრძნობ დაღლას,
 მეგობრობის ძალის მჯერა.
 მაშ, ჩავკიდოთ ერთურთს ხელი,
 ერთად ვძლიოთ დარდს და ვარაშს.
 მეგობრობის მზე ნათელი
 იყაშკაშებს ძმებო, მარად!

გ თ ე თ ე

„30 დღით უნდა ისახო. ჩვენ იგილისი ვადლებრძელოთ ჰალარა...“

იღვრება მტელი დაწდი არღნიდან,
 იღვრება, როგორც დეინო ტიკიდან.

შ თ ა ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე



ოცნებათ ჩვენო ძველო,
 ვართ დაშეთა მთეველი,
 ბევრი, ბევრი სადლეგრძელო
 დაგვრჩნა დაულეველი.

სადლეგრძელო იყოს მისი,
 ვინც შიშმა ვერ დანარა.
 ვიდგეთ ფეხზე. ჩვენ თბილისი
 ვადლეგრძელოთ ჭაღარა!

აქ სიცოცხლე და ხალისი
 ვის სხვად არ ესვენება, —
 სადლეგრძელო იყოს მისი
 და დიდებით ხსენება.

მოდიოდა ერთზე ასი, —
 გზა გვშვენოდა დიდების, —
 ჩვენ დავცალთ ყველამ თასი
 ბედთან არ დარიდების!

გალაკტიონ ტაბიძე



მე სიზმრად ვხედავ კუშიან თბილის,
 ქვითინებს თარი და საზანდარი,
 მიაფრიალებს ჭრელ სამოსს ქარი, —
 ხიდზე გადადის ტალღები სალხის,
 ხიდქვეშ კი მღვრიე მიღელავს მტკვარი.

სანაპიროზე მოჩანს დუქანი,
 აქ არის ღვინო და შილაფლავი,
 ხოლო მედუქნე ზორბა, მსუქანი,
 მუდამ თვალებში შემოგციცინებს,
 რომ ლალის ღვინით აგივსოს ჯამი...

გრილი სარდაფი, სინათლე მკრთალი,
 კახური ღვინო — მბზინავი ქარვა,
 სიგრილე ამო, ბარუსი ლამობს
 დავლიოთ, ჰიქას მივურტყათ ჭიქა,
 მარტო ვინც დალევს, შეურგოს არმად!

აქ, ამ დუქნებში ყოველთვის ნახავ
 თანამესუფრეს ალალტ, გულლიას;
 ალავერდს ეტყვი მეგობარს ახალს,
 აგატივტივებს მსუბუქი ტალღა,
 ქალაქიც თითქოს ნისლს წაუდია...

კაცი მძიმდება წელიწადებით,
 კრავი კი მუდამ ქორფა სჯობია.
 მთვარის მკრთალ შუქზე შევწევათ მწვადები,
 კვაშლს გავაყოლოთ გულის დარღები,
 და ამ საზანდრის ტკბილ მეღოდიას.

თ ს ი პ მ ა ნ დ ე ლ შ ტ ა მ ი

□

გინდ მეძინოს, მაინც სულმი მიზიშარ,
 თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიშარ..

თრთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
 დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
 ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
 აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
 მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“

გრიგოლ თრბელიანი

□

ყარაბოხელი ძველი თბილისის ძველი თაობაა. იგი იმ-
 დროინდელი მოქალაქეა, როცა „ქართლის ცხოვრების“ სიტყ-
 ვით: „ქალაქი ტფილისი ჯერე არა სრულიად შემოყვანებე-
 ლიყო უდელსა ქვეშე მორჩილებისასა“.

ყენობა, ამერობა, აშუღობა, კრივი, არაფანა, რიგისპური,
 ობა, ყავახანები, ზეპირსიტყვაობა, ქუჩის წარმოდგენები, სალ-
 ხინო ბაღები, მტკვრის სანაპიროები და სხვა, — ყველა ეს ადა-
 თები, გასართობები და ზნეჩვეულებანი, რომლებიც ათადან-
 ბაბადან მომდინარეობს ჩვენში, თავისი რათბით ჰქმნიან
 თავისებურ კულტს, ერთგვარ რელიგიურ სიმთვრალეს, რაც
 თბილისელებს ავგართზივით უსვენიათ გულზე და თვალის
 ჩინივით უფრთხილდებიან ამ ყარაბოხელთა ლოთურ ტრადი-
 ციულ თავდავიწყებას.

მათთვის არც დღეა და არც ღამე:

მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო,
 ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო!
 ჯაფა-ტანჯვით ალალ ლუქმას ვშოულობ,
 მთელი კვირა ოფლს სულ ასე ვიწურავ;
 კვირა დღეს კი გამოვდივარ ძმა-ბიჭში,
 ყარაბოხულ ლურჯ ქუდს გვერდზე ვიზურავ!



ჩვენი ბიჭი ჩიტივით იბადება:

დღეს ვიშოვი, დღეს ვჭამ! ვარ ბედნიერი! ეროვნული
ოპ, რა ვუიჩრა იმ მიღიონის პატრონს, პიროვნეული
ფუთში ფულს პეტს, თვითონ კვდება მმიერი!

მე სულ ვლოთობ, შენ რას გიშლი, მმობილო?

ლოთ-ბიჭშია, აბა, რა ნახე ცუდი?

მეც კაცი ვარ, რატომ აგრე მიყურებ?

მეც მასურავს თავზედ ნამუსას ქუდი! *

ყარაბენხელი ყოველთვის პირველი გრძნობით და პირველი შთაბეჭდილებით ცხოვრობს.

ყარაბენხელი უდარდელია, ქეიფის მოყვარული, დარდი-მანდი და წიტივით უზრუნველი. პური და ღვინო თუ გააჩნია — ბედნიერია, და თუ ზედ ცოტა მოთალი და კიტრიც აქვა, მაშინ ხომ ცა ქუდად და დედამიწა ქალამნადაც არ მიაჩნია! ორთაჭალის ბაღი მისი ასპარეზია! თღონდ დღეს პქონდებ ლუკმა-პური და ხვალ — ღმერთი მოწყალეა! ტოლ-ამხანაგი-სათვის, მშა-ბიჭისათვის თავის მოკვლა გროშადაც არ უღირს...

ი თ ს ე ბ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი

□

ჩემთ იარალი, ნეტავი თდეს

ლხინით აღვსილნი ვპახდეთ ველსა მწვანეს,

ჩვენებურადა,

ძველებურადა,

ვსვამდეთ,

ვიმაზდეთ:

იარი-არალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით

ცეცხლზედა დასტრიალუბდეს,

ყნოსვა დამტკბარი მის სუნით,

მადასა განგვიღვიძებდეს.

კახურის ღვინით აღვსილი

აზარფეშაცა ხელს გვეძფრას,

* ლექსის ავტორია ავესენტი ცაგარელი.

მოთალი, თევზი, მწვანილი
 აგვიშტელებდნენ წინ სუფრას.
 ცა მშვენიერი,
 ცა მშობლიური
 მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათოდეს,
 გაცხელებულთა
 ღვინისგან შუბლთა
 კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...

გრიგოლ თრბელიანი



ყარანტენი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პა-
 ტიოსანი, რაინდი.

ყარანტენის სასმისი იყო ჩინური ჯამი, თიხის ფიალა,
 აზარფეშა და ვერცხლით შეჭედილი ხის კულა...

იოსებ გრიშაშვილი



სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით
 თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!
 ლხინის სუფრა მოპფინეთ ყვავილებით;
 ალავერდა დასვით თარით ნაქებით,
 ყოველი ბულბულ ტკბილის ხმით აღუღუნეთ,
 დიპლიპტით დაპკარ-დაარაკუნეთ!
 ლხინის პაპა, ჟანით არაბისტნელი,
 ღვინისა და ეშვისათვის შექმნილი,
 ტოლუმბაშად დასვით ქუდ ჩაკეცილი!

გრიგოლ თრბელიანი



...ძველი თბილისის მშვენება და მისი კოლორიტის განუ-
 ყოფელი ნაწილი გახლდათ გრიგოლ თრბელიანი, ი. გრიშა-
 შვილისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს „ინტელიგენტი ყარა-
 ნტონელი“, თავისივე განუყრელი თანამგზავრითა და თანამე-
 ნახით — ლოპიანათი...



აბანო ყარაჩოხელისათვის ბოპემის ის შემადგენელუნაზე მოვალეობა და იყო, ურომდისოდაც ქეიფი ქეიფად არ მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ მათი ქეიფი, ბაღებში დაწყებული, უკეთესად აბანოთი თავდებოდა...

აბანოში მოქეიფება, ამ აზიურ გასტრონომებს, განსაკუთრებული პირის გემო ჰქონდათ: გამზმარი ქართო პური და შხლოის ყველი, გოგირდის წყალგადავლებული, ისეთი სპეციფიკური გემოს საჭმელი იყო, რომლის ართმატსაც ძველი ყარაჩოხელი დღესაც სიამოვნებით იგონებს...

მომდერალი მღეროდა, აბანოს გამაგრილებელი თაღები განსაკუთრებულ ბანს აძლევდა, სუფრა ითენთებოდა, ნახევრადშიშველი ლოთები ექსტაზში მოდიოდნენ და მთელი აბანო – ბოდიშს არ ვიხდი ამ შედარებისათვის! – დიონისოს ტაძრად იყო გადაქცეული...

ადსანიშნავია ყარაჩოხელის ერთი თავისებური ჩვეულებაც ღვინის სმის დროს: თუ სვამენ მკვდრის შესანდობარს, მაშინ ღვინოს თავს წაუქცევენ პურზედ, ხოლო ჩვეულებრივ ქეიფისა და დღეგრძელობის დროს კი გამოცლილ ჭიქას ლოთფოთურად გაუხახუნებენ ხოლმე თავიანთ ვერცხლის ქამარს...

... ესეც გაუმარჯოს იმ მებაღეს, რომელი მებაღეც ვენახში გაივლის, დაწოლილ ვაზს შეამჩნევს, წამოაყენებს, ახეირებს, ნაყოფს გამოაღებინებს, დაპკრეფს, დასწურავს, თითონაც დაღევს და ჩვენც დაგვალევინებს!...

ძველი თბილისის სირაჯება დროშაზე გამოსახული პყავ-დათ ნოე, როგორც სიმბოლო მევენახე და მეღვინე პირველ-კაცისა.

იო ს ე ბ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი



ჩემო იარაღი! – ასე ქადაგებდა
ყაზახის გმირი – მსგავსება ლომის –
თრპელიანი, რომელიც აქვებდა
ღვინოს და სალომეს.

ის დრო წავიდა! თბილისი ძველი
 მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს,
 და ნარიყალა, ცრემლებით სველი,
 მატარებლების კივილს გაპურებს.

მე ვდგავარ მთაზე. მე ვდგავარ მარტო
 დამთვრალი ახალ სანახავითა,
 რითი გაგართო, როგორ გაგართო?
 ჩემთ იარალი, ის დრო წავიდა!

გ ა ღ ა კ ტ ი თ ხ ტ ა ბ ი ძ ე

ღვინის აღმართი! ერთი ციცქნა ფოლორცია დედაქალაქის
 განახლებული მაგისტრალების კრებულში, მაგრამ ტევადი,
 შინაარსიანი, მიმშიდველია იგი.

აქვე, ღვინის აღმართზე სარდაფი პქტნია კარდანახელ
 ივანე მაჟიბეგაშვილს. მისი შეკვეთით ფიროსმანმა შექმნა 5
 ქვევრით, 7 კასრითა და მსხმოიარე ვაშით დამშვენებული
 მხატვრული ტილო, რომელსაც „წარაფი“ პქვია და აქვს წარ-
 წერა: „ღვინის ვინ არ დალევს, ჩვენი ზიარებათ, ზოგჯერ
 ძალით ვასამევენ, ზოგჯერ კა გვენატრებათ“.

განახლებულმა იბილისმა შთანთქა ძველი სირაჯხანა, მაგ-
 რამ ჩანჩქეროვანი კლდის მეზობელ ქუჩას მაინც შერჩა თა-
 ვისებური ეშხი და საკუთარი სახელი – ღვინის აღმართი.

ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

„პირდით მისარამდის საა იყო...“

□

დაიწყეს მორთმა პურისა ლაშქართა მის მესავსისა,
 ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი მხავსისა,

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჰიქები,
 კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები.

მუტრიბნი მოდგეს ყოველგნით, ისმოდის ხმა წინწილისა;
 შეყრით ძეს გორი თქერთხა და ბალახშისა თლილისა;

მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი მილისა,
ბინდით ცისკრამდიპ სმა იყო გარდახდა უამი დილისა.
რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი.
თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა გაყრანი სმისანი.

შთა რუსთა ველი



იქცევა ღვინო სვეტებიან პალატთა შინა...

ღრეობს კაცი და მთელი ღამე გადიდებს მთვრალი,
რა თვალს გააჩელს ნამთვრალევზე, გადიდებს ისევ.

ძველი გვიპტური ღირიგა



ირიჟრაჟა! მერიქიფევ,
მომაწოდე ღვინის ჯამი.
ჩქარა, თორემ ეს საწუთრო
არ დაიცდის ერთი წამი!
ჩქარა, თორემ ეს სიცოცხლე
გაფრინდება, გაიქცევა,
ჩვენ წავიქცეთ მანამ, სანამ
დედამიწა დაიქცევა!
ალისფერი ღვინო მოდის
დალოცვილი დოქიდანა,
ადე, თუ გსურს გაიხარო,
ძილმა რაღა მოგიტანა!
ვინც აქ ვლოთობთ, ყველა წავალო,
ისევ ვეღარ წამოვდგებით.
ღვინო გვახვი, ღვანო, იქნებ
ღვინის ჭურჭლად გამოვიდებით!
უკვე თავი მოგვაბეჭრა
ღვთისმოსავთა დარიგებამ.

ნქარა, ღვინო მოგვაწოდე,
 ნქარა, მორჩი ჩარიგებას!
 პაფეზ, ჰყუას მიტომ გიქებ,
 ღვინის ჯამს რომ ეტანები.
 მაშ, დალიე ტებილი ღვინო
 და აღივსე ნეტარებით.

პ ა ფ ე ზ ი



მხიარულების ავწითოთ თასი
 და დავეწაფოთ ყველა უკლებლად,
 ბედნიერების ნათელი წამი
 სანამ წასულა დაუბრუნებლად.

მაშ, გავედევნოთ ამ ძვირფას წამებსა,
 ჯილდო ყრმობისა შევიტქბოთ, ვენდოთ!
 როგორც ამ თასში ღვინო კამკამა —
 დე, წვენს გულებში ტრფიალი ენთოსა
 დე, ამ სიმღერის ძალა ცხოველი
 გულებს გვითბობდეს დაუსრულებლად —
 წარმავალია ქვეყნად ყოველი,
 წარუვალია — მხიარულება.

ავავსოთ ჭიქა, დე, მთელი ღამე
 ისმოდეს წვენი სიმღერის ხმები,
 დაე, რიჟრაჟი დაადგეს თავშე
 ღრეობას წვენსას, ოქროსფერ თმებით!

სულტანი ჯუზებე ვერდის ოქრა —
 „ტრავიატადან“



ଅର୍ପ ମେ ପାଠ ମତ୍ତରାଲ୍ଲି, ଅର୍ପ ଶେନ ଶାର ମତ୍ତରାଲ୍ଲି
ଜୀଏ ଠେକ, ଅନ୍ଧନାଥ ଗ୍ରେବେର୍ଟ୍ସ୍ୟାନାଙ୍କେ ତପାଳି.

ମାମାଲ୍ଲି କ୍ଷୁଣ୍ଣିବିସ,

ବିଶ୍ଵାରି ଲୋଗିବିସ —

ଫାମିଲ୍ସିଶି, ଫିମାନ, ଫଲ୍ଗୁନି ଫା କ୍ଷୁଣ୍ଣିବିସ!

ରଂଧ୍ରୀ କର୍ତ୍ତ୍ତୃ ଦେଖନ୍ତି





სევდა... ლვილო... ლექსი... მთვარე... სატრულო...
შვავილები...

რომ მომსპარიყო ქვეყნად ღვინის სმა,
ხომ გაქრებოდა ლექსის თილისმა;
მუწის მსახურთაც წყაროდ ღონისა
ღვინო სწყურიათ...

ა რ ტ უ რ ჯ ო ნ ს ტ ო უ ნ ი



ო, წითლისა და ჭვირვალისთვის ჩემთ გამკილავო,
სამოთხის ბაღნარს მიაშურე,

დაე, მე დამწვას ალისქარმა ჯოჯოხეთისა,
რაკი ჩვენ მალე არ მოვხვდებით საუკუნო სასუფეველში,
წეთისოფელში ამ ღვთაებრივი წვენის გარდა
უძვდავება არაფერშია.

ო, გამკილავო! ღვინო მასკი და მიგალობე.
მე ჭეშმარიტად, მისი ღვიძლი მმა ვიქწები კუპლის ფიცრამდე.
როცა მოვკვდები, ვაზის მიწმი დამასაფლავე,
რომ ჩემმა ძვლებმა შეისრუტის ამ ღვთაებრივი ფეხვების
წვენი.

მე მინდა ვსვა ღვინო და დავტკბე ყველაფრით,
 რაც აკრძალულია.

ღმერთია მოწამე — მე მინდა მთვრალი ვიყო ათას წელიწადა,
 ვერ დამინახავს მე ალაპი ისე, რომ ხელში თასი არ შეპყრას,
 ან ლამაზმანს არ ვეოცნიდე, ან უგონოდ მთვრალი არ ვეგდო.
 ერთხელ მე მკითხეს: ხომ არ აპირებ მექაში წასვლას?
 რატომაც არა, — ვუპასუხე, —
 როცა ბალდადი დროსტარებას გადაეწვევა!

ა ბ უ ნ უ ვ ა ს ი



ღვინო სევდის კარგი გამქარვებელია.

პორაციუსი



ეს ცხოვრება რა იქნება ულხინოდ?
 სიჭაბუკე — სიმთვრალეა უღვინოდ.
 ჭაბუკსა პგავს ბერიკაცი წასვამი,
 რა იქნება საკვირველი მასავით?
 სულ საზრუნავს გვიჩენს მარად სოფელი,
 და ვაჩია დარდის დამაშრობელი.

გოგო



ბედსა რად სწყევლი? რად ჰაწუხარ? რას გარგებს
 სულმოკლეობა?
 შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება!

გრიგოლ თრბელიანი



ვარდობის ვე, რეისპირა ატენილი ჭალაკი, ერთხელ თორთულები სატრფო და ჩუმი, მყუდრო ალაგი, დვინო მომეც, მოყვასო, ნასმურევზე გამოსულთ არც მეჩეთი ახსოვთ და არც სამოთხის არაკი.



ვარდი და ღვინო! — ნუ გექნება სხვა საშრუნავი,
სვი, დაივიწყე სატკივარი განუკურნავი,
სანამ ვარდივით დაგფურცლავდეს, შემოგაცლიდეს
სიცოცხლის პერანგს ეგ სოფელი მიწყივ მბრუნავი.



ღვინო ჩემი ძალაა, ღვინო ჩემი ცულია,
ღვინოა, რომ ამ ქვეყნად თავს მავიწყებს სრულიად.
შევიყვარე ღვინო და მისი ყადრიც გავიგე:
ის ღირსებით მეფეთა გვირგვინს გარდასულია!



ჩემსა და ღვინის შუა ძმობის ძაფი გაება,
უღვინოდ ლხინი ჩემთვის არის ტანჯვა-ვაება,
მითხრეს, ღვინის სმა მორწმუნე კაცს არ შეპფერისო,
მე მსმელი ვარ და ღვინო არის ჩემი ღვთაება...



რა საოცრად მიქარავნობს ჩვენი ყოფნის ჟამი,
და რაოდენ საამთა ლხინის ერთი წამი,
მერიქიფევ, ნუ გადონებს ხვალინდელი წარლვნა,
ღამე გადის, აბა, ჩქარა, მომაწოდე ჯამი.

დოქტი წყართა, ღვინის ლალი ღუღს და მეტია,
 ღვინო სულია, ჯამის ტანში ვერ დაეტია,
 ღვინით მდიმარი ბროლის თასი განა რა არის,
 ნაწამებ გულის სისხლნარევი ცრემლის წვეთია.

—

სიცოცხლის ფასი უამღვინოდ არაფერია,
 უსალამუროდ, უღიღინოდ, არაფერია,
 ამ ქვეყნად მხოლოდ ქეიფი ღირს, სხვა დანარჩენი,
 თუ გინდ დღედაღამ მიკიჟინოთ, არაფერია...

—

როცა ფესვები სიცოცხლისა დამიდუნდება,
 და ზედ სიკვდილი დამედება მძიმე ხუნდებად,
 ღვინის ჭურჭელი გააკეთეთ ჩემი მიწისგან,
 აავსეთ ღვინით და სიცოცხლე დამიპრუნდება...

—

ამაღამ ჯამი მსურს ავწიო უზარმაზარი,
 ღვინით მდიდარმა ბედისწერას დავცე თავშარი,
 მსურს სამუდამოდ გავეყარო რკელსა და რწმენას,
 ვაზის ასული გვერდით მყავდეს, ვით პატარძალი.

—

წელთა ცვალებადობა თავის დროთა ამალით,
 ისე ჩაიფურცლება, როგორც წიგნი ფრთაშალი,
 ნუ იდარდებ, ღვინო სვი, პრძენნი ასე პრძანებენ:
 ქვეყნის დარდი შხამია, ღვინო მისი წამალი.



მერიქიფევ, შენი ფეხი ჩვენთვის ბედნიერია,
ღვინო მოგვეც და გვიმლერე, დღეს ხომ არ გვიმდურის მტვერია,
ბევრი ხოსრო და ჯემშიდი ახლა მიწის მტვერია,
ჩვენი მოსვლა ივნისია, წასვლა დეკემბერია.

—
ერთხელ ვიყიდე ღვინის დოქი, მეტყველი ვგონებ.
„შაპი ვიყავი!“ — ჩემი დოქი ჩივის და გოდებს,
„ახლა მტვერი ვარ! ამომილო მედოქემ მტვრიდან
და ჩააბარა ძველი შაპი სალხენად ლოთებს!

—
შეღავათია ორიოდ დღის სიცოცხლის არსი,
ისიც რად გინდა, თუ ითმინე და ღვინო არ სვი,
იცოდე, ბოლოს ეს ქვეყანა უნდა დაიქცეს
შენც წაიქეცი წმინდა ღვინით აღსავსე თასით.

—
დალიე ღვინო, თუ გსურს იყო უკვდავი მარად,
თუ გსურს მოზუცი გადაიქცე ჭაბუკის დარად.
შესვი და გულ-ღვიძლს მწუხარების ცეცხლი თუ გიწვავს,—
მის დასაქრობად ღვინის ერთი ფიალა კმარა.

ომარ ხაიამი



დავლევ, ეგების გავხალისდე
გულსევდიანი,
ლექს ვიტყვი — იქნებ გამოვხატო
გულის ნადები...

ღ ღ ღ

□

თუკი არ გავიხარეთ,
 თუ არ ვსვით და დავლიეთ, —
 მაშინ ხომ ეს ცხოვრება
 სულ უაზროდ გავლიეთ.
 ჩვენ ეს ზნე გვჭირს, არც გვინდა
 შევიცვალოთ შეგნება.
 ჩვენ არ ვფიქრობთ, თუ ბოლო
 ვის როგორი ექნება.
 გულის დვრიტა გავიხსნათ,
 ბედი არც გავიხსენოთ.
 ბედზე ზრუნვას შენ განდობ
 ბრიყვო ვარსკვლავთმრიცხველო!
 ასე რატომ გაოცებს
 ცვლილებანი ჟამისა.
 ცოტა მაგალითი აქვს
 ამ საწუთოს ამისა?
 მოდი, ხელში დაიჭი
 ჯამი ღვინით ავსილი.
 ის, ხომ იცი, თავია
 ბაჰმანის და ჯამისა,
 განა იცი, ისინი
 ახლა საით არიან?
 მათი დიდი დიდება
 ბედმა მტვერში გარია.
 მოდი, მოდი, დაცალე
 ღვინით სავსე ბადია,
 სანამ ჰყვავის მოსალი,
 სანამ რუქნაბადია!

—
 თუ მნახოთ მწარედ დაღონებული,
 თუ უნუგეშოდ მიცემდეს გული,
 ჩემი სხეულის ხორცი და ძვალი,
 თუ იყოს სრულად მოღუნებული,
 ნუ მომაკარებთ ექიმის წამლებს,
 არ მიყვარს მე ის შეჩვენებული...

მომეცით ღვინო, თარი, ჩონგური,
 ხმატკბილი საზი და ჭიანური.
 თუ ამის შემდეგ მე არ მოვრჩები,
 მიშოვნეთ სადმე ლალის ტუჩები,
 და თუ ამანაც ვეღარ მიშველა,
 თქვით, რომ: პაფეზი გარდაიცვალა!..

—
 მე მიყვარს ღვინო, ქეიფი და თავგასულობა,
 ვინ არის კიდევ, რომ ჩემსავით ის არ უყვარდეს.
 თვით ეზოს დარაჯს უყვარს ღვინო, მხიარულება,
 მას ნუ დასძრახავთ, იქეიფოს და გაუხარდეს!...
 ღვინო შენს სხეულს სასიცოცხლოს შემატებს ძალას,
 ნუ გინდა ქვეყნის ნურც იმედი, ნურც საყვედური.
 შენი ლეშიდან ის ამზადებს რაღაც შასალას
 და უნდა შისგან გააკეთოს თიბის აგური.
 პოლი, პაფეზო! არ უარყო ჯერ სიყვარული,
 გიყვარდეს ღვინო და იცოდე დროს დაფასება.
 ვარდსა და იას, პა, დაუდგა ქვლავ გაზაფხული,
 მოწყენილობას ქეიფი და სიამოვნება.

—
 უქმე დღე არის, ვარდი გაშლილა,
 მერქიფევ მომეც, ეგ ღვინო ტკბილი,
 როდის გინახავს, რომ ვარდის დროზე
 უღვინოდ იდგეს ჯამი დაცლილი.

—
 მერიქიფევ, გადმომისხი,
 ჩქარა, თორემ მწყურია!
 კიდევ ერთი თასი, თორემ
 დღენი მიმიწურია.

სიყვარულის ტკივილით ვარ
 კაცი განაწამები.

მაშ, მოიტა, მერიქიფევ,
 დვინით სავსე ჯამები

მალე, თორემ ხვალ, ვინ იცის
 იქნებ ბარგიც ამიკრეს.

მოღი, გულის ეს ხანძარი
 დვინის ცეცხლით ჩამიქრე.

პაჭეზი



ძმანო! სიცოცხლეს წუ მოჰკლავთ ცდაში,
 სულ ამაოა ამ ქვეყანაში:
 ქვეყნის დიდებას, ქვეყნის სიმდიდრეს,
 რისთვისაც კაცი თავ-კისერს იმტვრევს,
 არ გავცვლი ტრფიალ ქალის კოცნაში
 და კახურ დვინით ერთ სავსე ყანწში.
 ორს პატივს სცემდეთ ამ ქვეყნიურსა:
 მხიარულს ბახუსს და ცელქს ამურსა...
 მენდეთ, ამათგან დაწნულ გვირგვინით
 სიცოცხლეს ჩიტებრ განვლით დიმილით.
 წუ დაუჯერებთ უგემურსა ჰქვას,
 გრძნობის განსვაში ყოველთვისა ბრმას,
 გულის კითხვაშედ უარისთვის მზას;
 რა უნდა სჯობდეს, მითხარით, ამას,
 რომ ერთის ხელით ეხვიო მიჯნურს,
 მეორით — ყანწით ჰყლაპავდე კახურს?
 ან დვინის ორთქლით გახურებულსა,
 რა დაგკოცნის შენ სხივი ავრორის, —
 ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა,
 შენ საყვარლისა ხვევნათა შორის
 შენ თავს იხილავ... მაშინ ჰქითხე ჰქვას —
 რა უნდა სჯობდეს მაგ გაღვიძებას!

ი ლ ი ა ჰ ჰ ა ვ ა დ ე

დავლიოთ, ეგებ სულ სხვა სიმღერა,
 ნაზი და თაფლშე უტკბილესი ვპოვთ დვინოში.
 დამისხი დვინო ქითსური, ამიცსე თასი,
 სვი ლხენით გედილ, რა ყოფნაა უდვინოდ ყოფნა.

გ ე დ ი ლ ი

□

დალიე დვინო, ასკლეპიადე! რა გჭირს, რას სტირი?
 მარტოდენ შენზედ არ უსვრია პათიას ბადე,
 მარტოდენ შენთვის არ უსვრია ერთსს ისრები,
 რისად წადისარ საფლავში ცოცხლად?
 შევსვათ ანკარა, დიონისეს ნაკურთხი დვინო!
 მოკლეა დილა —
 ხომ არ ველთდოთ ადრიან ძილის მაცნე სანთურებს,
 დავლიოთ შვებით, შევსვათ! ახლთა უამი აღსასრულის
 ბედუქულმართი,
 და გრძელ დამეში, გრძელ დამეში ვპოვებთ სიმშვიდეს.

ა ს კ ლ ე პ ი ა დ ე ს ა მ თ ი ს ე ლ ი

□

დამისხი, დამალევინე,
 ე დვინო ოხერ-ტიალი,
 ეგება წალმა ვიფიქრო
 სოფლის უკუღმა ტრიალი!
 ეგება გულის ვარამი
 წავკლა მა ჯიხვის რქაშია.
 თვალ-წინ დამიდგეს ლამაზი,
 ჟრეოლა მამკიდოს ტანშია,
 დეზი გერა ჩემსა ლურჯასა,
 გადავერიო ზღვაშია.
 თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს,
 სიკვდილი მიჯობს ცდაშია,
 ვერ მააწონებთ კარგ ყმასა,
 რაც არ უჯდება ჭკვაშია.

ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა



ჩემთ დარდებო, მიდიხართ ჩემგან,
მწკრივში წამდგარნი მიემართებით!

მწდევ, ერთი ჭიქა დამისხი კიდევ,
რომ გავაცილო ჩემი დარღები.

მე სიძაბუნემ დამრია ხელი,
საწუთოს ლხენა გამიტიალა.

და აგრე ვცხოვობ: არ მენაღვლება
კაცთა სიავე, ჰმუნვა, იარა.

მკლავილა შემრჩა მე ძველებური:
მაგრად მიჰინრავს სავსე ფიალა!

ରୂପା ଲିର୍କ୍ସ ଶାରି ଏହିପ୍ରେଷ୍ଣତା? ନୀରମାତ୍ରାଙ୍ଗାଲିକ ଦ୍ୱା ଶ୍ଵାମିଙ୍କିରି.

მე დავიგულე აწ მეგობრებად
ლვინის თასი და ჩანგი ზმიერი.

ერთმანეთს ტკბილად შევაპერდებით
განვიზრობითა და მშვიდი იურია.

ყმაწვილი ვიყავ და სიყმაწვილე
 მე წარუვალი მეგონა მაშინ.

მაგრამ უჩუმრად წლები გასულა
 და თოვლისფერმა იძალა თმაში.

ღვინო შემასვით! ტკბილი სურვილით
 წარხდეს სიცოცხლის დღე მიწურვილი.

XV—XVII საუკუნეების
 კორეული სივრცე



ჟამი იწურება,
 სიბერე შეიგრძნო კუნთებმა.

მიდის გაზაფხული,
 მაგრამ ხომ მაინც დაბრუნდება.

მო, დავსხდეთ ნადიმად,
 ღვინო გვაქვს, შევსვათ და დავისხათ.

ვარდებზე ნუ დარდობ:
 კვლავაც აყვავდება გაისად!

მე ხაო ჟანი



დავლით ერთად, მელანიე ხომ არ გვონია,
 რაეამს გადასცურავ აქერთონტის ზვირთებს,
 მზის წმინდა ნათელს კვლავ ელირსები?
 თავი ანებე ტყუილს. ნუ ოცნებობ არარსებულზე.

ეოლიდ საზიფოსსაც, თავად სელმწიფეს,
 კაცთა შორის პირველს ბრძენმორჭმულებით,
 ევონა, განველტვით სიკვდილს, იღონა ბევრიც,
 მაგრამ მეორედ აქერონტი ვერ გადასცურა
 მან დაუსჯელად.

ქვესკნელში მძიმე სასჯელი დასდვა კრონიდემ.
 ნუ ოცნებობ არარსებულზე.

ყველანი მიწაში ჩავილალებით ადრე თუ გვიან,
 ეს გარდუვალი ხვედრია ჩვენი.

და სანამ ბორეასი ბრდღვინავს, ავზნეობს შმაგი,
 ზოდი, ნუნუას ქაფში ჩავკლათ ვარამი.

ა ლ კ ე თ ს ი

□

როდის იქნება, როდის იქნება, როდის იქნება, რომ
 რომ ის იქნება, რომ ის იქნება, რომ ის იქნება, რომ
 მე რომ ვიქნები, მე რომ ვიქნები, მე რომ ვიქნები, რომ
 ღვინოც იქნება, ღვინოც იქნება, ღვინოც იქნება — ხომ.

ჯ ე ლ ა ლ ე ფ ი ნ რ უ მ ი

□

ყვავილთა შორის დოქი ჩავდგი,
 შუაღამ, ახლა,

დავჯექ და მარტო ღვინოსა ვსვამ,
 არავინ მახლავს.

მაგრამ მე მთვარე მოვიწვიე
 და მყუდრო ღამით

ჩემს ღანდს ვუხმე და
 შევიყარეთ ამრიგად სამნი.

მაგრამ მითხარით —
 განა მთვარემ იცის ღვინის სმა,

ან ლანდმა — თუმცა სულ თანამდევს
 გემო ლხინისა?

ლანდსა და მთვარეს კი ვერ გაჰყრი
 და მყუდრო ლამით —

მთოვარე, მე და ჩემი ლანდი
 ვქეიფობთ სამნი.

სიმღერას ვამბობ და მთოვარე
 პქრის წინაუკმო,

ვროკავ და როკავს ჩემი ლანდი
 გრძელი და უხმო.

გათენებამდე ვსვამდით ღვინოს,
 ვიღწენდით ასე,

დილით წავიდნენ,
 წაბარბაცდნენ თავიანთ გზაზე.

აწ, ისევ მარტომ უნდა ვჰერიტო
 დღეთა წარხდომა,

ვიდრე შევხვდები მას, — შემომდგარს
 ირმის ნახტომთან.

ლ ი ბ თ

□

რაღაა განწყობილება, როცა ყვავილებით ტკბები და ღვი-
 ნით სავსე ჯამი ზელთ არ გიპყრია.

სუან აუნ - ც შეაო



ძველ წინეთში ყვავილებით ტკბობა და ღვინის სმია მიუღია
ტური ბუნების ადამიანთა თავშესაქცევი იყო; უფრო შატუ-
ლობდა ეშვი და ლაშათი, თუკი შეკრებილნი თხზავდნენ და
კითხულობდნენ ლექსებს.

სუან აუნ - ც ზ დ ა თ



დაყიყის მხოლოდ ოთხი რამე აქვს არჩეული,
რაც საწუთოთში არის კარგი ან საძაგელი;
ტუჩები ღია ლალისფერი, პანგი ჩანგისა,
ღვინო წითელი, რწმენა ცეცხლის თაყვანმცემელი.

აბუ მანსურ მოპამედ დაყიყი



მცირე ფიალა
აივსება ჭვირვალი ღვინით.

მწვანეზე ხალის შეგვეძლება
გაშლა დროისად.

არ მოზვალ განა —
მუსაიფით განვლიოთ ღამე:

მალე ხომ ნაპირს
შემოდგომის სუსხი მოიცავს.



მთებში ვეხეტები, მდინარეს დავყურებ,
ლექსები თან დამაქვს მელექსეს.
მთვარეს შევხარი და ღვინოს ვეძალები,
ყვავილებს დავეძებ ველებზე.

ექვსივე სიამე ჩემთან რომ გაიყო,
იმ დროშე ოცნებას ვუნდები,
სასო მაქვს მიხდილი, ნეტავი ვიცოდე-
ლოანში როდის დაბრუნდები.



ვანი ტამ





„ლՅՕԵ შემრბო და გემოიან-სუნიან...“



ტკბილი ყურძნის წვენს, წითელს ვით ლალსა,
ანუ ოქროს ფერს, ან ქარვებრ მკრთალსა,
წვენის ღარიბის ენით ვხმობთ ღვინთ
და ვსვამთ მას, მისთვის, რომ მოვილზინოთ.
ნეტა ვინ მოსთვლის ღვინის ღირსებას,
მისს ძლიერებას, მისსა თვისებას?..

— ღვინოა სუფრის ჯიღა, მასალა,
ღვინოა წვენი სიცოცხლე, ძალა,
ღვინოა მეფე და სიყვარული,
გამბედაობა, ნუგეში, ფული!
ღვინოა, ცამდის რომ აღგვამაღლებს,
გვაძედნიერებს და გვაამაყებს!
კოჭლს აძლევს ფეხებს, ბრძას უხელს თვალსა,
ამდიდრებს უცებ ღარიბსა მთვრალსა!
ღვინოა, რომ ჩვენ გვართმევს ნებასა,
თვალის სინათლეს და გონებასა! ↘
ღვინო ხომ გვართმევს ფეხებს და ჯანსა,
ღვინო გვიქარვებს ხანდისხან ჯავრსა!
ღვინოა, რომ თავს მას გვათაყვანებს,
ღვინოა, რომ მხდალს აგულიანებს,
ღვინოა, რომ ჯანს უმატებს წვენს მკლავს,
ღვინოა, რომ მტერს უცებ შეგვაპლავს!

ღვინო წყაროა ბოროტებისა,
 ღვინო — წამალი უძლურებისა,
 ღვინო ახარებს გულსა კაცისას,
 გულს აფუნდრუკებს ის ზარმაცისაა!
 ღვინოა, რომ ჩვენ დარდს მოგვაცილებს,
 ზოგჯერ გვატირებს, ზოგჯერ გვაცინებს!
 ღვინით ვსვამ მარად თქვენს სადლეგრძელოს,
 ღვინითა ვლოცავ ერს და სამლელელოს!
 ღვინითა ვსვამ მე შესანდობელსა,
 ღვინით ვპატიჟობ მე მეზობელსა!
 ღვინოა ჩემი მეჯლიში, ლხინი,
 ღვინოა ჩემი თვალისა ჩინი!
 ღვინოა წმინდა სისხლი ქრისტესი,
 წმინდა იგავი, რვეულთ უმტკიცესი,
 მომტევებელი ჩვენისა ცოდვის,
 პვერთხი ცხოვრების, ორივე სოფლის!..

რაჭიელ ერისთავი



ბაგე, ბადახშინის ლალის მარცვლად სხმული, სად არის,
 ღვინო საამო და სავანე სულის სად არის,
 ისლამის რჯულმა თუმც ეს ღვინო მკაცრად აკრძალა,
 სვი და ნუ დარდობ, თვით ისლამის რჯული სად არის.

—

მას შემდეგ, რაკი მზე და მთვარე ცაშე ჰქიდია.
 მადლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდშე დიდია,
 ისინი, ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ,
 ვერ გამიგია, ღვინოშე კარგს რას იყიდიან.

—

ღვინო ანელებს ქედმაღლობას ამაყთა შედა,
 მას ძალუბს ახსნა და დამსხვრევა ბორკილთა მძლეთა,
 ეშმაკს ამ ღვინის ერთი წვეთიც რომ დაელია,
 მორჩილი მონა იქნებოდა ადამის ძეთა.

ომარ ხაიმი



ଲକ୍ଷମି ଲକ୍ଷ୍ମୀ ପୁରାଣରେ ମହିମାନେ. ଶିଖାନ୍ତରମାଲା
ଲକ୍ଷ୍ମୀ ପ୍ରେତ କାଳିଗତରେ ମହିମାନେ.



Խոյս գործաման, յեօվցո.

□

ღვინო, უბრალო სარდაფებს,
 როგორც სამეფო დარბაზებს,
 გახდის წარმტაცს და მშვენიერს.
 დარბაზის თეთრი სვეტები
 ტყესავით აბრწყინვალდება
 და ღვინო ოქტოსჭავლება
 მზესავით გამოანათებს.

მ ა რ ლ ბ თ დ ლ ე რ ი

□

მეღვინეებს, ისევე როგორც ყველას, ჰყავთ შეგირდები,
 მაგრამ თვით მეღვინეობა, ჩემის აზრით, არის პოეტური არსის
 მეცნიერება, რომელიც ახლოა ხელოვნებასთან. იშვიათი ღვი-
 ნოების შექმნის მეცნიერება — ხელოვნება; და ადამიანები,
 რომლებიც ფლობენ ამ ხელოვნებას, რასაკვირველია, პოეტე-
 ბი არიან.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ თ რ თ ვ ი

□

ღვინო თხოულობს დროს და უნარს საუბრისას.

ი ლ ი ა ი ლ ფ ი

□

ასეა ქვეყნის წესი და რიგი,
 ტრიალებს ასე, იცოდე იგი:
 გულს განგმოდებულს მწარე სიტყვისგან
 წამს გასწმენდს ძველი ღვინო უანგისგან,
 კაცს რომ სიბერე დაიმორჩილებს,
 მას ძველი ღვინო გააყმაწვილებს.

ღვინოში მოჩანს ჭიუა ნამდვილი,
 წმინდა არის თუ ლაფით გასვრილი,
 თუ სვამს უგულო — გაგულადდება,
 თუ შესვამს მელა — ლომი გახდება.
 თუ სვამს მწუხარე — გახალისდება,
 სახე იმისი ლალივით ხდება.

ვინც მას აიღებს თავისი ჭანგით,
 მას უნდა ლხენა სალამურ-ჩანგით.
 თვით კუზიანი ტან-საცოდავი,
 მთვრალი სატურნსაც მისწვდება თავით.

ფ ი რ დ ო უ ს ი

□

აავსეთ ჭიქა, ბოლომდე შესვით,
 თაყვანი ეცით კურთხეულ ღვინოს,
 ღვინოა ლხინის ძირი და ფესვი,
 უღვინოდ აბა ვინ მოილხინოს.

ღვინო თვით გმირსაც შემატებს ღონეს,
 არ შეეცვლება ბრძოლაში ფერი.
 ხოლო მგოსანი, ვით აპოლონი,
 ბაზუსის ეშხით სხვაგვარად მღერის.

* * *

ვიტქვი გარკვევით: ამ ცხოვრებაში
 უღვინოდ ყოფნა ვინ გაიგონა.
 ანაკრეონტი ამბობდა: დავთვრეთ!
 წვენ დავუმატებთ: დავთვრეთ უგონოდ!

აავსეთ ჭიქა! ბოლომდე შესვით,
 თაყვანი ეცით კურთხეულ ღვინოს!
 ღვინოა ყოფნის ძირი და ფესვი,
 უღვინოდ აბა, ვინ მოილხინოს!

ბედნიერია, ვისაც სწამს ღვინის,
 ვინც მიენდობა მის ღვთიურ ნებას.
 როგორ გვამშვიდებს, ვით გვავსებს ლხინით,
 როგორ გვანიჭებს უზომო შვებას.

რა შეეძრება მის სილამაზეს,
 კმარა სულ ერთი ყანწის დალევა
 და გულს სხვაგვარი ცეცხლით აღანთებს,
 და სიტყვას აძლევს მეტ ბრწყინვალებას.

ნიკალა იაზიკოვი



ნენებური ღვინო მართალი ღვინოა... ნენს
 ღვინოში არა არის-რა, გარდა ყურძნის წვენისა,
 ნენებურს ღვინის კეთებას დღევანდლამდე
 ამის მეტი საგანი არა პქონია.

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სამარკო სუფრის ღვინოებს მნიშვნელოვა-
 ნი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხარისხოვანი ღვინო-
 ების ასთრტიმენტში როგორც სახელწოდებათა სიმრავლით,
 ისე პროდუქციის ტიპების ნაირსახეობითა და ღირსებით.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს საქართველოში
 აყენებდნენ 15 000 დალ ქაუკეთესო სამარკო ღვინოს.

ქართული სამარკო ღვინოების აღმავლობა დაკავშირებუ-
 ლია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას-
 თან, როცა შეიქმნა (1929 წ.) „სამტრესტი“. მან თვის სისტე-
 მაში გააერთიანა ახალი ტექნიკით აღჭურვილი რესპუბლიკას-
 ყველა ცოტად თუ ბევრად მსხვილი და მნიშვნელოვანი მევე-
 ნახეობა-მედვინეობის მეურნეობა.

ქახური ღვინის წარმოება უხსოვარი დროიდანაა ცნობი-
 ლი. მაღალხარისხოვანი თვისებებით ქახური ღვინო მსოფ-
 ლიოს საუკეთესო ღვინოების კატეგორიას ეკუთვნის. მას ახა-

სიათებს სხეულიანობა, სიძლიერე, ექსტრაქტულობა, ცეკვი-
ფიკური ხილის არომატი, მუქი ჩაისფერი, პარმულზულფრთხა
სინოყივრე და საკვებ ნივთიერებათა მეტი შემცველობა.

გურჯაანის რაიონი კახურ თეთრ და წითელ კლასიკურ
ღვინოებს იძლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რქაწით-
ლისგან მიღებული ღვინოები. მაღალხარისხოვანი კახური
ტიპის ღვინოებიდან გამოირჩევა შალიკოიანთბვრის, გოძიან-
თულის, ბარბარეს მინდვრის, დუბეების, ნაყორუდალის,
დიდშარების, ახოების, გვერდის მიწების ზვრებიდან მიღებუ-
ლი ღვინოები.



კახურთ ღვინო, წითელო,
ყელმოჭედილო კულათ,
დამლია შენმა წყურვილმა,
შენ სად დაგლიოთ სულათ?

ხ ა ლ ხ უ რ ი



კარდანახის მიკრორაიონს სახელი მოუხვეჭა კახური
ტიპის თეთრმა და წითელმა ღვინოებმა. საუკეთესოა წარაფის,
ახოების, ძოღალოს, გულისწარაფის მიდამოებში მიღებული
ღვინოები. პროფ. კ. მოდებაძის გამოთქმით, კარდანახის ღვი-
ნოები კახეთის სიამაყე და სიმშვენიერეა.

წინანდლის მიკრორაიონის თეთრი და წითელი ღვინოე-
ბი — „წინანდალი“, „თელიანი“ და „მუქუზანი“ საუკეთესოა
ჩვენს ქვეყანაში. ამ მიკრორაიონის წითელი ღვინოები ხასი-
ათდება საკმაო ენერგიით, სასიამოვნო ხილის არომატითა და
გემოთი, პარმონიულობით, სიმაგრითა და ექსტრაქტულობით,
სიძველეში ივითარებენ განუმეორებელ გემოსა და არომატს.

კურდღელაურის, ვარდისუბნისა და შალაურის წითელ ღვი-
ნოებს ახასიათებს მუქი ბროწეულისა და ლალის ელფერი,
ნაზი არომატი, გემოვანი სირბილე და ხავერდოვნება. კუ-

დისწყაროს“, „ბეღანაფშას“ და თელავის საცდელი სადგურის
კენახებში მიღებული საფერავისა და კაბერნეს წითელი ღვა-
ნოები არ ჩამოუვარდება სახელგანთქმული თელიანის წითელი ღვა-
ნინოებს.

გიორგი ბერიძე



ბავშვობაში, ერთხელ, ვიყავი კუნძულ კრეტაზე, მინოსში
და კინაღამ დავიკარგე ხელმწიფის ლაბირინთში. ვისურვებ-
დი, რომ აქ, ყვარლის ლაბირინთში დავკარგულიყავი მაშინ,
როცა ის წითელი ღვინით სრულად დაიტვირთება და, დაე, ნე
შომძებნოს ნურავინ!

ბართი პაერ ლე რუა



აქ, საქართველოში, ჩვენ ვიხილეთ სრული ბედნიერება:
ხალხი, რომელსაც ძალუბს ისარგებლოს ცხოვრებისაგან მო-
ნიჭებული სიხარულით და გააჩნია სამისოდ აუცილებელი სა-
შუალება — ღვინო, ყველაზე მეტად სასიამოვნო და ნატურა-
ლური, რაც კი ოდესმე გაგვისინჯავს ცხოვრების მანძილზე,
ისიც რაოდენ სიბრძნითა და სტუმართმოყვრულად მოწოდე-
ბული... ჩვენ ამას არასოდეს დავივიწყებთ...

ლივით კოპუტო, მარიო ლე ბიაზი



მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებში ინგლისელი აგრონომი
იაკობ მარი (აკად. ნ. მარის მამა) გურიაში ადგილობრივი ჯი-
შების — ჯანისა და მტევანდიდისაგან ჩინებულ ღვინოებს აუ-
ნებდა. „მარის ღვინო“ ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარ-
გებლობდა. იგი იყიდებოდა არა მარტო ქუთაისის გუბერნია-
ში, არამედ რუსეთსა და საზღვარგარეთაც კი გაპქონდათ.

პავლე სახენწიძე



საქართველოში ცქრიალა ღვინოები საკმაოდ პოპულარული ყოფილა. პომერსის გადმოცემით, „ქართველები მიწისა, და სურნელოვან ღვინოს აყენებდნენ“.

ცქრიალა ღვინის დაყენების ტექნოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა ატენის ხეობის მარნის რეკონსტრუქცია. სიცივეში აგებულ მარანს დაბალი ტემპერატურის შესაქმნელად სპეციალური გვირაბები ჰქონდა მოწყობილი ცივი პაერის ნაკადის შესასვლელად, რაც ყურძნის ჯიშურ თვისებებთან ერთად ხელშემწყობ პირობას ქმნიდა მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოების დასამზადებლად. მარანში შექმნილი დაბალი ტემპერატურის გამო ტკბილის დუღილი სუსტად მიმდინარეობდა, ღვინო მოტკბო რჩებოდა და, ბუნებრივია, ნახშირმჟავა გაზი მასში ჭარბად იხსნებოდა. ღვინო სასიამოვნო, ხალისიანი და ენაზე მოალერსე დგებოდა.

მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოები მიიღებოდა აგრეთვე, გურიაში სოფ. ბახვში, ლიხაურში, შემოქმედში, ასკანაში და სხვ. ჯიშ ჩხავერის ყურძნიდან.

ქართული ნატურალური ბუნებრივი ტკბილი ღვინოები ძველთაგანვეა ცნობილი და მათ ქართული მარკიანი ღვინოების ასორტიმენტში საკმაოდ მნიშვნელოვანი აღვილი უკავია.

ნატურალურ ტკბილ ღვინოებს საბჭოთა კავშირში ღირსეული რეპუტაცია აქვთ მოპოვებული და სამართლიანადაა ჩარიცხული ქართული ღვინოების სამარკო ასორტიმენტში „ხვანჭეჭარის“, „ქინძმარაულის“, „უსახელოურის“, „ოჯალეშისა“ და სხვათა სახელწოდებით.

გ ი თ რ გ ი ბ ე რ ი ძ ე



საქართველოს კონიაკის წარმოება ძველი და მდიდარი ტრადიციების შენეა მთელს კავშირში. გიორგი ბოლქვაძის ქართული კონიაკი რუსეთის იმპერიასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში 1865 წლიდან არის ცნობილი. მის მაღალხარისხოვნებას მოწმობს არა ერთი ოქროს მედალი და უმაღლესი ხა-

რისხის დიპლომი. 1888 წლიდან დავით სარაჯიშვილმა და წყო ქართული კონიაკის სამრეწველო წარმოება, რომელიც უმძლავრესი და საუკეთესო იყო მთელს რუსეთის იმპერიაში და განვითარებული იყო.

ქართული ორდინარული თუ სამარქო კონიაკები მკვერტაზე თრივინალური ნიშან-თვისებებით გამოირჩევა და მოწინავე პოზიციები უკავია საბჭოთა კონიაკის წარმოებაში. 1947 წელს ვახტანგ ციციშვილს კონიაკის საუკეთესო პროდუქციის შექმნისთვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.



რუსი რომ ვიყო, ვიეჭვიანებდი ჩვენს ქალებზე; იტალიელი რომ ვიყო (და ვარ კიდეც), მოშურნე ვიქნებოდი მშვენიერი ქართული სიმღერებისა, ხოლო ფრანგი რომ ვყოფილიყავა, ქართული კონიაკისა შემშურდებოდა.

აურელიო პეჩეი, სენი ჩელეხტინო, ლეონე ფერერო (ამონაწერი თბილისის კონიაკის ქარხნის შთაბეჭდილებათა წიგნიდან)



თქმომბრის რევოლუციის შემდეგ 1955 წლამდე ქართულ ღვინოებსა და კონიაკებს საერთაშორისო კონკურსებსა და დეგუსტაციებზე მონაწილეობა არ მიუღია. 1955 წლიდან კი 1973 წლამდე „სამტრესტის სხვადასხვა დასახელების ღვანომ, შამპანურმა და კონიაკმა საერთაშორისო სარბიელზე მოიპოვა 259 მედალი, მათ შორის 127 ოქროს, 120 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოსი.

ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის დიდი საერთაშორისო აღიარების გამოხატულება იყო თბილისში ვაზისა და ღვინის X საერთაშორისო კონკრესისა (1962 წ.) და ღვინის, შამპანურისა და კონიაკის I საერთაშორისო კონკურსის ჩატარება (1965 წ.).

ამ ქვეყანაზე, იცით თუ არა
რა მენატრება, რა უფრო მიყვარს?
ბორდოს წითელი ღვინით ავსილი
გამჭვირვალე და მაღალი ჭიქა!

ა ღ ფ რ ე დ დ ე მ ა უ ს ე



პროდუქციის მრავალფეროვნებით, ორიგინალობითა და ხარისხით საფრანგეთს ერთ-ერთი წამყვანი ღვინი უკავია მსოფლიოს განვითარებულ მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს შორის.

საფრანგეთში კულტივირებული ძირითადი ჯიშებიდან აღსანიშნავია: არამონი, კარინმანი, სენსო, კლერტი, უნი თეთრი (სუფრის ორდინარული ღვინოებისთვის), პინო შავი, პინო შარდონე, გამე, კაბერნე სოვინიონი, მერლო, მალბეკი, მურვედრი, გრენაში, შენენი, კაბერნე ფრანი, რისლინგი, სილვანერი, გევაურცტრამინერი, მუსკატი, სარაპი (სამარკო ღვინოებისთვის).

საფრანგეთის მეღვინეობის ძირითადი რაიონებია: შამპანი, ბორდო, ბურგუნდია და შარანტი.

შამპანის ფირმები და კომპერატივები ყოველწლიურად ამზადებენ 30—32 მლნ ბოთლ შამპანურ ღვინოს. შამპანში 150-მდე ფირმაა. მათგან ყველაზე მეტად ცნობილია „Moet et Chandon“, „Mercier“, „Rederer“, „Mumm“, „Pommery“. ცალკეულ ფირმებს აქვთ 200 კმ-მდე სიგრძის სარდაფები, სადაც ძველდება 150 მილიონ ბოთლამდე შამპანური.

ბორდოს ვენახები განლაგებულია ჟირონდის დეპარტამენტში. აქ ყველაზე მეტად ცნობილია წითელი ღვინოების რაიონი — მედოკი. დეპარტამენტში აყენებენ აგრეთვე მშრალ, თეთრსა და წითელ ღვინოებს, თეთრ, ტკბილ ღვინოებს — სოტერნს, ბარზაკს, შატო იკემს, სერონს.

ბურგუნდიაში, ისევე როგორც ბორდოში, აყენებენ საუკეთესო ფრანგულ ღვინოებს, რომლებიც უფრო მეტად სრული

და მაგარია. განსაკუთრებით გამოირჩევა კოტ დ'ორის რაიონის ლინიონები.

შარანტის რაიონი ცნობილია კონიაკის წარმოებითა და უდარებელი სასმელის სამშობლოა ქ. კონიაკი. კონიაკის მიზანებენ თუ დეპარტამენტში: შარანტისა და შარანტის ზღვისპირეთში (გრანდ შამპანის, პტი შამპანის, ბორდერის, ფინ ბუას, ბონ ბუასა და ბუა თოდინერის რაიონები).

არმანიაკის რაიონში ფოლ ბლანშისაგან ამზადებენ მაღალხარისხოვან ყურძნის არაყს — არმანიაკს.



შამპანური სამეცნ ლინიონი, ამასთანავე, იგი მეცნა ლინიონია.

ფრანგული ან დაზა

შეშხუნა (შამპანური) ლინიონების ტექნოლოგიის შექმნა XVII საუკუნის ფრანგი სპეციალისტის დომ პერინგონის დამსახურებად ითვლება.

მრავალმხრივი ცდებითა და დაკვირვებებით დომ პერინგონი ცდილობდა მიეღწია ბოკალში შამპანური ლინიის ხანგრძლივი და ლამაზი თამაშისათვის. მასვე მიაწერენ მსუბუქი, ელეგანტური ბოკალის შემოღებას, „რომელმიც გაზის ბუშტუკები ათასფერად ნაპერწკლებად ბრწყინავენ...“

მენის ლავ პელ მანი



პემინგუეი იდგა და სინანულით შესცეროდა შამპანურის ბოთლში ჩარჩენილ ლინიონს.

— შეუსმელი შამპანურის ბოთლი ადამის მოდგმის მტერია, — თქვა პემინგუეიმ. ჩვენ კვლავ დავსხედით.

— როცა კი ფული გამაჩნია, შამპანური უნდა ვიყიდო, ეს ფულის დახარჯვის ერთადერთ საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია, — თქვა პემინგუეიმ და ბოკალი შეივსო.

ლილიან რობი



შოგიერთი შამპანური ღვინის ხარისხს ბოთლის განსი-
სას საცობის მყისიერი და ხმაურიანი ამოსროლით უფრო მაღალ
რავს. პეტრიათ, რომ, რაც უფრო ძლიერია ხმაური, მით უფრო
ხარისხიანია შამპანურიც. მაგრამ ეს მცდარი აზრია. შამპანუ-
რის ბოთლი უხმაუროდ და ფრთხილად უნდა გაიხსნას, შენ-
ჯდრევის გარეშე. საცობის მკვეთრი ამოვარდნა იწვევს ღვინის
თავშე მყოფი გაზის არის მკვეთრ გაუხშოებას, რის შედეგადაც
ღვინოში გახსნილი ნახმირორეანგა გაზი მძაფრად გამოიყოფა
და ღვინის ჭიქაში დასხმისას გაზის თამაშიც მაღალ ქრება.
პირიქით, ბოთლის მშვიდად გახსნისას ღვინოში გახსნილი და
შებოჭილ მდგომარეობაში მყოფი გაზი ნელა გამოიყოფა და
გაზის თამაშის პროცესიც გახანგრძლივებულია.

ა ნ ტ ო ნ ფ რ ო ლ ო ვ - ბ ა გ რ ე ე ვ ი



პარიზში არსებობს ღვინოების მიწისქვეშა მუზეუმი, რო-
მელსაც „ეიფელის კოშკის სარდაფებს“ უწოდებენ. 1,5 კილო-
მეტრი სიგრძის გალერეა აგებულია XV საუკუნეში. ღვინოე-
ბის მუზეუმს ამშვენებს სანთლისაგან დამზადებული ფიგურე-
ბი იმ ადამიანებისა, რომლებმაც ფრანგულ ღვინოებს შორს
გაუთქვეს სახელი. ესენი არიან ფრანგი მევენახები და მე-
ღვინები — მეცნიერები და უბრალო გლეხები. მუზეუმშა
შეკრებილია ღვინის წარმოებისთვის საჭირო სხვადასხვა სა-
განი: ძველებური საწნახლები, ვეება კასრები, ღვინის სიმაგ-
რის საზომი მოწყობილობები, უძველესი ჭურჭელი, კერ-
ძოდ, XVIII საუკუნეში შატოს შემის ქარხნის მიერ დამზადე-
ბული ბოთლები და სხვ. აქ შეხვდებით ბორდოსა და შამპანუ-
რის ბოთლებს, რომლებიც შემორჩენილია ლუი XVIII და ნა-
პოლეონის დროიდან.

თ ა მ ა ზ ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე



ვაზი და ღვინო რომ არ ყოფილიყო, ფრანგული ენა და-
კარგავდა ყველაზე მკაფიო და გონებამახვილურ გამოთქმებს;

ჩვენ მეოცე საუკუნეშიც ვიმეორებთ სიტყვებს, რომლებსაც
თდესდაც ჩვენი წინაპრების ბაგეები წარმოთქვამდნენ.

ა ნ რ ი პ უ ჩ ი შ ი რ ი მ ი რ ი ვ ა



„In vino veritas“ (ჰეშმარიტება ღვინო-
შია), — ამბობდნენ რომაელები.

იტალია კლასიკური მეღვინეობის ქვეყანაა. იტალიაში
ვაშის ძირითად ჯიშებთან — ბარბერასთან, ტრეპიანოსთან,
მალვაზიასთან, სან-ჯიოვეტოსთან, ნეგრო ამარისა და სხვებ-
თან ერთად გავრცელებულია ალიკანტი, კაბერნე სოვინო-
ნი, მუსკატი თეთრი, პინოს ჯგუფი, სოვინოთნი, ტრამინერი,
ტოკაიურები და სხვ.

იტალიაში მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი რაიონე-
ბია აპულია, პიემონტი, ლომბარდია, ვენეცია, ემილია-რო-
მანია, ტოსკანა და სიცილია.

პიემონტი ცნობილია მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო-
ებით (ბაროლო, ბარბიერო), ნახევრადტკბილი ბრაკეტოთი და
სახელგანთქმული ცქრიალა მუსკატით — ასტი სპუმანტეთი.
დიდი პოპულარობით სარგებლობს ფლორენციული წითელი
ღვინო კამანტი, ნეაპოლის პროვინციისა და კუნძულ კაპრის
ღვინოები.

საექსპორტო ღვინოების საერთო რაოდენობაში დიდი
ხვედრითი წილი (40%) უდევს სამხრეთ ტიროლის ორდინა-
რულ და სამარკო ღვინოებს, მიუხედავად ღვინის წარმოების
მცირე მოცულობისა.

იტალია ვერმუტის სამშობლოა. ალბური ბალახების ექს-
ტრაქტები ხელს უწყობს მაღალხარისხოვანი ვერმუტების დამ-
ზადებას. საუკეთესოდ ითვლება ტურინის ვერმუტი, რომელ-
ზეც მთელ მსოფლიოში ფართო მომხვნილებაა.

იტალიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპეციალუ-
რი ღვინოები — აპერიტივები და ლიქიორული სადესერტო
ღვინოები. ფართოდ არის მიღებული ჭამის წინ ღვინის შესმა.
სადილის წინ ერთი-ორი ყლუპი ღვინო ხელს უწყობს კუშის
წვენის გამოყოფას და შემდგომში საჭმლის ნორმალურ მონე-

ლებას. ამ წესის დამკვიდრება პიემონტის მეღვინეობის დამ-
სახურებაა, აქ შეიქმნა მსოფლიოში სახელგანთქმული აქციო-
ტივები.

იტალიელებს უყვართ ღვინო. ისინი ღვინოს მიიჩნევენ
სიმშვიდისა და კეთილდღეობის წყაროდ.

იტალიაში არის 240-ზე მეტი ღვინის მარკა. ტიპური ღვი-
ნოები ატარებს წარმოშობის ადგილის სახელწოდებას. უმაღ-
ლესი მარკის ღვინოებთან ერთად არის ფართო მოხმარების
ღვინოებიც.



პორტუგალია მევენახეობა-მეღვინეობის მყარი ტრადიცია-
ების მქონე ქვეყანაა, რომელმაც განსაკუთრებით გაითქვა სა-
ხელი პორტვეინებითა და მადერებით.

მადერის ღვინოს კუნძულ მადერაზე ამზადებენ. მშრალი
მადერა მზადდება სერსიალისა და ვერდელოს, ნახევრად-
ტექნიკი — ბოალისა და ტერანტეზის, ხოლო ტკბილი — მალვა-
ზიის ჯიშებისაგან.

პორტვეინს ამზადებენ ქ. ოპორტის რაიონში ბასტარდო',
ალვარელოს, მურისკო ტინტოს, ფრანცისკო ტინტოს, ტუ-
რიგასა და სხვებისაგან.

ცნობილია პორტუგალიური ლიქიორული ტიპის ღვინოე-
ბი — მუსკატელ სეტუბალი, კარკაველოსი და ესტრემადურა.



ესპანეთის მევენახეობასა და მეღვინეობას ქვეყნის ეკონო-
მიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ესპანეთი ცნობილია როგორც ორიგინალური მაგარი ღვი-
ნის — „ხერესის“ სამშობლო. „ხერესი“ შექმნილია ესპანურ
ქალაქ ხერეს დე ლა ფრონტერაში, რომელიც ანდალუზიის
სამხრეთ პროვინციაში მდებარეობს. ხერესი უძველეს ქალა-
ქად ითვლება. არის ცნობები, რომ ჯერ კიდევ პლინიუსის
დროს რომაელები მისდევდნენ მეღვინეობას ანდალუზიაში
და სიამოვნებით სვამდნენ ესპანურ ღვინოს.

„ხერესი“ ესპანეთში მზადდება პალმონოს, მანტუო კას-
204

ტელმანოს, ალბილმარს, კაპონაცას, პედრო ხიმენესის, მიუსკა-
დელის, პერუნოსა და ვევას ჯიშებისაგან. ესპანეთში მზადდები-
ბა 3 ტიპის ხერესი: ფინო, ამონტილმადო და ოლორლიში.

„ხერესი“ ხოტბას ასხამდნენ სხვადასხვა დროისა და ქვეყ-
ნის პოეტები და საზოგადო მოღვაწეები, ესპანეთის დამპყრო-
ბი ვანდალები თუ არაპები.

„ხერესის“ ექსპორტი XV საუკუნიდან იწყება. ამას დიდად
შეუწყო ხელი კოლუმბის ექსპედიციებმა. მისი ექსპედიციას
მრავალი წევრი ქ. ხერესიდან იყო. სწორედ კოლუმბმა შეი-
ტანა პირველად „ხერესის“ ღვინო ამერიკაში და მას შემდეგ
ეს ღვინო ამერიკელების საყვარელი სასმელი გახდა. „ხერე-
სის“ გავრცელებას მსოფლიოში დიდად შეუწყვეს ხელი ინგლი-
სელებმაც, რომლებსაც ეს ღვინო ინდოეთში შეპქონდათ სხვა-
დასხვა დავადების პროფილაქტიკის მიზნით.

ესპანეთის გარდა „ხერესის“ ღვინოებს ამზადებენ ამერი-
კის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და საბჭოთა კავ-
შირში.

საბჭოთა „ხერესის“ სამშობლოდ ყირიმი ითვლება, სადაც
1945 წელს დაიწყეს ამ ტიპის ღვინის წარმოება. „ხერესის“
ღვინოები მზადდება თურქმენეთში, სომხეთში, უზბეკეთში,
მოლდავეთში, ყაზახეთში, დონის მხარესა და დაღესტანში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში რქაწითლისაგან დამ-
ზადებულია მაღალხარისხოვანი „ხერესი“, რომელსაც ოქროს
მედალი აქვს მოპოვებული. ჯერჯერობით „ხერესის“ მასობ-
რივი წარმოება საქართველოში არ არის დაწყებული.

სამხრეთ ესპანეთის ქ. მალაგაში მზადდება მსოფლიოში
განთქმული სადესერტო ღვინო — მალაგა, ძირითადად პედრი
ხიმენესის ჯიშისგან.

მალაგას დიდი რაოდენობით ამზადებენ იტალიაში. ბულ-
გარეთში მალაგა დაამზადეს რქაწითლის, საფერავის, მუსკატ
ოტონელისა და დიმიხატისაგან.

საბჭოთა კავშირში მალაგის ღვინო მზადდება თურქმე-
ნეთში, უზბეკეთში, სომხეთში. უზბეკეთში სხვა ჯიშებთან
ერთად გამოიყენება საფერავი და თავკვერი, სომხეთში კი
რქაწითელი.



□

კარგი „ხერესი“ ორნაირად არის სახეირო — ჯუშავერთუნეა
რომ თავში დაგკრავს და რაც ტვინში სისულელე, სიტლანქე
და სიჯიქეა აორთქლებული, ერთნაირად გამოაშრობს; გონება
ერთბაშად მკვირცხლი, ნათელი, მოქნილი და ცეცხლოვანი
გიხდება ხოლმე, ათასნაირი სახეები წარმოგვიდგება, მერე ეს
ენას გადაეცემა და მშვენიერი ხუმრობა იძადება; მეორე კარ-
გი თვისება მაგ შენი „ხერესისა“ ის არის, რომ სისხლს ახუ-
რებს, ცივი და დუნე სისხლი ღვიძლსაც ათეთრებს, თეთრი
ღვიძლი კი სულმოკლეობისა და სილამრის ნიშანია. პოდა
„ხერესი“ ახურებს სისხლს, ააჩქროლებს ხოლმე და მთელ
სხეულში მიმოაქცევს, სახეს წამოგვინთებს, რომელიც, თავის
მხრივ, თითქოს სანიშნო სინათლეაო, მთელს ამ პაწაწკინტე-
ლა სამეფოს — ადამიანის სხეულს — მოუწოდებს, იარაღი მოი-
მარჯვეთო. სასიცოცხლთ ძალების მთელი ლაშქარი და პატარა
სულები მაშინვე თავიანთი მხედართმთავრისაკენ — გულისა-
კენ დაიძერებიან და გულიც, ასეთი ამაღით გაბერილი და
გაბლენბილი, რა მამაცობასაც გინდა, იმას ჩაიდენს. ეგ კი სულ
ხერესის საქმეა. საომარი შემართებანი უღვინოდ მიქარვაა,
მხოლოდ ღვინო თუ აგვალებინებს იარაღს ხელში. სწავლუ-
ლობა რაღა? ოქროს საწყობია, გუშაგად ეშმაკი უზის და არც
არაფერი ფასი აქვს, მანამ ღვინო არ გამოამზეურებს და არ
აამოქმედებს.

უ ი ღ ი ა მ შ ე ქ ს ჰ ი რ ი

□

ბარებისა და სარდაფების მფლობელთა საერთაშორისო
ასოციაციის მონაცემებით, ხოსე ნიკოტე ფლობს ღვინის ყვე-
ლაზე დიდ კოლექციას მსოფლიოში. მის მადრიდის ბარში
ინახება 162 ქვეყნის სხვადასხვა მარკის 20 ათასზე მეტი ბოთ-
ლი ღვინო, მექსიკური ტეკილიდან იაპონურ კურამდე. ნიუ-
იორკის მსოფლიო გამოფენის საორგანიზაციო კომისია შეუ-
თანხმდა ნიკოტეს, რათა მას გამოფენაზე წარედგინა არანაკ-
ლებ 400 ყველაზე იშვიათი სამარკო ღვინის ნიმუში, თავისი
„სპირტიანი სასმელების მსოფლიო მუზეუმიდან“, როგორც

ჩიკოტეს კოლექციას უწოდებენ. მათ შორის იყო 1494 წელს
ხერესის დაბეჭდილი ბოთლი. ამ სპირტიანი რელიქვიის რონი
ამტკიცებს, რომ ეს ბოთლი იმ ღვინოების ნაწილა, რაც
ქრისტიფორე კოლუმბს მიართვეს ამერიკაში პირველი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ.

"იზვესტია", 1964 წ., I. № 17



რუსი მხატვარი ო. ა. კიპრენსკი, როცა ღვინოს სვამდა, წინ ანთებულ სანთელს დაიდგამდა და სავსე ჭიქას სანთლიაჲ შუქშე ჭვრეტდა კარგახანს. „აფსუს, ჩემო მეგობარო, — უთხრა ერთხელ მხატვარმა ცნობილ რუს გრავმორს ფ. ი. იორდანს, — რომ არ შეიძლება ღვინით ხატვა. ფერთა რაოდენი სინათლე და სინაზე შეგვეძლო ჩაგვექსოვა მაშინ ჩვენს ქმნილებებში.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ პ რ ე თ ბ რ ა უ ე ნ ს კ ი
ი ვ ა ნ პ რ ი მ ტ ი ვ ა




არგენტინაში გამოშვებული ღვინოების 93,5% სუფრის ღვინოების წილად მოდის. აღსანიშნავია, რომ გამოშვებული ღვინის 95% ორდინარული ღვინოა, მხოლოდ 5% ღვინისა ძველდება. აქაური ღვინოები მაღალექსტრაქტული და მაღალ-გრადუსიანია.

ვაზის ტექნიკურ ჯიშებს — მალბეკს, მერლოს, კაბერნეო, ბონარდას, ბარბერას, ლაბრუსკოს, ალექსანდრიულ მუსკატს, სემილიონს, რისლინგს, პედრო ხიმენესსა და სხვებს უკავიათ ვენახების საერთო ფართობის 94%.



ბულგარეთის მევენახეობა-მეღვინეობას წამყვანი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. ბულგარეთის ვაზის სამრეწველო ჯიშებიდან ცნობილია გიმზა, მავრუდი, პამიდი, მისკეტი, დიმიატი, ტამიანკა, შიროკა მელნიშვა როზა. ფართოდ გავრ-



ცელდა და მაღალხარისხოვან პროდუქტის იძლევა ბულგარეთისათვის ახალი ჯიშები — კაბერნე სოვინითნი, მურილი რენერა ფერავი, რქაწითელი, რისლინგი, ფეტმასკა და სხვ.

ბულგარეთში აყენებენ ორდინარულ და მაღალხარისხოვან წითელ სუფრის ღვინოებს, აგრეთვე სუფრის თეთრ ღვინოებს ზემოჩამოთვლილი ჯიშებისაგან. საკმაოდ პოპულარულია კაბერნე სოვინონის, მისკეტის, რისლინგის, რქაწითელის, საფერავისა და ფეტმასკასაგან დაყენებული ღვინოები.

□

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკანასკნელი ასტლეულის მანძილზე მეღვინეობა ვითარდებოდა მდინარე რეინისა და მისი შენაკადების მიმდებარე რაინლანდის, პფალცის, პესენის, ბადენ-ვალტენბერგის, ბავარიის, ნორდპეიმ-ვესტფალიისა და საარის მიწებზე.

გფრ-ში ვაზის ძირითად ჯიშებად ითვლება თეთრი: რისლინგი (80 %), სილვანერი (10 %), მეულერ ტურგაუ, ტრამინერი, წითელი: პორტუგალიშერი, პინო შავი.

გერმანული ღვინოებიდან ცნობილია აუსლეზესა და შპეტლეზეს ნახევრადტკბილი ღვინოები; ზეუდბადენისა და ბადენზეს ვენახების 75 % უჭირავს თეთრ ჯიშებს. ამ რაიონში დგება ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორიცაა კაიზერეშული, მარკვაფლერლანდი და ორტენაუ. ცნობილია, აგრეთვე, ნახეს რაიონის ღვინოები.


□

ვაზის კულტურა საუკუნეთა განმავლობაში ისეთი პატივისცემით სარგებლობდა უნგრეთში, რომ ვენახში იკრძალებოდა ღანძღვა და სიბილწის ქმნა; ამ წესის დამრღვევნი ისჯებოდნენ და სერიოზულ უსიამოვნებას ეყრდნობოდნენ.


ზოლტან ხალასი

□

ნედილოეთ უნგრეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ბოდროგის ნაპირზე, მიჯრით მიწყობილან ვენახებით დაფა-



სენეფერის სამარხი. კერის შხატვისა
მსხმოიარე ვაზის გამოსახულებით. ქალა-
ქი თებე. ძ. წ. XV საუკუნის I ნახევა-
რი.



ନଗ୍ନ ଫୁଲାଙ୍ଗିରଙ୍ଗ, ଶ୍ରୀରାଜ

რული ზემპლეკის ქედის დამრეცი ფერდობები — ეს გახლავი ტოკამ-ჰედალის (ტოკამ მთის წინა ზოლი) მეღვინეობის მხარე. აქაური ყურძნისაგან აყენებენ მსოფლიოში გამოჭრულ ტოკამს ღვინოს, რომელზეც ვოლტერს უთქვამს: „მისი სიტკო და სიმაგრე აღორძინებენ ადამიანს. ამ ღვინოს მოპყავს მოძრაობაში ტვინის ყველა ხვეული და სულის სიღრმეში აღანთებს ნაპერწკლიანი მახვილგონიერებისა და სიხარულის ჯადოსნურ ფეიერვერკს“. ტოკამს ღვინოს უმდერდნენ მსოფლიოს მწერლები. გავისხენოთ ვოთეთ. მისი მეფისტოფელი აუერბაკის სარდაფში შეკრებილთ უმასპინძლდება ტოკამთ. ხოლო კალმან მიკრატი, ერთ-ერთი პირველი უნგრელი მწერალი — რეალისტი, რომანში „უცნაური ქორწინება“ მოგვითხრობს, რომ ბენცურელი ჰუსარების პოლკოვნიკმა, ტოკამს ღვინისადმი პატივისცემის ნიშნად, თავისი პოლკი საზეიმო მარშით ჩატარა ცნობილ ტოკამს მთასთან. ეს მთა მართლაც იმსახურებს ყურადღებას.

ერაშმ როტერდამელი, კრომველი, ანატოლ ფრანსი, ჩანოშ პუნქადი და ლაიოშ კოშუტი ადიდებდნენ სიმაგრეს, გემოსა და შეუდარებელ არომატს აქაური ღვინისას. შუბერტმა ამ ნექტარის პატივსაცემად დაწერა სიმღერა — „ქება ტოკაიურს“.

გზამჯვდევი — „უნგრეთი“



ტოკამს ღვინო მზადდება ვაზის ორი ჯიშის — ფურმინტისა და პარს ლეველუსაგან. ტოკამს ღვინის სამშობლო უნგრეთის ქალაქ ტოკამა.

ტოკამს ღვინო სამგვარია: ას უ ნატურალური ტკბილი ღვინითა, რომელიც მიიღება ტკბილის ჟაჭაზე დუღილის შედეგად; ტოკაიური ესენცია ყველაზე იშვიათი და ძვირფასი ღვინოა. იგი მიიღება დაქიშმიშებული ყურძნის თვითნადენი ტკბილის (40—50% -მდე შაქრის შემცველობით) დუღილის შედეგად; ტოკაიური თვითნაბადი მზადდება გვიანმოკრეფილი ყურძნისაგან. მწიფე და შექიშმიშებული ყურძნი იჰყულიტება და წვენი ჟაჭაზე ყოვნდება გარკვეული დროის განმავლობაში.



როგორც მორწმუნე,
 მე ვდგავარ ახლა,
 მარადიული სივრცე ვიხილე,
 ვწრუპავ ძველ ღვინოს
 და ღვინოს ახლავს
 მზის მცხუნვარება, მიწის სიგრილე.

მე ვსვამ თანდათან, სვენებ-სვენებით,
 ვსვამ მღუმარებას გარდასულ წელთა
 და მზე შემოდის სისხლში ჭენებით
 და შენც მოდიხარ თანდათან ჩემთან.
 მე ვსვამ ძველ ღვინოს —
 ცისფერ საღამოს
 და სიცხიანი შუადღის ხვატებს,
 ისე საკვირველს, ისე საამოს,
 რომ არც კი ვიცი
 ძალას რა მმატებს.

მე ვსვამ ძველ ღვინოს —
 აგვისტოს წვიმებს,
 ვაზის ფოთლებს რომ მოედო შვებად,
 მე ვსვამ იმ ქალის მთრთოლვარე სიმებს,
 ვაზს რომ უვლიდა, ვაზთან რომ რჩება.

მე ვსვამ სიკეთეს —
 მეღვინის ღიმილს,
 ეშმაკურ ღიმილს,
 მხიარულ სახეს
 და ვითლინოს შემკრთალი სიმის
 მე ვსვამ მუსიკას — დუმილს რომ ამხელს.

მე ვსვამ სიმღერას, საოცარ სევდას,
 თავსხმა წვიმის და

ტყარცალა ცეცხლის
 და ვკოცნი მიწას —
 საყვარელ დედას,
 რომელსაც ვერსად
 ვერავინ შეცვლის.

ე მ ი ღ ღ თ ტ ი ა ნ უ



ი ა ღ ტ ი ს რაიონში XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა მე-
 ლვინეობის მეურნეობა „მასანდრა“, რომელიც ამჟამად აერ-
 თანანებს ყირიმის სამხრეთი სანაპიროს მეღვინეობის ყველა
 მეურნეობასა და ქარხანას.

ყირიმის ოლქში ძირითადად გავრცელებულია ჯიშები:
 ალეატიკო, ალიგოტე, ალიკანტი, მაგარაჩის ბასტარდო, ბადან
 შირემ, გარანდმაკი, პარს ლეველმუ, ფურმინტი, კაბერნე სო-
 ვინონი, ყარა უზმუმი, მურვედრი, თეთრი, ვარდისფერი და
 შავი მუსკატი, რისლინგი, რქაწითელი, საფერავი, სემილიო-
 ნი და სხვ.

ყირიმის ღვინოებიდან აღსანიშნავია: თეთრი მუსკატი —
 „ბრასნი კამენ“, შავი მუსკატი — „მასანდრა“, „ტოკად მუშნობე-
 რეჟნი“, წითელი პორტვეინი — „„ლივადია“, ხერესი — „მასან-
 დრა“, მაღერა — „მასანდრა“.

უკრაინაში გამოშევებული 39 მარკის ღვინოდან 29-ს იძლი-
 ვა ყირიმი.



მ თ ღ დ ა ვ ე თ ი ს მევენახეობა-მეღვინეობას დიდი ხნის
 ისტორია აქვს. ხელსაყრელმა ნიადაგურ-კლიმატურმა პირო-
 ბებმა ხელი შეუწყო მოლდაველ მევენახე-მეღვინეებს გაეშე-
 ნებინათ ვაზის სხვადასხვა ჯიში და ფართო ასორტიმენტის
 ღვინოებიც დაეყენებინათ.

მოლდავეთში გავრცელებულია ვაზის ჯიშები: ალიგოტე,
 რქაწითელი, ფეტიმასკა, სოვინონი, ვარდისფერი ტრამინე-

რი, რაინული და იტალიური რისლინგი, თეთრი — მუსკატი
პინოს ჯეუფი, კაბერნე და სხვ.

კიშინიოვის მახლობლად მდებარე კრიკოვის საცავებშია წინა
ხება ერთ მილიონ დეკალიტრზე მეტი სამარკო ღვინო. ფარ-
თო მასშტაბებს დებულობს მევენახეობა-მეღვინეობა რესპუბ-
ლიკის სამხრეთ რაიონებში.

მოლდავური ღვინოებიდან აღსანიშნავია „გაბერნე“, „რო-
მანეშტი“, „გრატიეშტი“, „ტრიფეშტი“, „ჩუმახ“ და სხვ. უკა-
ნასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია მოლდავურმა
კონიაკის წარმოებამ.



გაფენილან ვენახები უნაპირო, ულევი,
ფოთლებია გამჭვირვალე, ნაზი — ხელისგულივით,
ვაშს მტევნები დაბლა ხრიან, სადაცაა დაწვება,
ალმასივით გაიელვეს დაცვარულმა მარცვლებმა.
გული ხარობს ბედნიერი, გული მდერის ხალისით,
ეს სიმღერა მოლდავური სხვა მხარეშიც გაისმის.
ეს სიმღერა ალერსია, სულში ტოვებს დანასა,
ყურძენს არქმევს ფეტმასკას — როგორც ლამაზ ლამაზმანს.
ცის შექით და მიწის წვენით დაქარგულან მტევნები,
ვერც გაიგებ, დასაკრეფად ისე აედევნები...
ის გოგონაც ამას მღერის, სხვებსაც ამას აგონებს,
და სიმღერა ეფინება ბალებსა და მთა-გორებს.
ფეტმასკას ლერწი მოსჭრა და მან გულით ინება,
იქ იხაროს, სადაც წყნარი დონი მიედინება.
მიიჩქარის ეშელლნი, წყვდიადს ეამბორება,
ვოლგა-დონის გზები გახსნეს მკაცრმა სემაფორებმა.
იჩქარიან ვაგონები დღისითაც და დამითაც,
ზოგი ლითონს, ზოგი კიდევ ფეტმასკას ჩაიტანს.
ფერს შეიცვლის მალე სტეპი, არ დარჩება უცვლელი,
დამწიფდება ფეტმასკა — ოქროსფერი ყურძენი.
ეს იქნება სახსოვარი, საჩუქარი მცირედი,
გაიხარებს მზის ქვეშ ვაზი — მკვიდრი ვოლგისპირეთის.

როცა მოვა შემოდგომა, ყველას მთავონდება
 ჩვენი მწვანე მოლდავეთი, მისი მზე და კორდები,
 ხოლო როცა გამოცლიან ღვინით სავსე ფიალას,
 ფსკერზე ორ თვალს დალანდავენ — გიშრისფერს და ბრიალას.

ბოგდან ისტრუ



სომხეთის ვენახების ფართობის დაახლოებით 70% განლა-
 გებულია არარატის ველზე. აქ გავრცელებული ვაშის ძირი-
 თადი ჯიშებია: ვოსკეატი, მსხალი, არენი, კახეტი, რქაწითე-
 ლი, გარანდმაკი, ლალვარი, ბანანცი, ალიგოტე, შარდონე,
 საფერავი, კაბერნე, მუსკატი და სხვ.

სომხეთში ამზადებენ სუფრის ღვინოებს (10–12%), საკო-
 ნიაკე ღვინომასალებს (30–35%), ნახევრადტკბილ (2,5–3%),
 შამპანურ (0,5–0,7%), მაგარ და სადესერტო ღვინოებს.

სომხური ღვინოებიდან აღსანიშნავია სამარკო — „ეჩმიაძე-
 ნი“, „ვოსკევაში“ (მშრალი, თეთრი), „არენი“ (წითელი),
 „აშტარაკი“ (ხერესი), „ოშაკანი“ (მაღერა), „აიგეშატი“ (პორ-
 ტვენი) და სხვ.

პოპულარობით სარგებლობს სომხური ორდინარული და
 სამარკო კონიაკები. ყურძნის პროდუქტთა ასთრტიმენტში
 განსაკუთრებული ხვედრითი წილი სწორედ კონიაკის წარმოე-
 ბას უდევს, რომელიც ძველი ტრადიციების მქონეა.



ღვინის ფერის, გემოსა და არომატის დასახასიათებლად
 ქართულ ენაზე მეტად მდიდარი ტერმინოლოგია მოვეპოვე-
 ბა. ესა თუ ის ტერმინი და გამოთქმა კარგად გადმოგვცემს
 ღვინის ზაფისა და დადებითი მხარის, მისი მდგომარეობისა
 და წარმოშობის ამა თუ იმ ნიუანსს.

ღვინო შეიძლება იყოს:

თავანკარა, ვაჟკაცური, დაძველებული, ზერდაგი, დამჭერა-
 რი, დაშლილი, თვითნადენი, მჭახე, მოკლე, მოხდენილი,
 მრგვალი, მტკიცე, მჩქეფარე, მწვანე, მწიფე, მხე, მხურვალე,

ნადული, ნაზი, ნაირფერთვანი, ნორმალური, ნოუიერთ, ორთვა-
ნარული, პატარა, პერანგიანი, პიკანტური, ჟოქო, ბლანტი;
შუმი, ჭმახი, ხავერდოვანი, ჩიხირი, ცოცხალი, ცქრიფლაჭრული
გი, წყალწყალა, წყნარი, პარმონიული, ნედლი, სასიამოვნო,
აბრეშუმისებრი, ერბოსმაგვარი, გაწონასწორებული, სხეული-
ანი, სოლიდური, ნერვიული, მთლიანი, მაგარი, მწარე, სრუ-
ლი, სწორე, ტლანქი, უმანკო, უნაკლო, უნიკალური, უსხეული,
უხეში, ანკარა, დუნე, ენერგიული, კაზმული, კუნთოვანი, მა-
რახოში, ნარევი, სქელი, ფაქიზი, ღარიბი, ღონიური, შე-
თითხნილი, დაჭანგებული, დამძალებული, მანკიანი, სიდამ-
ბლის გემოთი, შმორიანი, მოოქროსფრო, ყვითელი, შებურუ-
ლი, ჩალისფერი, ქარვისფერი, ჩაისფერი, ოქროსფერი, კრია-
ლა, დაწმენდილი, მოტებო, მჟავე, ტოპკირა (წყლიანი), წყალ-
მაჭარა, შამანი, ნაქანი, სახარჯო, შუაღვინო, ლუფურტი, ჟიქა,
მოლელვილი, გაპარული, აჩალი, ციცხინა, ჩინჩხალა, ფრთია-
ნი, მჩატე, ცოცხალი, დასპირტული, მდიდარი და სხვ.



ღვინო კი მათრობელა სჯობს, ძალლი თეოზე მყეფარი.
ვაუკაცი მწყნარი სჯობია, რომ გაჭირდება, მჭეხარი.

ასეთი ტიპის ღვინოები საუკუნეების მანძილზე მუშავდე-
ბოდა. ჭაჭაზე დუღდა: კახური, ქართლური, სვირული და სხვ.
მართალია, ტკბილი ღვინოებიც ჩამოყალიბდა ჩვენში („ხვან-
ჭეკარა“ ანდა „ქინძმარაული“), მაგრამ სიტკბო ან მიკრორაიო-
ნის განსაკუთრებული თვისებაა (ქინძმარაული), ან თვით
ღვინოში ბუნებრივ პირობათა გამო ტექნოლოგიური პროცე-
სების მიმდინარეობის შედეგია (ხვანჭეკარა), როდესაც შაქარი
მთლიანად ვერ ასწრებს სპირტად გადასვლას.

მიუხედავად ამისა, ბუნებრივად ტკბილ ღვინოებს თავისე-
ბური იერი არ აკლია.

ამავე მიზეზით თრიალეთსა და მთიულეთში ტკბილს რომ
ბარიდან აიტანდნენ და ქვევრებში ჩაასხამდნენ, ვახუშტი ბაგ-
რატიონის ცნობით, დგებოდა ღვინო კეთილი, გემოიანი და
ტკბილი.

საერთო მიმართულება ერთი იყო, მაგრამ რაიონებისა და

მიკრორაიონების მიხედვით ჩვენ გვაქვს ფრიად მრავალნაიონ
სურნელების, სინაზის, სიმაგრის, შეფერილობისა და სახულის
თვისებებით შემკული ღვინო. ასეთია კახური ღვინოთვების უძველესი
რი და წითელი ღვინო, წინანდლური, კარდანახული, ენისლუ-
რი, ანაგური, ახმეტური, მანაური, წარაფებისა, გუმბათებისა
და სხვ.; ქართლში: მუხრანული, ატენური, მეჯვრისხეული,
ხიდისთაური და სხვ., იმერეთში: სვირული, ბალდადური, დი-
მური, ალადასტური და სხვ.; რაჭაში: ხვანჭკარა, თეთრა, უსა-
ხელოური; გურიაში: ჩხავერი; სამეგრელოში: ოჯალეში და
სხვა მრავალი.

ძველ ლიტერატურულ წყაროებში ეს მრავალფეროვნება
საკმაოდ კარგად არის ასახული. ვახუშტი ბაგრატიონი ბევრ
რაიონში იხსენიებს ღვინოს:

„აქავ ღვინო კონდოლისა წარჩინებული“;

„ჯარაშენიდამ ვანათამდენ, უწოდებენ გვერდისძირს, და
არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი... არამედ ღვინო აქაუ-
რი თხელი და მომქავო, გარნა საამთ სასმელად“;

„და არს ქვეყანა ესე (სვირი)... ღვინო მრავლად და კარგი“;

გურიაში — „ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქა
და შემრგვო, გემოიან-სუნიანი მრავლად“.

ოდიშს: „აქა არს ღვინო ზარდაგი, ფერისათვის ეგრეთ წო-
დებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა
შინა“.

სალტური სიტყვიერებაც არჩევს სხვადასხვა ღვინოს:

„ლმერთმანი, ბოდბისხეური ღვინო დადგება სქელია,

ასეთი ღვინო დადგება, წითელი ლალის ფერია.

ველისცინის ღვინოები შავი არის და სქელია,

იმით დამთვრალი კაცები ტკბილსა ხმაზედა მღერიან“.

ნიკო კეცხოველი

მაქსიმე რამიშვილი, დიმიტრი ტაბიძე



მე არ ვიცნობ არც ერთ გონიერ ადამიანს, რომელსაც
თუნდ თდნავ მაინც არ შეეძლოს ღვინის დაჭაშნიკება.

ანდრე ლამანდი

1895 წლის 10 მარტს ჩაღტაში, ნიკიტის საიმპერატორო/საბალოსნო და სამედვინეო ლაბორატორიაში მოწყვეტებული ლი ღვინოების დეგუსტაცია. წარმოდგენილი იყო ჭ. ბაგრატიონ-მუხრანელის, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლისა და გიორგი ასათიანის მარნებში დაყენებული ღვინოები. ქართულ ღვინოებს ბორდოს, რეინის, ბურგუნდიისა და ყირიმის ღვინოებს ადარებდნენ.

მაღალხარისხოვან ღვინოებად აღიარეს გ. ასათიანის ღვინო – „ბოკოწინი“ (1893 წ.), წინამძღვრიანთკარის სკოლის თეთრი ღვინო – „რქაწითელი“ (1892 წ.), მუხრანული ღვინო № 5 (1884 წ.), რეინის ღვინოს სრული ბუკეტითა და არომატით აჯობა ჭ. ბაგრატიონ-მუხრანელის ღვინომ – „მუხრანმა“ (1889 წ.).

ქართული ღვინოები ძალიან უახლოვდებოდა რეინის, ბურგუნდიისა და ბორდოს ღვინოებს. ყურადღება მიიქცია წინამძღვრიანთკარის სკოლის წითელმა ღვინომ „საფერავმა“ (1892 წ.), აგრეთვე გ. ასათიანის წითელმა ღვინომ – „გალავანმა“ (1893 წ.). ყველაზე მეტი შეფასება – 5 ბალი დამსახურა ჭ. ბაგრატიონ-მუხრანელის ღიღმის ღვინომ (1884 წ.), რომელიც ბურგუნდიის ღვინოს წააგავდა.



ფეოდალურ საქართველოში მეფე-დიდებულთა კარზე ღვინის დეგუსტაცია საგანგებო მოხელეს – მეღვინეოუბუცესს ევალებოდა. ზოგიერთი მათგანის სახელი ხალხის მეხსიერებასაც შემორჩენია. აი, ერთი ამბავი, რომელიც თედო სახოკიას გურიაში ჩაუწერია:

„გურიელს ერთი მეღვინეოუბუცესი ჰყოლია, გვარად ანთა-ძე. კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი დიდად მოპქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ, სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვცადოთო. აურევიათ ერთმანეთში სამნაირი ღვინო: ორი მეხუთედი ფერსა-თული (სოფელია), ორი მეხუთედი თხეთური (სოფელია) და ერთი მეხუთედი ჩაქვური... მოუხმიათ მეღვინეოუბუცესი

ანთაძე და უთქვამთ — გამოიცანით. იმასაც გემო უნახავს. არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის: თრთულები
„ფერად ფერსათულიო,
გემოდ ისეთურიო,
ცოტას მოიჩაქვურებსო...“



ღვინის დაჭამნიკებისას უნდა გავითვალისწინოთ ორი ძირითადი ფაქტორი: ღვინის ტემპერატურა და ტიპი. ოთახის ტემპერატურისა უნდა იყოს ტკბილი ხერესი, პორტვეინი, მაღერა, მარსალა, მარსკადელი, მალაგა, წითელი ღვინო; ოდნავ გაცივებული ($+12 - +15^{\circ}\text{C}$) — სუფრის თეთრი ღვინო; ძალიან უნდა გავაცივოთ ლიქიორული ტიპის ღვინო (მუსკატი, ტოკავ) და შამპანური ($+6 - +8^{\circ}\text{C}$). ესპანეთში მშრალ ხერესს ყინულით მიართმევენ სადეგუსტაციოდ.

დასაჭამნიკებლად ღვინის წარმოდგენისას უნდა დავიცათ გარკვეული თანამიმდევრობა და რიგი. ტკბილი, მაგარი და დაძველებული ღვინო გრძნობის თრგანოებს მალე ღლის. სუფრო დამღლელია წითელი და კახური ტიპის ღვინოები ტანინის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო. ამდენად, ღვინოები შემდეგი თანამიმდევრობით მიეწოდება საჭამნიკოდ: სუფრის თეთრი, შუბუქი ღვინო; ვარდისფერი; სუფრის წითელი ღვინო; თეთრი კახური ტიპის ღვინო; მშრალი, თეთრი შემაგრებული ღვინო; ხერესი; მარსალა; მაღერა; თეთრი პორტვეინი; წითელი პორტვეინი; ნახევრადტკბილი ღვინოები; ტკბილი თრდინარული ღვინოები; სადესერტო ტკბილი ღვინოები; ლიქიორული (ტოკავ, მუსკატი, სალხინო და სხვ.); წითელი ტკბილი (კაგორის ტიპის); შუშხუნა ღვინო. გასათვალისწინებელია ერთი პრინციპიც: ჯერ ახალგაზრდა ღვინო უნდა გაისინჯოს, შემდეგ კი ძველი.



აქიმო თუ გაქვს ქამალი,
პსცადე ეს წემი ნასწავლი;
რაც სენი უკურნალ იყოს,
ღვინოა იმის წამალი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე

ყურძნის ღვინო ადამიანმა უხსოვარი დროიდან წაჲყენა
 თავის სამსახურში. კულტურული მეცნიერების მედვინეობის
 მქონე ყოველი ერი საუკუნეების განმავლობაში თავისებუ-
 რად სრულყოფდა და ხვეწდა ღვინის დაყენების ხელოვნებას,
 აგრეთვე, ყურადღებით აკვირდებოდა ყურძნის ღვინის ზემოქ-
 მედებას ადამიანის ორგანიზმზე, რაც საფუძვლად დაედო კა-
 დეც ხალხური მედიცინის ისეთ გავრცელებულსა და აღიარე-
 ბულ დარგს, როგორიცაა ენოთერაპია, ანუ ღვინით მკურნა-
 ლობა. ამ გარემოებამ ცხოვრებისეული პრაქტიკით გამართ-
 ლებული საფუძველი შეუქმნა ყურძნის ღვინის გონიერ მოხმა-
 რებას და ადამიანს საშუალება მისცა უტილიტარული თვალ-
 საზრისით იგი განსაკუთრებულად გამოერჩია სხვა სპირტიანი
 სასმელებისგან.


ენოთერაპია, ანუ ღვინით მკურნალობა სახალხო მედიცი-
 ნის ერთი უძველესი დარგთაგანია. წარსულ საუკუნეებში
 სხვადასხვა სახის დაავადებათა მკურნალობისას წარმატებით
 იყენებდნენ სხვადასხვა ტიპის ყურძნის ნატურალურ ღვინოს.
 სამკურნალო მიზნებით მათს გამოყენებას, უთუთ, პქონდა
 ცხოვრებისეული პრაქტიკით გამართლებული და განმტკიცე-
 ბული საფუძველი. სხვაგვარად ენოთერაპია ვერ გაუძლებდა
 დროის გამოცდას, უკუგდებული იქნებოდა და ჯერ კიდევ კარ-
 გა ხნის წინ მიეცემოდა დავიწყებას.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კაცობრითის განვითა-
 რების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ენოთერაპიას ფარ-
 თო გამოყენება პქონდა, განსაკუთრებით განვითარებულ მეცნი-
 ხახეობა-მედვინეობის ქვეყნებში. საუკუნეთა მდიდარი გა-
 მოცდილება, სრულად თუ არასრულად, აისახა ჩვენამდე
 მოღწეულ სამკურნალო წიგნებსა თუ ზეპირ გადმოცემებში.

ბიონერგეტიკული, ბაქტერიციიდული და ანტისეპტიკური
 თვისებების წყალობით ყურძნის ღვინის გამოყენების სფერო
 მედიცინაში ამჟამადაც ფართოა.


ექიმები განსაკუთრებით აღნიშნავენ ღვინის როლს ტუ-
 ბერკულოზის, აგრეთვე, გრიპისა და ფილტვების დაავადების
 მკურნალობის საქმეში.

(დადგენილია, რომ 6—100 გ ღვინის აბსორბცია იწვევს კუჭ-

ში 0,9—1,25 გ თავისუფალი მარილმჟავას შემცველი 120 გ ხო-
თხის გამოყოფას, ხოლო გლიცერინი და ლინომჟავაში შემცველი
ლები ხელს უწყობს ნაღვლის წვენის გამოყოფას. 

ჭამის წინ თეთრი ლვინის ზომიერი რაოდენობით მიღება
იწვევს ლვიძლის უჯრედების აღგზნებას, ხელს უწყობს თორ-
მეტოვა ნაწლავში ნაღვლის წვენის გადადენას და აძლიე-
რებს შარდის გამოყოფის პროცესს, ამავე დროს აქტივირდება
ლვიძლის ამილაზა და მცირდება მასში გლიკოგენის რაოდე-
ნობა. ლვინო (განსაკუთრებით — თეთრი) ხელს უწყობს ორგა-
ნიზმიდან მავნე პროდუქტების — ფენოლების, ინდოლის, სკა-
ტოლისა და ტოქსინების გამოყოფას.

პროფ. ს. შერბაკოვის ექსპერიმენტებით დადგენილია
თირკმლების ფუნქციებზე ლვინის დაზებითი შემოქმედების
ფაქტი.

მდიდარი შემადგენლობის წყალობით ლვინოს შეუძლია
ადამიანის ორგანიზმში C და B ჯგუფის ვიტამინების კომპენ-
საცია. 

ალბერტონისა და სოსის მონაცემებით, ლვინოში შემავალი
სპირტი მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენს ნერვულ სის-
ტემაზე და ზრდის სისხლში პემოგლობინს.

სხვადასხვა მეცნიერის გამოკვლევების საფუძველზე ლვი-
ნო გამოიყენება ისეთი დაავადებების მკურნალობისას, როგო-
რიცაა სკლეროზი, გულის პიპერთროპია, მიოკარდიტი,
ართრიტი, სურავანდი, ფილტვების ანგინა, ქუნთრუშა, წითე-
ლა, ყვავილი. დიდი სარგებლობა მოაქვს ტანინით მდიდარ
დაძველებულ მშრალ წითელ ლვინოს დიაბეტის სამკურნა-
ლოდ.

ლვინოს, როგორც სამკურნალო საშუალებას, თავიანთ
პრაქტიკაში ფართოდ იყენებენ პროფესორები: კ. სარლი,
ა. მორგანი და სხვები ჩიკაგოს, დეტრიოტის, ფრემინგჰემის
(მასაჩუსეტსის შტატი), აგრეთვე, საფრანგეთისა (ა. ლაფონი,
ფ. ლაფონი, პ. კოუიარი, გ. ლეფტი) და იტალიის (დოქტორე-
ბი რ. სტენტო, დ. ლოლი) კლინიკებსა და საავადმყოფოებში.



არაყსა და ყურძნის ლვინოს შორის დიდი სხვაობაა. მაშინ,
როცა არაყი ეთილის სპირტის წყალხსნარია, რომელიც შეა-

